# თბილისელები®

საქართველო ბეჭეო… …ალლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

1,50 ლარი | 16 ნოემბ… | №45



**გვ. 70**

როგორ გახდა „მაესტროს“ წამყვანი ირაკლი ხრიკაძე ალქიმიკოსი და ვისთან ჰქონდა მას „სლუქები რომანი“

**გვ. 12**

რისი დაფასება ვერ ვისწავლეთ ქართველებმა, კოტე თოლორდავას აზრით და რომელ ასაკში მოხდა მასში მენტალური გარდატეხა

**გვ. 14**

რატომ ვერ მოასწრო მარიტა როხვაძემ ვანიკო თარხნიშვილის „მისაკუთრება“ და რატომ წერდნენ სოციალურ ქსელებში „ბრავოს“ შემდეგ მის ტრუსზე


العربية للطيران
airarabia.com
2 40 00 40

ეარ არაბია – ჩემი გვ. 7 ბედნიერი გზამკვლევი!


**გვ. 18**

ვის საკუთრებად იქცა ზურა გორგაძე და არიდებს თუ არა ის თავს უხერხულ კითხვებს



რატომ დარბოდა გიორგი ბახუტაშვილი ჟვრისწერის წინ საცოლის პაპისა და საქორწინო ბეჭდების საყიდლად

**გვ. 66**



**გვ. 16**

რა თანხას აძლევდნენ შეჯიბრებებზე დავით ქირიას და ვისი სურვილით მიიღო მართლმადიდებლობა მსოფლიოს ჩემპიონის მეუღლემ



რა ხრიკი გამოიყენეს პროდიუსერებმა მონაწილეების შერჩევისას პროექტ „ერთი ერთში“ და არის თუ არა აქტიურად ჩართული ბერა ახალი სეზონისთვის სამზადისში

**გვ. 74**



**გვ. 71**

ვისთან არ აქვს ქართველ გოთს, სანდრო მანსონს, ფარული ომი და რა შეცვალა მის ცხოვრებაში გოთიკამ


ISSN 1987-569X
9 771987 569002


## კვირის ფრაზები

* ერთი საათით ვიყავი ჩემს ქორწილში
* ისე ას ჭიქას სვამ და, ახლა რა გეტაკა, 44 ჭიქაზე მეტი რომ ვერ დალიეო
* გავიზარდე, იმიტომაც დავშორდი შეყვარებულს
* მამამ ნაპოვნი განძი აღწერა და ეკლესიაში დამალა




**მერცის სპეციალური დრაჟე - ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალური კომბინაცია გლუვი კანის, მბრწყინავი თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად**

მერცის სპეციალური დრაჟე შექმნილია გლუვი კანის, მბზინვარე თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად. იგი წარმოადგენს ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალურ კომბინაციას, რომელიც შეიცავს თითოეულ კომპონენტს ისეთი დოზით, რაც აუცილებელია ჯანმრთელი კანის, ფრჩხილების და თმის ზრდისთვის, ორგანიზმის ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესებისთვის.

მზის ულტრაიისფერი გამოსხივება, მარილიანი ზღვის წყალი ან ქლორიანი წყალი აზიანებს კანს, თმას და ფრჩხილებს. კანი ხდება მშრალი, ნაკლებად ელასტიური, დანაოჭებული, თმა - მტვრევადი, დაზიანებული, აღინიშნება ინტენსიური თმისცვენა, ფრჩხილები - მყიფე, მტვრევადი, ნელა იზრდება.

მერცის სპეციალური დრაჟე აღადგენს კანის, თმის და ფრჩხილის უჯრედებს, უზრუნველყოფს მათ სიმტკიცეს და იცავს დაზიანებისგან, უნარჩუნებს კანს სინოტივეს, ელასტიურობას და სიგლუვეს, ხელს უწყობს თმის და ფრჩხილების ზრდას, ამცირებს თმის ცვენას.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


როგორ შეიყვანა მოსკოვმა აფხაზეთი ჩიხში და რატომ იქნება ტრაგედია აფხაზებისთვის მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარება ............ 6

ანიჭებენ თუ არა ქართველი კაცები უპირატესობას საშუალო გარეგნობისა და გონებრივი მონაცემების ცოლებს და როგორ აღწევენ თავიანთ მიზნებს კაცი – ძალით, ქალი – კაცის თავის ჭკუაზე ტარების უნარით..................... 8

რა ქონებას ფლობს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე და რაში დახარჯა მან 2013 წელს ხელფასად აღებული 300 000 ლარი ........................ 9

ასხამს თუ არა წყალს რუსეთის წისქვილზე „ნაციონალური მოძრაობის“ 15 ნოემბრის აქცია და რატომ ნიშნავს ოკუპაციის თემის დისკრედიტაციას ................................. 10

რატომ აღნიშნავენ თურქეთელი ქართველები მარიამობის დღესასწაულს და ვინ დანერგა თურქულ სკოლებში ქართული ენის სწავლება ................................................. 17

მიჰყავს თუ არა მამაკაცი ოჯახიდან „სხვა“ ქალს და ყოველთვის არის თუ არა „ის ქალი“ უწესო ................. 20

რატომ არ შეიძლება დაწინდული წყვილის დაშორება და რა შეიძლება იყოს ორი ადამიანის ჯვრისწერის ხელის შემშლელი ფაქტორები .......... 22

რატომ ჰქონდა კაკო კვანტალიანს მუდმივად ცოლისდის ვალი და როგორ აგიჟებდა ის დოდო აბაშიძეს ................................................ 26

როდის ეწყება ადამიანს წინათგრძნობების „შემოტევები“ და რეალურად არსებობს თუ არა ამქვეყნიური ცხოვრების მიღმა სამყარო ................................................ 28

ეძიე კაცი ................................................ 32

რა საშიშროებას ხედავდა სტალინი უკანონო ქორწინებაში და როგორ აღადგინა მან ოჯახის უფროსის სტატუსი ................................................ 35

რომელი ასტროლოგიური ქვის ტარება მოგიტანთ იღბალს კვირის კონკრეტულ დღეს ............................... 45

როცა ქალს უყვარს... ........................... 48

რა შემთხვევაში ჩაქრება მანქანა და რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ დროს ........... 51

მაფიის შვილობილი ............................. 52

როგორ ძარცვავდა ინკასატორებს ცნობილი მძარცველის, „ბებუთას“ ცოლი, მეტსახელად „ელიჩკა“ .......... 56

როგორ აშანტაჟებდა მამაკაცი ყოფილ ცოლს და რატომ გააუპატიურა ის ლომბარდიდან ფულის გატაცებამდე .......................... 57

როგორ აკურთხებდნენ საქართველოში მეფეს ......................... 64

აცტეკები მსხვერპლად შეწირულ ადამიანებს ტყავსაც აძრობდნენ ..... 65

რატომ დარბოდა გიორგი ბახუტაშვილი ჯვრისწერის წინ საცოლის კაბისა და საქორწინო ბეჭდების საყიდლად და რატომ გაჩერდა ის საკუთარ ქორწილში მხოლოდ ერთი საათით ....................... 66

რატომ აირჩია პროფესიად პილოტობა ნადია ბენკლიანმა და რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუწია მას ............................................ 67

რა სასწაულის თვითმხილველი გახდა ვასილ პირველი კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორის პანაშვიდზე სვეტიცხოველში და ვინ იყვნენ ღმერთისთვის შეწირული, „უცნაური ადამიანები“ ............................................ 68

რატომ არ შეიძლება ცივ სეზონზე მკაცრი დიეტის დაცვა და რას შველის დღეში სამი ჭიქა ალკოჰოლი ............................................ 72





# „პირველ ღამე“ გამოვლილები

## ანუ „მეგობარი გიწოდე, ხელი გამოგიწოდე“

რაკი ნათქვამია, **„რა უნდა და ბნელი ღამეო“,** ან, სულაც, იმიტომ რომ, **„წმიდა ადგილი ცარიელი არ რჩება“,** „თავისუფალი დემოკრატები“ **ხეირიანად არც კი დამშვიდობებოდნენ პარტნიორებს** (პოლიტიკურ პარტნიორებს და, თუ ამას დამშვიდობებას ვუწოდებთ?!), რომ მათთვის **მაშველი რგოლი უკვე შეამზადა „ნაციონალურმა მოძრაობამ**“.

მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ **ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ერთობ პოლიგამიურია,** დანამდვილებით **ვერც გაარკვევ, ვინ ვისი პარტნიორია** („წრეში“ ყველა ნამყოფია). ვერ გაარკვევ, **ვინაიდან, უმწიკვლოს პოვნა** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოდენ პოლიტიკურ უმწიკვლობას ვგულისხმობ – ), ფაქტობრივად, **შეუძლებელია** (შეუძლებელი, რადგან თითოეული უკვე ნამსხვერპლია პოლიტიკურ **„პირველ ღამეს“).**

ასეა თუ ისე (რაცაა, ესაა), საპარლამენტო **უმცირესობის ლიდერი აცხადებს**, **მზად ვართ, ირაკლი ალასანიასთან და სხვა პროდასავლურ პარტიებთან ერთად გამოვხატოთ ქვეყნის პროდასავლური არჩევანიო** (იმის გათვალისწინებით, რომ ბ-ნ **ბაქრაძეს დღემდე არ განუმარტავს საზოგადეობისთვის, რატომ დახარჯეს მისი ოჯახის წევრებმა ათეულ ათასობით საბიუჯეტო ლარი სატელეფონო საუბრებში**; სავარაუდოა, რომ **პროდასავლურობაში, სულ მცირე, ასეთი ტიპის ხელგაშლილობა იგულისხმება**).

ამ თუ სხვა მიზეზით, **„თავისუფალმა დემოკრატებმა“ შეუთვალეს,** რომ **არც ახლა და არც სამომავლოდ თქვენ გვერდით თავს არ მოვიაზრებთო.** ხოლო, თუ დამპატიჟებელთა (ანუ ყოფილი ხელისუფლების ლოგიკასაც გავიხსენებთ): **„ეს პოლიტიკური კრიზისი გახლავთ ლოგიკური შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ხელისუფლება წლების განმავლობაში დაპირისპირებაზე, დევნაზე, განსხვავებული აზრის გამოთქმის წინააღმდეგ პროკურატურის გამოყენებით ატარებდა.“** პროდასავლურ კურსზე „ნაციონალური“ გულის შევარდნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **შექსპირისეული რიჩარდის ლოგიკა მათ ქმედებებში ისევ იკითხება**. –

# ჩვენებური „ანგელოზები“

## ანუ ვქარგოთ?!

**ყირიმის გარეშე დარჩენილი ერთი უკრაინის ტერიტორიაზე უკვე ორი სუბიექტი შეიქმნა,** რომლებშიც **თვით „არჩევნებიც“ კი ჩატარდა** (რის გამოც **რფ ახლა „დუმებშია“, აღიაროს თუ არა იმ არჩევნების შედეგები**).

ამით შეგულიანებულებმა თუ სხვა რამ მიზეზით, ლუგანსკის ოლქში გამართულ **„სახალხო სასამართლოზე“ გამოსვლისას შეიარაღებული ფორმირება „პრიზრაკის“ მეთაურმა,** ვინმე ალექსეი მოზგოვოიმ, განაცხადა, რომ **ამიერიდან ახალგაზრდა ქალებს ეკრძალებათ კაფეებსა და „კაბაკებში“ სიარული.**

არც მეტი, არც ნაკლები, ზემოხსენებულმა ბატონმა განაცხადა: **„ხვალ თუ რომელიმე „ბარიშნას“ ამ დაწესებულებებში დავინახავ, მაშინვე ადგილზე დავაპატიმრებ.“** მოტივად კი ის დაასახელა, რომ **„ქალი ოჯახური კერის მფარველია**“, მაშინ, როდესაც ამ ბოლო დროს **ქალებითაა გადატენილი ღამის კლუბებიო**. მომყავს ციტატა: **„თუ გინდა, დარჩე პატიოსან ქალად, დარჩი სახლში და ქარგე.“**

ამის პარალელურად, **„სახალხო სასამართლომ“ ორი მამაკაცის საქმეც განიხილა, რომლებსაც გაუპატიურება ედებოდათ ბრალად** (გადაწყვეტილებას ხელის აწევით იღებდნენ): **ერთ მათგანს დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს, მეორე ფრონტზე გაგზავნეს** (საკუთარი სისხლით გამოისყიდოს დანაშაულიო).

ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ამათ ფონზე ჩვენი სეპარატისტები ნამდვილ ანგელოზებს ჰგვანან!

# საგადასახადო მანევრი

## სანქციებს შეჭიდებული ფეხსალაგები

აქეთ **ნავთობის საერთაშორისო ფასი დაეცა 75 აშშ დოლარამდე**, იქით **რუბლი – დოლართან და ევროსთან მიმართებაში** (ცოდვა გამხელილი ჯობია და, არ მწყინს!). ამიტომაც, **ბევრი იფიქრეს თუ ცოტა**, რფ-ის **სახდუმამ ცვლილებებიც გამოაცხო,** რის მიხედვითაც, **მუნიციპალიტეტებს მიეცემათ უფლება, მეწარმეთათვის დამატებით, რეგიონული გადასახადები დააწესონ.**

როგორც რუსული მედია გვამცნობს, **მეწარმეთა ჩამონათვალში იგულისხმება სამრეცხაოები, საპარიკმახეროები და თვით ფასიანი ტუალეტებიც კი** (საერთო ჯამში, 20 000-ზე მეტი მომსახურების ფორმა გამოდის). ჰოდა, **ამ წვრილ და საშუალო მეწარმეებს 2015 წლიდან ყოველკვარტალურად 6 000-დან 600 0000 რუბლის გადახდა მოუწევთ**. მეტიც, **მუნიციპალიტეტებს**, საკუთარი შეხედულებისამებ, **ამ გადასახადის 10-ჯერ გაზრდაც შეუძლიათ.**

აღმოჩნდა, რომ **რფ-ის საქმიან წრეებთან რუს კანონმდებლებს ეს ინიციატივა არ შეუთანხმებიათ**, თუმცა ისინი **იმედს არ ჰკარგავენ და პრემიერ-მინისტრისთვისაც აპირებენ მიმართვას და საკანონმდებლო ორგანოსთვისაც**, მთლად **ბოლომდეც ნუ წაგვიჭერთ ყულფს კისერშიო.**

თუმცა, შესაძლოა, **ვერც კი მოასწრონ ბატ. დიმიტრის** (მედვედევის) **ყურამდე მიღწევა**, ვინაიდან **„დუმა“ დაჩქარებულად აპირებს კანონპროექტის მიღებას.** საინტერესოა, რომ ეს ცვლილებები შედის და თან ერთვის კანონპროექტს, სახელწოდებით: საგადასახადო მანევრი სანავთობო სფეროში.

დიდი ალბათობით, **ცვლილებები დამტკიცდება** და **2015 წლიდან რფ-ის წვრილი და საშუალო ბიზნესი ჭიანჭველასავით დაიტვირთება.** ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **სრულიად რფ-ის მოსახლეობა აღტაცებული შეხვდა ყირიმის შემოერთებასა და უკრაინაში ორი სეპარატისტული რეგიონის შექმნას**, სანქციებისა და ტუალეტების ბრძოლაში, ისღა დარჩენიათ, **თავი საკუთარი ანდაზითვე დაიმშვიდონ**: любишь кататься, люби и саночки носить?! –


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა:
tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# სათაგურში

## „ბუს კვერცხების“ მოლოდინში

თუმცაღა, აგერ უკვე **20-ზე მეტი წელია, ჩრდილოელის კმაყოფაზე არიან**, ბოლო **6 წელიწადში კი, საერთოდაც, კისერზე ჰკიდიან** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კისერში ბიუჯეტი იგულისხმება), **აწ უკვე განაცხადეს** (მას შემდეგ, **რაც აღმოჩნდა, რომ მუქთა ფულს მხოლოდ რფ-სთან ინტეგრაციის შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ მიიღებენ**), რომ **მოსკოვმა სოხუმს ფული აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსებაში უნდა გადაუხადოს** (იმიტომ რომ, მადა ჭამაში მოუვიდათ?!). –



შესაბამისად, **ენგურსგაღმელი „პრეზიდენტი“ ხაჯიმბა ჭრელი პეპელასავით გამოუვალ მდგომარეობაშია:** თუ **არ მოაწერს ხელს შეთანხმებას, ფულს არ მისცემენ** (რაც იმას ნიშნავს, რომ თავისიანები სკამს წაართმევენ); **თუ მოაწერს ხელს შეთანხმებას, თავისიანები სკამს მაინც წაართმევენ**. ამის მიუხედავადაც, გულს არ იტეხს (ყოველ შემთხვევაში, აფხაზური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში): **„ეს ფული** (იგულისხმება რფ-ის მიერ გადმორიცხული ფული) **რყვნის საზოგადოებას**; ამიტომ, უმჯობესია, **პირდაპირ ვთქვათ, ეს არის გადასახადი რუსული ბაზების აქ ყოფნისთვის**. ჩვენ გვინდა დამოუკიდებლობა, ჩვენ გვინდა თავისუფლება (პირადად მე, შექმნილ ვითარებაში არც „ბუს კვერცხებზე“ ვიტყოდი უარს – ). **რუსეთმა იმიტომ კი არ გვაღიარა, რომ მას დავემორჩილოთ**, იმიტომ გვაღიარა, რომ ჩვენი ხმა გაიგონოს (ეჭვი მაქვს, დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“). **რუსეთს უნდა ესმოდეს** (არადა, რფ-ს ჯერჯერობით აშშ-მა ვერ შეასმინა ვერაფერი), რომ **აფხაზეთს აქვს საკუთარი „მე“** და ეს „მე“ უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ **აფხაზეთი გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო** და სწორედ **ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან უნდა დაამყაროს ურთიერთობა რუსეთმა“.**

დღესავით ნათელია, რომ „პრეზიდენტის“ პოზიცია ქვას გახეთქავს, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რფ-ს შეუყენოს მუხლებში კანკალი, რადგან **იმ „სათაგურის“ კარი, სადაც „უფასო ყველი“ იდო, საცაა ჩაიკეტება...**

# „დაიგვიანეს...“

## „მკვეხარა ქოთანი“

სავარაუდოდ, იმის გამო, რომ **დაცულ ადგილას აქციის მოწყობა ფრიად უსაფთხოა,** ბუნებრივია, რომ **რუსთაველის გამზირი,** სწორედაც რომ, **მისწრებაა ოკუპაციის გასაპროტესტებლად** (თან, **თვით ოკუპანტის ტანკებიც რომ რამდენიმე ათეულ კილომეტრშია?!).**

მეორე მხრივ, **რა მოტივიც უნდა ჰქონდეთ 15 ნოემბრის აქციის ორგანიზატორებს**, ფაქტია, რომ **აფხაზეთის „წაღებას“ ისინი პარლამენტის შენობის წინ დაუპირისპირდებიან** (თუმცა რაღა წაღება, როდესაც **დე-ფაქტოდ წაღებული 2008 წლის 26 აგვისტოს რფ-მ უკვე დე-იურედ გაიფორმა?!).**

და თუმცა ბ-ნმა **ბაქრაძემ აგვისტოს დღეებში თავი არაორდინარული განცხადებით დაგვამახსოვრა** (როდესაც **გაგანია ომში პარლამენტის თავმჯდომარის ტრიბუნიდან მოგვიწოდა, თავი რითაც შეგიძლიათ დაიცავითო**, რის შემდეგაც საქართველოს **მშვიდობიანი მოსახლეობა ჯამ-ჭურჭლით აღიჭურვა,** ოღონდ შემდეგ, რაკი მიხვდა, რომ ჩანგლები, მიუხედავად ოთხი წვერისა, არ გამოადგებოდა, კვლავ უჯრებში ჩაალაგა) **ტრადიციას არც ამჟამად უღალატა** და გვაცნობა, რომ **15 ნოემბრის აქციაზე შვილებთან ერთად მივა**, რადგან (მომყავს ციტატა. იგი იმდენად ამაღელვებელია, ვშიშობ, **პერიფრაზით რამე არ დავაკლო**): „... როდესაც ისინი მკითხავენ, მამა, ჩვენ სად ვიყავით, როდესაც რუსეთს აფხაზეთი მიჰქონდაო, მე მათ ვუთხრა, რომ თქვენ ათიათასობით ქართველთან ერთად იდექით რუსთაველზე და, რაც შეგეძლოთ, აკეთებდით და აპროტესტებდით, რომ რუსეთს აფხაზეთი არ წაეღო (ანუ, **არასწორია – „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“; სწორია – „ქართველო დადექი აქციაზე“** – “.

მეორე მხრივ, მისიც მესმის: **გიორგი ანწუხელიძესავით წამებაში რატომ უნდა ამოახდევინო სული ოკუპანტებს?!** თუკი შესაძლებელია, **დადგე მზით გაჩახჩახებულ, რუსთაველის ჯერჯერობით არაოკუპირებულ გამზირზე და შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილმა გულში მჯიღი, საიდანაც მოგესურვება, იბრაგუნო**?!

P. S. ხოლო, თუ ნოემბრის ფაქტორს გავიხსენებთ ამ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, ვფიქრობ, **აქციის მონაწილეებს საშვიდნოემბრო ნილბები დაამშვენებდა...**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# „რომ კომუნისტის სახელი ერქვას, ყველა როდია ღირსი“

## „ძირს მგლური კაპიტალიზმი“

რაკი ამ **ჩვენს ქვეყანაში ცოლ-ქმარსაც კი უჭირს ცივილიზებულად გაყრა,** სავარაუდო იყო, რომ ვერც **კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ გამოცალკევება ჩაივლიდა სკანდალის გარეშე.** ვერც ჩაიარა, რადგან, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, **ეს ჩვენი მაღალ-მაღალ სკამებზე მსხდომი პოლიტიკოსი მამაკაცები ურთიერთდაპირისპირებისას**, ვაი რომ, **ორლობის დედაკაცებს ემსგავსებიან ხოლმე** (ბოდიშის მოხდით მათთან, ვისაც ეს არ გეხებათ – ).

ხოლო, რაკი ემსგავსებიან ხოლმე, უხვად მოვისმინეთ, **იქით – პრემიერ-მინისტრისგან, ერთი ავანტიურისტი და მოღალატეო,** აქეთ – **ყოფილი მინისტრისგან, ასეთისგან მესმისო**, შუაში დანარჩენებისგან – **პირში წყალი გამოივლეთო**... ერთი იმან გაგვახარა, რომ **გაყრიდან მესამე დღეს ვნებები ოდნავ ჩაცხრა და ლექსიკაც მეტ-ნაკლებად დაიწმინდა** (როგორც ჩანს, რუხმა ნივთიერებამ მაინც თავისი გაიტანა).

თუმცა, სანამ ჩვენ ამით ვხარობდით, **ბათუმში წითელი დროშებით შეიარაღებულმა „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის“ წევრებმა მსვლელობა მოაწყვეს**, რითაც **„კაპიტალისტური რეჟიმი“ და „საქართველოს ევროკავშირისკენ სწრაფვა“ გააპროტესტეს**. ლოზუნგებს კი შემდეგნაირს გაჰყვიროდნენ: „საქართველო – „ნატოს“ გარეშე“, **„ძირს მგლური კაპიტალიზმი“, „აღდგეს რუსეთ-საქართველოს ყოველმხრივი ურთიერთობა“** (ისე, ყოველმხრივი ეს რომელია?!), **„სოციალიზმი კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი გზაა.“** –



ოღონდ, **მხოლოდ ამ სულისშემძვრელ ლოზუნგებს არ დასჯერებიან** და იმავე დღეს **საკონსტიტუციო სასამართლოში საბჭოთა იდეოლოგიისა და სიმბოლიკის აღდგენის მოთხოვნით სარჩელიც შეუტანიათ!**

**თუ გავითვალისწინებთ,** რომ **აქამომდე ჩვენებურ კომუნისტებს არც კი გაუფარჩუნებიათ (**არადა, საბჭოთა სიმბოლიკა რა ხანია, გაუქმდა), სავარაუდოდ, **შემოტევა ჩრდილოეთიდან აქტიურ ფაზაში გადავიდა!**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**აფხაზეთში რუსეთსა და აფხაზეთს შორის გასაფორმებელი „ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შეთანხმების" რუსული ვარიანტი დაიწუნეს და ორი საპასუხო დოკუმენტი შეიმუშავეს (ერთი – „პარლამენტმა", მეორე – „პრეზიდენტის ადმინისტრაციამ"), თუმცა საბოლოო ვარიანტზე ჯერ არ შეჯერებულან, მაინც იმედოვნებენ, რომ მოსკოვი სწორედ სოხუმის ვარიანტს დაჰყაბულდება, თანაც, ისე, რომ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ სოციალურ დახმარებას ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებენ. თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა უკვე განაცხადა, რომ მოსკოვი არ აპირებს შეთანხმების რუსული ვარიანტის გადახედვას. მეორე მხრივ, რომ არა რუსეთის მიერ ნაწყალობევი სოციალური დახმარება, „პრეზიდენტი" ხაჯიმბა ვერ შეძლებს იმ სოციალური დაპირებების შესრულებას, რის გამოც სულ ახლახან ალექსანდრ ანქვაბი სავარძელს გამოამშვიდობეს. რუსეთ-აფხაზეთს შორის შექმნილი ვითარების ანალიზი რუს პოლიტოლოგ ანდრეი ეპიფანცევს ვთხოვეთ.**

# როგორ შეიყვანა მოსკოვმა აფხაზეთი ჩიხში და რატომ იქნება ტრაგედია აფხაზებისთვის მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარება

**– გაითვალისწინებს მოსკოვი სოხუმის შენიშვნებს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით?**

– აქ უნდა დავაზუსტოთ, კარასინმა თქვა, ხელშეკრულებაში პრინციპულ საკითხებს არ გადავხედავთო.

**– მესმის, მაგრამ სწორედ პრინციპული საკითხებია მნიშვნელოვანი და არა მეორე და მესამეხარისხოვანი.**

– პრინციპული საკითხები, ალბათ, არ გადაიხედება და ყველაფერი, დიდი ალბათობით, დასრულდება კომპრომისით და ამას საფუძვლად დაედება რუსეთის მიერ შეთავაზებული ვარიანტი. რუსეთი წავა არაპრინციპულ დათმობებზე აფხაზურ მხარესთან, მაგრამ ის შეთანხმება, რომელიც აფხაზეთის პარლამენტმა შეიმუშავა, სრულიად სხვა ხელშეკრულებაა, ამიტომ ახლა უნდა დაველოდოთ, რა ვარიანტს დაეთანხმება აფხაზეთის პრეზიდენტი, იმიტომ რომ მათ უნდა შეიმუშაონ ერთიანი ვარიანტი. თავის მხრივ, მოსკოვი აჩქარებს მათ, იმიტომ რომ ბიუჯეტია დასამტკიცებელი და უნდა ვიცოდეთ, წამოვა თუ არა აფხაზეთი ამ ინტეგრაციულ შეთანხმებაზე, რადგან ამ შემთხვევაში ლაპარაკია 5 მილიარდი რუბლის გამოყოფაზე,

**– ეს დამატებით, იმას გარდა, რასაც ყოველწლიურად აძლევდა მოსკოვი სოხუმს.**

– როგორც ვიცი, სულ 5 მილიარდ რუბლზეა ლაპარაკი. პრობლემა ის არის, რომ ჩვენი ფინანსური ურთიერთობა აფხაზეთთან ერთგვარი საიდუმლოა: გაუგებარია, რის საფუძველზე ვაძლევდით თანხას, ეს საჩუქარი იყო თუ კრედიტი?! გასული წლის მდგომარეობით, ითქვა, რომ აფხაზეთს გადავურიცხეთ 4 მილიარდი რუბლი. 2014 წლის დასაწყისში სურკოვმა ეს თანხა მილიარდამდე შეამცირა, ახლა ლაპარაკია 5 მილიარდზე. საქმე ისაა, რისთვის ვაძლევთ ჩვენ მათ ამ თანხას?! არაფერში ვერ მივცემთ.

**– მაგრამ აქამდე ხომ არაფერში აძლევდით?**

– მართალია, მაგრამ ჩვენ ახლა ვიმკით ამის შედეგს. ადრე იყო ისეთი სიტუაცია: 2008 წლის შემდეგ შეიქმნა განსხვავებული ვითარება, ფული საჭირო იყო აფხაზეთში წარმატების სურათის შესაქმნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზი ელიტა აღშფოთდებოდა, არც ჩვენ არ გვჭირდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ მათ ეს აღიქვეს, როგორც ისეთი რამ, რაც თავისთავად იგულისხმება. იცით, რომ აფხაზეთი ბრალს სდებს რუსეთს ყველა ცოდვაში – გენოციდში მეცხრამეტე საუკუნეში...

**– აფხაზები ყველა ცოდვაში ქართველებს ადანაშაულებენ, ნუ შეგვეცილებით.**

– ჩვენ მიმართაც აქვთ პრეტენზიები ყოფით დონეზე... მეორე მხრივ, მათებური ახსნა, თუ რატომ ვაძლევთ ფულს, სომხურ ვარიანტს ჰგავს: როგორც იქცეოდა სომხეთი, როდესაც არ იცოდა, საით წასულიყო და შეიქმნა ილუზია, რომ შეეძლოთ წასულიყვნენ ევროკავშირისკენ და იქ ჰქონოდათ რუსული ბაზა. აფხაზეთშიც ჩამოყალიბდა აზრი, რომ იქ მყოფი რუსეთის ბაზა აფხაზებს კი არ იცავს, არამედ რუსეთს სჭირდება თავისი პოლიტიკური თამაშებისთვის და ამით „ნატოსგან" მომავალ საფრთხეებს ანეიტრალებს და, თუ საქართველო მიდის „ნატოსკენ", ესე იგი, რუსეთს აფხაზეთში უნდა ჰქონდეს თავისი ბაზა. ამიტომ ამბობენ, თუ ბაზა არის, გადაიხადეთო. სინამდვილეში კი მსგავსი არაფერი ხდება. ავიღოთ ეს შეთანხმება: მოსკოვი ამბობს, ჩვენ ამოგიქაჩავთ სოციალურ დონეს რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერალური ოლქის დონეზე, არადა ეს რუსეთის ყველაზე მდიდარი რეგიონია, რეგიონი დონორი. მაგალითად, თქვენ ასოცირებას მოაწერეთ ხელი, მაგრამ თქვენთან გაიზარდა ამის გამო პენსიები?

**– ჩვენ არ ვართ ევროკავშირის დოტაციაზე, აფხაზეთი კი რუსეთის დოტაციაზეა.**

– რა თქმა უნდა, ჩვენ შესანიშნავ პირობებს ვთავაზობთ აფხაზებს. მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზები ჩვენს დახმარებას იღებენ, როგორც ჩვეულებრივ რამეს, რაც თითქოს მათ ისედაც ეკუთვნით, ჩამოყალიბდათ ასეთი დამოკიდებულება: მათი დამოუკიდებლობა არის წმიდათაწმიდა რამ და რუსეთმა უნდა არჩინოს ისინი. ახლა კი მიდის მათი შემობრუნება რეალობისკენ. ჩვენ თავად გავრყვენით ისინი, თუმცა მათი გაგებაც შეიძლება: ჩვენ მუდმივად ასე ვექცეოდით და მიეჩვივნენ, რომ არიან გაზულუქებული ბავშვები.

**– ასლან კობახიამ, აფხაზეთის „პარლამენტის წევრმა", აფხაზური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ, თუკი აფხაზები არ მოაწერენ ხელს რუსეთის მიერ შეთავაზებულ ვარიანტს, შეთანხმებით გათვალისწინებულ სოციალურ დახმარებას მაინც მიიღებენ მოსკოვიდანო. რატომ არიან ასე დარწმუნებულნი? თუ კობახიას ეს განცხადება შიგა მოხმარებისთვისაა, რადგან მორიგი „არჩევნების" შემდეგ ისინი ელიან სოციალური ფონის გაუმჯობესებას?**




**დავუშვათ, თბილისი შევიდა „ნატოში", რა, აფხაზეთის არმია დაგვიცავს „ნატოსგან"?! ეს ხომ არასერიოზულია?!**

– არ ვიცი, შეიძლება, მას უფრო მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე მე. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოსკოვი აჩქარებს მათ, მოაწერონ ხელი შეთანხმებას, ესე იგი, უნდა მოესწროს ამ ვალდებულებების რუსეთის 2015 წლის ბიუჯეტში გაწერა. გამოდის, რომ ამ ხელმოწერაზე იქნება დამოკიდებული, იქნება თუ არა 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ამ 5 მილიარდი რუბლის გადაცემა მათთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვი იტყოდა, გაძლევთ 5 მილიარდს და არ დააჩქარებდა შეთანხმებაზე ხელმოწერას. ასე რომ, ასლან კობახიას უნდა ჰკითხოთ, რატომ თქვა ასეთი რამ.

**– მე ის არ მპასუხობს შეკითხვებზე, სამწუხაროდ.**

– ეს მისი ამ შინაარსის მქონე პირველი განცხადება არ არის. შესაძლოა, მან ეს თქვა შიგა მოხმარებისთვის, იმიტომ რომ დღეს ხაჯიმბა არ არის საუკეთესო სიტუაციაში: თუ ხელი მოეწერება შეთანხმების რუსულ ვარიანტს, მასზე თავდასხმები გაძლიერდება და დაადანაშაულებენ, რომ უღალატა აფხაზეთის ინტერესებს, რომ აფხაზეთი კარგავს დამოუკიდებლობას და ის მოქმედებს რუსეთის კარნახით.

**– მაშინ ხაჯიმბას არ უნდა მოსთხოვონ პენსიებისა და ხელფასების ზრდა. ხაჯიმბა ფულს ხომ არ აქსეროქსებს?**

– ეს მეორე საკითხია: მას, თუ ხელს არ მოაწერს ამ შეთანხმებას, ფულს არ მისცემენ და ამიტომ ვერ შეძლებს იმ რეფორმების განხორციელებას, რასაც არჩევნებამდე დაჰპირდა მოსახლეობას. არადა, ამ შეთანხმებით, სინამდვილეში რუსეთი თავის თავზე იღებს სოციალურ ხარჯებს, რაც სტიმულს მისცემს აფხაზეთს განვითარებისთვის, იმიტომ რომ რეფორმების განხორციელება მტკივნეული პროცესია, მით უმეტეს, მტკივნეული იქნება ეს აფხაზეთში და, როდესაც შეეჯახება მათ არქაულ მენტალიტეტს, ეს გამოიწვევს უკმაყოფილებას. ამიტომ რუსეთი ამბობს, ჩვენს თავზე ავიღებთ სოციალურ ხარჯებს, რომ თქვენ თავისუფლად განახორციელოთ დაპირებული რეფორმები.

**– ვთქვათ გულწრფელად, 5 მილიარდი რუბლი არის 200 მილიონ ლარამდე, მგონი, ეს საკმაოდ ცოტაა იმის გათვალისწინებით, თუ რა ფუნქციას ასრულებს აფხაზეთი თქვენთვის: ეს არის თბილისის შანტაჟის საუკეთესო საშუალება, მისი შეფერხება „ნატოსა" და ევროკავშირისკენ, სამხრეთ კავკასიაში „ნატოს" შემოსვლისთვის ხელშეშლა და სტაბილურობის შენარჩუნება ჩრდილოეთ კავკასიაში.**

– ჯერ ერთი, საქმე ეხება მცირე რესპუბლიკას, რომლის მოსახლეობაც 200 000-ზე მეტი არ არის და მოსკოვის ერთი რაიონის ზომის თუ იქნება.

**– ზომით დიდი არ არის, მაგრამ ფასდაუდებელ საქმეს გიკეთებთ გეოსტრატეგიული თვალსაზრისით.**

– დიახ, აფხაზეთი უფრო მეტს იწონის, ვიდრე თავად ტერიტორიაა, მაგრამ ამ თანხის აწევა თავისუფლად შეუძლია რუსეთის ბიუჯეტს. მაგალითად, 2016-2017 წლებში მოსკოვში უნდა გაიხსნას ახალი მეტროსადგური და მის მშენებლობას სჭირდება 5 მილიარდი რუბლი და ეს არის ერთი სადგური. ახლა ვნახოთ, რას იღებს რუსეთი აფხაზეთისგან? ეკონომიკურად – არაფერს, ისევე, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, აბსურდია ლაპარაკი პორტებსა და საზღვაო მონაკვეთზე; თუმცა ფაქტია, რომ ამით ვიჭერთ საქართველოს და სამხრეთ კავკასიაშიც ვინარჩუნებთ სიწყნარეს. მაგრამ, ჯერ ერთი, იქ მცირერიცხოვანი მოსახლეობაა და, მეორე, ადამიანებმა უნდა იმუშაონ და არ უნდა ისხდნენ რუსეთის ბიუჯეტზე.

**– გეთანხმებით, მათ უცნაური დამოკიდებულება აქვთ დამოუკიდებლობისადმი: ეს პოსტებისა და სხვისი ფულის დანაწილება ჰგონიათ.**

# ეარ არაბია – ჩემი ბედნიერი გზამკვლევი!

العربية للطيران
airarabia.com
2 40 00 40

ჩემი საქმიანობა მაძლევს საშუალებას, ვაკეთო ის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და ვიმოგზაურო ყველაზე ეგზოტიკურ ქვეყნებში, თუმცა, ქვეყნები, სადაც ვყოფილვარ, საკმაოდ ძვირი სიამოვნება აღმოჩნდა, სიძვირე კი მხოლოდ მგზავრობის ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, 28 ოქტომბერს ავიაკომპანია Air Arabia-მ პირველი რეისი განახორციელა თბილისიდან არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, რომელსაც მე, მოგზაურობის მოყვარული ჟურნალისტი, არ გამოვაკლდი, მიუხედავად იმისა, რომ არაბულ საემიროებში არაერთხელ ვარ ნამყოფი. რადგან ტურის ფასი დაუჯერებლად დაბალი იყო, კიდევ ერთხელ გადავწყვიტე მოგზაურობა. დუბაიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით (მანქანით 10 წუთის სავალზე) ერთ ულამაზეს ქალაქში ჩავფრინდით, რომლის შესახებ მანამდე წარმოდგენაც არ მქონდა. შარჯა გაერთიანებული საემიროების რიგით მესამე უდიდესი რეგიონია უძველესი ისტორიითა და კულტურული ძეგლებით; მის სანაპიროებზე მოხვედრისას ომანისა და სპარსეთის ზღვის ყურეზე, ნამდვილ არაბულ სათავგადასავლო ზღაპარში აღმოჩნდებით. შარჯა კულტურულთან ერთად, გაერთიანებული საემიროების ისლამური ცენტრიცაა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი დუბაიდან სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ის გასხვავებული კულტურისა და ეგზოტიკის ქალაქია. გარდა ამისა, შარჯიდან ემირატების სხვა ქალაქებში მგზავრობა გაცილებით იაფი, იოლი და მოსახერხებელია, ვიდრე დუბაის ცენტრალური აეროპორტიდან და ეს კიდევ ერთი პლუსია ჩემსავით მოგზაურობის მოყვარულისა თუ საქმიანი ადამიანებისთვის. Air Arabia-ს „ჩემი ბედნიერი გზამკვლევი" იმიტომ ვუწოდე, რომ, დღემდე, ისეთ ეგზოტიკურ ქვეყნებში, როგორებიცაა: შრი-ლანკა, ტაილანდი, ინდოეთი, ზიმბაბვე და პაპუა-ახალი გვინეა, ყოველთვის დუბაის გავლით მიწევდა ბილეთის შეძენა, რაც საკმაოდ ძვირი მიჯდებოდა, თუმცა, დღეს, ახალი კომპანიის წყალობით, ფრენას ნახევარ ან უფრო ნაკლებ ფასად შევძლებ.

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში სწორედ შრი-ლანკაში ჩემი მოგზაურობის შესახებ ვყვებოდი სტატიაში – „შრი-ლანკის სიგირიის მთის შამანები." ქვეყანამ, ტაილანდის შემდეგ, განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე თავისი ულამაზესი ველური ბუნებით, ზღვის სანაპიროებით, ცხოველებით და, რაც მთავარია, ცხოვრების დაბალი ფასებით, რამაც დაუვიწყარი სიამოვნება და მოგონება დამიტოვა.



აქედან გამომდინარე, არ შემეძლო, გასული კვირის ჩემი უდიდესი შთაბეჭდილება თქვენთვის არ გამეზიარებინა, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომპანია GASA-ს – „ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსს," ასეთი სასიამოვნო სიახლისთვის, ვინაიდან, მისი წყალობით, დღეს მოგზაურობა სრულიად ხელმისაწვდომი გახდა ქართველი ტურისტებისთვის. ყველაზე ეგზოტიკური ქვეყნების ლიდერი გზამკვლევები ჩვენს ნაცვლად ზრუნავენ სათავგადასავლო მოგზაურობაზე და მინიმალური დანახარჯით მიღებულ მაქსიმალურ კომფორტზე.

„ეარ არაბია," ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის პირველი დაბალბიუჯეტიანი ავიაგადამზიდია. თბილისი „ეარ არაბიასთვის" დანიშნულების მე-100 წერტილს წარმოადგენს, რომლის პრეზენტაციაც ისეთივე ეგზოტიკური და სანახაობრივი აღმოჩნდა, როგორც მათი ტურები!

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამართულ პრეზენტაციას ავიაკომპანია Air Arabia-ს, TAV Georgia-სა და კომპანია Georgian Avia Service Agency-ს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„თბილისი მეტად მნიშვნელოვანი დანამატია „ეარ არაბიას" ქსელისთვის და, გვჯერა, რომ ეს მარშრუტი მეტად პოპულარული იქნება დამსვენებლებისა და ბიზნესმოგზაურთათვის," – განაცხადა ადელ ალიმ, ჯგუფის მთავარმა აღმასრულებელმა ხელმძღვანელმა „ეარ არაბიადან."

შეგახსენებთ, რომ GASA – „ეარ არაბიას" გენერალური სავაჭრო აგენტი გახლავთ საქართველოში.

კომპანია GASA – „ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსი" – 2010 წელს დაფუძნდა. GASA მაშინვე გახდა Pegasus Airlines-ის გენერალური სავაჭრო აგენტი საქართველოში. ავიახაზებმა 2010 წლის 10 ოქტომბრიდან დაიწყო ფრენა საქართველოდან და, უკვე სამი წელია, „პეგასუსის" ავიახაზები ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი გახდა და წამყვანი პოზიცია დაიკავა ავიაკომპანიებს შორის. ის ლიდერია, ასევე, ევროპის მიმართულებით მგზავრების გადაყვანის რაოდენობითაც.

2011 წლიდან GASA გერმანიის სარკინიგზო ოპერატორის Deutsche Bahn-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში, ხოლო 2012 წლიდან ის გახდა საქართველოში ისრაელის ავიახაზების – ARKAI-ს ოფიციალური სავაჭრო წარმომადგენელი.

*ბილეთების შეძენა/დაჯავშნა შესაძლებელია 24-საათიან ონლაინ რეჟიმში, მისამართზე: www.gasa.ge*

**ბესო მახარაშვილი**

---

– ჩემი აზრით, მათთვის იგივე შეთანხმება არა ახლა, არამედ აღიარებამდე რომ შეგვეთავაზებინა, 2006 ან 2005 წელს, ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იქნებოდნენ. მე მახსოვს, როგორ ჩამოდიოდნენ აფხაზები მოსკოვში 2008 წლამდე და გვეკითხებოდნენ, როგორ მოვახერხოთ რუსეთში შესვლაო და ჩვენ ვუხსნიდით, რომ ეს შეუძლებელი იყო. ახლა კი ინტეგრაციაზე ხელმოწერაც არ უნდათ. არადა, ფაქტობრივად, ეს იმავე ტიპის შეთანხმებაა, რასაც ჩვენ ვთავაზობთ ყაზახეთს, სომხეთსა თუ ბელორუსიას. იქ არაფერი შეურაცხმყოფელი არ არის.

**– მაინცდამაინც ამ მომენტში რატომ შესთავაზეთ აფხაზეთს ეს შეთანხმება, როდესაც სირთულეა უკრაინის მიმართულებით, დასავლეთთან... რუსეთი ხომ ისედაც ატარებს თავის ინტერესებს აფხაზეთში, რატომ გაამწვავეთ ვითარება აფხაზეთის ფლანგზეც?**

– დიპლომატიური ახსნა მარტივია: საქართველო მიდის „ნატოში" და ეს შეთანხმება საჭიროა იმისთვის, რომ თავი დავიცვათ ჩვენს სამხრეთის ფლანგზე. ეს პოლიტკორექტული ახსნაა, რომელიც პირდაპირ ამას არ ნიშნავს, რადგან საქართველო შორსაა „ნატოსთან" ინტეგრაციისგან, უკრაინის მოვლენების ფონზე კი, უფრო შორს, ვიდრე 1995 წელს იყო, როდესაც შევარდნაძე ამ თემას პირველად შეეხო. ისიც კი, თუ აშშ-მა მოგცათ სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი „ნატოს" წევრობის გარეშე, არ არის საფრთხე რუსეთისთვის. მეტიც, დავუშვათ, რომ თბილისი შევიდა „ნატოში", რა, აფხაზეთის არმია დაგვიცავს „ნატოსგან"?! ეს ხომ არასერიოზულია?! მაგრამ ამ წლის მოვლენებმა შეასრულა თავისი როლი:

> **საქართველო მიდის „ნატოში" და ეს შეთანხმება საჭიროა იმისთვის, რომ თავი დავიცვათ ჩვენს სამხრეთის ფლანგზე. ეს პოლიტკორექტული ახსნაა, რომელიც პირდაპირ ამას არ ნიშნავს**

ურთიერთობა გაცივდა დასავლეთთან, სანქციები ახდენს ჩვენზე გავლენას, ეკონომიკასაც უჭირს – დოლარი 46-ზეა უკვე, არადა არც ისე დიდი ხნის წინათ 28-ზე იყო; ამიტომ რუსეთი, როგორც კანცლერი გორჩაკოვი ამბობდა: „კონცენტრირდება" და ცდილობს, მოიზიდოს თავისი მეგობრები და მოკავშირეები და უნდა, რომ ისინი უფრო მჭიდროდ მიიბას. რეალურად, აფხაზები არიან ჩიხში: თუ მოაწერენ ხელს იმას, რასაც მათგან მოსკოვი ითხოვს, ჰგონიათ, რომ ამით თავიანთ სუვერენიტეტს დაემშვიდობებიან; თუ არ მოაწერენ ხელს, მოსკოვი გაუბრაზდება მათ, არადა, აფხაზებს სხვა არავინ ჰყავთ, რომ დახმარებისთვის მიმართონ. „პო ბოლშომუ სჩეტუ იხ პოდსტავილი"...

**– ამიტომაც არ იბრძოლა რუსეთმა მათი აღიარებისთვის, რომ წასასვლელი არ ჰქონოდათ.**

– მაგრამ მათ რომ ფართო აღიარება მოიპოვონ, ისეთ პირობებს წაუყენებს მათ დანარჩენი სამყარო, რაც მათთვის ხელსაყრელი არ იქნება, მათთვის ტრაგედია იქნება, თუ რომელიმე სერიოზული ქვეყანა აღიარებს.

**– ბუნებრივია, იმდენი ვალდებულების შესრულება მოუწევთ, მათ შორის, ქართველ დევნილებთან მიმართებაში. მე ყოველთვის ვეუბნები მათ ამას.**

– მაგრამ მათ ეს არ ესმით. ასეთ შემთხვევაში, თქვენ მიმართავთ ჰააგის ტრიბუნალს, მსოფლიო წაუყენებს მოთხოვნას სხვა ეროვნების დისკრიმინაციის გამო. არადა, ისინი ახლა ინკუბატორის პირობებში არიან, რუსეთის თავისი ფრთის ქვეშ ჰყავს და ჰგონიათ, რომ ასე იქნება მუდმივად, მაგრამ ასე ვერ იქნება მუდმივად.

**ნინო ხაჩიძე**

**ალბათ, იმიტომ რომ გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით, ვერც ტრადიციების თანამედროვეობისთვის მორგება მოვახერხეთ და ვერც სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოვყალიბდით, რომ კანონის უზენაესობას მაინც დავემორჩილოთ. სავარაუდოდ, ამ მიზეზით, ჩვენს ყოფაში კომიკური მომენტების ნაკლებობას არ ვუჩივით: პლასტიკურ ქირურგთან საქალწულე აპკის აღდგენით დაწყებული და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ქალიშვილობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემით დამთავრებული. თავის დროზე, დიდი ალბათობით, ქალიშვილობის ინსტიტუტს არა მხოლოდ მორალური, ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდა (თუ, რა თქმა უნდა, მამას გაუმართლებდა და პირველი ვაჟი ეყოლებოდა). თუმცა ეს ინსტიტუტი ჩვენთან 21-ე საუკუნეში შემორჩა (მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკური ანალიზი, ფაქტობრივად, ყველასთვისაა ხელმისაწვდომი, თუ მავანს ეჭვი რამეში შეეპარება). ჩემი მოკრძალებული აზრით, ამის მიზეზი შესაძლოა, ჩვენი თანამემამულე მამაკაცებისთვის დამახასიათებელი კონკურენციის შიში იყოს. მართლაც ეშინიათ თუ არა ქართველ მამაკაცებს კონკურენციის? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად შევეცდებით.**

# ანიჭებენ თუ არა ქართველი კაცები უპირატესობას საშუალო გარეგნობისა და გონებრივი მონაცემების ცოლებს და როგორ აღწევენ თავიანთ მიზნებს კაცი – ქალით, ქალი – კაცის თავის ჭკუაზე ტარების უნარით

**– შეიძლება, კონკურენციის შიშით ავხსნათ ქალიშვილობის ინსტიტუტის შემორჩენა?**

– საკითხთა ნაზავია, ალბათ, ეს თემა. რაც უნდა იძახონ ქართველებმა თუ არაქართველებმა, რომ კონკურენცია, ზოგადად, კარგია, არავინ იტყვის, რომ ის საყვარელია. თუმცა ფაქტია, რომ ბიჭობის პერიოდში მამაკაცებს აქვთ ჩხუბისკენ მიდრეკილება და ესაა სწორედ კონკურენციის გამოვლენა.

**– ჩხუბისკენ მიდრეკილება ლიდერობისთვის.**

– თუ ლიდერი არ გახდი, ისე არავინ მოგართმევს ლიდერობას. როდესაც ლიდერობა უნდათ ქართველ მამაკაცებს, ამ ფონზე შეიძლება, ვთქვათ, რომ კონკურენციის ეშინიათ?!

**– ამ ფონზე, ანუ ჩხუბში არ ეშინიათ, მაგრამ იმ ფონზე, ქალთან ურთიერთობისას?**

– მაგდაგვარი მოვლენა ქალთან ურთიერთობის ფონზე ჯერ კიდევ შექსპირმა აღწერა: ეჭვიანობა.

**– ეჭვიანობა სრულიად განსხვავებული მოვლენა არ არის? მრჩება შთაბეჭდილება, რომ იდეალური ცოლია საშუალო შესახედაობის, არაგამოკვეთილი პიროვნული თვისებებით და გამოუცდელი მამაკაცებთან ურთიერთობაში. ამ დროს თითქოს უფრო მშვიდად ხარ, რადგან ალბათობა იმისა, რომ კონკურენცია, ანუ ჩხუბი მოგიწიოს ამ ქალის შესანარჩუნებლად, მცირეა.**

– მე მაინც მეჩვენება, რომ არ არის მთლად ასე საქმე. იმიტომ რომ, მეორე მხრივ, ახალგაზრდებში ვხედავთ, რომ ერთი მეორეზე უკეთესი გარეგნობის გოგონები მოჰყავთ ცოლად ვაჟებს.

**– მაგრამ, როგორც წესი, უფრთხიან ჭკვიან ქალებს.**

– გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნებისმიერ კულტურაში გონიერება ქალთან არ ასოცირდება და არ იგულისხმება, რომ, თუ გონიერია, ის ქალის ფუნქციას შეასრულებს.

**– გონიერება უფრო გამორიცხავს ქალურობას, ვიდრე გულისხმობს?**

– ყოველი შემთხვევისთვის, ქალი თავისი არაჭკვიანობითაც მომხიბვლელია. სილამაზე არ ითხოვს არისტოტელეობას, მით უმეტეს, რომ ქალის ჭკუა სხვა რამეშია, ვიდრე არისტოტელეობაში.

**– როგორც კონსტანტინე ამბობდა, ქალმა იმდენი უნდა იცოდეს, სახლი არ დაწვასო?**

– არა, ქალი ძალიან ჭკვიანი არსება იყო ოდითგან. ყველაფერს დაარქმევ კლეოპატრას, გარდა უჭკუოსი. და ამ ჭკვიან ქალს კეისრის ჭკუა კი არ ჰქონდა, არამედ კლეოპატრასი, თუ როგორ ატაროს თავის ნებაზე კაცი. აი, ეს ხელოვნება კაცმა არ იცის. კაცს ძალა აქვს და მეტი არაფერი სჭირდება. მაგრამ იმის თქმა, რომ კაცს რამის შიშით არ მოჰყავს ლამაზი ქალი ცოლად, მაინც არ შეიძლება. მაშინ მოიყვანდა ცალფეხას, ცალთვალას...

**– მაგრამ, როგორც პაპინია ამბობს „არაჩვეულებრივ გამოფენაში“, არ არის სასიამოვნო, სახლში რომ მიხვალ და უშნო ქალი დაგხვდებაო.**

– ესე იგი, ისეთი ქალი მოჰყავს, რომელიც მის გემოვნებას აკმაყოფილებს.

**– ქალიშვილობის ინსტიტუტის შემორჩენას რას უკავშირებთ, თუ არა იმას, რომ ამ შემთხვევაში კაცი ხდება ერთადერთიც და განუმეორებელიც, როდესაც სხვა პირობებში უნდა გახდეს ერთადერთი და განუმეორებელი.**



**როდესაც მე და ჩემი ცოლი ვსხდებით ტახტზე, ჩემი ძაღლი ჯდება შუაში, იმიტომ რომ ეჭვიანობს. და თუ ძაღლს აქვს, ადამიანს რატომ არ შეიძლება, ჰქონდეს ემოციების თაიგული?!**

– ეს ეტაპი აქვთ ქართველ კაცებს, ოღონდ ქორწინებამდე. ცოლ-ქმრის ურთიერთობა ცოტა სხვა რამაა და ყველა კულტურაში განსხვავდება ცოლქმრის ურთიერთობა მანამდე არსებული ურთიერთობისგან. ცოლქმრობაში საკუთრებითი მომენტი შემოდის თუ ქმარმა საყვარელი გაიჩინა, ცოლსაც უჩნდება აგრესია თავისი ქმრის საყვარლის მიმართ. მაგალითად, ოჯახში შესულ რძალს დედამთილი უფრო მკაცრად ხვდება თუ ოჯახში შესულ სიძეს – სიმამრი?

**– ალბათ, დედამთილი.**

– ეს რად შევაფასოთ, კონკურენციად?!

**– დედამთილის ოიდიპოსის კომპლექსიდან გამომდინარე არაჯანსაღ ქმედებად.**

– მაგრამ ესეც ხომ კონკურენციაა?! რძალი არის კონკურენტი შვილთან ურთიერთობაში. როდესაც მე და ჩემი ცოლი ვსხდებით ტახტზე, ჩემი ძაღლი ჯდება შუაში, იმიტომ რომ ეჭვიანობს. და თუ ძაღლს აქვს, ადამიანს რატომ არ შეიძლება, ჰქონდეს ემოციების თაიგული?! კაცის ფიზიოლოგიაც სხვანაირადაა მოწყობილი, თუმცა ქალი რომ ყოფილიყო კაცის როლში, არც ქალები იქნებოდნენ უარზე. ასეთი დამოკიდებულება ორივე მხარისთვის ბუნებრივია, უბრალოდ გადაწყდა ქალიშვილობის ინსტიტუტის ჭრილში.

**– გამოდის, როდესაც ლაპარაკია ოჯახის შექმნაზე, სხვა ფაქტორებია გადამწყვეტი და არა შენი სექსუალობის შესაბამისი პარტნიორის პოვნა?**

– გაჭირდება ზოგადი რეცეპტის გამოძებნა, იმიტომ რომ ყველას სხვადასხვა ვინმე სჭირდება ცოლის მოყვანისას: ზოგს – მეგზური...

**– ზოგს – დედა, ზოგს – მოსამსახურე?**

– ეს უკვე ადამიანის ბიოგრაფიაზე, მის მიკროკულტურაზეა დამოკიდებული. უამრავი ფაქტორი ასრულებს აქ როლს და ზოგადი რეცეპტი არ არსებობს.

**– დასავლეთმა დაძლია ქალიშვილობის კომპლექსი, ჩვენთან რატომ ვერ იძლევა, მით უფრო, რომ გაუკუღმართდა, იმიტომ რომ მცირერიცხოვანი ერი ვართ, არასრულფასოვნების ბრალია თუ, პირიქით, ზედმეტი სრულფასოვნების?**

– დასავლეთმა დაძლია, თუმცა იქაც პრობლემებია. სოციალურად იქ და ჩვენთან ქალი ცოტა სხვადასხვა რამაა, თორემ დასავლეთში არ არტყამდნენ რკინის ქამარს ქმრები თავიანთ ცოლებს?! საბედნიეროდ, ჩვენთან ასეთი ოდიოზური ფორმები არ ყოფილა. ამაზე ამდენი ლითონი არ დაუხარჯავთ. მიუხედავად ქალიშვილობის ინსტიტუტისა, ჩვენთან საკმაოდ თავისუფალი ყოფაქცევის იყვნენ ქალები, განსაკუთრებით, მთაში.

**– მეც ის მაინტერესებს, რატომ შემორჩა ეს სტერეოტიპი? მრჩება შთაბეჭდილება, რომ წყვილი კი აგვარებს თავის ურთიერთობას ყოველგვარი ინსტიტუტების გარეშე, მაგრამ სხვებმა არ უნდა გაიგონ.**

– იმიტომ რომ ხარ კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენელი. საერთოდ, ადამიანი კოლექტიური ცხოველია, ზოგ კულტურაში ბევრად კოლექტიური, ზოგში – ნაკლებად. ჩვენ, როგორც სამხრეთულ კულტურას, პირდაპირ გვქვია კოლექტივისტური. ეს არც ცუდია და არც – კარგი, უბრალოდ ფაქტია და მხოლოდ მზის სხივების რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. როდესაც გაქვს პატრიარქალური ცხოვრების წესი, შემომტანი მხოლოდ კაცია, ქალი დამოუკიდებლად ვერ არსებობს...

**– მაგრამ ეს ხომ იცვლება?**

– იცვლება და ახლა ოჯახში ქალი უფრო დამოუკიდებელი და ძლიერი ფიგურა ხდება, ვიდრე მამაკაცი. როდესაც ეს შეიცვლება, შეიცვლება სხვა რამეებიც.

**– ცნობილია, რომ ჩვენთან სოციუმში ადგილის დაკავება, ფაქტობრივად, შეუძლებელია საკუთარი შესაძლებლობებითა**

# რა ქონებას ფლობს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე და რაში დახარჯა მან 2013 წელს ხელფასად აღებული 300 000 ლარი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე 1960 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება მან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მიიღო (1977-1983 წლებში). მისი სამუშაო გამოცდილება კი 1986 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიწყო კორესპონდენტობით, მოგვიანებით კი იქვე, კულტურის განყოფილების გამგეც გახდა. 1986 წელს გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში“ გადაინაცვლა, ჯერ – მთავარი რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ კი – მთავარ რედაქტორადაც. 1990-1991 წლებში ქართულენოვან და არასაბჭოურ პრესაში გადმოინაცვლა და გაზეთ „7 დღეს“ მთავარ რედაქტორობდა; 1992 წელს – „საქინფორმში“, სადაც დირექტორად 1995 წლამდე იმუშავა. თუმცა 1995-ში საქართველოს პრეზიდენტის პრესამსახურის უფროსი გახდა (სხვათა შორის, ბ-ნი აბაშიძე პირადად მე, ჩემი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, სწორედ მაშინ გავიცანი და სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის ზემოქმედების გაკვეთილიც მივიღე) და ამ პოსტზე 2000 წლამდე იმუშავა. 2000 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა (2004 წლამდე). 2005-დან 2014 წლამდე შპს „ოპტიმა მენეჯერის“ დირექტორი გახდა, ოღონდ ამის პარალელურად, რამდენიმე სამუშაო ადგილიც გამოიცვალა. სახელდობრ, 2005-2006 წლებში იყო მსოფლიო ბანკის პროექტ „Development of a rural telephone strategy and implementation of pilot plan in the Caucasus-ის კონსულტანტი; 2006-2010 წლებში – „გაერთიანებული ტელეკომის“ კონსულტანტი; 2012-2014 წლებში – „სილქნეტის“ სატენდერო კომისიის თავმჯდომარე და ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. 2014 წელს კვლავ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაუბრუნდა, კვლავაც კომისიის თავმჯდომარის რანგში. ის ამ პოსტზე, წესით, 6 წელს დაჰყოფს და 6 წელიწადში ბ-ნი აბაშიძის საოჯახო ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მინიმუმ, მილიონ-ნახევარი ლარით შეივსება.



ვახტანგ აბაშიძემ თავისი პირველი დეკლარაცია 2001 წელს შეავსო, როგორც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ. ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე ნატო ხომერიკი, ოთხი ვაჟი – ირაკლი, ანდრია, ლევანი და ზურაბი და სიდედრი – ნანული პირველი. იმხანად ოჯახის უძრავი ქონება შემდეგნაირი იყო: თბილისში არსებული 150 000 ლარად ღირებული ბინის 50 პროცენტს ფლობდა ვახტანგ აბაშიძე, ასევე, იმავე ფასის წყნეთის აგარაკის მეოთხედს. ნატო ხომერიკი კი იყო თბილისში მდებარე 70 000 ლარად ღირებული ბინის მესაკუთრე დედასთან ერთად. რაც შეეხება შემოსავლებს: ვახტანგ აბაშიძემ 2000 წლის განმავლობაში, როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, 87 350 ლარი მიიღო. 2001 წლის განმავლობაში – 109 220 ლარი (სამივლინებო ხარჯად – 25 000 ლარი). 2002 წლის განმავლობაში – 142 269 ლარი; 2003 წლის განმავლობაში – 151 101 ლარი (როგორც ვხედავთ, ამ პოსტმა 2000-2004 წლებში ბ-ნ აბაშიძეს ნახევარი მილიონი ლარი მოუტანა).

ის 2014 წელს კვლავაც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა და მის მიერ შევსებული ბოლო დეკლარაციაც 2014 წლით თარიღდება. ოჯახის ქონება ამ მომენტისთვის შემდეგნაირია: ვახტანგ აბაშიძე ფლობს წილის მეოთხედს არასაცხოვრებელი ფართისა, რომელიც ერეკლე მეორის ქუჩაზე მდებარეობს (ფართობი 52 კვ.მ.); მისი 100-პროცენტიანი საკუთრებაა ბინა აბაშიძის ქუჩაზე (ფართობი – 220 კვ.მ.); ასევე, მიწის ნაკვეთი (ფართობი – 1 920 კვ.მ.) და საცხოვრებელი სახლი დაბა წყნეთში (ფართობი – 150 კვ.მ.). „თი ბი სი ბანკში“ გახსნილ ანაბრებზე ვახტანგ აბაშიძე ინახავს, შესაბამისად, 1 000 ლარს, 3 000 აშშ დოლარს, 3 000 ევროს, 1 813 აშშ დოლარსა და იმდენივე ევროს, ხოლო „საქართველოს ბანკში“ გახსნილ ანაბარზე – 15 117 ლარს.

2013 წლის განმავლობაში, ვახტანგ აბაშიძემ, როგორც შპს „დეგაპრინტ პლუსის“ პარტნიორმა, 33 856 ლარი მიიღო, როგორც შპს „ოპტიმა მენეჯმენტის“ პარტნიორმა – 28 221 ლარი, ხოლო, როგორც „სილქნეტის“ სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ – 247 705 ლარი. შემოსავალი ჰქონდა ფართის გაქირავებიდანაც – 6 300 ლარი. 2013-ში ჰქონდათ გასავალიც: 2003 წელს ვახტანგ აბაშიძეს მკურნალობა 20 000 ლარი დაუჯდა, ნატო ხომერიკს – 20 845 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

**და უნარებით. გადამწყვეტი ფაქტორია „პატრონი“. თუმცა, თავის მხრივ, „პატრონიანობა“ ნიშნავს, რომ შენ თავად არაფერს წარმოადგენ, უბრალო მარიონეტი ხარ. ეს მომენტიც კონკურენციის შიშს ხომ არ უკავშირდება? მე არ ვარ კონკურენტუნარიანი, ამიტომ გარშემო უნდა შემოვიკრიბო „პატრონიანები“, რომელთა ფონზე სულ წარმატებული ვიქნები?**

– გულახდილად რომ გითხრათ, მგონია, შიშის თქმა უფრო გსიამოვნებთ.

**– კი, ბატონო, კონკურენციის საფრთხე დავარქვათ. უბრალოდ სხვა სიტყვა ვერ ვიპოვე აზრის ნათლად გამოსახატავად.**

– თურქეთის სულთანი სულეიმანი საკმაოდ სისხლიანი მმართველი იყო და საკუთარი შვილი მოკლა, თუმცა ფილმში ეს ტრაგიკული ამბავი შელამაზებულია. ის არავის ინდობდა და შვილიც არ დაინდო. როდესაც შეატყო, რომ ის შეიძლებოდა, მისი კონკურენტი გამხდარიყო. ანუ ფეოდალური პერიოდის იმპერიაც არ იყო დიდად აღფრთოვანებული კონკურენციით. იქაც ეშინოდათ, თან, იმდენად, რომ ხოცავდნენ.

**– იქ და მაშინ სულეიმანი უნიათო არ ყოფილა, აქ უნიათო გჯობნის, თუ „პატრონი“ ჰყავს, ამას ვგულისხმობ.**

– ერთი მაგალითი ასეთი პატრონის კარიერით გაკეთების, არის პოლიტიკის სფერო. სტალინი არაფერი იქნებოდა, ლენინის რომ არ ამოსდგებოდა ფრთის ქვეშ. ლენინის კაცი იყო სტალინი. პოლიტიკაში, საერთოდ, ყველა ვიღაცის კაცია. მაგალითად, სააკაშვილი შევარდნაძის კაცი იყო. მერე იწყებენ ხოლმე ისინი დამოუკიდებლობას, როდესაც რაღაც რესურსს დააგროვებენ. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთან არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, უბრალოდ შენთან რეალურ პროდუქტს არ აქვს ისეთი ფასი, როგორც უცხოეთში, იმიტომ რომ იქ აწყობილი სახელმწიფოა. შენ ჯერ იმ დონემდე არ მიგიღწევია. ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, ეს კაცი გიქმნის თუ არა რეალურ პროდუქტს და ამიტომ ფიქრობ, მაშინ ჩემიანი მაინც იყოს; ჩემი ერთგული მაინც იქნებაო. ანუ თავის ერთგულებს უვლიან. გაუგებარია ეს? არა, იმიტომ რომ ადამიანურია.

**ევროპას ეცალა, რომ დამსხდარიყვნენ და ეფიქრათ, ჩვენ დრო არ გვქონდა ფიქრის და გაანალიზების. ამიტომ მოვდივართ ინერციით, რაც მამა-პაპას უთქვამს იმის შესწორების დრო არ გვაქვს**

**– თუმცა შემდეგ სწორედ ის ერთგულები უგანებენ ხოლმე.**

– რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოხდეს.

**– რატომ?**

– ჯერ ერთი, იმიტომ რომ ადამიანს რაღაც დონემდე ასასვლელად მოსწონს, ქვემოთ რომ კიბეები აქვს, გარკვეულ სიმაღლეზე ასვლის შემდეგ კი აღარ უნდა, ვინმეს ეყრდნობოდეს. საკუთარი ბიოგრაფია ავიღოთ: სანამ პატარები ვართ, მშობლებისთვის ხელის ჩაკიდება გვსიამოვნებს და ნევროზი ემართება ბავშვს, თუ თავის დროზე მშობლისგან ეს სითბო საკმაო რაოდენობით არ აქვს მიღებული, მაგრამ, 15-16 წლის რომ ვხვდებით, ერთი სული გვაქვს, დამოუკიდებელი ვიყოთ, იმტომ რომ უკვე ვგრძნობთ ამ დამოუკიდებლობის უნარს. ყველა სხვა სფეროშიც იგივე ხდება. დამოუკიდებლობა მერე უნდებათ, თორემ, სანამ უსუსურად მიაჩნია თავი, ყველას, დედ-მამას, ბებია-ბაბუას, დეიდას, ბიძას, გამოიყენებს ხელჩასაჭიდად, ოღონდ დაიკავონ ზედაპირზე. ეს არ არის გასაკვირი. ამიტომ არ მინდა, ქართველებს მივაწეროთ ის, რაც ქართველების გამოგონება ნამდვილად არ არის.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 15 ნოემბერს დაანონსებული აქციის ოფიციალური მოტივი აფხაზეთის ანექსიის გაპროტესტებაა, თუმცა ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყოფილი მმართველები, როგორც პოლიტიკური ძალა, რუსთაველის გამზირზე ეულად შეიკრიბებიან (თუმცა ყველას ეპატიჟებიან, მათ შორის, ხელისუფლებიდან წასულ „თავისუფალ დემოკრატებსაც“). თუ აქციის მომწყობთა პათოსით ვიმსჯელებთ, არც არეულობის გამოწვევის მცდელობაა გამორიცხული. მეორე მხრივ, სავსებით ცხადია, რომ მთავარი გარე ძალა, ვისაც ხელს აძლევს არეულობა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელია; იმას გარდა, რომ ზემოხსენებული აქცია აფხაზეთის თემის დისკრედიტაციასაც წააგავს. აქციის მიზნებსა და მოსალოდნელ პოლიტიკურ შედეგებზე საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტ არჩილ გამზარდიასთან ერთად ვისაუბრებთ.**

# ასხამს თუ არა წყალს რუსეთის წისქვილზე „ნაციონალური მოძრაობის“ 15 ნოემბრის აქცია და რატომ ნიშნავს ოკუპაციის თემის დისკრედიტაციას

**– პოლიტიკოსის, პოლიტიკური ძალის მთავარი ფუნქციაა, მოახდინოს პრევენცია და მოსალოდნელი საფრთხით მინიმალური ზიანი მიაყენოს ქვეყანას. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ რუსეთია ყველაზე მეტად დაინტერესებული საქართველოში დაძაბულობის კერის შექმნით, შეიძლება, ვთქვათ, რომ სწორედ მის წისქვილზე ასხამს წყალს 15 ნოემბრის აქცია?**

– უპირველესად, ცხადია, სავსებით ლეგიტიმურია ლოგიკა, რომ ნებისმიერი შეცდომა, რაც შეიძლება დაუშვას ნებისმიერმა ჩვენგანმა, ხელისუფლებამ, ოპოზიციამ, არსამთავრობო სექტორმა, შესაძლოა, უნებურად ან მიზანმიმართულად ხელს უწყობდეს საქართველოს მტრების ინტერესებს. ამიტომ, ბუნებრივია, გონიერი ადამიანები ხშირად საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ნაცვლად აქცენტს აკეთებენ ქვეყნის ინტერესებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ჩვენ ვხედავთ, რომ ნაკლებობაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების და ჩვენთან პარტიული იმიჯმეიკინგი და პოლიტიკური სუბიექტების პირადი ინტერესები უფრო წინა პლანზეა. ამდენად, ნებსით თუ უნებლიეთ, ნებისმიერი ასეთი ქცევით ისინი ხელს უწყობენ რუსეთის ინტერესების განხორციელებას. ასე რომ, თუ დაუფიქრებლად გაიმართება აქცია თუ კონტრაქცია, ორივე აქციის ორგანიზატორები დესტაბილიზაციას შეუწყობენ ხელს და ამით, ბუნებრივია, რუსეთის ინტერესებს. ნებისმიერი უხერხულობა, რაც კი შეიძლება, შეიქმნას იმ დღეს ან იმ დღესთან მიმართებაში, არ მოემსახურება სახელმწიფო ინტერესებს.



ამ წუთის გადასახედიდან ნახევრად იუმორით ვიტყოდი, მე რომ პრემიერი ვყოფილიყავი, შეიძლება, მივსულიყავი 15 ნოემბრის აქციაზე

საერთოდ, ნებისმიერი იმიჯმეიკერი ცალსახად გეტყვით, რომ, როდესაც ტარდება ესა თუ ის აქცია, ვარკვევთ შესაფერის დღეს, გარემოს და ასე შემდეგ. ჩემთვის გაუგებარია აფხაზეთისა და შიდა ქართლის ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული აქციის სამიზნე ჯგუფი. მსოფლიოს აჩვენებენ, რომ ქართველები საკუთარი ტერიტორიების დაკარგვის წინააღმდეგები არიან?! ეს გაუგებარია, რადგან არავის სჭირდება იმის ჩვენება, რომ სახელმწიფო წინააღმდეგია თავისი ტერიტორიების დაკარგვის.

**– რაღაცნაირად ამ აქციამ ის აქცია გამახსენა, უშუალოდ ომის დროს, 2008 წლის აგვისტოში, ერთ ხაზზე რომ განვლაგდით ხელიხელჩაკიდებულები რუსეთის აგრესიის გასაპროტესტებლად.**

– განსხვავება ის არის, რომ ის იყო უცბად, კარსმომდგარი საფრთხის წინააღმდეგ მოწყობილი აქცია. თუმცა ისიც დასაფიქრებელია, რას მივაღწიეთ იმ აქციით.

**– იმის თქმა მინდა, რომ იმდენი ხალხის ქუჩაში, თან უსაფრთხო ადგილას გამოყვანას, თავის დროზე ერთი-ორი დივერსიული ჯგუფის მომზადება სჯობდა, რომლებიც როკის გვირაბიდან გამომავალ გზას დანაღმავდნენ.**

– ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი შიდა აქციები უნდა იყოს გააზრებული და მისი ადგილი შერჩეული. ეს არის რაღაც ამორფული იდეა იმის საჩვენებლად, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს, რაშიც განსაკუთრებული არაფერია, იმიტომ რომ მოქალაქეს უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა, მაგრამ, თუკი მაინცდამაინც აქცია იქნებოდა, ხომ გავაპროტესტეთ სოფლების მცოცავი ოკუპაცია...

**– მაგრამ ის აქცია გაიმართა იქ, სადაც ეს მცოცავი ოკუპაცია ხორციელდება.**

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ, საზაგადოებამ ეს გააპროტესტა ფსევდოსაზღვართან. ასევე, შეიძლებოდა, 15 ნოემბრის აქცია გამართულიყო ფსევდოსაზღვართან და სწორედ ამაში ჩანს, რომ ეს არის არა მაღალი იდეისა და სამშობლოს ინტერესის გამოხატულება, არამედ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის იმიჯმეიკინგით განხორციელებული აქცია. ეს არის ჩვეულებრივი პარტიული ინტერესით შემდგარი აქცია, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, აქციის საზომი არის საყოველთაო და ამიტომ ცდილობენ, იქნებ ის ადამიანებიც მოიყვანონ, რომელთათვისაც არა პარტია, არამედ იდეაა მთავარი; იქნებ ის ადამიანები „ააგდონ“, რომლებსაც ეტყვიან, თუ აქ არ გამოხვალ, შენ ხარ მტერი. ამით შეიძლება, აიძულონ საზოგადოების ნაწილი, რომ ამ აქციაზე გავიდნენ, ოღონდ, საერთო ჯამში, ამას წარმოადგენენ, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერას და ასეთ ფსევდოსაიმიჯო მახასიათებელს შესძენენ.

**– მგონია, რომ ამ აქციის სამიზნე ჯგუფი არა იმდენად ქვეყნის შიგნითაა, მხარდამჭერების სახით, არამედ ქვეყნის გარეთ, რომ აი, გვყავს მხარდამჭერები.**

– აუცილებლად გარეთაა მიმართული, თუმცა შიგნითაც. საერთოდ, ჩვენს საზოგადოებას პოლიტიკური ერთგულება ნაკლებად ახასიათებს. როგორც წესი, საზოგადოება იმ პარტიის მიმართ გამოხატავს მხარდაჭერას, რომელიც მყარია, რათა იქნებ იმ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის პირობებში მაინც მოახერხონ თავიანთი თავის რეალიზაცია და სოციალურად დაუცველ ქვეყანაში ეს სავსებით გასაგებია რიგითი მოქალაქეების მხრიდან. ამიტომ, ერთი მხრივ, შეიძლება, მათი მიზანია, შეიქმნან იმიჯი, რომ წარმოადგენენ ძლიერ, განვითარებად პარტიას, რომელიც შეიძლება, მოვიდეს ხელისუფლებაში და ამის გამო იქნებ საზოგადოების ერთგულება და სიმპათია ისევ მათ მხარეს გადავიდეს. მეორე მხრივ, ამ აქციის ძირითადი მიზანია, აჩვენონ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ჩვენ ვართ არა მხოლოდ ოპოზიცია, არამედ – საზოგადოებრივი მხარე. ნებისმიერი აქცია, რაც დღემდე ჩატარებულა საქართველოში, იყო ვიწრო პარტიული ინტერესების და პარტიული აქტივისტების მონაწილეობით, ახლა იქნება მცდელობა, ეს გასაღდეს არა, როგორც ვიწრო პარტიული, არამედ საზოგადოებრივი მხარდაჭერა პარტიის მიმართ. ამიტომაც სულ ვამბობ: ბუნებრივია, ნებისმიერი ადამიანის უფლებაა, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მიაჩნია საჭიროდ, მაგრამ საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ აქციაზე წასვლა, ნებსით თუ უნებლიეთ, ნიშნავს პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას და ეს იქნება უშუალოდ „ნაციონალების“ იმიჯმეიკინგში თანამონაწილეობა. თუკი რიგით ადამიანს აქვს ამის სურვილი, მისი უფლებაა, მაგრამ ეს უნდა გაცნობიერდეს.

**– მეორე მხრივ, არწასვლაც და თითქოს აფხაზეთის ანექსიის წინააღმდეგ მიმართული აქციის პროტესტიც ერთგვარი დისკრედიტაციაცაა ოკუპაციის თემის.**

– ეს კიდევ ცალკე საკითხია, იმიტომ რომ, თავისთავად, დისკრედიტაციაა ამ მარტივ პოლიტიკურ აქციაში გადაზარდო შე-

ჟურნალ „თბილისელების“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ვანო მახარაძეს მეუღლის,

**მაკა ჩეჩელაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია და იმ ადამიანების ტრაგედიაში, რაც ამ ოკუპაციას მოჰყვა და ეს გამოიყენო პოლიტიკური მიზნებისთვის. ამ აქციით „ნაციონალური მოძრაობა" ახდენს უშუალოდ ამ აქციის მიზეზის დისკრედიტაციას და არა – მის ხელშეწყობას. როგორც ჩანს, ისინი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის ყველაფერზე არიან წამსვლელები, თუნდაც, ჩვენი ტკივილით სპეკულაციაზე. თუმცა მათი მოქმედება თითქმის ყოველთვის ასეთი იყო.

მეორე მხრივ, თუკი ისინი მოახერხებენ, ამგვარად დასვან საკითხი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, მაშინ მათ ექნებათ საშუალება, რომ ნებისმიერი ქმედება, რაც განხორციელდება ამ აქციასთან მიმართებაში, გააიგივონ, ფართო გაგებით, პოლიტიკურ დევნაში. რადგან, მიუხედავად ევროსაბჭოს რეზოლუციაში გამოყენებული გარკვეული ტერმინებისა, საერთაშორისო საზოგადოება იქვე აღიარებს, რომ ისინი უბრალოდ ითხოვენ გამჭვირვალე პროცესს და მაინც ერიდებიან მკაცრ შეფასებებს, იმიტომ რომ ჩვენი საზოგადოება არ იზიარებს საერთაშორისო საზოგადოების რეზოლუციებსა და შეფასებებს. საქართველოს საზოგადოების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ ის, ვინც სასჯელს იხდის ან დაკავებულია, იმსახურებს ამას პროფესიული მოღვაწეობისას დაშვებული გადაცდომების გამო. ასეთ პირობებში „ნაციონალური მოძრაობა" შეეცდება, აჩვენოს, ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ ჩვენ ვართ მართლები, საზოგადოება გაყოფილია ორ ნაწილადო და ეცდებიან, აჩვენონ მაქსიმუმი საკუთარი პარტიის მხარდამჭერად და, ამ მხრივ, კიდევ უფრო შეუწყონ ხელი ამჟამინდელი ხელისუფლების დისკრედიტაციას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

**– არის კიდევ ერთი პრობლემა: იგეგმება კონტრაქციაც, ადამიანების გარკვეული ჯგუფი გეგმავს, გააპროტესტოს 15 ნოემბრის აქცია და მათ აქვთ თავიანთი არგუმენტები.**

– ასეთი კონტრაქცია აუცილებლად იქნება აღქმული, როგორც სახელისუფლო ან ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი აქცია, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს ამ აქციისთვის კიდევ უფრო საყოველთაობის ელფერის მიცემას. შესაძლოა, ადამიანებს ჰქონდეთ კონტრაქციის სურვილი, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ მათი მიზანია, დაანახვონ იმავე საერთაშორისო საზოგადოებას, რომ „ნაციონალების" აქციაზე ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილი მიდის და ძირითადი ნაწილი წინააღმდეგია, კონტრაქცია უნდა გაიმართოს განყენებულ ადგილას, რომ ამ ორ აქციას არ ჰქონდეს შეხება. ეს ცოტა პრიმიტიული ფორმაა, მაგრამ ეს ერთადერთი ფორმაა, აჩვენონ, რომ უფრო მეტნი ვართ, რომლებიც სხვანაირად ვაფასებთ წინა ხელისუფლების ქმედებას და ამჟამინდელი ოპოზიციის ახლანდელ სტატუსს. მაგრამ, როგორც კი, ეს აქციები გადაიკვეთება, რაკი ჩვენ იმპულსური ხალხი ვართ, სულ მუშტზე ვიყურებით, გვაქვს მოჭარბებული აგრესია, ბუნებრივია, პროცესები განწირულია მინიმალური დესტრუქციისთვის მაინც. დესტრუქცია გარდაუვალი იქნება და მე არ ვიცი, სამართლადამცველები რამდენად მოახერხებენ პროცესების მართვას. დღემდე არსებული გამოცდილებით, რამდენი დიდი აქციაც იყო, სამართალდამცველებმა ბოლომდე იდეალურად ვერ მართეს პროცესები.

**– თან, გამოცდილება აქვთ მხოლოდ აქციის დარბევის, მათ არ იციან, აქციის მონაწილეთა დაცვა.**

– დიახ, გამოცდილება აქვთ მხოლოდ მძიმე ფორმით დაშლის, შემდგომ დაპატიმრების. ანუ საპოლიციო გამოცდილება აქვთ, სხვა გამოცდილება არ არსებობს ჩვენთან და ეს, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაართულებს აქციების უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს.

**შევარდნაძე რომ ყოფილიყო პრეზიდენტი ან პრემიერი, ვფიქრობ, მივიდოდა. ჩვენ გვახსოვს, რომ მისულა კიდეც მსგავს აქციებზე. მარტო მიდიოდა ხოლმე და მთელ მსოფლიოს აგიჟებდა. დადგებოდა და მშვიდად იტანდა ნებისმიერ გამოხდომას**

**– როგორც სპეციალისტი, რას ურჩევდით ხელისუფლებას, პრევენციის მიზნით. როგორი კონტრტაქტიკა იქნება კოალიციისთვის ყველაზე მომგებიანი?**

– ყველაზე იდეალური კონტრტაქტიკა იქნება, თუ ხელისუფლება აქციას თანამშრომლურად მიუდგება, რათა მან აჩვენოს თავისი დემოკრატიულობა და, რა თქმა უნდა, ახსნა-განმარტებაც აუცილებელია საზოგადოებისთვის, რომ საზოგადოებამ ეს არ აღიქვას „ნაციონალურ მოძრაობასთან" თანამშრომლობად. ამ წუთის გადასახედიდან ნახევრად იუმორით ვიტყოდი, მე რომ პრემიერი ვყოფილიყავი, შეიძლება, მივსულიყავი იმ აქციაზე. მაგალითად, შევარდნაძე რომ ყოფილიყო პრეზიდენტი ან პრემიერი, ვფიქრობ, მივიდოდა. ჩვენ გვახსოვს, რომ მისულა კიდეც მსგავს აქციებზე. მე არ ვიცი, ჩვენი დღევანდელი პრემიერი რამდენად არის მზად მსგავსი ქმედებისთვის. მე რომ მკითხოთ, საჭიროა „თანამშრომლობა" ამ აქციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, ყველა ვხედავთ, რა ფარსიც თამაშდება. ეს გაანეიტრალებდა „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესს, რომ აჩვენოს საკუთარი პროდასავლურობა.

**– ჩვენ აქამდე ვხედავდით, როგორ ჩაგრავდა ერთი პოლიტიკური გუნდი მეორეს, სხვა მხრივ, არანაირი პოლიტდაპირისპირების ტექნოლოგიები არ გვინახავს. შეიძლება, რომ „თავისუფალმა დემოკრატებმა" ჩაჩოჩონ „ნაციონალები", როგორც ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიცია?**

– სავსებით შესაძლებელია, ცდილობდნენ, ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის სახით და ამაში არაფერი ნეგატიური არ არის. ბოლო ორი არჩევნები საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ჩატარდა, ამომრჩევლის ორი მესამედი არ მივიდა არჩევნებზე და, ბუნებრივია, ზოგიერთი ცდილობს, ისარგებლოს ამ მომენტით. თუ დამოუკიდებლად ითამაშებენ, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ჩვენ არც იმის გამოცდილება გვაქვს, როდესაც ყოფილი ხელისუფლება ოპოზიციაშია და უნდა ხელისუფლებაში დაბრუნება, ამიტამაცაა დაბნეული ოპოზიცია: თუ ხელისუფლებას დაუპირისპირდებიან, არადა ოპოზიციის საქმე ხელისუფლების კრიტიკაა, ყოფილი ხელისუფლების მხარეს გამოდიან და „ნაციონალური მოძრაობის" წისქვილზე დაასხამენ წყალს. თუ ბატონ ირაკლის ეს კარაგად აქვს გააზრებული და ცდილობს, სამომავლოდ ჩანაცვლოს „ნაციონალურ მოძრაობას", სხვა საქმეა, მაგრამ ეს ასე მარტივიც არ მგონია.

**ნინო ხაჩიძე**

## ვასო ცინაძის გახსენება



პიროვნებები ჩვენ გარშემო არც ისე ბევრია... ადამიანად კი ყველანი ვიბადებით, მაგრამ სახელს დამსახურება უნდა... სიყვარულს მხოლოდ სიკეთის თესვით თუ მოიპოვებ.

13 ნოემბერი შენი გარდაცვალების დღეა...

აი, უკვე ექვსი წელია, უშენოდ ვცხოვრობთ... ყველგან ისევ ვხედავთ შენს ღიმილიან, სიკეთით სავსე თვალებს... უკვე ვხვდებით, რომ ვერაფერი შეავსებს ამ სიცარიელეს, რომელიც შენი წასვლით დატოვე. ღირსეულად იცხოვრე, არასოდეს გიღალატია საკუთარი თავისთვის და კაცურკაცობის პრინციპებისთვის. ყველასთვის საამაყო, საყვარელი, მზრუნველი და მოამაგე იყავი, შენთვის კი არაფერს ითხოვდი.

დრო ძალიან სწრაფად გადის და ჭრილობებს თითქოს აშუშებს... მაგრამ მაინც მტკივნეულია შენი გახსენება და ცრემლიანი მონატრება... საშინელებაა შენზე წარსულ დროში ლაპარაკი... შეუძლებელია, ეს ტკივილი ოდესმე მოშუშდეს... რატომ არ გვასწავლე, როგორ გაგვეძლო უშენობისთვის?!

**მეგობრები**

**გული სწყდება, რომ ქარველებმა ჯერ კიდევ ვერ გავაცნობიერეთ, რა გვინდა და სად მივდივართ. ფიქრობს, რომ უფრო ხშირად საკუთარ თავს ვუქმნით პრობლემებს და, თუ ახლა მძიმე პერიოდი გვიდგას, ამაშიც თავად ვართ დამნაშავენი. მისი მენტალობის შეცვლასა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა იმან, რომ ორი წელი გერმანიაში ძალიან პატარას, მარტოს მოუწია ცხოვრება. მომავალ თაობას იმედის თვალით შესცქერის და ნატრობს, რომ მის საყვარელ სამშობლოში პროფესიონალიზმი დაფასდეს...**

# რისი დაფასება ვერ ვისწავლეთ ქართველებმა, კოტე თოლორდავას აზრით და რომელ ასაკში მოხდა მასში მენტალური გარდატეხა

**კოტე თოლორდავა**: მიყვარს ჩემი სამშობლო. შეიძლება, ვინმემ მითხრას, რა არის ამაში განსაკუთრებულიო, მაგრამ, მე განსაკუთრებულად მიყვარს. აქ მინდა ცხოვრებაც, ჩემი საქმის კეთებაც... აქ მინდა, იცხოვრონ ჩემმა შვილებმა და, მინდა, ეს ქვეყანა იყოს ბედნიერი. ცუდებიც ვართ და კარგებიც. შევამჩნიე, რომ უფრო ხშირად ცუდები საკუთარი თავის მიმართ ვართ. ბევრი ჩვენი პრობლემა მარტო მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე არ მგონია. ვამბობთ – გვინდა ევროპა, ევროპისკენ არის ჩვენი გზაო და, ევროპაში რას ვგულისხმობთ, ან, საერთოდ, რა არის ეს ევროპა, ამის ცოდნა გვაკლია. მერიდება ჩემს ხალხზე ამის თქმა, მაგრამ, უცოდინარები ვართ. ცოტა იმედით ვუყურებ მომავალ თაობას – იმათ, ახლა რომ თინეიჯერობის ასაკში არიან. ეს თაობა ჩემი ტკივილიც არის: ერთი მხრივ, თითქოს მეუცხოებიან და მიკვირს მათი თავისუფლების ხარისხი, სითამამე... მაგრამ, ეს ყველაფერი თან მომწონს კიდეც. მათ ასაკში მე ძალიან სხვანაირი ვიყავი. დიდი სიფრთხილე ჰმართებთ. რა თქმა უნდა, უპირველესად, საკუთარ თავს უნდა მიენდონ, მაგრამ, თან უნდა ახსოვდეთ, რა წარმომავლობის, რა გენეტიკის არიან – ქართველობა ხომ ემოციურ დონეზე, თითოეულ ჩვენთაგანშია კოდირებული.

**– თუმცა, არც ქართველობა გვესმის კარგად.**

– ეგეც არის. ქართველობას გვართმევენო და არ ვიცით, კონკრეტულად რას გვართმევენ, ან გვართმევენ კი საერთოდ რამეს?! ძალიან მომწონს განსვენებული ზურაბ ჟვანიას ნათქვამი: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი"... მაგრამ, ეს კურსი რომ გავიგოთ კარგად, ჯერ ფრაზის მნიშვნელობას უნდა ჩავწვდეთ. ბრიტანელებმა ხომ მოახერხეს, რომ იყვნენ ევროპელები და, პარალელურად, ინარჩუნებდნენ თავიანთ ტრადიციებს; იყვნენ იმ ძირზე და ფესვებზე მიბმული, საიდანაც მოდის მათი ინდივიდუალიზმი და ინგლისელობა. აზროვნებენ, ცხოვრობენ ევროპულად, არიან ძალიან ტრადიციულები და ჰყავთ დედოფალი. თუნდაც კონსტიტუციური, მაგრამ, მაინც მონარქია აქვთ. იმ ღირებულებებსაც უფრთხილდებიან და პატივს სცემენ, რაც მხოლოდ და მხოლოდ მათია; ანუ, ჯერ ის უნდა დავადგინოთ, რას უნდა გავუფრთხილდეთ განსაკუთრებულად. ჩემი გადმოსახედიდან, ეს არის ჩვენი კულტურა – სიმღერა, ცეკვა, მხატვრობა, კინო... – აი, რით შეიძლება მოვიწონოთ თავი ევროპაში. გვაქვს დიდი რესურსი და ნიჭი, რომ ეს ყველაფერი ჩვენ სერიოზულ სავიზიტო ბარათად იქცეს მთელ მსოფლიოში. რეალურად უნდა შევაფასოთ, რა არის ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი და ფასეული, რომ ღირსეულად წარვდგეთ ევროპელების წინაშე. შოთა რუსთაველი რომ გენიოსი იყო, ამაში ორი აზრი არ არის, მაგრამ, დღეს რა გვაქვს? ვისწავლოთ პროფესიონალიზმის დანახვა და დაფასება, ამაში ჩავდოთ ინვესტიცია. იმ აზრამდე მივედი და, შეიძლება, ამაში ასაკსაც მიუძღვის უკვე წვლილი, რომ ბრძოლის მოგება მუშტების ქნევის გარეშეც შეიძლება: ცოდნით, პროფესიონალიზმითა და ჭკვიანური ქმედებებით, ჩვენი საქმის სიყვარულით. ძალიან არ მომწონს ის, რომ ვიღაცეებს რაღაც საქმის კეთება „უტყდებათ" – თუ პროფესიონალი ხარ, ოფიციანტობაც პრესტიჟულია და სხვა ნებისმიერი პროფესიაც. საერთოდაც, სწორედ პროფესიონალები ხდიან პროფესიას პრესტიჟულს. რაშიც კარგი, ძლიერი და წარმატებული ხარ, ყველაფერი კარგია. მკერავებს ვეძახდით, დღეს კი დიზაინერები ჰქვიათ და ქართული მოდის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილიც შეაქვთ. მახსოვს, დედაჩემმა მომიყვა ერთი ამბავი. კომუნისტურ ეპოქაში დედა „ინტურისტებში" მუშაობდა და უცხოეთში, სხვადასხვა ქვეყანაში უწევდა ხოლმე ჩასვლა და ტურისტების ჩაყვანა. გერმანიაში იყვნენ, თბილისთან დამეგობრებულ ქალაქ ზაარბრიუკენში. ერთ-ერთ სასტუმროში გაჩერდნენ. საღამოს, ვახშამი რომ მიირთვეს, მათი ყურადღება მიიქცია პატარა ოფიციანტმა ბიჭმა, რომელიც მაგიდებს ალაგებდა და, რაც ხელუხლებელი იყო, თავისთვის, პატარა ჩანთაში ალაგებდა. საბჭოთა ტურისტებს შეეცოდათ თურმე, იქვე ცოტა ფული შეუგროვეს და მისცეს. მეორე დილით, სასტუმროს რომ ტოვებდნენ, დაინახეს, რომ ის ბიჭი ძვირფასი, ბოლო მოდელის ავტომობილით მოვიდა სამსახურში – თურმე, იმ სასტუმროს მეპატრონის ვაჟი ყოფილა, მაგრამ, ჩვეულებრივად, ოფიციანტად მუშაობდა – სწავლობდა შრომასა და პროფესიის დაფასებას. ამით ანგრევდა სტერეოტიპს, რომ არსებობს არაპრესტიჟული პროფესია.



**საყურიან კაცს რომ დავინახავდი, ფუ-მეთქი, ვამბობდი; მერე იმდენი საყურიანი კაცი ვნახე, რომ, მთლად „ფუც" არ ყოფილა-მეთქი, ვიფიქრე**

**ძალიან არ მომწონს ის, რომ ვიღაცეებს რაღაც საქმის კეთება „უტყდებათ" – თუ პროფესიონალი ხარ, ოფიციანტობაც პრესტიჟულია და სხვა ნებისმიერი პროფესიაც**

**– შენი სტერეოტიპი როდის დაინგრა?**

– *(იღიმება)* მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემმა ეს ამბავი მიამბო, ჩემი მშობლები მაინც მიბიძგებდნენ, აუცილებლად ჩამებარებინა ეკონომიკურზე და ამეღო დიპლომი. მეც ის თაობა ვარ, რომელმაც საბჭოთა კავშირიც ნახა და დღევანდელ საქართველოშიც ბევრი რამ არ მოსწონს. უამრავ კითხვაზე ახლაც არ მაქვს პასუხი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსად წასვლა არ მინდა. ჩემი ცხოვრება მინდა გავატარო, ჩემს ოჯახთან ერთად. მე იმისიც არ მჯერა, რომ ქართველი არის ზარმაცი – ეჭვი მეპარება ამაში. როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები? მთაშიც რამდენი შრომა უწევდათ და ბარშიც, თან, სულ იბრძოდნენ. როგორ შეიძლება, ისინი ზარმაცები ყოფილიყვნენ? აქედან გამომდინარე, მშრომელებიც ვართ, თავშეკავებულებიც და გონიერებიც, უბრალოდ, ბოლო დროს ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება არ გვაქვს კარგი. გვინდა, სახელმწიფო ჩვენზე ზრუნავდეს, მაგრამ, რატომღაც, გვავიწყდება, რომ ამ სახელმწიფოსთვის ჩვენც უნდა გავიღოთ და გავაკეთოთ რაღაც. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში ისეთი სისწრაფით იცვლებოდა ჩვენთან სიტუაცია, გადაწყობა-გადმოწყობაში დაიბნა ხალხი და ძალიან გაუჭირდა. მე ესეც მესმის. რთულია, რეჟიმების ნგრევის პერიოდში განვითარდე და იყო ძლიერი. უამრავი ფასეულობა გადაფასდა. ჩაკეტილ სივრცეში ვცხოვრობდით და ამან თავისი უარყოფითი გავლენა იქონია ერზე. ჩემს ცხოვრებაში უზარმაზარი როლი შეასრულა იმ ორმა წელმა, რომელიც უცხოეთში გავატარე. თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა გერმანიაში სასწავლებლად მარტო წავედი. უზარმაზარი გამოცდილება მივიღე და ბევრი რამ სხვანაირად დავინახე.

**– როგორ გაგიშვეს თოთხმეტი წლის მარტო, გერმანიაში?**

– სხვა გზა არ ჰქონდათ. რომ არ გავეშვი, აქ ან ვიღაც მომკლავდა, ან დამიჭერდნენ *(იცინის)* – ხულიგანი ბავშვი ვიყავი.

**– ანუ, ევროპაში გადაგხვეწეს?**

– ჰო. სწავლის მოტივით, მაგრამ, რეალურად, აქაურობას გამარიდეს. იქ ნანახმა და მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა ჩემში. საყურიანი კაცი რომ დამენახა, ფუ-მეთქი, ვამბობდი. იქ საყურიანი კაცების მეტი რა ვნახე. „ფუ, ფუ" ვიძახე და, მერე მივხვდი, რომ არასწორად ვახასიათებდი და აღვიქვამდი ადამიანებს. გავიცანი რამდენიმე მათგანი, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე და, მთლად „ფუც" არ ყოფილა-მეთქი, ვიფიქრე...

**– ესე იგი, თოთხმეტი წლის ასაკში მოხდა შენში სტერეოტიპების ნგრევა და ფასეულობების გადაფასება.**

– ფასეულობების გადაფასება ყოველთვის მოხდება და უნდა მოხდეს კიდეც – სხვანაირად არ შეიძლება, ვერ განვითარდები და ვერ გაიზრდები. თუმცა, არსებობს უცვლელი ფასეულობებიც: ენა, მამული, სარწმუნოება – ერთმნიშვნელოვნად ღირებული და, მინდა, რომ ეს ჩემი შვილებისთვისაც ასე დარჩეს!

**ნინო წულუკიძე**

# „ფონდი ნატახტარი" Marketing Brilliance Awards 2014-ზე წლის საუკეთესო სოციალურ პროექტად დასახელდა

25 ოქტომბერს თბილისმა ყველაზე მასშტაბურ ბიზნესდაჯილდოება Marketing Brilliance Awards 2014-ს უმასპინძლდა. რომლის მიზანი ყველაზე ინოვაციური პროექტების გამოვლენა და საუკეთესოს აღიარებაა. ღონისძიების ორგანიზატორი ბრიტანული კომპანია BOC – Global Events Group გახლდათ.




ბიზნესდაჯილდოება Marketing Brilliance Awards 2014-ზე ნომინაციაში „წლის საუკეთესო საციალური პროექტი" – „ფონდი ნატახტარი" დასახელდა.

მნიშვნელოვანი და ორმაგად სასიხარულოა, ის ფაქტი, რომ ღონისძიების ორგანიზატორებმა სხვა სოციალურ პროექტებს შორის, „ფონდი ნატახტარი" თავად წარადგინეს, ხოლო ჟიურიმ და ექსპერტებმა ფონდის საქმიანობისა და შედეგების კვლევის საფუძველზე – ის საუკეთესოდ აღიარეს.

Rusiness Brilliance Award ცერემონია და ბიზნესგანვითარების ფორუმი თბილისში უკვე მეორედ ჩატარდა. ფორუმი საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე ლიდერებისთვის, მარკეტინგისა და კომუნიკაციების ექსპერტებისთვისაა განკუთვნილი.

„საამაყოა, როდესაც კომპეტენტური ჟიური ბევრ საინტერესო სოციალურ პროექტს შორის შენსას გამოარჩევს. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პროექტები წელს პირველად იქნა განხილული და წლის საუკეთესო საციალური პროექტიც პირველად დასახელდა. ამასთან, „ფონდი ნატახტარი" თავად ორგანიზატორებმა, სხვა სოციალურ პროექტებს შორის წარადგინეს, ისე, რომ ამის შესახებ კომპანიაში არაფერი ვიცოდით. საერთაშორისო ჟიურიმ, ფონდის საქმიანობასა და შედეგების კვლევაზე დაყრდნობით, გამარჯვებულად დაგვასახელა. დიდი მადლობა ასეთი აღიარებისთვის. ეს ჯილდო დამატებითი მოტივაციაა, არა მხოლოდ კომპანია „ნატახტარისთვის", არამედ ფსიქოლოგების, აღმზრდელების, სოციალური მუშაკებისა და ყველა სხვა ადამიანისთვის, ვინც ჩართულია ამ პროექტის აღსრულებაში. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც პროექტის განხორციელებაში შეიტანა წვლილი და განსაკუთრებით მათ, ვინც გამოარჩია „ფონდი ნატახტარი," – აღნიშნა კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა.

„ნატახტარს" სრულიად დამსახურებული წარმატება მიულოცა BOC – Global Events Group-ის მარკეტინგის დირექტორმა მაკა ყუფარაძემ, ასევე ბიზნესისა და მარკეტინგის სფეროში მოღვაწე ცნობილმა სახეებმა.

„ფონდი ნატახტარი" 2011 წლიდან ეხმარება მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში. თანხა ნოემბრიდან თებერვლამდე გროვდება. 3 წლის განმავლობაში 420 ათას ლარზე მეტი შეგროვდა. ამჟამად, ფონდის ფარგლებში 159 ბენეფიციარი შემდეგი მომსახურებებით სარგებლობს: ფსიქოლოგიური კონსულტაცია, პროფესიისთვის საჭირო იარაღების, მასალების შეძენა, სტიპენდია (ბინის ქირა, კვება, გზა). თითოეული ბენეფიციარისთვის თანხა მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად გამოიყოფა.



პროექტი, საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით, ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს" მიერ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ თანხების გამჭვირვალობა დადასტურებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანია Pricewater House Cooper-ის მიერ.

**ეკა სალაღაია**

**გასულ პარასკევს შოუში „ბრავო“ კიდევ ერთი სუპერფინალისტი გამოვლინდა – „ჯეოსტარის“ გამარჯვებული მარიტა როხვაძე, თავის ლობისტთან, ვანიკო თარხნიშვილთან ერთად.**

# რატომ ვერ მოასწრო მარიტა როხვაძემ ვანიკო თარხნიშვილის „მისაკუთრება“ და რატომ წერდნენ სოციალურ ქსელებში „ბრავოს“ შემდეგ მის ტრუსზე

**მარიტა როხვაძე:** როგორც კი საშუალება მეძლევა, ყველაგან მადლობას ვუხდი ჩემს გულშემატკივარს, მათ, ვინც ჩემთვის ერთი ზარი მაინც გაიმეტა. როცა ხალხის გვერდში დგომას ვგრძნობ, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

**– შენი კაბა სოციალურ ქსელებში კრიტიკის თემა გახდა. გიორგი ბერიძის შეყვარებულმაც არცთუ სასიამოვნო სტატუსი დაწერა ამის შესახებ.**

– როგორც ვიდეორგოლებში ალვნიშნეთ, მე და გიორგი ერთმანეთისთვის საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ვიყავით. მის შეყვარებულს არ ვიცნობ. არ გავბრაზებულვარ, უბრალოდ, ძალიან დამწყდა გული. ასეთ რამეს არ ველოდი, თან, გიორგის შეყვარებულისგან. ყველამ კარგად იცის, რომ მე და გიორგი კარგი მეგობრები ვართ, ძალიან მიყვარს ეს ადამიანი და დიდ პატივს ვცემ. ყველაზე მეტად კი იმაზე დამწყდა გული, რომ წერდა: „ფეხები გაშალე საქართველო...“ და ასე შემდეგ, თან, ამ სიტყვების ავტორი გიორგის შეყვარებული რომ იყო... რაც შეეხება კაბას, მე ძალიან მომწონდა. „ჯეოსტარის“ შემდეგ მივალწიე იმას, რაც ძალიან მინდოდა; თან ამდენი ვიშრომე, ვინვალე, რომ ასეთი შედეგისთვის მიმეღწია. ახლა კი გამოვდივარ და ამბობენ: ეს რა კაბა ეცვაო. პირველი არ ვარ, ვინც ასე ჩაცმული გამოვიდა. არაესთეტიკური ნამდვილად არ ყოფილა, სიმღერას უხდებოდა. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იყო და, რაც მთავარია, ბევრი კომპლიმენტი მივიღე არა მხოლოდ მეგობრებისგან, არამედ, უცხოებისგანაც და, მათ შორის, უცხოეთიდანაც, მაგრამ, ჩემი ჩაცმულობა მაინც სალაპარაკო გახდა.



**უკვე მომცეს ბინა – ეს არის ბათუმში, „ორბი თაუერის“ ბინა და არა სასტუმროს ნომერი. ჩემს სახელზეა, ჩემი საკუთრებაა, ძალიან მიხარია**

**– და, კიდევ, ტრუსის ფერი.**

– ნამდვილად არ მეცვა ტანგა, ჩვეულებრივი, ლამაზი ტრუსი იყო, რომელიც საგულდაგულოდ შევარჩიე – მინდოდა, ლამაზი და მოხდენილი ყოფილიყო. ამ ჩაცმულობამ ხალხს მოასმენინა ძალიან გემოვნებიანი, კარგი მუსიკა. ამ სიმღერის ასეთი ვერსია არასდროს არავის უმღერია, ძალიან კარგი გამოვიდა. ამ ვიდეოს მეორე დღესვე 16 ათასი ნახვა ჰქონდა. მეორე სიმღერაზეც არანაკლებად თამამად მეცვა: მოკლე წითელი კაბა. დამიჯერეთ, იქ უფრო ჩანდა ის, რაც გამოსაჩენი იყო, მაგრამ, მას მხოლოდ 1 000-მდე ნახვა ჰქონდა. ჩემთვის მთავარია, რომ ეს სიმღერა, თან, ასეთი კარგი ვერსია მოისმინა ხალხმა.

**– ალბათ, მოგწონს შენი ახალი იმიჯი.**

– როცა სცენაზე დგახარ, ყველანაირი როლი უნდა მოირგო. ვერ იტყვი – უი, ეს არ შეიძლებაო. თუ ხარ მუსიკოსი, ხელოვანი ადამიანი, შეიძლია, შენი ნიჭი გამოავლინო, ასეც უნდა მოიქცე. იმ კაბასაც მოხდენა უნდოდა, მოძრაობა. გაუნძრევლად რომ ვმდგარიყავი, ახლა ეს არ მოეწონებოდათ და იტყოდნენ: ეს გოგო გამოვიდა, კი, ლამაზია, მაგრამ, რამე მაინც გაეკეთებინაო. ახლა წერენ – გამაღიზიანებელი იყოო. მოკლედ, ვერ მივხვდი, რა უნდათ. მაშინ მსუქანი ვიყავი და – ამას სცენაზე რა უნდაო, „ფიონასაც“ კი მადარებდნენ, სცენიდან ჩამოხსენითო; ახლა გავხდი და – უიმე დედაო... რა უნდათ, ველარ გავიგე.

**– კაბის დიზაინი ვის ეკუთვნოდა?**

– კაბა ჩემი იყო. ყველა შოკში ჩავარდა, რომ ნახეს. ზუსტად არ იცოდნენ, რას ვიცვამდი. თუმცა, თავიდანვე ვთქვი – მე მაქვს ერთი ლამაზი კაბა, რომელიც მინდა ამ სიმღერაზე ჩავიცვა-მეთქი. მეორე კაბა დიზაინერს ეკუთვნოდა. „ბრავო“ არ არის „ჯეოსტარი“, რომ დადგე და მხოლოდ იმღერო. „ბრავოში“ აუცილებელია პერფორმანსი, შოუ უნდა დადგა. „ჯეოსტარში“ ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, ჩემი სათქმელი ვთქვი; ახლა კი მინდა, „ბრავოში“ მნახონ, როგორ გავიზარდე, როგორ შევიცვალე. ის სიმღერა, რომელზეც ერთი ამბავი ატყდა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი ძალიან კარგი საჩვენებელი გამოსვლა იყო. ძალიან კარგი ვიდეო მაქვს, რომლის დახმარებითაც ამერიკასა თუ ევროპაში კარგად წარვადგენ თავს.

**– ასეთი ჭორიც გავრცელდა, რომ ფულიანი ბიძები გაფინანსებენ. მართლა გყავს ასეთი ბიძები?**

– „ჯეოსტარის“ დროსაც წერდნენ, რომ ვილაცეები მაფინანსებდნენ. მე კი არა, სხვაც რომ გადადიოდა შემდეგ ტურზე, ან, ახლა ვინც გადავა „ბრავოს“ შემდეგ ტურში, იმათზეც რაღაცეებს ილაპარაკებენ. ნამდვილად არ მყავს ფულიანი ბიძები, უბრალოდ, გულიანი გულშემატკივრები მყავს. არც ფულიანი შეყვარებული მყავს.

**– ისე, სამი წელი გავიდა, რაც „ჯეოსტარი“ მოიგე და მას შემდეგ არაერთ სკანდალში გაეხვიე.**

– ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ჩემს პირად ცხოვრებაზე აღარ ვილაპარაკო. მინდა, ხალხმა ჩემს კარიერაზე ისაუბროს და არა პირად ცხოვრებაზე. სერიოზული სკანდალები არ ყოფილა, თუმცა, ხმაური მოჰყოლია. 5 დეკემბერსაც, ფინალში, შეიძლება მარიტა იყოს უფრო გახდილი, ან, ძალიან კდემამოსილი – არ ვიცი.

**– „ბრავოს“ გარდა კიდევ რით ხარ დაკავებული?**

– ჩემი ბენდი მყავს, კლუბ „ნაინში“ ვმღერით, ასევე, კორპორაციულ საღამოებზე, სადაც კარგი მუსიკის მოსმენა უნდათ. ძალიან მიყვარს ჩემი ბიჭები, მაგრები არიან და ვუკრავთ იმ მუსიკას, რომელიც გვიყვარს.

**– რატომ გადაწყვიტე „ბრავოში“ მონაწილეობა?**

– „ბრავო“ არის პროექტი, რომელიც მიმართულია კარგი, გემოვნებიანი მუსიკისკენ. რა თქმა უნდა, „ჯეოსტარი“ ყველაზე მასშტაბური პროექტი იყო, ამაზე მაგარი არაფერი გაკეთებულა საქართველოში და ძალიან კარგი ბავშვები აღმოაჩინეს ამ პროექტით. მადლობა „რუსთავი 2-ს“ იმისთვის, რომ მომეცა საშუალება, ამ პროექტში მიმეღო მონაწილეობა. „ჯეოსტარის“ მოგების შემდეგ ვერ ვხედავდი ისეთ პროექტს, სადაც შეიძლებოდა, მონაწილეობა მიმეღო. სხვა პროექტებში რომ მიმეღო მონაწილეობა, არ ვიქნებოდი საკუთარ თავთან მართალი, რადგან, უკვე შემდგარი მომღერალი ვიყავი, ამხელა პროექტი მოვიგე და სხვებისთვისაც უნდა მიმეცა ასპარეზზე გამოსვლის საშუალება. როდესაც პირველად ვნახე „ბრავო“, მაშინვე გადავწყვიტე მონაწილეობა. ახლაც გაბრწყინებული თვალებით მივედი.

**– ძალიან ძლიერი ლობისტი გყავდა.**

– მანამდე ვუთხარი: ღმერთს ვთხოვ, ჩემი ლობისტი გახდე-მეთქი. მასაც ძალიან უნდოდა, ჩემი ლობისტი ყოფილიყო. სცენაზე რომ ვიდექი, იქაც ვანიშნე: მინდა, ჩემი ლობისტი იყო-მეთქი და, რომ ამოვილე მისი სახელი და გვარი, შოკში ვიყავი, ძალიან გამიხარდა. ვანიკოზე ვგიჟდები და, რაც მთავარია, ის ქართველი ხალხის ერთ-ერთი საყვარელი შოუმენია. უამრავი რამ გააკეთა ჩემთვის: ნომრები, ხალხში დადიოდა და პიარს მიკეთებდა, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი. 5 დეკემბერს კი ისეთ მაგარ რამეს გავაკეთებთ, ეს იქნება ბომბი, ფოიერვერკი. სხვათა შორის, არც ვიცოდი, რას შეასრულებდა, ერთგვარი სიურპრიზი იყო. რეპეტიციებს კი დავესწარი, მაგრამ, მაშინ სხვანაირი იყო. ბევრმა ისიც თქვა, ვანიკომ მოიგოო. რა თქმა უნდა, ძლიერი ლობისტი უნდა გყავდეს, მაგრამ, შენ ხარ ვოკალისტი და შენზეა ყველაფერი დამოკიდებული.

**– პირად ცხოვრებაში სიმშვიდეა?**

– სიმშვიდეა, შეყვარებული არ ვარ და ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა, მხოლოდ კარიერაზე ვფიქრობ.

**– მოთხოვნებიც შეგეცვალა საპირისპირო სქესის მიმართ?**

– რა თქმა უნდა. რომ გავიზარდე, იმიტომაც დავშორდი შეყვარებულს. ყველაფერს დაფიქრება სჭირდება, უცბად, იმპულსურად არაფერი უნდა გადაწყვიტოს ადამიანმა, მით უმეტეს – ქალმა, თან, თუ საქმე მეორე ნახევარს ეხება. ალბათ, გამიჭირდება ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც მთლიანად ჩემ გვერდით იქნება. მე ხომ ეგოისტი ვარ, მესაკუთრე და, მინდა, რომ სულ ჩემი იყოს.

**– იმ ერთ კვირაში ვანიკოც ხომ არ მიისაკუთრე?**

– ვერ მოვასწარი მისაკუთრება, რადგან, ხშირად არ ვხვდებოდით ერთმანეთს. ნომრის დროს ერთად ვისხდით და, აი, მაშინ ვუხდიდით ერთმანეთს მადლობას. ვანიკოს ძალიან მოეწონა. ფინალში ვეცდები, რომ ჩემი ნომერი საუკეთესო იყოს და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

**– მოგცეს „ჯეოსტარში“ მოგებული ბინა?**

– ბინა უკვე მომცეს – ეს არის ბათუმში, „ორბი თაუერის“ ბინა და არა სასტუმროს ნომერი. ჩემს სახელზეა, ჩემი საკუთრებაა და ძალიან მიხარია. ისეთი ხედებია... თან 22-ე სართულზეა და, იქ რომ ხარ, გინდა, რომ სულ ღრმად ისუნთქო. ჯერ არ მაქვს ფული, რომ მოვაწყო; მინდა, დავაგროვო და გავაკეთო.

**ნათია უტიაშვილი**




**მერცის სპეციალური დრაჟე - ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალური კომბინაცია გლუვი კანის, მბრწყინავი თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად**

მერცის სპეციალური დრაჟე შექმნილია გლუვი კანის, მბზინვარე თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად. იგი წარმოადგენს ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალურ კომბინაციას, რომელიც შეიცავს თითოეულ კომპონენტს ისეთი დოზით, რაც აუცილებელია ჯანმრთელი კანის, ფრჩხილების და თმის ზრდისთვის, ორგანიზმის ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესებისთვის.

მზის ულტრაიისფერი გამოსხივება, მარილიანი ზღვის წყალი ან ქლორიანი წყალი აზიანებს კანს, თმას და ფრჩხილებს. კანი ხდება მშრალი, ნაკლებად ელასტიური, დანაოჭებული, თმა - მტვრევადი, დაზიანებული, აღინიშნება ინტენსიური თმისცვენა, ფრჩხილები - მყიფე, მტვრევადი, ნელა იზრდება.

მერცის სპეციალური დრაჟე აღადგენს კანის, თმის და ფრჩხილის უჯრედებს, უზრუნველყოფს მათ სიმტკიცეს და იცავს დაზიანებისგან, უნარჩუნებს კანს სინოტივეს, ელასტიურობას და სიგლუვეს, ხელს უწყობს თმის და ფრჩხილების ზრდას, ამცირებს თმის ცვენას.

**კიკ-ბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონი დავით ქირია, ჰოლანდიაში მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. ოჯახი საქართველოში ერთ წლის წინ შექმნა. ჰოლანდიელი მარისა ჯერ საქართველოში დაპატიჟა, შემდეგ ოჯახის წევრებს გააცნო, ცოლად შეირთო და ბოლოს მართლმადიდებლურადაც მონათლა. დავითი 26 წლისაა და აქტიურ სპორტში დარჩენას მინიმუმ 5 წელი აპირებს. მსოფლიოს ჩემპიონობა მარტივი გზით არ მოუპოვებია – იყო ბევრი სირთულე და სტრესი. ხშირად, შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი ფინანსების არქონას მოტეხილობები ემატებოდა, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. როგორც თავად ამბობს, უნდა, რომ ყველა ბრძოლა მოიგოს და ისტორიას ერთ-ერთ ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენად დაამახსოვრდეს.**

# რა თანხას აძლევდნენ შეჯიბრებებზე დავით ქირიას და ვისი სურვილით მიიღო მართლმადიდებლობა მსოფლიოს ჩემპიონის მეუღლემ

**დავით ქირია**: ჩემი მშობლიური ქალაქი ზუგდიდია. სოფელ ინგირის პირველი საჯარო სკოლა დავამთავრე. მხოლოდ საშუალო განათლება მაქვს მიღებული. ჩვეულებრივ, ღარიბ ოჯახში გავიზარდე, როგორც, ალბათ, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი. ბავშვობიდანვე სპორტით ვიყავი დაკავებული. სწორედ სპორტი ხდიდა ჩემს ბავშვობას მრავალფეროვანს.

**– რამდენი ხანია, კიკ-ბოქსინგში ვარჯიშობ? საკუთარი სურვილით დაიწყე ვარჯიში?**

– ჩემი გადაწყვეტილება იყო, რომ კიკ-ბოქსინგში მევარჯიშა. მანამდე ფეხბურთს ვთამაშობდი ორი-სამი წელი, მაგრამ, გუნდურ თამაშს ვერ გავუგე. ამიტომ, გადავწყვიტე, ინდივიდუალურ სპორტზე შევსულიყავი – ეს უფრო მომწონდა და შემეფერებოდა. ბავშვობიდან მიყვარდა ვაჟკაცური, საშიში ორთაბრძოლები ***(იცინის).*** 9 წლის ასაკში დავიწყე ვარჯიში და მას შემდეგ მთელი ცხოვრება კიკ-ბოქსინგს მივუძღვენი.

**– მსოფლიოს ჩემპიონობამდე რა იყო, ანუ, დღემდე როგორ მოხვედი?**

– ჩემი ქვეყნიდან დაიწყო წარმატება. საქართველოში დაახლოებით 250 ბრძოლა მაქვს ჩატარებული. 2005 წელს პროფესიონალებში ვასპარეზობდი და ბევრი წარმატება მქონდა. 2007 წელს საერთაშორისო ტურნირებზე გამოვედი და არაერთი გამარჯვება მოვიპოვე. პირველად უცხოეთში, ჰოლანდიაში მქონდა შეხვედრა, რომელიც მოვიგე. ამ თამაშის შემდეგ, ჰოლანდიაში ყველაზე ცნობილ კლუბში – „გოლდენ გლორიში" ამიყვანეს ლეგენდარულ სპორტსმენთან, სემი სშხილტთან. ასე დაიწყო ჩემი დიდი სპორტული კარიერა. ამის გამო დღემდე ჰოლანდიაში ვიმყოფები: წელიწადში 6-7 თვე აქ ვარ, დანარჩენ დროს კი საქართველოში ვატარებ. 2007 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, სულ ბრძოლები მქონდა: ევროპის ჩემპიონატებზე, სხვადასხვა ქვეყნის პრესტიჟულ კომერციულ ტურნირებზე. სწრაფი და დატვირთული რეჟიმით მივიწევდი წინ. სათქმელად მარტივია, მაგრამ, ბევრი სირთულის გადალახვა მომიწია – მარტო ოთხჯერ სხვადასხვა სახის მოტეხილობა მქონდა. 2012 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი ორგანიზაციიდან „გლორი ვორლდ სერისიდან" (Glory World Series) მივიღე მოწვევა – ერთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, რაზეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ეს იყო ჩემი ოცნება, რომელიც ამიხდა. დღეს „გლორის" ტიტულის მფლობელი ვარ – 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველ ადგილი დავიკავე.

**– მსოფლიოს ჩემპიონობა ასე მარტივად არ მოვიდოდა... რა სირთულეების გადალახვა მოგიწია მიზნის მისაღწევად?**

– ძალიან ბევრი სირთულე იყო. ყველაზე დიდ პრობლემას ფინანსები წარმოადგენდა – შეჯიბრებებზე გასამგზავრებლად თანხები მჭირდებოდა. როცა წარმატებული და ცნობილი არ ხარ, ფინანსების მოძიება რთულია; გარდა ამისა, მქონდა ტრავმები, ბრძოლიდან ბრძოლამდე ვერ ვასწრებდი მათ მოშუშებას და ეს დიდი სტრესი იყო, თუმცა, დღეს ყველაფერმა ჩაიარა. 2009 წლიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მიფინანსებს ყველა შეჯიბრების მოსამზადებელ პერიოდს.

**– თავიდან როგორ წახვედი უცხოეთში, დაგაფინანსეს?**

– პირველი სამი წელი არანაირი ხელშეწყობა არ მქონია, ჩემი ფინანსებით გავემგზავრე. თავიდან ბილეთის ფულიც თავად მოვაგროვე. შეჯიბრებებზე რომ გავდიოდი, ზოგი 100 ლარს მჩუქნიდა, ზოგიც – დოლარს. რამდენჯერმე სხვების დახმარებით ბანკიდან კრედიტიც ავიღე და ასე ვახერხებდი უცხოეთში წასვლას. არასდროს დამავიწყდება ჩემი მწვრთნელისა და მისი ოჯახის თანადგომა – როგორც საკუთარ შვილს, ისე მედგნენ გვერდში.

**– ვიცი, რომ ჰოლანდიელი მეუღლე გყავს.**



მინდა, ყველა ბრძოლა მოვიგო და ისტორიას ერთ-ერთ ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენად დავამახსოვრდე

**მის შესახებაც მოგვიყევი, როდის გადაწყვიტეთ დაქორწინება?**

– 2013 წელს საქართველოში შევქმენით ოჯახი, ოღონდ, ქორწილი არ გადაგვიხდია. მომავალი წლის ივლისში ვგეგმავთ, თუ, რა თქმა უნდა, ბრძოლები არ დაემთხვა. ჩემს მეუღლეს მარისა ჰქვია.

**– სად გაიცანით ერთმანეთი, ესეც კიკ-ბოქსინგი ხომ არ უკავშირდება?**

– მარისა სავარჯიშო დარბაზში გავიცანი,

## მქონდა ტრავმები და ბრძოლიდან ბრძოლამდე ვერ ვასწრებდი მათ მოშუშებას

ადმინისტრატორად მუშაობდა. მაშინ 18 წლის იყო. რამდენიმე თვე ვხვდებოდით, მერე სასწავლებლად ნიუ-იორკში მოუწია წასვლა. ჰოლანდიაში რომ დაბრუნდა, საქართველოში დავპატიჟე და ბაკურიანში დავისვენეთ. შემდეგ მშობლებს გავაცანი, მოვნათლე და ასე შევქმენით ოჯახი. ოთხი თვე თბილისში ვცხოვრობდით. მარისამ გოეთეს სკოლა დაამთავრა, გერმანულის კურსები საქართველოში გაიარა.

**– საქართველოში როდესაც მოგყავდა, იცოდა, შენი ცოლი რომ უნდა გამხდარიყო? თუ, აქ რომ ჩამოიყვანე, მერე უთხარი?**

– იცოდა, სწორედ იმიტომ ჩამოვიყვანე, რომ ჩემი ოჯახი გამეცნო. უბრალოდ, საქართველოში ჯვარი არ დაგვიწერია, სამომავლოდ ვაპირებთ.

**– მართლმადიდებლად მონათვლა თავად მარისას სურდა თუ მეუღლეს გაუწია ანგარიში?**

– ჰოლანდია, ზოგადად, პროტესტანტული ქვეყანაა. შეიძლება ითქვას, რომ მე გამიწია ანგარიში.

**– მოსწონს მარისას საქართველო?**

– ორი წელია, რაც მე და მარისა საქართველოში დავდივართ, ძალიან მოსწონს. ზამთარში რთულია ჩვენთვის მანდ ყოფნა, რადგან, გაყინულ დარბაზში შეუძლებელია ვარჯიში. ზაფხულში ხშირად ჩამოვდივართ და შავი ზღვის სანაპიროზე ვისვენებთ. ქართულ ტრადიციულ საჭმელსაც რა ჯობია *(იცინის).*

**– ყოველთვის საქართველოს სახელით ასპარეზობდი?**

– სულ საქართველოს სახელით ვასპარეზობდი და ასე იქნება ბოლომდე. სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობა წარმატების მიღწევას არ გამიადვილებს. შეიძლება, ჩემპიონობამდე გამოვსულიყავი სხვა ქვეყნის სახელით, მაგრამ, დღეს როდესაც უკვე ყველა სირთულე გადალახული მაქვს და ყველა პირობა მაქვს შექმნილი, ნამდვილად არ გავიტან სხვა ქვეყნის სახელს. პატრიოტი ვარ და სულ ასე იქნება, მუდამ ვადიდებ ჩემს ქვეყანას და წარმოვაჩენ მსოფლიოს წინაშე იმ გზით, რომლითაც შემიძლია.

**– სამომავლოდ საქართველოში ჩამოსვლას და აქ ცხოვრებას არ გეგმავ?**

– სამომავლოდ რას ვაპირებ, წინასწარ ვერ გეტყვით. ჰოლანდიაში დიდხანს ვერ ვიცხოვრებ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი ქვეყანაა. აქ ადამიანებთან ურთიერთობა რთულია და ამას ვერ ვეგუები. მომავალ წელს ამერიკაში ვაპირებ ერთი წლით წასვლას. ვიცხოვრებ იქ, სადაც ჩემთვის და ჩემი ოჯახის მომავლისთვის იქნება კარგი. საქართველოში ცხოვრებას და მანდ ყოფნას არაფერი მირჩევნია. თუ რამე შევქმენი, საქართველოში საარსებოდ საკმარისი რომ იყოს, მაშინ, აუცილებლად ჩამოვალ.

**– ტატამს მიღმა კიდევ რა ხდება შენს ცხოვრებაში?**

– ჩემი ცხოვრება ტატამს მიღმა მაინც სპორტს უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ პატარა ბიზნესით ვარ დაკავებული. რამდენიმე თვეში მექნება ინტერნეტ-მაღაზია, სადაც სპორტული ნივთების ყიდვა შეეძლებათ მსურველებს. სამ ენაზე: ქართულად, ინგლისურად და რუსულად მექნება დისკებზე ჩაწერილი ლექციები წონაში დაკლებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ევროპელი პროფესიონალი მწვრთნელები და ექიმები მუშაობენ. ვფიქრობ, რომ ეს საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის. ამ ყველაფრით ჩემი მეუღლეა დაკავებული.

**ეთო ხურციძე**

**დიდი ხის წინ, შორეულ ბავშვობაში, ჩვენს რესპონდენტს, ელდარ ქუჩუკს, ქართულად – ელიზბარ ციმნარიძეს, ბაბუა ლამაზ ამბებს უყვებოდა, ისტორიულ სამშობლოზე. ეს ამბავი სოფელ მაჭახელაში ვითარდებოდა. გავიდა დრო, ბიჭი გაიზარდა. დღეს მას თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიაში მიჰყავს გადაცემა „კავკასიის ქარი". ასევე, იმ დიდ საქმეში, რასაც თურქულ სკოლებში ქართული ენის სწავლების ნებართვა ჰქვია, დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ელიზბარს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მას „ორი ქვეყნის კულტურის ელჩი" უწოდეს.**

# რატომ აღნიშნავენ თურქეთელი ქართველები მარიამობის დღესასწაულს და ვინ დანერგა თურქულ სკოლებში ქართული ენის სწავლება

**– ბატონო ელიზბარ, როდის და როგორ მოხვდნენ თქვენი წინაპრები თურქეთში?**

– ჩემი წინაპრები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ მაჭახელაში. მას შემდეგ, რაც საზღვარი გადაიწია, ჩვენ აღმოვჩნდით თურქეთში. არსად არ წავსულვართ, ჩვენ ისევ მაჭახელაში ვცხოვრობთ დღესაც, ოღონდ, ახლა უკვე თურქეთის ტერიტორიაზე, ართვინის მაჭახელაში.

**– როგორ გახდით ციმნარიძე – ქუჩუკი?**

– ჩემი ქართული გვარია ციმნარიძე, ჩემი ნათესავები საქართველოში არიან ციმნარიძეები. შემდეგ გავხდით ქუჩუკი. რატომ ავიღეთ ეს გვარი? მაშინ აუცილებელი იყო, თურქული გვარი გვქონოდა, ქართული გვარის ტარებისთვის დიდი ჯარიმები და სასჯელებიც იყო.

**– როგორი იყო ბავშვობის წლები, ოჯახური გარემო?**

– პატარაობიდან, უფროსებისგან სულ ვიცოდი, რომ ქართველი ვიყავი. ჩვენს ოჯახში ქართულად საუბრობდნენ და მეც იმთავიდან ვიცოდი ქართული ენა. როდესაც სკოლაში მიმიყვანეს, თურქულის სწავლა მაშინ დავიწყე, სკოლამდე ერთი სიტყვაც არ ვიცოდი თურქული.

**– ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდით, ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის ბაბუასო. მიამბეთ მის შესახებ, მშობლებისა და იმ ტრადიციების შესახებ, რომელზეც აღიზარდეთ.**

– ბაბუა ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, მაშინ სარფიდან კი არა, ყარსიდან იყო მიმოსვლა. უკან დაბრუნებული, სამშობლოს ამბებს გვიყვებოდა. სამშობლოს დიდი სიყვარული, ალბათ, სწორედ ბაბუასგან გადმომეცა. ჩემი დედ-მამა დღემდე ქართულად საუბრობს. შეიძლება ითქვას, რომ თურქულად საუბარი უფრო უჭირთ, ვიდრე ქართულად. ტრადიციები ბევრი იყო სოფელში, მაგალითად, მარიამობის აღნიშვნა.

**– მარიამობის დღესასწაულს აღნიშნავდით?**

– მარიობას აღვნიშნავდით და, ვიცოდით, რომ მარიობას მხოლოდ ქართველები აღნიშნავენ და ეს ჩვენი ერის ტრადიციაა. სხვათა შორის, მარიობა დღემდე იმართება მაჭახელაში.

სიმღერას რაც შეეხება, მახსოვს, ბაბუა მუდამ ღიღინებდა „გელინოსა" და „ელია გოგო ელიას", მეც დიდი მონდომებით ავყოლებდი ხოლმე ხმას და, ვხედავდი, ყოველ ჩვენს სიმღერაზე როგორ ტიროდა ბაბუა.

**– შემდეგში როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

– როდესაც სკოლა დავამთავრე, სასწავლებლად სტამბულში გადმოვედი. სასწავლებლად გადმოსვლას საცხოვრებლად დარჩენა მოჰყვა. სტამბულში დავოჯახდი და დღემდე აქ ვცხოვრობ, თუმცა, დედ-მამა ახლაც მაჭახელაში ცხოვრობს. წელიწადში რამდენჯერმე მიწევს იქ ჩასვლა და ჩემების მონახულება.

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ჩემი მეუღლე წარმოშობით ლაზია – კორტანიძეების ქალი გახლავთ ქალბატონი ფატმა. გვყავს სამი შვილი: არჩილი, დილა და გულისა. სახლში ჩვენც ქართულად ვსაუბრობთ, რომ შვილებს ქართული ენის სიყვარული და ინტერესი პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ.

**– როგორც ვიცი, თურქეთის ტელევიზიაში გადაცემა „კავკასიის ქარი" მიგყავთ. მიამბეთ ამ გადაცემაზე, მის დანიშნულებაზე, რეზონანსზე, რა ინტერესები აქვთ მაყურებლებს... ალბათ, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა დაგჭირდათ, სანამ ეს გადაცემა შეიკვრებოდა და შემდეგში მაყურებელი შეიყვარებდა.**



მჯერა, მალე თურქეთში აღარ იქნებიან ისეთი ქართველები, რომლებსაც არ ეცოდინებათ მშობლიურ ენაზე საუბარი, წერა და კითხვა

– ერთი წელია, თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიით ჩემ მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმები გადის. არნახული გამოხმაურება მოჰყვა ამ გადაცემათა ციკლს. სწორედ ამ გამოხმაურების შედეგი იყო ის, რომ პირველ 13 სერიას ტელევიზიის ხელმძღვანელებმა დაუმატეს კიდევ 13 სერია და მთელი წელი გადიოდა ეს გადაცემა; ზაფხულში კი, მაყურებელთა მოთხოვნით, განმეორებით იქნა ნაჩვენები. „კავკასიის ქარი" მე გადავიღე ჩემს ჯგუფთან ერთად, იდეაც მე მეკუთვნის. ძალიან მინდოდა, რომ აქაურ ქართველებს და, არა მარტო მათ, არამედ, სრულიად თურქეთს, ენახა, რა ლამაზია საქართველო, მისი თითოეული კუთხე; რა მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურა აქვს.

**– როგორც ვიცი, რადიოშიც მოღვაწეობთ. რომელი ქართული სიმღერაა დღესდღეობით ყველაზე პოპულარული თურქეთში?**

– ქართული კულტურის სახლში გვაქვს რადიო „ჩვენებური", რომელიც 10 წელზე მეტია, ფუნქციონირებს. მეც ამ რადიოს ერთერთი წამყვანი გახლავართ. ყველაზე მეტად პატრიოტული სიმღერები მოსწონთ აქაურ ქართველებს, მაგალითად: „მაგრად დაჰკარით", ასევე, პოპულარულია „ერისიონის" „შატილის ასული".

რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ საქმიანობას, ვმუშაობ ახალ ქართულ პროექტზე, რომელსაც ჯერჯერობით არ ვამხელ და, როდესაც სასიკეთოდ გადაწყდება ყოველივე, გპირდებით დაწვრილებით მოგიყვებით. ასევე, ვხელმძღვანელობ ქართული კულტურის სახლს. წელს ვგეგმავთ, ჩავატაროთ ქართული კინოს დღეები და მოვაწყოთ ქართველი მხატვრების გამოფენა.

**– რა იციან თურქეთში აქაური ქართველებისა და თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების შესახებ? რა მოსწონთ, რა უკვირთ, რა აინტერესებთ?**

– თურქეთელ ქართველებს ძალიან აინტერესებთ ქართული ადათები, წესები, ტრადიციები და, მივიწყებული ტრადიციების აღდგენას ცდილობენ; სურთ, დაუახლოვდნენ თავიანთ ფესვებს, რომ თავიდან შეისწავლონ ის, რაც დავიწყებულია და მომავალ თაობებს გადასცენ.

**– თურქეთის განათლების სამინისტროს დადგენილების შესახებ მიამბეთ, რომლის შედეგადაც, თურქულ საშუალო სკოლებში ეთნიკურ ქართველებს დედაენის შესწავლის საშუალება მიეცემათ. როგორც ვიცი, ეს გადაწყვეტილება თქვენი გამარჯვებაა. როგორ გგონიათ, სწავლის რამდენი მსურველი გამოჩნდება?**

– 2010 წელს ჩემს მეგობრებთან ერთად სტამბულში ქართული კულტურის სახლი დავაფუძნეთ. როცა მოვმძლავრდით, თხოვნით მივმართეთ თურქეთის განათლების სამინისტროს, რომ საშუალო სკოლებში ეთნიკურ ქართველებს დედაენის სწავლების საშუალება მისცემოდათ. ჩვენმა თხოვნამ შედეგი გამოიღო და დამტკიცდა: თურქეთის ნებისმიერი რეგიონის ნებისმიერ საშუალო სკოლაში, ქართული ენის შესწავლის მსურველი 10 ბავშვიც რომ იყოს, ქართული ენის კლასი უნდა გახსნან. ქართული ენის პროგრამაზე ადრე მწერალმა და მთარგმნელმა ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ (ფარნა (ბექა) ჩილაშვილმა) იმუშავა, ბოლოს კი, რომელიც უკვე მოიწონეს და დაამტკიცეს, იყო ქალბატონ ქევსერ რუჰის (ქეთევან ხანთაძე) პროგრამა. ქალბატონ ქევსერს უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ პროგრამის შედგენაში. ჩვენ, აქაური ქართველები, 200 წელია, ამ დღეს ველოდით, დღეს ამის საშუალება მოგვეცა და ეს, სიხარულთან ერთად, საამაყოა. წინ კიდევ დიდი და რთული საქმეები გველოდება – ახლა მნიშვნელოვანია, აქაურ ქართველებს მოვანდომოთ, შეისწავლონ ქართული ენა და გაიხსნას კლასები, ასე რომ, ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, ჯერ არაფერი დამთავრებულა, ჯერ მხოლოდ ყველაფერი გრძელდება და, მჯერა, რომ მალე თურქეთში აღარ იქნებიან ისეთი ქართველები, რომლებსაც არ ეცოდინებათ მშობლიურ ენაზე საუბარი, წერა და კითხვა.

**ეკა სალაღაია**

**ტელეკომპანია „იმედის“ პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილე ზურა გორგაძე გასულ კვირას სკანდალში გაეხვია, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ გადაცემაში ის მურათ ილდირიმს, როგორც მისი გმირის გამხმოვანებელი, ისე წარუდგინეს, რის გამოც „მაესტრომ“ ზურა ინფორმაციის არასწორად გავრცელებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ამ სერიალების გაშვების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ ტელეკომპანია „მაესტროს“ გააჩნია და, შესაბამისად, მსახიობ მურათ ილდირიმის გმირს, სავაშ ბალდარს, დათო ბერაძე ახმოვანებდა, ამის შემდეგ კი ზურა გორგაძეს თავის მართლება მოუწია. რა მოხდა სინამდვილეში? ის პროექტში სალომე ჭაჭუასთან ერთად ცეკვავს და, ამბობს, რომ ასეთი იაფფასიანი ტრიუკი მის ინტერესებში არ შედიოდა.**

# ვის საკუთრებად იქცა ზურა გორგაძე და არიდებს თუ არა თავს ის უხერხულ კითხვებს

– რაც „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დაიწყო, პირველი სეზონიდანვე ჩავერთე და ამ პროექტის ერთგული მაყურებელი გავხდი. შარშან ჩემი უხალოესი მეგობარი, გიორგი ვარდოსანიძე მონაწილეობდა, რომელსაც აქტიურად ვგულშემატკივრობდი, დავდიოდი ლაივებზე და ვეხმარებოდი, რითაც შემეძლო. ასე „მოვიწამლე” ამ პროექტით და, სულ მინდოდა, მეც მიმეღო მონაწილეობა. ამ სეზონზე მეც შემომთავაზეს და სალომე ჭაჭუამაც გადაწყვიტა მონაწილეობა იმ ფიზიკური პრობლემის შემდეგ. პროქტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და წყვილში დაგვაყენეს. გარდა იმისა, რომ სალომე პროფესიონალი მოცეკვავეა, ის ჩემი ოჯახის წევრიცაა – გიორგის მეჯვარე ვარ.

**– პრაქტიკულად, სალომეა თქვენი ცეკვების ქორეოგრაფი, რომელთანაც ერთდროულად მუშაობა გიწევს როგორც მეგობართან, პარტნიორ მოცეკვავესთან  და ქორეოგრაფთან. ეს რთული არ არის?**

– როგორც იცით, პროექტი დატოვეს უკრაინელმა ქორეოგრაფებმა და ამის გამო სალომემ საკუთარ თავზე აიღო ჩვენი ყველა გამოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ოჯახის წევრები ვართ და ვმეგობრობთ, როცა საქმე პროფესიულ ურთიერთობას ეხება, ის ჩვეულებრივ სიმკაცრეს ავლენს და ისე „მეჩხუბება“, როგორც სხვა მოსწავლეებს. ის საკუთარ თავთანაც ძალიან მომთხოვნია, ჩემთან ხომ – მით უმეტეს.

**– ბოლო ტურში ჟიურიმ „საჩკაობაში“ დაგდო ბრალი...**

– ჟიურიში ისეთი პროფესიონალი ადამიანები სხედან, განსაკუთრებით – გოჩა ჩერტკოევი, რომ, ძნელია, არ დაეთანხმო, მაგრამ ბოლო ტურს რაც შეეხება... როცა სახლში გადავახვიე და ვუყურე ჩვენს გამოსვლას, მაინცდამაინც მიწასთან გასასწორებელიც არ ვიყავი, თუ შეიძლება ასე ითქვას; არ იყო კარგი, მაგრამ, არც ძალიან ცუდი ყოფილა.

**– ასეთი მკაცრი შეფასება სწორედ სალომეს ფაქტორმა ხომ არ განაპირობა?**

– მე ასე არ მგონია. როგორი კომპოზიციაც არ უნდა დადგას, ის ყველაფერს მაღალ დონეზე შეასრულებს, თუმცა, შესაძლოა, სალომეს პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, მე განსაკუთრებით გაფართოებული თვალებით მიყურებენ. ალბათ, შეიძლებოდა ჩემი მხრიდან უკეთ შესრულება იმისა, რაც მევალებოდა, თუმცა, ყველაფერი გამოსწორებადია, რისთვისაც ძალღონეს არ ვიშურებ.

**– მეჩვენება, რომ შაბლონურ კითხვებს ვსვამ, სინამდვილეში კი, მინდა, შენს სკანდალზე გკითხო, თუ ეს თემა არ გაგაღიზიანებს.**

– მე არასდროს ვარიდებ თავს გარკვეულ უხერხულ კითხვებს, მით უმეტეს, რომ კითხვები საფუძვლიანია. სინამდვილეში, მოხდა ის, რომ ტელეკომპანია „მაესტრო“ ჩემთან მიმართებაში არაკორექტულად მოიქცა. აბსოლუტურად არ მაინტერესებს ტელევიზიებს შორის ჭიდილი, რადგან, მე ვარ განყენებული პირი, ადამიანი, რომელიც ვმონაწილეობ კონკურსში, ვარ ამ შოუს საკუთრება, მაგრამ, მხოლოდ ამ კონკრეტული კონკურსის ფარგლებში და, ამიტომ, ჩემზე არ უნდა ხდებოდეს ხელის შეხოცვა. ამ შემთხვევაში, პირადად ჩემი თავიდან გამოვალ და გეტყვით: სხვა საქმიანობებთან ერთად, გახმოვანების მსახიობიც ვარ და, შესაბამისად, სერიალის ეპიზოდური როლიც რომ გაახმოვანო, თამამად შეგიძლია თქვა, რომ შენ ამა თუ იმ გმირს ახმოვანებ. აქედან გამომდინარე, როცა მურათმა მკითხა, გამიხმოვანებია თუ არა მისი გმირი, რა თქმა უნდა, ვუთხარი, დიახ, რადგან, დიდი ხნის წინ „რეალ TV-ზე“ გავახმოვანე სერიალი მურათ ილდირიმის მონაწილეობით, რომელიც, აღმოჩნდა, რომ, თურმე, ეთერში არ გასულა. ალ პაჩინო და დენიროც მყავს გახმოვანებული და, ღმერთმა ქნას, ოდესმე მათაც შევხვდე, მაგრამ, მე არ მითქვამს, რომელ ტელევიზიაში გავახმოვანე ეს კონკრეტული გმირი. მეორე დღეს „მაესტრომ“ გააკეთა გადაცემა, სადაც, პრაქტიკულად, მატყუარა გამომიყვანეს, თანაც, მიმაჩნია, რომ, კარგი იქნებოდა, ამ გადაცემაში მეც დავეპატიჟე და ჩემი აზრიც მოესმინათ...



**მოვითხოვ ჩემი კომენტარის სრული ვერსიის გამომზეურებას! ასევე, „რეალ TV-ის“ წარმომადგენლის, ბესო კვარაცხელიას კომენტარის სრულ ვერსიას – და, აქვე – ბოდიშს**

**– თუმცა, შენი სატელეფონო ინტერვიუ ამ თემასთან დაკავშირებით იყო.**

– კი ბატონო, სატელეფონო კომენტარი იყო, მაგრამ, რადგან ამხელა გადაცემას უთმობ ამ საკითხს, კარგი იქნებოდა, მეც მივეწვიე და უჩემოდ არ ყოფილიყო თემის განხილვა. ისინი „რეალ TV-ს“ წარმომადგენლის, ბესო კვარაცხელიას შემთხვევაშიც არაკეთილსინდისიერად მოიქცნენ, როცა მას სთხოვეს, გაეხსენებინა 5 წლის წინანდელი ამბავი – რომელი სერიალი და ვისი მონაწილეობით გადიოდა მათ ეთერში.

**– დეტალებში აღარ ჩაგეძიები და, თუ გინდა, აღარ განვავრცობ თემას, მაგრამ, ბესო კვარაცხელიამ თქვა, რომ ერთადერთი თურქული სერიალი, რომელიც მათ ეთერში გავიდა, იყო „ნარჩიტა“, ძველი გადაღებული, როცა ილდირიმი დაბადებულიც კი არ იყო.**

– წეღანაც ვთქვი, რომ არანაირ კითხვას თავს არ ვარიდებ. რაც შეეხება ბატონ ბესოსა და მის კომენტარს, იქ კითხვა დასმული იყო შემდეგნაირად: გადიოდა თუ არა რომელიმე თურქული სერიალი მურათ ილდირიმის მონაწილეობით? შესაბამისად, ბესომ სწორად უპასუხა, რაც იმ წუთას გაახსენდა – რომ გადიოდა ერთადერთი თურქული სერიალი – „ნარჩიტა.“ საღამოს ბესომ ბოდიშის მოხდით დამირეკა და მითხრა: პროდაქშენში გადავამოწმე და, აღმოჩნდა, რომ სხვა სერიალსაც ახმოვანებდი, რომელიც ეთერში აღარ გავიდაო, რის შემდეგაც დავრეკე „მაესტროში“ და მივაწოდე აღნიშნული ინფორმაცია, თუმცა, მათ ბესოს შესწორებული კომენტარი აღარ გაუშვეს.

**– მე არ მინდა ეს თემა ასე გავშალო და ვარკვიო, რომელმა ტელეკომპანიამ რა გააკეთა.**

– ამასთან დაკავშირებით, „ფეისბუქის“ ჩემს გვერდზე სტატუსიც გამოვაქვეყნე და ვთხოვე მეგობრებს, რომ გაეზიარებინათ და ხალხს ჩემი აზრი გაეგო.

***P. S.* *ფაქტია, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეხუთე სეზონი ყველანაირად განსხვავებული და საინტერესოა, რასაც ამ პროექტის ექსკლუზიური ფოტოგრაფის, გიორგი ცაავას მიერ გადაღებული ფოტოებიც მოწმობს – სწორედ გიორგი გვაწვდის ვარსკვლავების ფოტოებს, რისთვისაც რედაქცია მადლობას უხდის.***

**ბესო მახარაშვილი**

# მსოფლიო ფეხბურთის რელიგიური ვარსკვლავები

***ფეხბურთი და რელიგია ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. უამრავ ფეხბურთელს სხეულზე სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის აღმნიშვნელი ტატუები აქვთ გაკეთებული, მოედანზე გასვლამდე ლოცვა კი ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად იქცა. გთავაზობთ ყველაზე რელიგიური ფეხბურთელების ჩამონათვალს, რომელთა რწმენა ფანატიზმში გადადის.***

**რობერტო ბაჯო**

მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე ცნობილი ბუდისტი იტალიელი რობერტო ბაჯოა, რომელსაც საქართველოში უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ მისი კარიერა ათი წლის წინ დასრულდა. ბუდიზმი ბაჯოს ცხოვრებაში 18 წლის ასაკში მოვიდა – მას შემდეგ, რაც რწმენა დაეხმარა მას მძიმე ტრავმის მოშუშებაში. ბაჯოს საფირმო ვარცხნილობაც ბუდიზმის დამსახურებაა. 1993 წელს ის „ოქროს ბურთის" მფლობელი გახდა და ჯილდო თავის სულიერ მამას, იაპონელ დაისაკუ იკედას მიუძღვნა. რობერტო ცნობილია კრიტიკული გამოსვლებით კათოლიკეების მიმართ, რის გამოც მას ოჯახის წევრებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. რამდენიმე ხნის წინ ფეხბურთის ვარსკვლავმა დიდი ხნის ოცნება აიხდინა და მილანში ბუდისტური ცენტრი გახსნა.



**კარლოს როა**

არგენტინელი გოლკიპერი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა გახდა და მას წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, კარლოსი „მეშვიდე დღის ადვენტისტების" სექტის წევრი გახდა, დაიჯერა, რომ აპოკალიფსი ახლოვდებოდა და, 1999 წელს საფეხბურთო კარიერა დაასრულა. როა სამშობლოში დაბრუნდა და წარღვნის მოლოდინში, რელიგიური ლიტერატურის წერა დაიწყო. 2002 წელს, მას შემდეგ რაც კარლოსი მიხვდა, რომ არმაგედონი გადაიდო, მან ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა და დაუბრუნდა „მალიორკას", სადაც ერთი პერიოდი თამაშობდა, მაგრამ, სასურველი სპორტული ფორმის აღდგენა ვერ მოახერხა და, საბოლოოდ, 2005 წელს, კარიერა დაასრულა. სექტაში დარჩენილი ფეხბურთელი რელიგიური მრწამსის ერთგული დარჩა და შაბათობით უარს აცხადებდა თამაშზე.

**ფრანკ რიბერი**

ფრანკის მშობლები კათოლიკეები არიან, თუმცა თავად ფეხბურთელმა 2006 წელს ისლამი მიიღო. რიბერმა ცოლად არაბი ქალი მოიყვანა და მის გამო გადაწყვიტა რელიგიის შეცვლა. მოგვიანებით ფრანკ რიბერი მორწმუნე მუსლიმანად ჩამოყალიბდა და ალკოჰოლზე თქვა უარი. ცნობილია მისი და ჟერომ ბოატენგის კონფლიქტის შესახებ: ბავარიაში, ტრადიციულად, ჩემპიონ გუნდს ლუდის „შხაპს" ასხამენ – ფეხბურთელები საუკეთესო ლუდით წუწაობენ და, როდესაც ბოატენგმა ლუდის უზარმაზარი კათხა გადაასხა რიბერს თავზე, მისი აგრესია გამოიწვია.

**მატეა კეჟმანი**

სერბი მატეა კეჟმანი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მართლმადიდებელი ფეხბურთელია, რომელიც არ ერიდება საჯაროდ თავისი რელიგიურობის აფიშირებას. მატეას სხეულზე გაკეთებული უამრავი ტატუ უკავშირდება ბიბლიას, მათ შორისაა სტრიქონები მათეს სახარებიდან და თავად წმიდანის გამოსახულება. კეჟმანი ინტერვიუებში მუდამ საუბრობს სერაფიმ საროველზე და, ასევე, ცდილობს, იმ ქვეყანაში, სადაც ჩადის, რამდენიმე საათი გაატაროს მართლმადიდებლურ ტაძარში.

## ნეიმარის ახალი გოგო

„ბარსელონისა" და ბრაზილიის ნაკრების ლიდერს, ნეიმარს, ახალი სატრფო ჰყავს – სერბი მოდელი სორაია ვუცელიჩი ნეიმარმა ერთ-ერთ კერძო წვეულებაზე გაიცნო. ესპანელი და ბრიტანელი ჟურნალისტების ვერსიით, ბრაზილიელი ვარსკვლავისა და სერბი ლამაზმანის რომანი ელვისებური სისწრაფით ვითარდება. ცნობილია, რომ ნეიმარი დიდხანს ვერ ძლებს საყვარელი ადამიანის გარეშე და ბელგრადში ხშირად გზავნის კერძო თვითმფრინავს, რათა მან დიდმკერდიანი ლამაზმანი ბარსელონაში ჩამოიყვანოს.

## ყველაზე სექსუალური არბიტრი

შვეიცარია არა მარტო საათებითა და ყველით არის განთქმული, არამედ, იმითაც, რომ ამ ქვეყანაში მსოფლიოში ყველაზე სექსუალური საფეხბურთო ქალი არბიტრი საქმიანობს. აურელია სარა ბოლიე შვეიცარიის ჩემპიონატის დაბალ ლიგებში მსაჯობს და მომავალში ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე მუშაობაზე ოცნებობს. ლამაზმანი წითელი და ყვითელი ბარათების ფრიალს არ ერიდება და საკმაოდ ხისტი არბიტრის სახელით სარგებლობს, თუმცა, ამის მიუხედავად, მისი თაყვანისმცემლების არმია სულ უფრო იზრდება.



# მისი უდიდებულესობის ჯარისკაცი – მელომანების ფავორიტი

You'r Beautiful – გამორჩეულად ლამაზი სინგლი, 5 კვირის განმალობაში იდგა ბრიტანული ჰიტ-პარადის სათავეში და 2005 წლის ინგლისური პოპსენსაციად იქცა. ასე ჩაიწერა ბრიტანული მუსიკის ინდუსტრიის წიგნში ახალი სახელი – ჯეიმს ბლანტი, რომელიც MTV-ის Musik Award-ის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე „წლის აღმოჩენა" გახდა.

ჯეიმს ბლანტის წინაპრები, სამხედროები იყვნენ. მამამისს, თავისებური შეხედულებების მქონე პოლკოვნიკს, ყოველგვარი მუსიკა, კლასიკურიც კი, უაზრო ხმაურად ეჩვენებოდა. ერთადერთი მუსიკა, რომელიც ჯეიმსს ჰქონდა მოსმენილი, მისალოცი Happy Birthday იყო.

7 წლის ასაკში ის მშობლებმა სამხედრო ტიპის სკოლა-პანსიონში მიაბარეს. 14 წლისამ გადაწყვიტა, რომ მისი ცხოვრება აუცილებლად საინტერესო იქნებოდა – რუტინიდან შორს, ეს კი გიტარასთან ერთად წარმოედგინა, რომლის შესწავლაც გულმოდგინედ დაიწყო. ასევე, სწავლობდა პიანინოზე დაკვრას და სკოლის მიუზიკლშიც იღებდა მონაწილეობას. უსმენდა Qeen-ს და Dire Straits-ს; გიტარაზე აწყობდა „ნირვანას" მუსიკას. ცდილობდა, თავადაც დაეწერა. 16 წლისამ მიიღო ლიცენზია – მას შეეძლო ნებისმიერი თვითმფრინავის მართვა. ჯეიმსი არ აპირებდა, მამისთვის გული გაეტეხა და ტრადიციის წინააღმდეგ წასულიყო. სწორედ ამიტომ, ბრიტანულ უნივერსიტეტში ჩააბარა – აეროკოსმოსური მრეწველობის ინჟინრის სპეციალობაზე. მამის მოთხოვნით მოხალისედ წავიდა არმიაში და მაშინვე „ნატოს" სამშვიდობო ჯარების შემადგენლობაში, კოსოვოში აღმოჩნდა. კბილებამდე შეიარაღებულს, გიტარის წაღება არ დავიწყებია. როდესაც მშვიდობის მისიის ყოფნა აღარ იყო საჭირო, ბლანტმა სამეფო სამხედრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. მას წილად ხვდა, დაეცვა ბრიტანეთის დედოფალი, ბუკინგემის სასახლე; ასე თუ ისე, ოჯახის ტრადიციისთვის გარკვეული ხარკი გაიღო – მას მთელი ოთხი წელი შესწირა, ამით კი თავის გადარჩენისა და რთული სიტუაციებიდან გამოსვლის მდიდარი გამოცდილებაც მიიღო.

2002 წელს ჯეიმსმა სტაბილური კარიერა შოუ-ბიზნესის გაურკვეველ პერსპექტივაზე გაცვალა. ნათელი მომავლის გზაზე პირველი გაჩერება ლოს-ანჯელესი იყო, სადაც ის 2003 წელს ჩავიდა ლინდა პერის რჩევით. ჯეიმს ბლანტის სადებიუტო ჩანაწერის საუნდი პროდიუსერ თომ პოთროკს ანდეს. ჯეიმსი მთელი დღეები სტუდიაში პირველ ალბომზე მუშაობდა, საღამოს კი კლუბებსა და კაფეებში მღეროდა.

ჯეიმს ბლანტის სიმღერებს უცნაური ისტორიები აქვს: პირველი სიმღერა, No Bravery, 1999 წელს კოსოვოში ყოფნისას ჩაწერა. სადებიუტო ალბომის ერთ-ერთი საუკეთესო კომპოზიცია, სასიყვარულო ბალადა Good bye, My Lover ჯეიმსმა დაქირავებული ბინის აბაზანაში შექმნა. მეტად თავისებურ დიასახლისს პიანინო აბაზანაში ედგა. აქვე დაიბადა სიმღერა So Long, Jimmy, რომელიც ავტორმა ორ ჯიმის – ჰენდრიქსსა და მორისონს მიუძღვნა.

ალბომი Back to Bedlem, რომელიც ალტერნატიული პოპ-როკის 10 შესანიშნავ ნიმუშს შეიცავდა, მთელი წლის განმავლობაში იქმნებოდა. მისი რელიზი 2005 წლის იანვარში შედგა და მელომანების უამრავი საქებარი გამოხმაურება დაიმსახურა.

„მარტივი, ყოვლმხრივ სასიამოვნო მელოდია; აკურატული არანჟირება, ლამაზი ტენორი, რომელიც ზედმიწევნით გადმოსცემს უმცირეს ემოციურ ნიუანსებსაც კი და, რაც მთავარია, ინტონაციების არაჩვეულებრივი სიზუსტე და მგრძნობიარე დაძაბულობა – ასეთი გამოვიდა მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფლის ჯარისკაცის, ჯეიმს ბლანტის ალბომი" – წერდა პრესა.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



# მიჰყავს თუ არა მამაკაცი ოჯახიდან „სხვა“ ქალს და ყოველთვის არის თუ არა „ის ქალი“ უწესო

**საზოგადოება სერიოზულად კიცხავს იმ ქალებს, რომელთაც ქმრები ცოლებისგან „მიჰყავთ“ და ოჯახებს ანგრევენ. დგებიან მოყვარულ წყვილს შორის და უმამოდ ტოვებენ ბავშვებს. ქალბატონების უმრავლესობა გეტყვით, რომ ამ ტიპის ქალები ამორალურები და ყველაფერზე წამსვლელები არიან; რომ მათ არც კი იციან, რა არის სიყვარული; არაფერი აქვთ წმინდა, რასაც დააფასებენ და პატივს სცემენ, ანუ, თუ ქალს შეუძლია, სხვას წაართვას ქმარი, ის ყველაფერ ცუდს ჩაიდენს...**

**რაც შეეხება თავად ამ „მნგრეველ-გამანადგურებლებსა“ და სხვების ქმრებზე „მონადირეებს“, მათ თავიანთი არგუმენტები აქვთ – ამტკიცებენ, რომ ბედნიერი მამაკაცი არავის და არაფრის გულისთვის არ მიატოვებს ოჯახს. შეეფერება კი ეს სიმართლეს?!**

**ლენიკო** *(29 წლის):* საზოგადოება ზოგჯერ ყრუ არის და ბრმა. თავი ქვიშაში აქვს ჩაყოფილი სირაქლემასავით და, არ უნდა, დაინახოს, როგორია ჩვენი რეალობა. „ჩვენს რეალობაში“ მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ჩემი ტიპის ქალებს, ანუ იმათ, ვინც საკუთარი გრძნობების მართვა ვერ შეძლო და ცოლიანი კაცი შეიყვარა.

**– ჩემი ტიპის ქალებსო, თქვით. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მაინც განსხვავებული ხართ?**

– საზოგადოება მიიჩნევს ასე. არავის აინტერესებს, სინამდვილეში რა მოხდა და როგორ. ისინი უჯერებენ სტერეოტიპს: „ცოლიანი კაცი უყვარს? – ესე იგი, უწესოა“. არც უწესო ვარ და არც ზნედაცემული. მეც ზუსტად იმ მორალური პრინციპებით გამზარდეს, როგორითაც თქვენ და კიდევ ის პატიოსანი ცოლები, ჩემზე სიძულვილით რომ ლაპარაკობენ. მზად არიან, გამგლიჯონ, ქმრებს კი „დიდსულოვნად“ პატიობენ ღალატს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თითქოს მარტო ჩვენ ვიყოთ ქვეყნის დამანგრეველები და ურჩხულები.

**– თქვენ გირჩევნიათ, რომ ცოლებმა ღალატის ნიშნების პირველივე შემჩნევისას გაყარონ ქმრები სახლიდან, რომ საბრძოლველი აღარაფერი გქონდეთ?**

– არავისთვის მიბრძოლია და არც ვიბრძოლებ. არ ყოფილა ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი ცოლიანი კაცის სიყვარული, მაგრამ, ბედისწერაც ხომ არსებობს...

პირველივე ნახვით შემიყვარდა. ეს არ არის ხმამაღალი სიტყვები და არც თავის გამართლების საშუალება. რაში მჭირდება, თავი ვიმართლო, რა აზრი აქვს? ერთადერთი, ის მინდა, რომ საზიზღარი სტერეოტიპი დაინგრეს... არც ისეა საქმე, ზოგს რომ ჰგონია. რატომ არ გვინდა, გავახილოთ თვალები და დავინახოთ ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება? დიახ, არსებობს ერთი ნახვით სიყვარული; არსებობს და, ნურავინ შეეცდება, საპირისპიროში დამარწმუნოს. მე ჩემი სიმართლე მაქვს: რა ვქნა, შემიყვარდა. როგორ უნდა მოვქცეულიყავი?! ის ჩემი ხორცშესხმული ოცნება იყო. ვუყურებდი და სასწაულების მჯეროდა. მაღალი, ძალიან კარგი აღნაგობის, სიმპათიური... თუმცა, თავიდანვე მომეჩვენა, რომ ცოტათი გაუბედავად ილიმებოდა.

**– გაუბედავად რას ნიშნავს?**

– თითქოს ეშინოდა, კიდევ ერთხელ რომ გაეღიმა ჩემთვის. რომ გითხრათ, ამას მაშინ რამე ყურადღება მივაქციე-მეთქი, მოგატყუებთ. უბრალოდ, მერე, როცა უკვე სიმართლე გავიგე, გამახსენდა ეს და მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

**– როგორ გაიცანით?**

– ვერ ვიტყვი, რომ შემთხვევით, იმიტომ რომ, ჩვენს ოფისში გადმოვიდა სამუშაოდ, უფრო სწორად, კომპანიის ჩვენს ფილიალში. ფაქტობრივად, ყოველდღე ვხედავდი.

**– და, არ იცოდით, რომ ცოლი ჰყავდა?**

– არა. რადგან, ჯერ შემიყვარდა და საკმაოდ მოგვიანებით გავიცანი. რატომღაც, ვერიდებოდი მის გაცნობას – შეიძლება, ეს ჩემი შინაგანი მუხრუჭი იყო, არ ვიცი... ისე მოჰქონდა ჩვენს ოთახში გოგოებთან შოკოლადები, რომ მე არც კი გამოვლაპარაკებივარ. გოგოები ყავაზეც ეპატიჟებოდნენ და სწორედ მათ მითხრეს – ვერ ამჩნევ, შეყვარებული თვალებით რომ გიყურებსო?

**– და, მაინც გინდათ, დამაჯეროთ, რომ მის შესახებ არაფერი იცოდით?**

– არა. თქვენც კი არ გჯერათ ჩემი. არ

> **თუ მართლა ძალიან მახინჯი ფსიქიკის არ ხარ, შეუძლებელია, გინდოდეს, იყო მესამე და ზედმეტი**

ვსვამდი ზედმეტ შეკითხვებს და დეტალებით არ ვინტერესდებოდი. საქორწინო ბეჭედი კი არ ეკეთა. გავიგე სიმართლე, როცა უკვე სერიოზულად ვყავდი გრძნობას შეპყრობილი. ჩვენმა ბუღალტერმა მომაწოდა „სასარგებლო“ ინფორმაცია: ამბობენ, რომ გიყვარს ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი. ფრთხილად იყავი, ცოლი ჰყავს, თანაც, ისეთი, გვერდზე არ ახედებს. ისეა ჩაფრენილი, ტყუილუბრალოდ ნუ შეეცდები, ხელიდან გამოჰგლიჯო, ნუ გაეხვევი შარში, დედაშვილურად გირჩევო. თითქოს დანა გამიყარეს გულში. მთელი საღამო ვტიროდი. ლამის მოვკვდი ნერვიულობით. იცით, რას გეტყვით? თუ მართლა ძალიან მახინჯი ფსიქიკის არ ხარ, შეუძლებელია, გინდოდეს, იყო მესამე და ზედმეტი.

**– ალბათ, ამის შემდეგ მაქსიმალურად უნდა შეგეზღუდათ საკუთარი თავი.**

– იცით, რა ადვილი სათქმელია ეგ? ვისაც ისე ჰყვარებია, როგორც მე მიყვარდა, მხოლოდ ის გამიგებს. არ მინდოდა, დამეჯერებინა, რომ, რაც მითხრეს, მართალი იყო. რატომ, რატომ ჰყავს ცოლი-მეთქი – გაცოფებული ვურტყამდი ღამით ბალიშს მუშტებს. თავს არავის ვაცოდებ. შევეცადე, გავმკლავებოდი ჩემს გრძნობას. „იმას“ ვერ დაველაპარაკებოდი – ერთმანეთისთვის საერთოდ არაფერი გვქონდა ნათქვამი, არანაირი ურთიერთობა არ ყოფილა და, რომ ეთქვა, რაზე მელაპარაკები, შენ გიჟი ხომ არ ხარო, მერე რა უნდა მექნა?! დავიწყე მასზე მეტი ინფორმაციის მოპოვება. მითხრეს, რომ პატარა გოგონაც ჰყავდა, ცოლი კი ეჭვიანი, ნერვიული და საკმაოდ საშიში ქალი იყო...

**– რა თქმა უნდა, ყველა ცოლი ეჭვიანი, ნერვიული და ანჩხლია.**

– მესმის თქვენი ირონია და არ ვბრაზდები. იყო პერიოდი, როცა საკუთარ თავს ფიქრიც კი ავუკრძალე სიყვარულზე. ჩვენს ოთახში რომ შემოდიოდა, მე გავდიოდი – ვერიდებოდი, როგორც კი შემეძლო... ერთ საღამოს კი ჩემი სახლისკენ მიმავალ გზაზე დამხვდა – რატომ გამირბიხარ, რა დაგიშავეო. თავი ველარ შევიკავე და ხმამაღლა ავტირდი. იმ წუთში დაუცველი, შეყვარებული, მიუსაფარი, ჩვეულებრივი ქალი ვიყავი. არანაირი ზრახვები არ მქონია. როგორც მაგნიტი, ისე მიზიდავდა. ის არანაირად არ იყო „მომგებიანი“ ვარიანტი. ისეთი რაღაცეები მითხრა, ლამის გული გამიჩერდა: ასეთი რამ ცხოვრებაში პირველად მჭირს. გიყურებ და ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ. ენერგიითა და სიხარულით მავსებს შენი დანახვაო. ვიცი, ამის თქმა არ შეიძლება და არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, დამღალა საკუთარ თავთან ბრძოლამ, გამოვიფიტე; ისე მჭირდები, როგორც ჰაერი, ჟანგბადი; მიშველე, შენს ხელთ ვარო... გეკითხებით, ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ რა უნდა მექნა?

**– თქვენ იცით, რომ ძალიან ბევრი მამაკაცი ზუსტად ასე ლაპარაკობს, როცა სასურველი ქალის „შებმა“ უნდა?**

– ვიცოდი, რომ ამას მეტყოდით. მე ეგეც დავუშვი, მაგრამ, როცა ისე გიყვარს, როგორც მე მიყვარდა, ძნელია, „გონების ხმას“ მოუსმინო. როცა მელაპარაკებოდა, მის ხმაში ტკივილს ვგრძნობდი. მინდოდა, ჩავხუტებოდი და დამემშვიდებინა, თუმცა, არაფერი გავაკეთე – ვერ გავბედე. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ მიუღებელი იყო ჩემთვის ცოლიან კაცთან პაემნები, არ ვიტყუები. წარმო-

# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, ვინც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?!

***ექსტრასენსსა და ნათელმხილველ ნინო ვარსიმაშვილს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, რასაც რედაქციაში უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ზარებიც მოჰყვა, ჩვენ კვლავ გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ნინოსთან, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. ნინო ვარსიმაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი, მოიზიდოთ ბარაქა და დაძლიოთ წარუმატებლობა, რომელსაც წლები ვერ დააღწიეთ თავი.***

**ნინო ვარსიმაშვილი**: სამწუხაროდ, დღეს ჯადოს და ზოგადად, ნეგატიური პროგრამების ბუმია. ეს სოციალურმა მდგომარეობამაც გაამძაფრა – მატერიალურმა სიდუხჭირემ კიდევ უფრო გააბოროტა ადამიანები. ჯადოს, გათვალვას, შურს, წყევლას და უარყოფითი ენერგიების გადაცემას დიდი ზიანის მოტანა და არც თუ იშვიათად, სიკვდილის გამოწვევაც კი შეუძლია. ხშირად ნეგატიური ზემოქმედების მასალა შეიძლება გახდეს ფოტოსურათი. სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტოთიც კი შეიძლება, ნეგატიური ენერგიით დასნებოვნება. ამიტომაც, ვურჩევ ყველას, თუ გრძნობენ, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც ცუდისკენ შეიცვალა, არ მოემართათ ხელი, აუცილებლად მიიღონ ზომები. როცა ადამიანი თავადაც ცდილობს საკუთარი მძიმე კარმის განეიტრალებას, სპეციალისტების დახმარებით მას ეს გამოსდის კიდეც. არსებობს უამრავი პროცედურა და თილისმა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, წარუმატებლობა და უკუსვლა, წარმატებით შეიცვალოს. ამ პროცედურებით შესაძლებელია დანგრეული ოჯახის აღდგენა და დაკარგული პიროვნების დაბრუნება, ბედის გახსნა, ბარაქის მოზიდვა და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, სხვადასხვა შიშისგან განკურნება. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ, მე მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში. იქ იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, ჩემი ძველი კლიენტები რომ იყვნენ. მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება, დღეს მუშაობას სატელეფონო კავშირითა და სკაიპით ვახერხებ.

***ქალბატონ ნინოსთან მისულები, მოსაცდელში რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ და საკუთარი ისტორიების მოყოლა ვთხოვეთ.***

**შორენა წ-ძე** ***( 42 წლის, რუსთავი):*** ნინო ვარსიმაშვილი ორი წლის წინ გავიცანი. 40 წლის ასაკში ვიყავი და მეგონა, შინაბერა დავრჩი, პირადი ცხოვრება ვერ ავიწყე. უცხოეთში ვაპირებდი სამუშაოდ წასვლას, ყველა საბუთი მზად მქონდა, მაგრამ ხელი არ მემართებოდა. ნინომ კარტი გამიშალა თუ არა მითხრა, უცხოეთში კი არა, შენს ახალ ოჯახში მიდიხარო. მომცა თილისმები, ნინოს თილისმებს საოცარი ძალა აქვს. ამაში თავად დავრწმუნდი – სამ თვეში გავთხოვდი. ისეთი ოჯახი მაქვს, სად მახსოვს უცხოეთი და მუშაობა.

**მადლენა მ-ია** ***(47 წლის, ბათუმი):*** ნინო ვარსიმაშვილი ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ვნახე პირველად. ისეთი დამაჯერებელი საუბარი ჰქონდა, მივხვდი, მხოლოდ მას შეეძლო ჩემი შველა. იმ პერიოდში ვალების გამო სახლის გაყიდვას ვფიქრობდი, მაგრამ ისე ვიყავი ჩაკეტილი, ვერ გავყიდე. ნინოსთან მივედი და პირველი რაც მითხრა იყო ის, რომ სახლს სამ დღეში გაგაყიდინებო. გამიკვირდა, კლიენტი არ მყავდა და სახლი როგორ უნდა გამაყიდინოსმეთქი. სულ რამდენიმე დღეში მეზობელმა მაკლერმა თურქი ინვესტორი მომიყვანა, რომელმაც ჩემი სახლი ორჯერ ძვირად იყიდა, ვიდრე მე ვგეგმავდი. ამაზე მეტი რა მოგიყვეთ. ერთს გეტყვით, ნინო ვარსიმაშვილს აქვს მომავლის დანახვის ფენომენალური უნარი. ის რასაც ამბობს, აუცილებლად სრულდება.

**მალხაზ გ-შვილი** ***(67 წლის, გორი):*** ამ ქალბატონის შესახებ ტელევიზიით გავიგეთ. ცოლი გადამეკიდა და ძალით მომიყვანა აქ. საგვარეულო ჯადო გვქონდა გაკეთებული მამაკაცებზე. მე სულ ცუდად ვიყავი, ჩემს ვაჟს არაფერი აკლდა, ორი დიპლომის პატრონმა ცოლი 40 წლამდე ვერ მოიყვანა. ვერც სამსახურში აიწყო საქმეები. ქალბატონმა ნინომ სპეციალური თილისმები მოგვცა ოჯახის ყველა წევრს, ეს რის მომწრე გავხდი ამ ასაკში! აქ მოსვლიდან ერთ თვეში, ჩემი ბიჭი დაქორწინდა, ჩემი უცნაური დაავადებებიც ისე გაქრა, პატარა ბიჭივით ვგრძნობ თავს.

***ნინო ვარსიმაშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 597 82 68 68, 5 99 003 006 (ჩაწერა წინასწარ)***

**თამარ ჩხენკელი**

უდგენლად მიმაჩნდა ის, რომ ვყოფილიყავი მესამე და ურთიერთობის დამანგრეველი. მართლა მეუბნებოდა, ცოლთან მხოლოდ შვილის გამო ვარო, მაგრამ, სწორედ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ყველა ცოლიანი კაცი ამბობს, ცოლთან „რაღაცის“ გამო ვარ და არ მიყვარსო, არ დავიჯერე და პირდაპირ მივახალე, რასაც ვფიქრობდი. რამდენიმე დღე აღარ გამკარებია, მერე ისევ შემთხვევამ გადაწყვიტა ჩვენი ურთიერთობის ბედი. ისე მოხდა,

**ყველა ცოლიანი კაცი ამბობს, რომ ცოლი არ უყვარს და მასთან „რაღაცის“ გამო ჩერდება**

რომ ორივე ერთად გაგვგზავნეს სხვა ქალაქში რაღაც საქმეზე რამდენიმე დღით. გეფიცებით, ნამდვილად არ გამხარებია.

**– მაგრამ, არც უარი გითქვამთ წასვლაზე?**

– ვერ ვთქვი უარი. ვერ ავუხსნიდი ჩემს უფროსს, რატომ არ მივდიოდი მე, ამ საქმეში ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტი. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ნომერში დავბინავდით და, შევეცადე, საღამოს, სავახშმოდაც, სასტუმროს რესტორანში მარტო ჩავსულიყავი. მაგრამ, ჩასაფრებული მელოდებოდა. ხელზე მტაცა ხელი და მითხრა: აზრი არ აქვს, ტყუილად მემალები. ხომ არ შეგჭამ, უბრალოდ, ერთად ვიყოთ და ამ წუთებით სიამოვნება მივიღოთო. არაფერს დაგაძალებ, შენ როგორც გადაწყვეტ, ისე იქნება ყველაფერიო... გონებაში დაუსრულებლად ვიმეორებდი: „ნუთუ ერთად ვიქნებით?! არ შეიძლება, არ შეიძლება, არ შეიძლება“... მაგრამ, გმირობა ვერ ჩავიდინე. როცა მხრებში მომკიდა ხელი, შემომატრიალა და მაგრად ჩამეხუტა, წინააღმდეგობა ველარ გავუწიე. მთელი სხეული მთხოვდა მასთან სიახლოვეს. დამავიწყდა ყველანაირი მორალური პრინციპი... მხოლოდ ის ვთხოვე, ცოლზე საერთოდ აღარ ელაპარაკა – არ მინდოდა იმის მოსმენა, რომ ცოლთან ბედნიერი არ არის და რომ იმ ქალს მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ ფული მიუტანოს. ეს ჩემთვის დამამცირებელიც იყო და საკმაოდ უსიამოვნოც... ასე გავხდი მისი საყვარელი, მიუხედავად ჩემი შინაგანი წინააღმდეგობისა. მეშინია იმის, რაც შეიძლება რომ მოხდეს – ადრე თუ გვიან, მისი ცოლი ჩვენი ურთიერთობის შესახებ გაიგებს და, დარწმუნებული ვარ, სკანდალები არ ამცდება. ჩემი საყვარელი მეუბნება, რომ თავადაც ნერვიულობს; რომ ნანობს, ადრე რატომ არ შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ, ეს არსებულ რეალობას არ ცვლის. ზოგჯერ საკუთარი თავი მეჯავრება. ვნერვიულობ და ვფიქრობ, ღირს კი ეს სიყვარული ამ ყველაფრად-მეთქი? მაგრამ, მოდის თუ არა, მაშინვე ვწყდები რეალობას. როდემდე გასტანს ეს ყველაფერი, არ ვიცი.

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**მე და ჩემმა ქმარმა ერთად თითქმის თხუთმეტი წელი ვიცხოვრეთ. ცოტა ხნის წინ კი განქორწინების წინაშე დავდექით. მან თქვა, რომ სხვა ქალი, ჩემზე ახალგაზრდა შეუყვარდა. არც მიჩხუბია, არც სკანდალი ამიტეხავს, ისე გავუშვი. ორ თვეში უკან მომადგა. მეუბნება, რომ ეს შეცდომა იყო და მე ვარ ის ქალი, რომელთან ცხოვრებაც უნდა,რომ მე ვჭირდები. როგორ მოვიქცე, აღარ ვიცი. მივიღო და ვაპატიო? გული ძალიან მაქვს დამძიმებული და თან ველარც ვენდობი?! ერთი სიტყვით, ორ ცეცხლს შუა ვარ. თან მიყვარს, თან მეშინია შერიგების. რას მირჩევთ?!**

**გამოხმაურება:** თუ გიყვართ, უნდა ენდოთ. მისცეთ ერთი შანსი მასაც და საკუთარ თავსაც. ხშირად ადამიანები მხოლოდ მაშინ ხვდებიან, რაოდენ ძვირფასია ის, ვინც გვერდით ჰყავთ, როცა შორს მიდიან მისგან, ეს თითქმის აქსიომაა. საკუთარ ქმარს თქვენზე უკეთ არავინ იცნობს. ასე რომ, გადაწყვეტილებაც თავად უნდა მიიღოთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ჯვრისწერა შვიდი საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და მასში მონაწილე წყვილებმა მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი და მოწიწება უნდა გამოიჩინონ. თუმცა, დღეს ისევე როგორც ბევრმა სხვა რამემ, ზოგიერთმა საეკლესიო მსახურებამაც უბრალო რიტუალის სახე მიიღო. ასე ხდება ხშირად დაწინდვის, ჯვრისწერის დროსაც. ამ საკითხზე გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რატომ არ შეიძლება დაწინდული წყვილის დაშორება და რა შეიძლება იყოს ორი ადამიანის ჯვრისწერის ხელის შემშლელი ფაქტორები

– როდესაც ორი ადამიანი ერთად გადაწყვეტს ყოფნას, მათი ქორწინების მყარი საფუძველი ხშირად ბუნდოვანია ანუ, ხშირ შემთხვევაში, ჯვრისწერის დროს წყვილი არც ფიქრობს, თუ რა ხდება იმ მომენტში, რა საიდუმლოსთან აქვთ საქმე, რა მოვალეობები აკისრიათ ერთმანეთის მიმართ. ზოგჯერ მხოლოდ ის აინტერესებთ, რომ წყვილი ჩაითვალოს ჯვარდაწერილად, ეკლესიიდან მიიღოს გარკვეული „საშვი," დასტური, ნიშნად იმისა, რომ ამ ორ ადამიანს მომავალში უფლება აქვს განაგრძოს თანაცხოვრება. ანუ, ზოგჯერ ეს, გარკვეულწილად, თვითკმაყოფილების გამოხატულებაა: ჯვარდაწერილები ვართ, ეკლესია გვაღიარებს ცოლ-ქმრად და არც მრუშობასთან და არც სიძვასთან არ გვაქვს საქმე – ბევრისთვის ეს ერთგვარი სტატუსის მინიჭებაა და არა იმის გათავისება, რომ საეკლესიო საიდუმლოსთან გვაქვს საქმე. ამ საიდუმლოს გარკვეული სახით ჩამოყალიბება მეოთხე საუკუნეში იწყება, თუმცა მასში ლიტურგიკული ელემენტების შეტანა უფრო მოგვიანებით, მეთერთმეტე საუკუნეში დაიწყო და დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნეში მიიღო დასრულებული სახე. ამის მიუხედავად, დღეს ამ საიდუმლოსადმი მიდგომა ძალიან ბუნდოვანი და არასწორია. ძველად დაწინდვა ცალკე მსახურება იყო. ამ ორი ადამიანის ერთად ყოფნისთვის კი ორი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მიზეზი არსებობდა: როცა მოსიყვარულე წყვილი გადაწყვეტდა, ერთად დაეწყოთ ცხოვრება, მათ სჭირდებოდათ ეპისკოპოსის, მღვდელმთავრის კურთხევა. შესაბამისად, ეპისკოპოსი უშუალოდ იცნობდა ამ ადამიანებს. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რამდენად იყვნენ ისინი მომწიფებულები – ესე იგი, გასათვალისწინებელი იყო მათი ასაკობრივი ზღვარი; ანუ, არსებობდა რამდენიმე კრიტერიუმი, რითაც განისაზღვრებოდა ამ ორი ადამიანის ერთად ყოფნა: – იყვნენ თუ არა ისინი ფიზიკურად ჯანმრთელები, მომწიფებულები და მზად იმისთვის, რომ ერთად ეცხოვრათ და მათი ურთიერთობა ნორმალური ყოფილიყო. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მათ განყენებულად ჰქონდათ გამოყოფილი რაღაც პერიოდი. არა, ეს ყველაფერი ვითარდებოდა ამ ადამიანების ცხოვრების ჩვეულ რიტმში, ურთიერთობაში, ერთმანეთთან შეხვედრაში. თუმცა, თუ ისინი გადაწყვეტდნენ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას, მათ საკუთარი მშობლებისგან უნდა ჰქონოდათ კურთხევა, მათი ერთობის მთავარი გარეგნული ფაქტორი კი უნდა ყოფილიყო მთავარეპისკოპოსი. მეორე მთავარი ფაქტორი იყო ის, რომ ეს ორი ადამიანი ერთად ეზიარებოდა საყოველთაო ბარძიმს. დღესაც, მსახურებისას, ვახსენებთ საყოველთაო ბარძიმს, თუმცა, აღარ ხდება ჯვრისწერის დროს მათი ზიარება.



**ზოგჯერ მხოლოდ ის აინტერესებთ, რომ წყვილი ჩაითვალოს ჯვარდაწერილად, მიიღოს გარკვეული „საშვი" ეკლესიიდან, დასტური, ნიშნად იმისა, რომ ამ ორ ადამიანს მომავალში შეუძლია, განაგრძოს თანაცხოვრება**

**– დღეს, არცთუ იშვიათად, ჯვრისწერამდე გარკვეული პერიოდით ადრე, წყვილები იწინდებიან. ხშირ შემთხვევაში ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ერთად თანაცხოვრებას ეკლესიურად მოუძებნონ გამართლება. ეს მისაღებია?**

– ადრეც და ახლაც არსებობს ჯვრისწერისთვის ხელის შემშლელი გარემოებები. ამიტომაც გვაქვს კანონიკური სამართალი, რომელიც აწესრიგებს ყველა საიდუმლოს, აღარაფერს ვამბობ დოგმებზე, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ანუ, არსებობს გარემოებები, რითაც ორ ადამიანს მიეცა ერთად ცხოვრების უფლება და ასევე, არის ხელის შემშლელი გარემოებები, რომლებსაც, ასევე, ეს კანონები აწესრიგებს და ასეთ დროს არ შეიძლება ორი ადამიანის ერთად ყოფნა. ასეთი ფაქტორები ბევრია: ღალატი, ადამიანის ბუნებრივი და ფიზიკური შეზღუდულობა; ასევე, თუ მამაკაცს არ შეუძლია თავისი გენეტიკური, მამაკაცური მოვალეობის შესრულება; თუ არის იმის საშიშროება, რომ ადამიანი, ამ შემთხვევაში მამაკაცი, ძალადობს ქალზე. ეს ყველაფერი განაპირობებს იმას, რომ ორმა ადამიანმა არ იცხოვროს ერთად. დღეს ხშირად წყვილი ქორწინებამდე რაღაც პერიოდით ადრე მოდის ეკლესიაში და იწინდება. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ზოგჯერ წყვილები იმიტომ იწინდებიან, რომ იურიდიული საბუთი მიეცეს მათ თანაცხოვრებას, – რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.

მინდა აღვნიშნო, რომ დაწინდული წყვილის დაშორება არ შეიძლება – ამას გვამცნობს ეკლესიის კანონიკა. დასაშორებლად რამდენიმე მიზეზი არსებობს: ღალატი; ერთ-ერთი ადამიანის სიკვდილი; გონებრივი ან ფიზიკური ჩამორჩენილობა ან ძალადობა. დაწინდვაზე უარის თქმისას წყვილი ეპისკოპოსთან მიდის კურთხევის სათხოვნელად. მეხუთე-მეექვსე საეკლესიო კრებების 92 კანონი კრძალავს დაწინდულის სხვასთან დაწინდვას და იგივე მრუშობაში უთვლის ამას, რადგან, მან სხვასთან დადო პირობა და ბეჭდები გაცვალეს, რაც სულიწმიდის ერთობას ნიშნავს. ამიტომ წყვილმა წინასწარ კარგად უნდა გაიცნოს ერთმანეთი. ჩვენ, მოძღვრებს, არაერთი მანდილოსანი გვინახავს, რომლებიც იმეორებენ: გავთხოვდი და, აღმოჩნდა, რომ ის ძალიან ცუდია; მიწევს ბევრი რამის მოთმენა – ხშირად ჩაგვრისა და აგრესიისაც კი; ვერსად მივდივარ, რადგან არ მაქვს წასასვლელი, ანუ, გამოდის, რომ, ან უნდა მოვითმინო, ან – განვქორწინდე. ამ დროს ერთი საკითხი ჩნდება, რასაც დიდი ყურადღება ექცევა კანონიკურ სამართალში: სანამ ადამიანი თავის ცხოვრებას მეორე ადამიანს დაუკავშირებს, ის მანამდე უნდა დაფიქრდეს, კარგად გაიცნოს და მხოლოდ ამის მერე მიიღოს გადაწყვეტილება. შეიძლება, ვიღაცამ თქვას – დავაკვირდი, მაგრამ არაფერი ემჩნეოდაო. ეს გამორიცხულია. თუ ერთი ადამიანი მეორეს კარგად აკვირდება, არ შეიძლება, მან ვერ შეისწავლოს ის იმ დონეზე, რა დონეზეც მომავალში წაადგება. რადგან, როცა ჩვენ ახლოს ვიწყებთ ურთიერთობას, კარგთან ერთად ბევრჯერ თავს იჩენს მანკიერებებიც. ამიტომ, ასეთ დროს ყველა უნდა დაფიქრდეს – მისთვის, როგორც პოტენციური მეუღლესთვის, იქნება თუ არა სასარგებლო, რომ მას დაუკავშიროს ცხოვრება; შეუძლია თუ არა მისი მანკიერებების დათმენა და ატანა და მხოლოდ ამის მერე უნდა გადადგას სერიოზული ნაბიჯი.

**– ბევრი წყვილი ჯვარდაუწერლად იწყებს ცხოვრებას და მიზეზად იმას ასახელებენ, რომ არ სურთ აჩქარება, უნდათ, რომ კარგად გაიცნონ ერთმანეთი თანაცხოვრებისას და მხოლოდ შემდეგ დაიწერონ ჯვარი, მაგრამ სასულიერო პირები ხშირად ასეთ ადამიანებს სჯიან, არ აძლევენ ზიარების უფლებას. ეს სწორია?**

– ეკლესია, უბრალოდ, აფრთხილებს ადამიანს, რა შედეგი შეიძლება მოუტანოს მას ასეთმა საქციელმა, განსაკუთრებით კი – ქალს. როდესაც ორი ადამიანი ერთად ცხოვრობს დაუკანონებლად, შემდეგ კი ისინი ერთმანეთს შორდებიან, ხშირად სწორედ ქალი გამოდის დაზარალებული, განსაკუთრებით – ჩვენს საზოგადოებაში. როგორც უკვე აღვნიშნე ადრე ჯვრისწერის საიდუმლო გულისხმობდა ზიარებას, საერთო ბარძიმთან მიახლებას, ანუ ქრისტეში, ღმერთში ამ ორი ადამიანის ერთობას. დღეს ეს ორი საიდუმლო ცალ-ცალკეა. შეიძლება, წყვილი დიდხანს ცხოვრობს ერთად, შვილებიც ჰყავთ, მაგრამ, არ არიან ჯვარდაწერილები, თუმცა კი ეკლესიაში დადიან და მცნებებზე დაყრდნობით ცხოვრობს. უბრალოდ, ვერ მოახერხეს ჯვრისწერა, რადგან გარკვეული მიზეზები აქვთ, მაგრამ აანალიზებენ, რა არის აღსარება, ზიარება, რას მიახლებიან ისინი და უნდათ ზიარების საშუალებით მაინც გამოაცხადონ ქრისტეში ერთობა. რა თქმა უნდა, ასეთ დროს მათ მოძღვარმა არ უნდა დაუმალოს ზიარება. ეს რომ ხდებოდეს პირველ საუკუნეში, არავინ აზიარებდა, მაგრამ, რადგან დღეს ჯვრისწერა და ზიარება ორი სხვადასხვა საიდუმლოა, ამიტომაც, თუ ადამიანი ცდილობს და მომზადებულია ამისთვის, მღვდელმა უნდა აზიაროს. როდესაც აკრძალვებზე ვსაუბრობთ, არც ეკლესია, არც ერთი კანონი, მცნება თუ სჯულისდება არ არის კატეგორიული მოთხოვნა; ეს არის თხოვნა, და თუ ეკლესია რამეს გთხოვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ, ადამიანს, მოქმედების, აზროვნების, გადაადგილების, სუნთქვის უფლება გერთმევა. წმიდა მამები ამბობენ, რომ ორი ადამიანის ერთმანეთთან შეკავშირება სამების განსახიერებს; ეს ორი უკვე ერთია და მესამე – სიყვარულია, რომელიც ამ ორ ადამიანს ღმერთთან აერთიანებს. ქორწინება არ არის მხოლოდ ხორციელი ლტოლვა. ეკლესია გვეუბნება, რომ, არ შეიძლება ორი ადამიანის ერთად ცხოვრება, თუ იქ მხოლოდ სულიერი თანაცხოვრება იქნება; სრულყოფილია ქორწინება, როცა სულიერ თანაცხოვრებასთან ერთად ხორციელი თანაცხოვრებაც არსებობს. ანუ, ორივე ერთად არის აუცილებელი.

**ნათია უტიაშვილი**

# ერისმთავრის მოქცევა

ერთხელ სტეფანოზ ერისმთავარი, რომელიც იმ დროს ქართლს განაგებდა, ღვთისმოსაობის დასამტკიცებლად მღვიმეს ეწვია, რათა ნეტარი მამა შიოს საფლავისთვის ეცა თაყვანი. მან ბართლომე კათოლიკოსსაც მოუწოდა, რათა ისიც მისულიყო და ერთად შეკრებილიყვნენ. როდესაც კათოლიკოსის მოსვლა შეიტყვეს, მის შესაგებებლად ჯვრებითა და კელაპტრებით გამოვიდნენ. როგორც მამამთავარს შეჰფერის, ისეთი პატივით მიიღეს. კათოლიკოსმა ყველა მამისგან მიიღო ლოცვა-კურთხევა და თავადაც დალოცა ისინი. ეს ყოველივე რომ სტეფანოზმა დაინახა, შურით აღივსო, რადგან ღვთის მონებმა მას მსგავსი პატივი არ მიაგეს. იგი ამპარტავანი და ბოროტი შურით აღსავსე კაცი იყო და ეკლესიებსაც ძალიან ბევრ ცუდს უკეთებდა.

გაბოროტებულმა მთავარმა მონასტრის წინამძღვარს მოუხმო და უპატივცემულოდ უთხრა: „რატომ შეურაცხმყავი, რამეთუ არავითარი მთავრობის პატივით არ მომეგებე, ხოლო თქვენი ეპისკოპოსი ადიდეთ“. წინამძღვარმა ხმადაბლა მიუგო: „უფალო მთავარო, ჩვენ ეკლესიის წესებს ვართ ჩვეულნი, რომლებიც გვასწავლის, რომ ქრისტეს მსგავსად მწყემსნი გვყავდეს და რატომ გამოვჩნდეთ ებრაელთა ყრმებზე უსწავლელნი, რადგან სახარებიდან გვისწავლია, რომ მათ პატივი სცეს მეუფის შესვლას იერუსალიმში. აწ მეუფის მსგავსად პატივს ვცემთ კათოლიკოსს, რომელიც უფალმა თავისი ეკლესიის სიძედ, თავის ნაცვლად გამოირჩია“. ამ სიტყვებზე სტეფანოზმა თქვა: „ჩემზე უმეტესია ეპისკოპოსის საყდარი? მე მეფეთა ტახტზე ვზივარ და მეფენი არიან ღვთის ნაცვალნი ამ ქვეყანაზე“. წინამძღვარმა მიუგო: „მთავარო, კეთილად იტყვი, რადგან მეფეები ღმერთს სიმართლის, სახიერებითა და მოწყალებით ემსგავსებიან და მაშინ არიან ღვთის ნაცვალნი, მაგრამ, როგორც ვითარ შენს გონებას, ფრიად შორს ხარ ღვთის მსგავსებისაგან, რადგან ეგ შენი სიტყვები ამპარტავნებიდან და შურიდან მოდის და რადგან ეპისკოპოსებსა და ეკლესიის შვილებს ჯეროვან პატივს არ სცემ, რად უკრძალავ ღვთის მონებს უფლის მცნებები აღასრულონ?!“ ამ მხილებამ სტეფანოზი განარისხა და მონასტერს ორი აგარაკი წაართვა და თქვა, რომ არ მისცემდა თავის შეურაცხმყოფელებს საკუთარ მამულს. წავიდა და კიდევ მრავალი დასაშინებელი სიტყვა თქვა. იმ ღამეს მიადგა სტეფანოზს ვიღაც კაცი, დიდებული და ბერის სახით, ხელში ოქროს კვერთხი ეპყრა და უთხრა სტეფანოზს: „სტეფანოზ, ბოროტო და მედგარო, რატომ წაართვი ჩემს მონასტერს აგარაკები, დამიჯერე, თუ უკან არ დაუბრუნებ, შენზე ღვთის რისხვას მოვავლენ“... გაღვიძებულმა მთავარმა ეს ზმანებად მიიჩნია და არ ირწმუნა. მეორე ღამეს კვლავ გამოუჩნდა იგივე დიდებულად სახილავი კაცი კვერთხითა და ჯვრით ხელში და უთხრა: „შვილო ბნელისაო, სტეფანოზ, რადგან ღვთის სულგრძელებას აუბრალოებ შენი ანგარებიანი გონების გამო, სიმართლეს გეტყვი, თუ უკან არ დააბრუნებ აგარაკებს, ყველას თვალწინ საწყალობელს გაგხდი და მოულოდნელ მწუხარებას შეგამთხვევ“. სტეფანოზმა შეშფოთებულმა გამოაღვიძა, მოუწოდა ერთ თავის მონას და უთხრა: „ახლავე წადი, მიდი წმიდა შიოს მონასტერში და უთხარი წინამძღვარს, რომ ის აგარაკნი კვლავ დაიბრუნოს, რომელიც მე წავართვი და სთხოვე, ილოცონ ჩემთვის“. როდესაც მსახურმა წასვლა დააპირა, ვერ შეძლო სასახლის კარიდან გასულიყო, ფეხები თითქოს ბორკილებით შეეკრა. ეს რომ სტეფანოზმა დაინახა, განცვიფრდა და საშინელმა წუხილმა შეიპყრო. ხშირი საურავისგან დაღლილმა ჩათვლიმა და მაშინვე ნეტარი შიო უკვე არა ძილში, არამედ ცხადად წარმოუდგა, გააღვიძა იგი და უთხრა: „ჰოი, საწყალობელო და ბრმაო გულითა სტეფანოზ, აჰა, შენი გულის მსგავსად, თვალებითაც დაბრმავდებით შენ და შენი ცოლ-შვილი და ცოფით განგსწავლოს შენ უფალმა უმჯობესი საქმის საკეთებლად“. მთავარს და მის ცოლ-შვილს მყისვე გაუქრათ თვალთაგან ნათელი. გახელებულები საწყალობლად ღაღადებდნენ და ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ მონა ღვთისა შიოს მიერ იგვემებოდნენ. ქართლის წარჩინებულმა მთავრებმა გულისხმა ჰყვეს და კრულნი ნეტარი შიოს მღვიმედ წოდებულ მონასტერში წაიყვანეს.

როდესაც მონასტრის მამებმა ყველაფერი შეიტყვეს, სასწრაფოდ ეკლესიისკენ გაემართნენ, ძელს ჰკრეს, რათა ყველა ძმა შეკრებილიყო და საწყალობლები წმიდანის სფლავთან მიიყვანეს. ილოცეს მათთვის, შემდეგ მამასახლისმა წმიდანის საფლავიდან მტვერი აიღო და ბარძიმში ჩაყარა, ასვა იგი სტეფანოზსა და მის ცოლ-შვილს და განცოფებულნი მყისვე მოეგენ გონს. მაგრამ, მათი სიბრმავე ვერ განიკურნა. მაშინ ნეტარ შიოს ისინიც და მამებიც ცრემლით ევედრებოდნენ, ელოცა მათთვის. სტეფანოზმა მოუწოდა თავის მწიგნობარს და უბრძანა, დაეწერა სამეფო დაბათაგან ორი რჩეული დაბა, შემდეგ თავად აიღო ეს ქარტა, დადო წმიდა შიოს საფლავზე და გოდებდა: „აჰა, მამაო, პატიჟი ბრალისა ჩემისა, მიიღე ხელსწერილი ეს და შემინდე ბრალი ჩემი, რომელიც ჩემი უსჯულოების გამო, შემემთხვა და მიხსენი ამ სიბრმავისაგან“ და მოხდა დიდი საკვირველება: მათ მყისვე აეხილათ თვალი, ხედავდნენ ყველაფერს და ადიდებდნენ უფალსა და წმიდა შიოს. შემდეგ მთავარმა ქართლის ყველა ეკლესია გაათავისუფლა ხარკისაგან. ამ დღიდან სტეფანოზმა ეკლესიისთვის კეთილის ყოფა დაიწყო.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ღვთისადმი სასოების ძალა

ბიზანტიის იმპერატორი ვალენტოსი (308-387 წლები), არიანელობის (არიანელთა სექტა) დიდი ქომაგი და დამცველი, ცდილობდა ბასილი დიდის დარწმუნებას, რომ მას არიოზის კარნახით, მრწამსში ცვლილებები შეეტანა. ამ მიზნით, იმპერატორმა ბასილი დიდს ერთი თავადი მიუგზავნა, რომელიც მის დაყოლიებას ჯერ მოფერებითა და დაყვავებით ცდილობდა, მაგრამ, როდესაც ამ გზით ვერაფერი გააწყო, სტრატეგია შეცვალა და აგრესიული გახდა. ის დაემუქრა წმიდა მამას ქონების ჩამორთმევით, გადასახლებით, წამებითა და სიკვდილით დასჯითაც კი.

წმიდა ბასილი დიდის პასუხი უგუნური თავადისადმი ასეთი იყო: „ქონებას თუ წამართმევ, მით ვერც შენ გამდიდრდები და ვერც მე გამაღატაკებ, რადგან ჩემი ქონება ძველი ტანისამოსი და რამდენიმე წიგნია, – აი, სულ ეს არის ჩემი სიმდიდრე. გადასახლება არ მაშინებს, რადგან დედამიწა ყველგან უფლისაა. სიკვდილი ჩემთვის სიკეთეა, რადგან დააჩქარებს ჩემს მისვლას უფალთან, ვისთვისაც ვცოცხლობ, ვშრომობ და დიდი ხანია, მისკენ ვისწრაფვი“. ეს სიტყვები გაოგნებულმა თავადმა იმპერატორს მოახსენა. ვალენტოსი კი ასეთი მტკიცე რწმენის გამო დიდი პატივისცემით განიმსჭვალა ბასილი დიდის მიმართ. ამ შემთხვევის შემდეგ, თავადვე ეახლა წმიდა მამას, დიდხანს ესაუბრა მას და იმ დღიდან შეწყვიტა მისი დევნა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეუძლია თუ არა მოუნათლავ ადამიანს ეკლესიაში შესვლა და სანთლის დანთება?**

**პასუხი:** მოუნათლავ ადამიანს შეუძლია ეკლესიაში სანთლის დანთება, მაგრამ საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობის მიღება ეკრძალება.

**კითხვა: როგორ უნდა შეუხამოს ერთმანეთს მორწმუნე ადამიანმა ქრისტიანული სიმდაბლე და საკუთარი თავის შეფასება?**



**პასუხი:** სიმდაბლე გამოიხატება ადამიანის მიერ საკუთარი ნაკლის შემჩნევასა და სხვათა მიღწევების დანახვის უნარში. საკუთარი ნაკლის დანახვა აუცილებელია ნებისმიერ საქმეში წარმატებისათვის. ხოლო, როდესაც საკუთარ ნაკლს ხედავ, მაშინ ღირსებასაც კარგად დაინახავ და საკუთარი თავის შეფასება ძნელი არ არის.

**კითხვა: ჩემი მშობლები დიდი ხნის წინ დაშორდნენ ერთმანეთს. ახლა ისინი გარდაცვლილები არიან და დაკრძალულები არიან ცალ-ცალკე. როდესაც მშობლებს ვიხსენიებ ლოცვებში შეიძლება თუ არა მათი ერთად მოხსენიება?**

**პასუხი:** ისინი ერთად ცხოვრობდნენ თუ არა, მაინც თქვენი მშობლები არიან და ლოცვებში შეგიძლიათ მათი ერთად მოხსენიება.

**კითხვა: შეიძლება თუ არა სასაფლაოზე მოჭრილი ხის სახლში წაღება და შეშად გამოყენება გათბობის მიზნით?**

**პასუხი:** თქვენ შეგიძლიათ ამ ხის შეშად გამოყენება.

**კითხვა: როგორ მოვიქცეთ, როდესაც ურწმუნო ადამიანი რჩევას გვეკითხება?**

**პასუხი:** რჩევა მიეცით ქრისტიანული სიყვარულითა და გულისხმიერებით.



## ხახვი შეუცვლელი სამკურნალო ბოსტნეულია

ხახვი უებარი წამალია გაციების საწინააღმდეგოდ. სწორედ ამიტომ, გრიპის ეპიდემიის დროს, გირჩევთ, ჭამოთ ცოცხალი ხახვი, რადგან ის გრიპის გამომწვევი ვირუსების უმრავლესობას ადვილად კლავს.

1 თავი ხახვი გარეცხეთ, დაჭერით, დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში, შემდეგ წვენი გადაწურეთ და მიღებული ნაყენი დალიეთ. მასში შემავალი ვიტამინები ცხელ წყალში იშლება და, ამიტომ, ცხელი უნდა დალიოთ. შეგიძლიათ, ამ ნაყენს ცოტა თაფლიც დაუმატოთ.

ანგინის დროს კარგია ხახვისა და ცაცხვის ყვავილების ნაყენის ყელში გამოვლება. კერძოდ, 1 სადილის კოვზ ცაცხვის ყვავილს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით ოთახის ტემპერატურაზე თავდახურული ჭურჭლით. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ შეურიეთ ერთი ხახვისგან გამოწურული წვენი. ეს ნაყენი გამოივლეთ ყელში.

ბრონქიტი ხშირად გაციების შედეგია. ამ დროს ხახვი მართლაც უებარი წამალია: 1 თავი ხახვი გაფცქვენით და წვრილად დაჭერით. დააყარეთ ერთი ჩაის კოვზი შაქარი, დაასხით ცოტა წყალი და წამოადუღეთ. მიღებული სითხე უნდა დალიოთ თითო სადილის კოვზი, ყოველ ორ საათში ერთხელ, შვიდი დღის განმავლობაში.

კარგია რძეში მოხარშული ხახვიც: გაფცქვენით ხახვი, ჩადეთ 1 ჩაის ჭიქა რძეში, დადგით ცეცხლზე და ხარშეთ მანამ, სანამ ხახვი დარბილდება. შემდეგ ამოიღეთ, გააცივეთ, დაჭერით და მიირთვით.

ჩირქოვანი იარების მოსარჩენად: ერთი თავი ხახვი შეწვით ტაფაზე. გადმოიღეთ, შეაგრილეთ, დაამატეთ 1 სადილის კოვზი ნატურალური თაფლი და 1 სადილის კოვზი ფქვილი. მიღებული მასა კარგად აურიეთ და დაიდეთ ჩირქოვან იარაზე.

ხახვი მეტად კარგად მოქმედებს კბილებსა და ღრძილებზე. თუ გსურთ, ჯანმრთელი და მაგარი კბილები გქონდეთ, ჭამეთ დიდი რაოდენობით უმი ხახვი.

თუ პარადონტოზი განუხებთ, აიღეთ ერთი ღერი ალოეს ფოთოლი და ერთი ხახვის მეოთხედთან ერთად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. ეს მასა რამდენიმე წუთით პირში გაიჩერეთ. სისხლდენაც შეგიჩერდებათ ღრძილებიდან და ტკივილიც დაგიამდებათ.

## კომბოსტო შარდმდენი ბოსტნეულია

კომბოსტო სასარგებლოა როგორც ცოცხალი, ასევე მწნილის სახითაც. ის მადის მომგვრელი, შარდმდენი და მსუბუქი საფაღარათო საშუალებაა, აძლიერებს კუჭის სეკრეციას, კერძოდ, გამოყოფს წვენს; ასევე, აძლიერებს ნაწლავებში საკვების გადამუშავების პროცესს, გამოიყენება მონელების ქრონიკული დარღვევების დროს.

ახალი კომბოსტოს წვენი გამოიყენება ღვიძლისა და ელენთის დაავადებების, ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს. ის, ასევე, უებარი საშუალებაა ხველებისას, რადგან ამოსახველებელი ეფექტიც გააჩნია.

წყალში გაზავებული კომბოსტოს წვენი გამოიყენება ანთებითი პროცესების დროს ყელში გამოსავლებად.

კომბოსტოს წვენში აღმოჩენილია განსაკუთრებული ნივთიერება, მეთილმეთიონინ-სულფონიაქლორიდი, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური ზემოქმედება კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე და სპობს წყლულს.

კომბოსტოს წვენი მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში ორჯერ, ერთი თვის განმავლობაში, ოღონდ, ის ახალი გამოწურული უნდა იყოს.

## კუჭის წყლული მგრძნობიარე ადამიანების დაავადებაა

ხშირად ადამიანის სულიერი განცდები სტრესის სნეულებებით ინიღბება. შედეგად კი, შესაძლოა, ინფარქტი ან კუჭის წყლული განვითარდეს.

სტრესულ სიტუაციებში გარკვეული ტიპის ადამიანების კუჭში მარილმჟავას კონცენტრაცია იმატებს და ფერმენტ გასტრინ-17-ის გამოყოფა ძლიერდება. ნერვულ ფონზე აღმოცენებული კუჭის დაავადებები, ძირითადად, მელანქოლიკებს აწუხებთ, რომლებიც თვითგვემისკენ არიან მიდრეკილნი და სასოწარკვეთილებაშიც ხშირად ვარდებიან; ასევე, იმათაც, ვინც ადვილად იბოღმება და ხშირად ბრაზობს.

დამტკიცებულია, რომ საჭმლის მომნელებელ სისტემასა და ემოციებს შორის პირდაპირი კავშირია. აგრესია და ბოღმა ძალიან აჩქარებს საკვების კუჭში გავლას, შიში და დეპრესია კი, სპაზმების გამო, საჭმლის მონელების პროცესს აფერხებს.

კუჭის წყლულოვანი დაავადებები ემუქრება მასაც, ვინც მუდმივად სხვაზე ზრუნავს, გულთან ახლოს მიაქვს ყველაფერი და საკუთარ თავზე ბევრ დატვირთვას იღებს.

თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გაჩენის დიდი ალბათობა აქვთ ცხარე საკვების მოყვარულ ადამიანებს, ასევე, იმპულსურებს. ისინი ყოველთვის ცდილობენ, იმაზე უკეთესები იყვნენ, ვიდრე არიან და, როცა ეს არ გამოსდით, დეპრესიაში ვარდებიან, იბოღმებიან და შური მათ ჯანმრთელობასაც არყევს.

დეპრესიისა და სტრესის დროს ადამიანთა უმრავლესობას ცხარე საკვების, ყავის, ალკოჰოლისა და სიგარეტის მოთხოვნილება უჩნდება, ეს კი მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებს და ამძიმებს. უნდა შევძლოთ, თავად ამოვიცნოთ, რა არის კუჭის დაავადების მიზეზი.

ნამდვილი კუჭის წყლულის დროს ტკივილები კონკრეტულ ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. თუ ადამიანი შესაფერის საკვებს არ იღებს, სვამს ალკოჰოლს და ეწევა სიგარეტს, მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. ჩივილები კი ასე გამოიხატება: ავადმყოფს მკვეთრად გამოხატული ტკივილი აქვს; ტკივილი ქრება ანტაციდების და სხვა გამაყუჩებლის მიღების შემდეგ.

ნერვული წყლულის დროს კი აღინიშნება ტკივილი სტრესულ მდგომარეობაში. მას შეტევის ვეგეტატიური დარღვევებიც ერთვის, მაგალითად, შიში, ოფლიანობა, ფორიაქი; აღინიშნება ტკივილი ღამის საათებში, უძილობა; კუჭისთვის განკუთვნილი პრეპარატების მიღებისას მდგომარეობა არ უმჯობესდება; სამაგიეროდ, ტკივილი ყუჩდება, თუ ავადმყოფი ვოლოკორდინს, კატაბალახას წვეთებს და მსგავს დამამშვიდებელ საშუალებას მიიღებს.

## გამოდევნეთ ორგანიზმიდან მავნე წიდები და დაიზღვიეთ თავი მთელი რიგი დაავადებებისგან

ბევრი ადამიანი ორგანიზმიდან წიდების გამოდევნით ცდილობს ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ეკოლოგიურად მავნე ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმში დროდადრო მაინც გროვდება. ამ ნივთიერებების სრულად გამოდევნა თითქმის შეუძლებელია. ამ მხრივ, გაცილებით კარგ შედეგს იძლევა დიდი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნა; ასევე, მნიშვნელოვანია აბსოლუტურად ბუნებრივი საკვების მიღება, სასმელი წყალი კი მხოლოდ გაფილტვრის შემდეგ უნდა დალიოთ – მხოლოდ ასე დაეხმარებით თქვენს ორგანიზმს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული კენჭების გაჩენა გარდაუვალია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანს ნაწლავების მიკროფლორა აქვს დარღვეული, რაც დისბაქტერიოზის ბრალია. თუ ამას დაემატა ის, რომ ღვიძლიც ცუდად მუშაობს, წიდების დაგროვება გარდაუვალი იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ სისხლში მოხდება ტოქსინების დაგროვება, ეს ნივთიერებათა

# ექიმის რჩევები

ცვლის სერიოზულ დარღვევას გამოიწვევს. ხშირად ამ დაავადებას ზედმეტად გასუქებაც იწვევს, რადგან ამ დროს ორგანიზმს შეწოვის უნარი უქვეითდება.

ადამიანის ორგანიზმი თვითრეგულირებადი სისტემაა. თუ მისი ცალკეული ნაწილები და ორგანოები ნორმალურად ფუნქციონირებს, მასში წიდები არ გროვდება, ხოლო, თუ რომელიმე ორგანო თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს, ორგანიზმში წიდები გროვდება და მისი თვითმკურნალობით გამოდევნა თითქმის შეუძლებელია.

### რომელი საკვები გამოირჩევა აღმგზნები და რომელი – დამამშვიდებელი ეფექტებით

მცენარეული საკვები მდიდარია უჯრედისით. ის განაპირობებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კარგად მუშაობას, იცავს ადამიანის ორგანიზმს ათეროსკლეროზისა და კიბოსგან, რადგან, მასში არ არის ქოლესტერინი. მაგალითად, სოია თვითონ განაპირობებს სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირებას.

ხილი და ბოსტნეული მდიდარია ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმუნიტეტის შესანარჩუნებლად. ფიტონციდები, რომლებიც მცენარეულ საკვებში შედის, თრგუნავს ნაწლავებში მიმდინარე ლპობის პროცესებს.

ვეგეტარიანელები, ფაქტობრივად, არ ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, ჰიპერტონიითა და დიაბეტით; ასევე, ისინი უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ეს დაკავშირებულია არა მარტო კვებასთან, არამედ იმასთანაც, რომ ვეგეტარიანელები მეტ ყურადღებას უთმობენ საკუთარ ჯანმრთელობას.

არსებობს აღმგზნები და დამამშვიდებელი ეფექტების მქონე საკვებიც. დამამშვიდებელს მიეკუთვნება: ხილი, ბოსტნეული, რძე, კარაქი, მარცვლოვანი კულტურები; ხოლო აღმგზნებია: ხორცი, თევზი, კვერცხი, სანელებლები და ალკოჰოლური სასმელები.

თუ კარგად დააკვირდებით საკუთარ ორგანიზმს, ადვილად მიხვდებით, რომელი საკვები გჭირდებათ.

### გაიძლიერეთ მეხსიერების ხარისხი

მეხსიერების გასაუმჯობესებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკურნალო ბალახებს, რომელთა რეცეპტებსაც ახლა შემოგთავაზებთ:

* 2 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ასკილს შეურიეთ თითო სადილის კოვზი პიტნა, თირკმლის ჩაი და არყის ხის ფოთლები; ასევე, თითო სადილის კოვზი ორავანდის ფესვები და გახეხილი სტაფილო. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ ნახევარი საათით წყლის ორთქლზე. გააცივეთ, გაწურეთ და დაასხით ანადუღარი წყალი საწყისი ოდენობის მისაღებად. მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ნაყენი, სამჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

**კითხვა: მყავს 3 წლის ბავშვი. გამოტოვებული აქვს წლინახევრის აცრა... ახლახან ჰქონდა ყივანახველა. რამდენ ხანში შეიძლება, ეს დაგვიანებული აცრა ჩაუტარდეს? გამოვლენიდან რა პერიოდის მერე იქნება აცრა უსაფრთხო?**

**პასუხი**: ბავშვებს ყივანახველის გადატანის შემდეგ, აცრა უტარდებთ დიფტერია-ტეტანუსის ანატოქსინით. დაავადების გადატანიდან ორ თვეში, შეგიძლიათ, ჩაატაროთ ვაქცინაცია.

**კითხვა: ვარ 17 წლის, წავიქეცი და დავარტყი მყარ ადგილს თავი. გული არ წამსვლია, მაგრამ 2 დღეა, თავის ძლიერი ტკივილები და გულის რევის შეგრძნება მაქვს. თავბრუ მეხვევა და მოთენთილი ვარ, მაგრამ გული არ ამრევია. ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ, მცირე დროში, რა შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: არ არის გამორიცხული, ტვინის შერყევა ან სხვა ტიპის დაზიანება იყოს ჩივილის მიზეზი. გართულების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად უნდა გაესინჯოთ ნევროპათოლოგს. ნუ დააგვიანებთ ექიმთან მიმართვას. ასეთი ტრავმის შემდეგ საჭიროა სიმშვიდე და წოლითი რეჟიმი. სხვა რჩევებს და მკურნალობას მიიღებთ ექიმთან ვიზიტისას, მდგომარეობის ზუსტად შეფასების შემდეგ.

**კითხვა: მუდმივად მაქვს ყურების დაგუბება და გაბრუების შეგრძნება, საერთო სისუსტე, მოთენთილობა. ეს სიმპტომები გამოიხატა ერთი კვირის წინ, რა შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: ყურების დაგუბების მიზეზი შეიძლება იყოს ევსტაქიიტი - ხახისა და ყურის შემაერთებელი მილის ანთება, მიმართეთ ყელ-ყურის ექიმს.

**კითხვა: აყენებს თუ არა რაიმე ზიანს აეროპორტებში არსებული სკანერები ორსულს (ნაყოფს)? როგორც ვიცი, არანაირი გამოსხივება არ არის, მხოლოდ მაგნიტებია, რომლებიც საშიშ საგნებზე რეაგირებს. თქვენ რას მეტყვით?**

**პასუხი**: მეტალოდეტექტორებში, რომლებშიც ადამიანები გადიან კონტროლს, გამოიყენება დაბალსიხშირიანი ელექტრომაგნიტური ტალღები, რომლებიც არ არის საფრთხის შემცველი.

**კითხვა: არის თუ არა ორსულებში ჭარბწყლიანობა დამოკიდებული ჭარბი რაოდენობით სითხის მიღებასთან?**

**პასუხი**: არა, თუმცა, სითხის მიღებასაც სჭირდება კონტროლი. სანაყოფე წყლების სიჭარბის მიზეზი შეიძლება იყოს: ინფექცია ან გაციება; შაქრიანი დიაბეტი, დედისა და ბავშვის რეზუსშეუთავსებლობა, მრავალნაყოფიანი ორსულობა.

**კითხვა: ვარ 21 წლის ბიჭი და ასეთი რაღაც მემართება ხოლმე, თუმცა, არც ისე ხშირად: ზოგჯერ, დაწოლისას, ძილის დროს, ან, როცა მღვიძავს, გული იმდენად ძლიერად მიცემს, რომ საწოლი ირხევა. შეგიძლიათ, მითხრათ, რისი ბრალია ან რა ხდება?**

**პასუხი**: ასეთ შემთხვევაში სავარაუდო მიზეზებად შეიძლება განვიხილოთ მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ფსიქოემოციური გადაძაბვა, ცენტრალური ნერვული და/ან ვეგეტატიური ნერვული სისტემის ესა თუ ის პათოლოგია. გირჩევთ, კვლევის საწყის ეტაპზე ენდოკრინოლოგს მიმართოთ. თუ ამ მიმართულებით პათოლოგია არ გამოვლინდა, მაშინ, თანმიმდევრულად, კარდიოლოგთან და ნევროპათოლოგთან ვიზიტები იქნება საჭირო.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



* თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს: დაქუცმაცებული ნეგო, კრაზანა, გვირილა და არყის ხის კვირტები. 4 სადილის კოვზი ნარევი ჩაყარეთ მინის ქურქელში, დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ ნახევარი საათით; შემდეგ გაწურეთ და საღამოს დალიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლით გაზავებული 1 ჭიქა თბილი ნაყენი. დილით შეათბეთ დარჩენილი 1 ჩაის ჭიქა ნაყენი, დაამატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და მიიღეთ უზმოზე. ერთი საათის შემდეგ კი, შეგიძლიათ, ისაუზმოთ.

შეგახსენებთ რომ, სამკურნალო მცენარეები უნდა შეიძინოთ აფთიაქში.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რატომ ჰქონდა კაკო კვანტალიანს მუდმივად ცოლისდის ვალი და როგორ აგიჟებდა ის დოდო აბაშიძეს

„ის ორმოცდაშვიდი წლის წინ, 60 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსულტით. მე არ დავიწყებ იმის მოყოლას, თუ რა დონის მსახიობი იყო იგი და როგორ უყვარდა მაყურებელს. კაკო კვანტალიანი გრიშა კოსტავას მეგობარი იყო. ის ხშირად აკითხავდა პარტიულ ბოსებს გაჭირვებულებისთვის დახმარების სათხოვნელად, მაგრამ, სძულდა კომუნისტური პარტია. პარტიაში ცოცხალი თავით არ შევიდა – არ ვარ, ბატონო, პარტიის ღირსიო. სწორედ უპარტიობის გამო დაკარგა ლენინის როლი. თავსაც დაკარგავდა, იღბლად, გადაღებებზე რომ არ ყოფილიყო დაკავებული და იმ შეკრებებზე ევლო, სადაც გრიშა კოსტავა დადიოდა. არადა, აპირებდა, თურმე, მაგრამ, გადაღებები, რეპეტიციები... და ის გადარჩა. გრიშა კოსტავა დახურულმა სასამართლომ უმძიმესი ბრალდებით გაასამართლა და თავისუფლება აღუკვეთა. კაკო კვანტალიანმა მოახერხა და სასამართლოს შემდეგ გრიშა კოსტავა და მედეა ჯაფარიძე ერთმანეთს შეახვედრა. სწორედ მაშინ უთქვამს გრიშა კოსტავას თავისი ულამაზესი მეუღლისთვის, რომ დროულად გათხოვილიყო, რადგან მოცდას აზრი არ ჰქონდა... შემდეგ სწორედ მედეა ჯაფარიძის ხელშეწყობით შეირთავს კაკო კვანტალიანი მასზე გაცილებით ახალგაზრდა ქალს, მშვენიერ მაია ჭიპაშვილს – რეპრესირებული ოჯახიდან და მის უმცროს დებს მამობას გაუწევს (კაკო კვანტალიანის მეუღლე 26 წელიწადი ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმს). გრიშა კოსტავას დაპატიმრების მერე მისი ძმა – მერაბ კოსტავას მამაც დააპატიმრეს. გადასახლებიდან დაბრუნებული ოჯახი კვანტალიანებმა სადილზე მიიპატიჟეს, მაშინ, როცა ბევრს მათთვის გამარჯობის თქმისაც კი ეშინოდა...“ (წყარო: http://www.ptpress.ge) დღეს ჩვენ ამ არაჩვეულებრივი კაცის დღიურებს დაგათვალიერებინებთ, რომლის წაკითხვაც დიდ სიამოვნებას მოგგვრით.





„კაკო კვანტალიანი დაიბადა სამტრედიაში. იქვე, სამტრედიაში, კიბის ქვეშ მოწყობილ სცენაზე დაუწყია არტისტობა და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისში წამოსულა. სწავლობდა უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 21 წლისა კი უკვე მარჯანიშვილის გვერდითაა – კიბის ქვეშ მოწყობილი სცენიდან პირდაპირ მარჯანიშვილის ორბიტაზე მოხვედრილა. ჯერ მარჯანიშვილმა იწამა მისი ნიჭიერების, შემდეგ – მთელმა საქართველომ... მას უყვარდა: სცენა, ეკრანი, ქეიფი, სმა, კიტრი და, რაც მთავარია, ადამიანები და სიკეთის ქმნა. თავის პროფესიასა და პოპულარობას დაუზოგავად იყენებდა სიკეთის საკეთებლად... ხშირად აკითხავდა პარტიულ ბოსებს – ხან ვისი ბინის თაობაზე, ხან – ვისაზე. როცა სხვა საქმეზე მიდიოდა, მდივნებს აფრთხილებდა: უთხარით, ამჯერად ბინა არ მინდა, სხვა საკითხზე მოვედიო!“





***

„მსახიობის დედა – ანეტა, სესილია თაყაიშვილის „ოლღა ბებიას“ პროტოტიპი იყო. თავად სესილია თაყაიშვილი ამბობდა: „მე თუ ვინმემ შთამაგონა და თუ ვინმე მედგა თვალწინ ოლღა ბებიას როლის თამაშისას, ეს კაკო კვანტალიანის დედა, ქალბატონი ანეტა გახლდათ! ქალბატონი ანეტაც, ოლღა ბებიას მსგავსად, ზრდიდა ობოლ შვილიშვილს – ბიძინა კვანტალიანს, რომელსაც დედა 6 თვისას გარდაეცვალა.“



## უკიტროდ დარჩენილი კაკო

კვანტალიანს უზომოდ ჰყვარებია კიტრი და მწვანილი. ხმა დადიოდა, კაკო კვანტალიანი ძილშიც კირტს ჭამსო. ყიდულობდა თვითონ, თან – ბლომად და, ყოველდღე მიირთმევდა. ერთხელ ბიძინა კვანტალიანს უკვე ავადმყოფი ბიძისთვის წყნეთში 40 კილო კიტრი აუტანია. მესამე დღეს მსახიობს ძმისწულისთვის დაურეკავს: „არ გრცხვენია, ბიძინა, ბიჭო, უკიტროდ მტოვებ“? რომ უკითხავს, 40 კილო იყო, რა იქნაო, უპასუხია: მე რომ მიყურებენ, ესენიც მადაზე მოდიან და ყველანი ჭამენო“...



***

„მაგი რომ ჭამს და მაგი რომ სვამს, მე ცალ ყურში ჩავისხამო“, – დაუტრაბახია კვანტალიანის ქებით გულმოსულ დოდო აბაშიძეს.

მსახიობებმა გადაწყვიტეს და მოაწყვეს მათი „სმაჭიდი“: აქეთ კაკო დასვეს, იქით – დოდო. სასმელიც და საჭმელიც თანაბრად მიუტანეს. მოილხინეს, სვეს, სვეს... გვარიანად შეთვრნენ და გამთენიისას დაიშალნენ. შინ მისულმა კვანტალიანმა დაიძინა. ახლობლებმა მიაკითხეს და მეუღლემ უთხრა, კაკოს სძინავსო. შესჩივლეს ახლობლებმა – ქორწილი გვაქვს და, ბატონი კაკო რომ თამადა არ იყოს, ქორწილს ეშხი დაეკარგებაო. „ქორწილიო?!“ – გაიგონა მძინარე მსახიობმა, მერცხალივით წამოფრინდა და ბიჭებს გაჰყვა. გაჰყვა და კვანტალიანებთან ტელეფონი აწკრიალდა – დოდო აბაშიძის დედამ დარეკა გულშეწუხებულმა: დოდოს ექიმები ახვევია, მგონი, მოწამლულია. ამბობს, კაკოსთან ერთად დავლიეო და კაკო როგორლააო.



კაკო კარგადაა, ქორწილში წაიყვანეს თამადადო.

დოდო აბაშიძეს უთქვამს: რა მრჯიდა, ვის ვეჯიბრებოდიო“.

***

„თავდაუზოგავად მუშაობდა თეატრში, კინოში, ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას, მაგრამ, მისი ხელფასი მაინც ვერ აუდიოდა მის პურმარილიანობას. მუდამ ცოლისდის ვალი ჰქონია და მეუღლესთანაც ხშირად კამათობდა ფინანსურ საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი დავის შემდეგ, უმცროს ძმას, ვასოს, საქეიფოდ დაუპატიჟებია. ცოლი გაცეცხლებულა, მაგრამ, მაზლს დაუმშვიდებია: რამდენ ჭიქასაც დალევს, იმდენი თუმანი ჩემზე იყოსო. კვანტალიანი წაჰყოლია და 44 ჭიქამდე ასულა (ძმისწული, ბიძინა კვანტალიანი ითვლიდა და ჭიქების რაოდენობასაც „ბერავდა“). ბოლოს ვასოს თანხა დაუმრგვალებია და რძლისთვის 500 მანეთი გაუგზავნია. ქალი მაინც ბრაზობდა: ისე ას ჭიქას სვამ და ახლა რა გეტაკა, 44 ჭიქაზე მეტი ვერ დალიეო?!.“

***

„უყვარდა, როცა ვინმეს ეხმარებოდა – შინაურს თუ გარეულს. როცა მორიდებით ჰკითხავდნენ, ამას და ამას თუ იცნობთო, პასუხობდა: მე თუ არ ვიცნობ, ის ხომ მიცნობსო და დასახმარებლად მისდევდა. ყველა მასთან მიდიოდა – ვის ბინის მიღება უნდოდა, ვის თბილისში ჩაწერა, ვის წართმ-

# როგორ იპოვეს ერთმანეთი მეგობრებმა წლების შემდეგ და შეხვდებიან თუ არა ისინი ერთმანეთს

***ლეონიდ ვასილის ძე ხომენკო ეძებდა 1958 წელს დაბადებულ ტარიელ გელაშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ 1958 წელს დაბადებულ ტარიელ გელაშვილს. მე და ტარიელი ერთად ვმსახურობდით ჯარში. უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც მეგობართან კავშირი შემიწყდა. მინდა, მის პოვნაში დამეხმაროთ. მაქვს ტარიელის 1975-1977 წლებში გადაღებული ფოტოები. იმედია, ისინი მის პოვნაში რამენაირად მაინც დაგვეხმარება. ტარიელთან კავშირი სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ არ მქონია, თავად მე უკრაინაში ვცხოვრობ, მეგობარს კი საქართველოში ვეძებ.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია „თბილისელებში“ დაიბეჭდა ამა წლის ოქტომბერში. ტარიელ გელაშვილის პოვნა, საბედნიეროდ, მალე მოხერხდა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ყველა ისტორია ასე მალე და წარმატებულად დამთავრდეს. დღესდღეობით კონტაქტი ჯარის მეგობრებს შორის აღდგენილია.

***ინტერვიუ ნაპოვნ ტარიელ გელაშვილთან:***

***– როგორ გაიგეთ, რომ გეძებდნენ?***

– სანამ თქვენს რუბრიკას წავიკითხავდი, მეგობრებმა დამირეკეს. მათ უკვე წაკითხული ჰქონიათ თქვენი სტატია და მაშინვე მითხრეს, რომ მე მეძებდნენ. ძალიან გამიხარდა და მეც მაშინვე წავიკითხე. გავოცდი, როდესაც გავიგე, რომ ლეონიდი მეძებდა, იმიტომ, რომ ამას არ მოველოდი. ეს იყო კარგი გაოცება, ანუ, შეიძლება ამას სიხარულიც ვუწოდო. პირადად მე სულ მინდოდა ლიონიასთან დაკავშირება, მაგრამ, ამას ვერ ვახერხებდი – არ მქონდა მისი კოორდინატები. დიდი მადლობელი ვარ, რომ ერთმანეთი გვაპოვნინეთ.



***– არასდროს გიფიქრიათ ჯარის მეგობრის მოძებნა?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე, ჯარის ალბომს რომ გადავშლი, ლეონიდი პირველ პლანზე მყავს. მართლაც ძალიან დავმეგობრდით ჯარში და, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მოვიდოდა ისეთი დრო, როდესაც ერთმანეთს ველარ დავუკავშირდებოდით. მადლობა ღმერთს, მან მოინდომა და მომძებნა, მე ამას თავს ვერ მოვაბამდი. მიხარია, რომ ვიპოვეთ ერთმანეთი და ახლა უკვე შეგვიძლია გვქონდეს კავშირი და, თუკი შევძლებთ, შევხვდებით კიდეც ერთმანეთს.



***ინტერვიუ ლეონიდ ხომენკოსთან (ვინც ეძებდა):***

***– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ თქვენი მეგობარი ნაპოვნია?***

– დიდი მადლობა იმისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ. როდესაც გავიგე, რომ ტარიელი იპოვეთ, ძალიან გამიხარდა. მისი პოვნის იმედი მქონდა, მაგრამ, ასეთ მოკლე დროში თუ მოხერხდებოდა, ამას არ მოველოდი. როდესაც ტარიელის მოძებნა გადავწყვიტე, ბევრმა ჩემმა მეგობარმა ეს სერიოზულად ვერც კი მიიღო – როგორ იპოვი, შენ უკრაინაში ხარ, ის კი – საქართველოში და სოციალურ ქსელებშიც არ არისო, მაგრამ, მე მაინც შევძელი და ვიპოვე ჩემი მეგობარი. მასთან უამრავი კარგი მოგონება მაკავშირებს და ახლა ჩვენ ერთად გავიხსენებთ განვლილ ახალგაზრდობას, შორეულ 1975-1977 წლებს.

***– აპირებთ თუ არა შეხვედრას და როგორ დააგვირგვინებთ ერთმანეთის პოვნას?***

– ტარიელის ნახვა, რა თქმა უნდა, მინდა, მაგრამ, მოგეხსენებათ დღევანდელი ვითარება ჩემს ქვეყანაში. ნამდვილად არ ვიცი, რა იქნება მომავალში, ამიტომ, ეს მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული. მთავარია, რომ ტარიელს აღარ დავკარგავ და გვექნება სატელეფონო კავშირი. გამიხარდა, რომ მასაც უნდოდა ჩემი პოვნა. საქართველო ყოველთვის მიზიდავდა და მიყვარდა. თუ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოვახერხებ და ჩამოვალ, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, მაგრამ, ამას უკვე დრო გვიჩვენებს.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

ეული მართვის მოწმობის დახსნა. დიდუბის მილიციის წინ გავლისას მილიციას ხმამაღლა ესალმებოდა: „მე მიცავს ჩემი მილიცია!” მილიციაც უზომო სიყვარულით პასუხობდა. ერთხელ, ახალგაზრდობაში, ნაღვინევ ოთარ მეღვინეთუხუცესს უჩხუბია – ვიღაც უცემია და მილიციას დაუკავებია. ვინ არ მიუგზავნიათ, მაგრამ, არ გამოუშვიათ. ბოლოს კაკო კვანტალიანი მისულა. მილიციის უფროსს მაშინვე უთქვამს: ერთი პირობით გამოვუშვებ: თუ საქეიფოდ გამომყვებითო! მეღვინეთუხუცესი შინ გაუშვეს, მის ნაცვლად კი კვანტალიანი „დააკავეს“ სუფრასთან... პირსისხლიან ბერიასთან. ნამდვილ დაპატიმრებას კი ბეწვზე გადაურჩა: ერთხელ – ბერიასგან, შემდეგ – მჟავანაძისგან... კვანტალიანს სამჯერ მოუწია შეხვედრა ბერიასთან. მისგან მიღებული შთაბეჭდილებები მოგვიანებით თენგიზ აბულაძეს გაანდო და „მონანიებაში“ აისახა კიდეც მისი ნაამბობი მოზაიკურად – კარადიდან გადმოსვლის სცენა სწორედ კვანტალიანს უამბია რეჟისორისთვის. კვანტალიანს თვით ბერია დამუქრებია გაქრობით და მეორე დღეს მსახიობი თეატრში ცოცხალი რომ მისულა, მთელი დასი სახტად დარჩენილა. სასწაულის არსი: ზუსტად იმ საღამოს ბერია დაუწინაურებიათ და მოსკოვში გადაუყვანიათ, ტრიუმფატორ სისხლისმსმელს კი ვიღაც კომიკი არტისტისთვის აღარ ეცალა”...

***

„კვანტალიანი პოლიკარპე კაკაბაძის „ცხოვრების ჯარაში“ მეცნიერებაში ფეხშემდგარ, პარტიული კარიერიდან დათხოვნილ გენერალს თამაშობდა. მჟავანაძესთან დაასმინეს, შენ გასახიერებსო. წააგავდა კიდეც თურმე გრიმით. მერე ფეხს ითრევდა, როდესაც მჟავანაძესთან შესვლა მოუწია საყოფაცხოვრებო საკითხებზე. მჟავანაძეს თბილად მიუღია და საიდუმლოდ გაუნდია კიდეც, მეც კარგად ვიცი, რასაც ვემსახურები, მაგრამ, რა ვქნაო. იმ როლზე სიტყვა არ დასცდენია. თვითონ კვანტალიანს მოუყოლია, ასე და ასე დამაბრალესო. არც ეგ შეუცხადებია ვასილ პავლოვიჩს, და, საერთო ჯამში, კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია”.

**ეკა პატარაია**

---

## მ ა დ ლ ო ბ ა

გაგიკვირდებათ, როცა ონკოლოგიური კლინიკიდან გამოსული, ნაოპერაციევი ადამიანი იტყვის, ბედი მქონიაო. გარწმუნებთ, მართლაც მქონია ბედი, რადგან სამკურნალოდ მოვხვდი „მარდალეიშვილის სამედიცნო ცენტრში”.

საქართველოში ბევრი კარგი ექიმია, თუმცა ამ კლინიკაში იშვიათ პროფესიონალებს შეხვდებით. უპირველესად, უნდა აღვნიშნო, უკვე ლეგენდადქცეული, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ერეკლე ცინცაძე; ახალგაზრდა, საკუთარ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული პროფესიონალი, დაუზარელი, ნიჭიერი ექიმი, მედიცინის დოქტორი იგორ მარდალეიშვილი. ბატონი იგორის მსგავსი ახალგაზრდა სპეციალისტთა თაობა მაძლევს იმის იმედს, რომ საქართველოში მედიცინა მსოფლიო დონეზე ავა. მით უმეტეს, როცა მათ ისეთი პედაგოგები ჰყავთ, როგორიც ბატონი ერეკლე ცინცაძეა.

აქვე მინდა, აღვნიშნო სხვა სპეციალისტების თავდადებული შრომა. ესენი არიან: ანესთეზიოლოგი გამრეკლიძე; ექიმი ენდოკრინოლოგი თამარ მაკარიძე; თერაპევტები – მურუსიძე, ლორთქიფანიძე; ექიმი-ლაბორანტი; რენტგენოლოგი. საოპერაციო ბლოკის თანამშრომლები, რომლებიც ჩემი ოპერაციის დღეს, 27 მარტს მორიგეობდნენ.

არ შეიძლება, არ აღვნიშნო გულისხმიერი და შრომისმოყვარე ექთნებისა და სანიტრების თავდაუზოგავი შრომა. ესენი არიან: მაიკო და ნინო ლაზაშვილები, ლია თათრიშვილი, თამუნა ქობულაშვილი. ხათუნა ჩიტიშვილი, ხათუნა ჭილლაძე, ნინო კორკოტაშვილი, ეკა პაპელიშვილი, მარინე ლომიძე, ლალი და დარიკო პავლიაშვილები, მარიკა ბარნოვა, მანანა სალხინაშვილი, ნინო ლომიძე. დიდი მადლობა კვების ბლოკის ყველა თანამშრომელს, დაცვის თანამშრომელს – მჭედლიშვილს, ადმინისტრაციაში რეგისტრატორ მარიამ გიორგობიანსა და ტატა რობიტაშვილს.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, პაცენტების მიმართ გამოჩენილი სითბოსა და ყურადღებისთვის.

ბატონო ერეკლე, ბატონო იგორ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, სრულად მოგემკოთ დათესილი სიკეთე. თქვენისთანა ადამიანების იმედად არსებობს ეს ქვეყანა.

***P.S. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, მაგრამ ვინძლო, დაგჭირდეთ მკურნალობა, მიმართეთ „მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრს.”***

**სამყაროში ბევრი ფაქტი თუ მოვლენა ამოუცნობი რჩება და ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია ბევრი კითხვა. როგორც ბატონი გიგი ამბობს, ის გამორჩეული ადამიანია, რაც მას ბავშვობიდან შეამჩნიეს გარშემო მყოფებმა. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, თურმე, საიქიოშიც „იმოგზაურა“, ფიქრების ამოკითხვაც შეუძლია და წინასწარ გრძნობს მომავალში მოსახდენ ფაქტებს. ბატონი გიგი მართლაც საინტერესო და გამორჩეული რესპონდენტი აღმოჩნდა.**

# როდის ეწყება ადამიანს წინათგრძნობების „შემოტევები“ და რეალურად არსებობს თუ არა ამქვეყნიური ცხოვრების მიღმა სამყარო

**გიგი**: ფაქტია, რომ ჩემი გამორჩეული ნიჭი, გარშემო მყოფების გაოცებას იწვევს. ეს უნარი ბავშვობიდან შემამჩნიეს. სულ რაღაც 5 წლის ასაკში იმქვეყნად „ვიმოგზაურე“ და სწორედ ამის შემდეგ დამეწყო უცნაური ხედვა და მოვლენების წინასწარ ამოცნობის ნიჭიც შევიძინე. არ დამავიწყდება, ზამთარი იყო, გავცივდი და მაღალი სიცხე მომცა. ჯერ ამაკანკალა და შემდეგ გავითიშე. მთელი ორი დღე და ღამე უგონოდ ვიყავი და სწორედ მაშინ ვიხილე იმქვეყნიური სილამაზე. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიმშვიდე, ჰარმონია და ფერთა გამაა იმქვეყნად. მართალია, ჩემი ახლობლები გადავრიე შიშით, მაგრამ, თვალი რომ გავახილე, მივხვდი, სულ სხვა ადამიანი ვიყავი, თითქოს მეორედ დავიბადე. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას ბავშვი აღვიქვამდი. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი უცნაური ნიჭის გამოღვიძება და დღეს შემიძლია, ადამიანის ფიქრიც ამოვიკითხო, მომავალი ფაქტებიც წინასწარ განვჭვრიტო და შესაძლო საფრთხეებზეც გავაკეთო უტყუარი პროგნოზი. ამას წინათ, სასეირნოდ ვიყავი გასული. ბევრი ვიარე, დავიღალე და სკამზე ჩამოვჯექი. ჩემ წინ საშუალო ასაკის ქალბატონი იჯდა. არ მინდოდა, მაგრამ, ზუსტად ამოვიკითხე მისი აზრები და ვუთხარი, ნუ ნერვიულობთ, ქალბატონო, თქვენი შვილი კარგად იქნება, საფრთხე არ ემუქრება, დაავადება საშიში არ არის-მეთქი. გადაირია – საიდან იცით, რას ვფიქრობ, მიცნობთო? ვუპასუხე – არ გიცნობთ, მაგრამ, ვიცი, რაც გაწუხებთ და დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, საშიში არაფერია-მეთქი. ვესაუბრე და გავიგე, თურმე მისი შვილი ავარიაში მოყოლილა, მძიმე ტრავმები ჰქონია და ექიმებს ეშინოდათ, ინვალიდი არ დარჩენილიყო. ჩემი უცნაური ნიჭის ამბავი რომ გავუმხილე, გვერდით მომიჯდა და ჩამეძია. ბოლოს, წამოსვლა რომ დავაპირე, დიდი მადლობები მიხადა. ამას წინათ შემხვდა შემთხვევით ქუჩაში და გახარებულმა მითხრა, თქვენი ნათქვამი ახდა, საშიში მართლაც არაფერი ყოფილა; წამოდგა და თავისი ფეხით დადის ჩემი შვილი, არადა, ამის მინიმალური შანსი იყოო. ყველა ამბობდა ჩემზე, ამ ბავშვს უცნაური, დაჟინებული გამოხედვა აქვსო და მე ამაზე მეცინებოდა. იმიტომ ვიცინოდი, რომ, სანამ ამას იტყოდნენ, ჯერ დაფიქრდებოდნენ – ვთქვათ თუ არაო. მე კიდევ, ზუსტად ვიცოდი, რასაც იტყოდნენ და რასაც ფიქრობდნენ ჩემზე. ჩემი თანატოლებისგანაც აშკარად გამოვირჩეოდი. იმათ გააზრებულიც რომ არ ჰქონდათ, მე უკვე ვიცოდი, რას იტყოდნენ და მოიმოქმედებდნენ. ხანდახან, დავჯდებოდი მარტო და ვფიქრობდი იმქვეყნიურ სამოთხეზე. ბევრჯერ მინატრია, ნეტავ ახლა ისევ იქ დამაბრუნა-მეთქი. მაგრამ, ახლა ვხვდები, ასეთ რამეზე არ უნდა მეფიქრა.

**– რატომ, ეს საშიშია?**

– ყველას ჩვენი დრო და მისია გვაქვს ამქვეყნად. დღეს თუ ხვალ, ყველა იმქვეყნად წავალთ და იმ სასწაულის ხილვას მაინც ვერ ავცდებით, რაც მე ბავშვობაში ვიხილე. ბევრი ამბობს, ასეთი ამბების არ გვჯერა, ამას თავად ადამიანები იგონებენ და მათი ფანტაზიის ნაყოფიაო. დამიჯერეთ, ცდებიან. არსებობს კანონზომიერებები, რომლებიც მატერიალურს სცდება და მას არ ემორჩილება. ამდენად, გასათვალისწინებელია ყველაფერი, რასაც მისტიკასა და პარაფსიქოლოგიურ მოვლენებს უწოდებენ. კლინიკური სიკვდილი არის სასწაული, რომელიც ადამიანს იმ რეალობაზე მიანიშნებს, რაც მიღმა სამყაროში ნამდვილად არსებობს.

**– ამბობენ, კლინიკური სიკვდილი, ანუ, ლეთარგიული ძილი და იმქვეყნიურ სამყა-**



**როში დროებით მოხვედრა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრიაო. ამაზე რას იტყვით?**

– მართალია, კლინიკური სიკვდილის შემთხვევა, ალბათ, რჩეულთა ხვედრია, რადგან, ადამიანები ამ დროს არამიწიერ მშვენიერებასა და გარდაცვლილ ახლობლებს ხედავენ და არც უკან დაბრუნება სურთ. ზოგადად კი, როცა კლინიკური სიკვდილი ზებუნებრივ შესაძლებლობებს იძენს, ჯერ კიდევ კვლევის საგანია და ამ საკითხზე მეცნიერების დისკუსიები დიდხანს გრძელდება. ამიტომ, არ მიკვირს, ზოგს რომ არ სჯერა მსგავსი ფაქტების. მართალია, ეს რთული გასაგები და აღსაქმელია, მაგრამ ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე. ამიტომაც ვაძლევ თავს უფლებას, ასე ხმამაღლა და თამამად დავაფიქსირო მსგავს მოვლენებზე საკუთარი აზრი.

## ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ნიჭიერება მემკვიდრეობით გადადის წინაპრიდან შთამომავალზე, მაგრამ ეს ასე არ არის

**– ყველას შეუძლია წინათგრძნობებით მომავლის განჭვრეტა?**

– წინათგრძნობა მეტ-ნაკლებად ყველას აქვს განვითარებული. ზოგი ამას მეტად აქცევს ყურადღებას, ზოგიც – ნაკლებად. ადამიანების უმრავლესობას კი წინათგრძნობა სიზმარში აქვს, რადგან ტვინში არსებობს ისეთი უჯრედები, რომლებიც მხოლოდ ღამით, ძილის დროს აქტიურდება. ამ უჯრედებამდე კი ინფორმაცია სხვა არხებიდან, კერძოდ, ასტრალური სფეროდან მოდის. ასტრალური სფერო დროის ფაქტორს აბსოლუტურად გამორიცხავს. ანუ, ის ერთნაირად მოიცავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ადამიანის ტვინი ღამით სწორედ ასტრალიდან მომავალ ინფორმაციას იღებს. ამიტომ, როცა სიზმრით ან სხვა ფორმით რამე ინფორმაციას იღებთ, ის მომავალში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ.

**– ესე იგი, ადამიანი წინათგრძნობას მომავალი ფაქტების შესახებ მხოლოდ ღამით იღებს ასტრალური სფეროდან?**

– არა. არის შემთხვევები, როცა რაღაც მოვლენის შესახებ წინათგრძნობა გვეუფლება უნებური მოქმედებით, მაგალითად, მოუსვენრობით, ჯანმრთელობის ან გუნება-განწყობის გაუარესებით, უეცარი და უმიზეზო ტირილის სურვილით და ასე შემდეგ. მაგალითად, თუ უეცრად გული აგიჩქარდათ, ამ დროს ქვეცნობიერი რაღაც უსიამოვნო ინფორმაციაზე მიგანიშნებთ. გეტყვით, რომ, ადამიანის ქცევასა თუ მდგომარეობაში გარკვეული ცვლილებების მიზეზი სწორედ ქვეცნობიერია. წინათგრძნობა კი არა მარტო ცუდის, არამედ, კარგი ამბისაც აქვს ადამიანს და ამის არ უნდა შეგეშინდეთ.

**– გამიგია, თითქოს ადამიანის პარაფსიქოლოგიური უნარი მუცლად ყოფნის დროს, ჩანასახშივე იწყებს განვითარებასო. ეს სიმართლეა?**

– ადამიანის სულის სრულყოფილებისკენ სწრაფვა ჩანასახიდანვე იწყება და დამოკიდებულია მშობლების გენეტიკური კოდის ურთიერთშერწყმასა და მათი ბიოენერგეტიკული ძალების ურთიერთშეთავსებაზე. ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ნიჭიერება მემკვიდრეობით გადადის წინაპრიდან შთამომავალზე, მაგრამ ეს ასე არ არის. ადამიანის სული დედამიწაზე რამდენჯერმე მეორდება და განაგრძობს ცხოვრებას. მიწიერი ცდუნებების დასათრგუნად, პრობლემებთან და წინააღმდეგობებთან ბრძოლის დროს იწრთობა და განიწმინდება ადამიანის სული. ამისთვის კი ერთი სიცოცხლე, არ კმარა. ადამიანის ხელახალი განსხეულების შეხედულებათა მიხედვით, ადამიანის სული რამდენჯერმე იბადება ამქვეყნად, ოღონდ, არა ერთ, არამედ, სხვადასხვა სხეულში. ის, სხვა ადამიანის სხეულში მოსვლის დროს, ამ ადამიანს აძლევს შანსს, სწორედ იმ სფეროში იყოს ნიჭიერი და წარმატებული, რომელშიც წინა ცხოვრებაში ჰქონდა დაგროვილი მეტი გამოცდილება. ახალ სიცოცხლეში ჩასახლებული სული გვაძლევს არა მარტო კონკრეტულ ინფორმაციას, არამედ წარსულ ცხოვრებაში შეჯამებულ შედეგებს, მაგალითად, მიდრეკილებას, ნიჭსა და ტალანტს. რეინკარნაცია უკვე დამტკიცებული მოვლენაა პარაფსიქოლოგების, ეზოთერიკოსებისა და მეცნიერების მიერ და ის რეალურად შესაძლებელია ამ სამყაროში.

**ნონა დათეშიძე**

## კაცისთვის სულერთია?!

ქალები ფიქრობენ, რომ კაცისთვის სულერთია, როგორი იქნება მისი საცხოვრებელი, მთავარია, არ სციოდეს, არ შიოდეს და თავზე წვიმა არ ჩამოსდიოდეს – დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს. რეალობა კი აბსოლუტურად სხვანაირია, უბრალოდ, არსებობენ ორი ტიპის მამაკაცები: ერთი კატეგორია ბუნებით არის თავისუფლებისმოყვარე, ძნელად ეგუება ულელში თავის გაყოფას და, ახალ ყოფას რომ შეეგუოს საცხოვრებელიც შესაფერისი სჭირდება. ძალიან მოსწონს „სტუდიის“ ტიპის ბინები, სადაც კედლებისა და კარების სიმცირეა; კმაყოფილდება უკიდურესად საჭირო, მაგრამ კომფორტული ნივთებით; არ მოსწონს უსარგებლო სამშვენისები და ფუფუნების საგნები; ამიტომ, ის მაქსიმალურად ეცდება, არ გამოტენოს ბინა ათასი ხარახურით და გახადოს ის სადა და კომფორტული. ზოგჯერ ზედმეტად სადაც კი. თუ ასეთ მამაკაცს ანტიკვარიატით გამოუტენით სახლს და სულს შეუხუთავთ პედანტური შენიშვნებით: – „ეს აუცილებლად აქ უნდა იდოს“... „ის იქ შეცდომით დადე!“ – გადაირევა და გაიქცევა, ყოველ შემთხვევაში ამის სურვილი გაუჩნდება.

გვხვდებიან მეორე ტიპის მამაკაცებიც, რომლებსაც ლამის ქალებზე მეტად მოსწონთ ძვირფასად მოწყობილი ბინები, როცა იატაკს ფუმფულა ხალიჩა ფარავს, ჭერს კი ორიგინალური, ლამაზი ჭაღი ამშვენებს, აქვს ბევრი გაწყობილი ოთახი, ბევრი სათავსო და ბევრი კომფორტული, ლამაზი ბალიშით დამშვენებული დივანი; ძვირფასი ჭურჭლიდან ჭამაც მოეწონება და ლამაზად გაწყობილი მაგიდაც. მთავარია, თავიდანვე ზუსტად მიხვდეთ, როგორი მამაკაცი „გერგოთ.” რამე რომ არ შეგეშალოთ, ხშირად ჰკითხეთ აზრი და თქვენ შორის პრობლემებიც აღარ იარსებებს. თუმცა, არსებობს ერთი „მაგრამ” – ისეთი კაცებიც არსებობენ, რომელთათვისაც სულერთია, როგორ იქნება მოწყობილი მისი საცხოვრებელი გარემო, მაგრამ, ასეთები ან სულით პოეტები არიან, ან – მაწანწალები...

## რატომ?.. რატომ?..

რატომ უჭირთ მამაკაცებს ქალის შეყვარება? რატომ ვერ ახერხებენ ისინი იმის დაფასებას, რასაც ჭეშმარიტი გრძნობა ჰქვია? ბედის ირონიით, სწორედ იმ მამაკაცებმა იციან სიყვარულის ფასი, რომლებმაც ამ საქმეში მარცხი განიცადეს.

სხვათა შორის, კაცებს გაცილებით სწრაფად უყვარდებათ, ვიდრე ქალებს და სწორედ აქედან მოდის პრობლემები როგორც კაცებისთვის, ასევე, ქალბატონებისთვის და, ალბათ, ხვდებით, რატომაც. მარტივია, კაცის ორგულობა და ღალატი მისი ხასიათის რომელიმე თვისებას დააბრალო; ანუ, თქვა, რომ კაცებს სწრაფად უყვარდებათ; რომ გრძნობას ადვილად და თვალდახუჭული ემორჩილებიან, გონება ეხშობათ და გულია მათი ქმედებების განმსაზღვრელი. საფრანგეთში გამოთქმაც კი არსებობს – „მუსიეს დიდი გული აქვსო!“ – ანუ, თუ მას რამდენიმე ქალი უყვარს, ეს ნორმალურიაო. ესე იგი, რა გამოდის – კაცს ღალატი უნდა ვაპატიოთ? კი მაგრამ, რატომო? – იკითხავენ აღშფოთებული ქალები და მართლებიც იქნებიან.

თუმცა, იქნებ, თანამედროვე ქალბატონები გახდნენ ადვილად ხელმისაწვდომები და პრობლემაც ამან გააღრმავა?! ასეა თუ ისე, ქალებიც და კაცებიც გულწრფელები უნდა ვიყოთ და ვიპოვოთ საკუთარ გულებში გრძნობა, რომელიც უპირველესად ერთგულებას გვასწავლის. „დიდი გულის“ ქონა არ ნიშნავს იმას, რომ ის რამდენიმე კაცს ან ქალს ერთდროულად დაიტევს. ქალები დიდ და წმინდა სიყვარულზე ოცნებობენ და ზოგჯერ ვერ ხედავენ იმ სიყალბეს, რომელიც კაცშია. უკეთ დააკვირდით მას, ვინც მთელ ქვეყნიერებას გჩუქნით და მაშინ აღარ გახდება საჭირო, დაუსვათ შეკითხვა საკუთარ თავს: „რატომ?”

## მამაკაცური სისუსტე...

ამბობენ, რომ ცოლებს ლომის წილი მიუძღვით ქმრების წარმატებაში... და რომ კარგ ცოლს შეუძლია, მამაკაცი ძალიან წინ წასწიოს ცხოვრებაში. მაგრამ, არსებობს ერთი პრობლემა: მამაკაცების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი, როგორც კი წარმატებას მიაღწევს და სოციალურ კიბეზე ოდნავ აიჩოჩებს, ცოლს ზემოდან უწყებს ყურებას, სწორედ იმ ცოლს, რომელიც მოთმინებითა და რუდუნებით ეხმარებოდა კარიერის გაკეთებაში. შედარებით იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა პირიქით – წინ წასულ ცოლს აღარ აინტერესებს მაჩანჩალა ქმარი. არსებობენ ისეთი წყვილები, რომლებიც წარმატებულებიც არიან, შემდგარი პიროვნებებიც, მაგრამ ერთმანეთისთვის საერთოდ არ სცალიათ... რომ ჰკითხოთ, მათთვის მთავარია ჯერ საყვარელი საქმე და მერე – ოჯახი. ამიტომ, როცა იწყებენ ქორწინების გადარჩენაზე ზრუნვას, გვიან აღმოჩნდება ხოლმე. უფრო ეგოისტები მამაკაცები არიან. უხეშად, ჟარგონი რომ გამოვიყენოთ, მათ უფრო უვარდებათ თავში.

გულწრფელად დაინტერესდით, როგორ მიდის ქმრის საქმეები და ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ისიც მოიქცეს ანალოგიურად.

რაც მთავარია, არ ჩამორჩეთ ქმარს; არ გახდეთ მისთვის უინტერესო და მოსაწყენი; იყავით ყველაფრის საქმის კურსში. მეუღლემ არ უნდა თქვას: „რატომ ველაპარაკო? მაინც არაფრის აზრზე არ არის“.

დაიხსომეთ, მამაკაცს უყვარს საკუთარი პერსონა. თუ ვერ შეძლებენ თავის და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას, იბოღმებიან, ნერვიულობენ და უჩნდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი. მამაკაცის სისუსტე მისი „მეა“ – რა ქნან, ასეა მათი ბუნება მოწყობილი. ვიღაცამ ხშირად უნდა უთხრას, რომ მაგარი და ყოვლისშემძლეა, ამიტომ, ეს „ვიღაც“ – თქვენ იყავით. თუ ყველაფერს სწორად გააკეთებთ, სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.

## შევინარჩუნოთ თუ არა?

ზოგჯერ წყვილს ეჩვენება, რომ მათი ურთიერთობა ჩიხში შევიდა და გამოსავალი მხოლოდ ერთია – განქორწინება! თუმცა, აჩქარება მაინც არ შეიძლება. არსებობს გაცილებით ნაკლებად ტრავმული გამოსავალიც და პრობლემის გადაჭრის გზაც.

„ცხოვრობდნენ ერთად დიდხანს და ბედნიერად“ – სულაც არ გახლავთ მითი. სიყვარული, პატივისცემა, ურთიერთგაგება, საერთო ინტერესები, თავსებადობა სექსში – ეს ყველაფერი საკმაოდ მჭიდროდ კრავს წყვილს და ამ ძაფების გაწყვეტა ხელის ერთი მოსმით ადვილი ნამდვილად არ იქნება. ამიტომაც არ ღირს ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, ზოგიერთი ქალი განქორწინებაზე მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ ამათ ქმარს ატკინოს – ფიქრობს, რომ ამით გადაუხდის სამაგიეროს და ის ცუდად იქნება. ასეთ დროს ქმარზე კი არა, უპირველესად იმაზე უნდა იფიქროთ, თავად როგორ იქნებით. დიდი ალბათობით, ბევრად უფრო ცუდად იმაზე, ვისი დასჯაც გინდოდათ.

გაშორებაზე სერიოზულად ფიქრი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ზუსტად იცით, რომ ცალკე ბედნიერი იქნებით, მოიპოვებთ სიმშვიდეს... და, როცა დარწმუნდებით პარტნიორისადმი სრულ გულგრილობაში.

ზღაპარს ჩვენ თვითონ ვიგონებთ და მისი ფინალიც შეგვიძლია, მოვიგონოთ. მართალია, სხვებიც თამაშობენ გარკვეულ როლს, მაგრამ, მნიშვნელოვანი წვლილი თქვენ უნდა შეიტანოთ. მეუღლე თქვენი ყველაზე ახლობელი ადამიანია. შეიძლება, ამას ვერ აცნობიერებთ, მაგრამ, როცა მოშორდებით, აუცილებლად მიხვდებით, სინანული კი ძალიან დაგვიანებული შეიძლება აღმოჩნდეს. რეალობაში ოჯახური ცხოვრება მოიცავს უამრავ პრობლემას – მნიშვნელოვანსაც და წვრილმანსაც. მთავარია, იცოდეთ, როდის და როგორ სიტუაციაში უნდა შეცვალოთ ურთიერთობა, მით უმეტეს – რადიკალურად...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# როგორ მოვუაროთ მგრძნობიარე კანს

*სტატისტიკის მიხედვით, ქალების 62 პროცენტი ამბობს, რომ მგრძნობიარე კანი აქვს და მათგან მხოლოდ 10 პროცენტისთვის არის ეს თავისებურება თანდაყოლილი, დანარჩენი 52 პროცენტისთვის კი კანის ეს ტიპი „შეძენილია“.*

### პირველი ნიშნები

ბუნებრივად მგრძნობიარე კანი მშრალია და ნერვული დაბოლოებები ახლოს არის განლაგებული ზედაპირთან. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ასეთი კანი განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობს ტემპერატურის ცვლილებას, სინთეტიკას, კონსერვანტებსა და საღებავებს როგორც კოსმეტიკაში, ისე საკვებში. მგრძნობიარე კანი რეაგირებს ქავილის, წვის, სიწითლისა და დაჭიმულობის გამღიზიანებლებზე. მსგავსი სიმპტომები უჩნდებათ სხვა ტიპის კანის მქონე ქალბატონებსაც, თუკი ირღვევა გარეგანი დამცავი ბარიერი, მაგალითად, თუ ცხიმიან კანს ზედმეტად გამოვაშრობთ სპირტის შემცველი საშუალებებით; ნორმალური კანი კი მგრძნობიარე ხდება ლიპიდების (ცხიმების, რომელიც აძლიერებს და ამაგრებს ეპიდერმისს) ნაკლებობის დროს. გარდა ამისა, კანის მომატებული გაღიზიანება შეიძლება გამოიწვიოს სტრესებმა, ანტიბიოტიკებმა, ჰორმონულმა დარღვევებმა, დისბაქტერიოზმა და ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსის არასწორად შერჩევამაც კი. მაგალითად, ქავილი და კანის წვა შეიძლება გამოიწვიოს A ვიტამინის გადაჭარბებით გამოყენებამ.



### შესაფერისი მოვლა

მგრძნობიარე კანის მოსავლელად უნდა შეარჩიოთ რბილი გამწმენდი საშუალებები: დაიბანოთ გადადუღებული ან თერმული წყლით, გაიწმინდოთ კოსმეტიკური რძით. უნდა გამორიცხოთ ყოველგვარი სკრაბი და პილინგი. ტონიკის ნაცვლად გამოიყენეთ დაბალმინერალიზებული ან იზოტონური თერმული წყალი, რომელიც შემადგენლობით მაქსიმალურად უახლოვდება სისხლის ფორმულას.

კანის ყოველდღიურად მოსავლელად შეარჩიეთ კრემები, რომელთა შემადგენლობაში არ შედის: ეთერზეთები, ლანოლინი, სინთეტიკური საღებავი, არომატიზატორები და მინერალური ცხიმები. სიფრთხილე გამოიჩინეთ მცენარეული ექსტრაქტების მიმართაც, მაგალითად, კალენდულა და როზმარინი მგრძნობიარე კანს აღიზიანებს. დამამშვიდებელი ეფექტი აქვს პანთენოლს, მწვანე ჩაის ექსტრაქტსა და E ვიტამინის შემცველ ალოე ვერას. დღის მკვებავი კრემი კი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მზისგან დამცავ ფილტრს.

### ბუნებრივი პალიტრა

ყურადღებით იყავით დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევის დროს. არ გირჩევთ წყალგამძლე კოსმეტიკას, რადგან, მათ მოსაშორებლად საკმაოდ აგრესიული საშუალებების გამოყენება მოგიწევთ.

იდეალური ვარიანტია, თუკი მგრძნობიარე კანის შემთხვევაში, შეიძენთ ნატურალური ფერების მქონე მაკიაჟს: ჩალისფერს, ატმისფერს, კაკაოსფერს, პასტელის ფერებს, რადგან მათში ნაკლებია ხელოვნური საღებავები. შეარჩიეთ მსუბუქი, ფხვიერი ტექსტურა, ძლიერი არომატიზატორების გარეშე. ტუში და თვალის ფანქარი კი, უმჯობესია, გამოიყენოთ შავი ფერის, რადგან ისინი შეიცავს ნატურალური ნახშირის პიგმენტს.

# „3 ექსპრეს-დიეტა“

### №2 – ცილოვანი დიეტა

როგორც წინა ნომერში შეგპირდით, დღეს გთავაზობთ „3 ექსპრეს-დიეტის“ მეორე ვარიანტს, რომელსაც პირობითად „ცილოვანი დიეტა“ ვუწოდეთ, რადგან მასში შემავალი პროდუქტების უმრავლესობა ჭარბად შეიცავს ცილებს.

წინა დიეტისგან განსხვავებით, რომელიც 7 დღეს გრძელდებოდა, ცილოვანი დიეტის დაცვა 10 დღის განმავლობაში მოგიწევთ და 3-დან 5 კილოგრამამდე დაიკლებთ.



ცილოვანი დიეტის დროს თითოეულ ჯერზე უნდა მიირთვათ მცირე რაოდენობის საკვები და, რაც შეიძლება ხშირად.

***პირველ, მესამე, მეხუთე, მეშვიდე*** და ***მეცხრე*** დღეს საუზმისთვის შეგიძლიათ შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი ვარიანტი: 100 გრამი ხაჭო და 1 კვერცხის ომლეტი ან 1 ჩაის ჭიქა უცხიმო კეფირი (ან მაწონი) და 1 ცალი მოხარშული კვერცხი. ამ ულუფის ნახევარი მიირთვით დილით, გაღვიძებისთანავე, ნახევარი კი – სამსახურში წასვლის წინ (თუ არ მუშაობთ – 1-2 საათის შემდეგ).

***ლანჩი*** – ბოსტნეულის სალათა, 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

***სადილი*** – 250 გრამი გამომცხვარი ან მოხარშული თევზი; 1 საათის შემდეგ კი – 100 გრამი მოხარშული ბრინჯი ან წიწიბურა (უცხიმოდ და ძალიან ცოტა მარილით) და 1 ჩაის ჭიქა ახალგამოწურული ხილის წვენი (უშაქროდ, ცოტა წყალში გაზავებული).

***სამხარი*** – მწვანე სალათა, 1 ცალი მოხარშული კვერცხი და 100 გრამი კრევეტები.

***ვახშამი*** – 1 მოზრდილი ნაჭერი საქონლის ხორცის სტეიკი (მჭლე) და ბოსტნეულის სალათა (ბოსტნეული თქვენი სურვილისამებრ შეარჩიეთ).

***მეორე, მეოთხე, მეექვსე, მერვე*** და ***მეათე*** დღეს:

***საუზმე*** – 1 ჩაის ჭიქა კეფირში დამბალი 2 სადილის კოვზი „ჰერკულესი“; 1 ნაჭერი ტოსტი და 1 ნაჭერი უცხიმო ყველი.

***ლანჩი*** – სენდვიჩი მოხარშული უცხიმო თევზითა და მწვანილით ან 400 გრამი უცხიმო კეფირი.

***სადილი*** – უცხიმო საქონლის ხორცის სტეიკი (1 ნაჭერი) და კიტრისა და პომიდვრის ან გრილზე მომზადებული ბოსტნეულის სალათა.

***სამხარი*** – 1 ჩაის ჭიქა უცხიმო იოგურტი და 2 ცალი კიტრის სალათა ნიახურით, ოხრახუშითა და კამით (უმარილოდ); შეგიძლიათ, კიტრი ჩაანაცვლოთ 100 გრამი უცხიმო და უმარილო ყველით.

***ვახშამი*** – 150 გრამი გამომცხვარი უცხიმო თევზი ან ამდენივე მოხარშული ქათმის ან ინდაურის ფილე; 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

შუალედებში შეგიძლიათ მიირთვათ 150-200 გრამი ნებისმიერი ხილი.

წყალი, ტრადიციულად, დღეში 2 ლიტრამდე.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ უნდა მოვაწყოთ „საშინაო“ სპა-სალონი? ძირითადად ცელულიტების მოშორების შინაური მეთოდები მაინტერესებს.**

**პასუხი:** „საშინაო“ სპა-სალონის მოწყობა არ გაგიჭირდებათ, თუკი მოინდომებთ. ცელულიტის მოსაშორებლად რეგულარულად (კვირაში 3-ჯერ) უნდა გაიკეთოთ ზღვის მარილის აბაზანები; გარდა ამისა, მოამზადეთ სკრაბი სხეულისთვის: თქვენთვის სასურველ შხაპის გელში (დაახლოებით 3-4 სადილის კოვზი) შეურიეთ 2-3 სადილის კოვზი მსხვილად დაფქული ნალექიანი ყავა, წაისვით ეს მასა მთელ სხეულზე და 10-15 წუთის შემდეგ, მიტკლის ნაჭრით მსუბუქი დამასაჟებით ჩამოიბანეთ თქვენთვის სასურველი ტემპერატურის წყლით. ეს პროცედურა შეგიძლიათ ჩაიტაროთ ყოველ საღამოს, დაძინებამდე 2 საათით ადრე. სხეული დაიტენიანეთ ზეითუნის ზეთისა და ყვავილების თაფლისგან დამზადებული ლოსიონით: წაისვით თხლად, გაიჩერეთ 15-20 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

**კითხვა: მაინტერესებს, გახდომის მიზნით ცეკვა უფრო შედეგიანია თუ ვარჯიში და ცურვა?**

**პასუხი:** ცეკვაც, ვარჯიშიც და ცურვაც არა მარტო კარგი გასახდომი საშუალებებია, არამედ, ჯანმრთელობისა და ხალისიანი განწყობის გარანტიაცაა. ამიტომ, იდეალური ვარიანტია, თუ ამ ყველაფერს ერთმანეთს შეუთავსებთ. ცურვასა და წყლის პროცედურებს ვერაფრით ჩაანაცვლებთ, მაგრამ, თუ იმდენი დრო არ გაქვთ, რომ ცეკვაც და ვარჯიშიც მოასწროთ, ალბათ, უმჯობესია, აირჩიოთ რომელიმე განსაკუთრებით აქტიური და მოძრავი ცეკვა, მაგალითად, ლათინოამერიკული, რუმბა, ან, სულაც, თვითონ გამოიგონეს მკვეთრი მოძრაობები და მუსიკის რიტმს შეუწყვეთ. ცნობისათვის, ასეთი ცეკვის დროს ორგანიზმი 15-20 წუთში 360-დან 540 კილოკალორიამდე წვავს. უფრო მეტად შედეგიანი იქნება ცეკვაც და ცურვაც, თუ ამას მეგობართან (ან მეგობრებთან) ერთად გააკეთებთ – დამტკიცებულია, რომ კოლექტიური ვარჯიში აორმაგებს სასურველ შედეგს და ქმნის ხალისიან განწყობას.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

### მე ეს არ დამიმსახურებია

მყავს ერთადერთი შვილი. ქმარმა მაშინ მიმატოვა, სერგი რამდენიმე თვის რომ იყო. ძალიან მძიმე მშობიარობა მქონდა, ძლივს გადაგვარჩინეს მეც და ბავშვიც, მაგრამ, მე ლოგინს მივეჯაჭვე და ჩემს ქმარს ყელში ამოუვიდა ავადმყოფი ცოლისა და თოთო ბავშვის მოვლა. მართალია, დედაჩემი გვერდიდან არ მშორდებოდა, მაგრამ, რომელ ქმარს მოსწონს ოჯახში მუდმივად საავადმყოფოს სიტუაცია? ჰოდა, ერთ დღესაც, ადგა და წავიდა, თანაც ისე, რომ კაპიკიც არ დაუტოვებია. ბინა ჩემი მშობლების იყო, თორემ, ალბათ, სახლიდან გაგვყრიდა.

მოკლედ, დავრჩით მარტო, უსახსროდ,



ყოველგვარი შემოსავლის გარეშე, თუ არ ჩავთვლით დედაჩემის 100-ლარიან ხელფასს (მაშინ ასეთი ხელფასები იყო), პრაქტიკულად, ინვალიდი, პატარა ბავშვით ხელში.

ღვთის ნებით, ერთი წლის შემდეგ სავარძელში დაჯდომა შევძელი, კიდევ ერთ წელიწადში კი გავიარე კიდეც. სანამ ფეხზე დავდგებოდი, რაღაც შემოსავალი რომ გვქონოდა, ქსოვა დავიწყე და მერე მოსწავლეებიც ავიყვანე ინგლისურში. თითქოს რაღაც დონეზე ავაწყვე ცხოვრება, რომ ახალი უბედურება დამატყდა თავს – მოულოდნელად გარდამეცვალა დედა და დავრჩი აბსოლუტურად მარტო. სერგი მაშინ 5 წლის მყავდა. რა უნდა მექნა, გავიმხნევე თავი, გავიორმაგე ძალისხმევა და არანაირ საქმეს არ ვთაკილობდი: ბინებსაც ვალაგებდი, სარეცხიც მომქონდა, ვაცხობდი, სადილებს ვუკეთებდი უცხოელებს... მართალია, ძალიან მიჭირდა ამდენი საქმის კეთება, მაგრამ, არ მინდოდა, ჩემს შვილს რამე დაჰკლებოდა. ისეც მომხდარა, რომ მე ცარიელი პურის ქერქით მივახშმია, ბავშვისთვის კი კარგი სადილი მქონია გადადებული. ერთი სიტყვით, ჩემი ჯანმრთელობის ხარჯზე იმდენი შევძელი, რომ სერგის რაღაც დონეზე არც ჩაცმა აკლდა, არც კვება, არც სპორტი და მასწავლებლებთან სიარული, არც კურორტი და, ამ ყველაფრის წყალობით, ჯანმრთელი, წესიერი და განათლებული კაცი გავზარდე. ეს ყველაფერი ისე მოვახერხე, რომ ბინაც შევუნარჩუნე და, წვრილმანი ნივთების გარდა, არც არაფერი გამიყიდია სახლიდან. სერგის წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ, პრაქტიკულად, ყოველ ღამეს ვათენებდი სხვისი სარეცხის რეცხვაში და, არც ის იცოდა, რომ ბინებსა და სადარბაზოებს ვალაგებდი. ვეუბნებოდი, სამსახურში მივდივარ-მეთქი, მაგრამ, აზრზე არ იყო, რომ ჩემი „სამსახური“ ცოცხი და ტილო იყო.

მთელი ამ წლების განმავლობაში ჩემს ქმარსა და მისიანებს ერთხელაც კი არ მოუკითხავთ ბავშვი. მხოლოდ მას მერე გამოჩნდნენ, სერგი მაღალ თანამდებობაზე რომ დაინიშნა და წარმატებული კაცი გახდა. ყველას მაშინ გაახსენდა მისი არსებობა, შემოესივნენ და, როგორც ხდება ხოლმე, ყველა თავისი პრობლემების მოგვარებას სთხოვდა, თან, მე მადანაშაულებდნენ – ჩვენ ძალიან გვინდოდა, მოგვეხედა და დაგხმარებოდით, მაგრამ, დედაშენი არ გვიკარებდაო. ნათქვამია, შეძახილმა ხე გაახმოო და, ალბათ, სერგიზეც იმოქმედა მამისა და მისი ნათესავების ლაპარაკმა: თანდათანობით ვგრძნობდი, რომ ჩემი სიმწრით გამოზრდილი შვილი ისეთი თბილი და ყურადღებიანი აღარ იყო. ძალიან მტკიოდა გული, მაგრამ, არაფერს ვეუბნებოდი – არ ვაწყენინო-მეთქი.

მძიმე შრომამ და ნერვიულობამ წლების შემდეგ იჩინა თავი და, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში (54 წლის ვიყავი მაშინ), მოძრაობა შემეზღუდა და, პრაქტიკულად, ისევ ინვალიდის ეტლში აღმოვჩნდი. სწორედ იმ პერიოდზში შეირთო სერგიმ ცოლი, მაგრამ, ერთ თვეში გამომიცხადა, ჩვენ ცალკე უნდა გადავიდეთო, იქირავეს ბინა და წავიდნენ. რძალს რა უნდა მოვთხოვო, როცა შვილს აღარ ვახსოვარ. მართალია, მომვლელი ქალიც დამიქირავა (რომელიც დღეში 2-3 საათით მოდის), კვირაში ერთხელ პროდუქტებსაც მიგზავნის, წამლებსაც და რაღაც თანხასაც მიტოვებს, მაგრამ, ხანდახან თვე ისე გადის, ჩემს შვილს ვერ ვნახულობ და არც ბავშვები მოჰყავთ ჩემთან. ჩემმა რძალმა ტელეფონში მითხრა, არ მინდა, ჩემმა შვილებმა ინვალიდ და ავადმყოფ ბებიას უყურონ და ამით დაითრგუნონო. ამას წინათ კი მოვიდა, კარგა ხანს ათვალიერა ოთახები და ბოლოს გამომიცხადა: ერთოთახიან ბინას გიქირავებთ, აქ კაპიტალური რემონტის გაკეთებას ვაპირებ და მტვერსა და საღებავის სუნში გაძლება გაგიჭირდებაო. მოკლედ რომ ვთქვა, ერთი სული აქვთ, როდის მოვკვდები. ჩემს შვილს ძალიან დიდი თანამდებობა უკავია და, ეშინია, რომ არ გახმაურდეს, თორემ, ალბათ, მოხუცთა თავშესაფარშიც თვალის დაუხამხამებლად გამიშვებდა.

საერთოდ, ყველაფერი შეფარდებითია ამქვეყნად, მათ შორის – წესიერებაც. ერთი მეზობელი ქალი მყავს, რომელმაც ორი ბიჭი გაზარდა. ერთი, მგონი, პროფესიონალი ქურდია და რამდენჯერმე იჯდა ციხეში, მეორე კი უსაქმური „ბირჟავიკია“ და მთელი დღე ქუჩაში დგას, მაგრამ, უნდა ნახოთ, როგორ უვლიან დედას. ის ლოგინადაა ჩავარდნილი და ტუალეტშიც კი ვერ გადის, მაგრამ, ყველაფერს შვილები უკეთებენ. მომვლელადაც გამოცდილი ექთანი აუყვანეს, რომელიც, პრაქტიკულად, მათთან ცხოვრობს, რომ ღამითაც ჰყავდეს მეთვალყურე. ამ ქალს მთელი ცხოვრება ჩემი შურდა – ასეთი კარგი შვილი როგორ გაზარდეო, მაგრამ, როგორც ჩანს, იქით უნდა მშურდეს. მარტო განათლება და თანამდებობა არ ყოფილა კარგი კაცობა. ეტყობა, ჩემს შვილს მთავარი დავაკელი – ადამიანობა ვერ ვასწავლე.

**ლალი, 64 წლის.**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ეძიე კაცი

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-44(723)**

– შენს წყენაზე კომენტარს არ გავაკეთებ, მხოლოდ იმას გეტყვი, რომ, შენი ზედმეტად მიმნდობი ხასიათიდან გამომდინარე, მეშინია, ვინმე ნაძირალა არ შეგრჩეს ხელში და ძალიან დიდი ტკივილი არ მოგაყენოს. მე შენი პატიოსნების კი არა, შენი სულიერი სიმშვიდის სადარაჯოზე ვდგავარ და ამას ვეტყოდი ნებისმიერს, ვინც ახლა აქ ზის. მე ჩემი შეცდომებით ისეთი გამოცდილება მივიღე, რომ, შეიძლება, ამ საკითხში ზედმეტად ეჭვიანი გავხდი, მაგ-



რამ, მინდა გითხრა, ინტუიცია გამიმახვილდა ძალიან – „ყნოსვა“ თითქმის არასდროს აღარ მატყუებს; სხვანაირად რომ ვთქვა, არ ვენდობი იმ შენს ალეს, თუმცა, თვალითაც არ მყავს ნანახი; თან, სერიოზული ეჭვი მაქვს რაღაცაზე. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ, თუ ჩემი ეჭვი გამართლდა, მაშინ, გირჩევ, რაც შეიძლება, შორს დაიჭირო თავი მაგ კაცისგან.

– რა ეჭვი, ბანდიტია, მკვლელია თუ მძარცველი? – ცრემლები წამოუვიდა სოფოს, – გინდა, გითხრა, რასაც ვფიქრობ? რაც ახლა ჩამოვთვალე, ყველაფერი ერთად რომ იყოს, მაინც არ ვეტყვი უარს შეხვედრაზე და, იცი, რატომ? იმიტომ რომ, ყველაზე ცუდ ადამიანშიც კი, არის სიკეთის თუნდაც პაწაწინა მარცვალი და ყოველთვის უნდა მისცე გამოსწორების შანსი.

– შენ რა, გამოსასწორებელი ექსპერიმენტების ჩატარებას აპირებ? არ გეშინია, რომ ის ვილაც ალე საშიში პიროვნება აღმოჩნდეს? ან, სულაც, იმდენად არ მოგეწონოს გარეგნობით, რომ მთელი შენი სიყვარულის ილუზია ნისლივით გაიფანტოს? – ჰკითხა ნათიამ.

– არა, არ მეშინია.

– მაშინ, მე დაგისვამ ცოტა უფრო სხვანაირ შეკითხვას და, ძალიან გთხოვ არ გეწყინოს, – მკაცრად თქვა მიამ, – ხომ შეიძლება, იმ ალეს არ მოეწონო? იმას კი არ ვამბობ, რომ, ზოგადად, დასაწუნი ქალი ხარ, უბრალოდ, ხომ შეიძლება, ის სხვანაირ გოგოსთან შეხვედრას ელის და, უცებ, აბსოლუტურად განსხვავებული გარეგნობის გოგო რომ შერჩება ხელში, უთხრას, სულ კარგად იყავიო? მაშინ რას იზამ?

– არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია, – გამოტყდა სოფო, – მაგრამ, ძალიან ვეცდები, რომ მოვეწონო. ჩემთვის კი არც მის გარეგნობას აქვს მნიშვნელობა, არც მის წარსულს, არც მის ხასიათს...

– ცოლიანი რომ აღმოჩნდეს? – ჩაურთო მირანდამ, – ოჯახს დაანგრევ?

სოფო დაიბნა. ამაზე მართლა არ უფიქრია, არც კი დაუშვია ასეთი რამ. მაგრამ ისე უყვარდა თავისი ინკოგნიტო კავალერი, რომ, ალბათ, არც ეს იქნებოდა მისთვის დიდი წინააღმდეგობა. ამიტომ, ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია, მხოლოდ უმწეოდ გააქნია თავი და გაჩუმდა.

– როდის უნდა შეხვდეთ? – ჰკითხა მიამ.

– ჰა? – გამოფხიზლდა სოფო.

– როდის გაქვთ პირველი პაემანი?

– ხვალ, მაგრამ, არცერთს არ გეტყვით, სად და რომელ საათზე – ხომ შეიძლება, სულმა წაგძლიოთ და „დაზვერვაზე“ გამოხვიდეთ?

– შენ, რა, მართლა სულ მთლად გარეკე? – გაბრაზდა ქეთა.

– ჰო, ბევრიც აღარაფერი მიკლია... ბოდიშს გიხდით, ზედმეტი მომივიდა, – სერიოზულად შეწუხდა სოფო.

– არანაირ დაზვერვაზე არ წამოვალ, უბრალოდ, ერთი რამის გაკეთებას გთხოვ და, თუ გინდა, რომ მერე ძალიან არ დაიტანჯო, დამიჯერე.

– თუ მეტყვი, არ შეხვდეო, არ დაგიჯერებ, მაინც შევხვდები, – ჯიუტად თქვა სოფომ, – რით ვერ გაგაგებინეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვი უარს ჩემს პირველ პაემანზე?!

– მართლა პირველი პაემანია? აქამდე მართლა არავის არასდროს შეხვედრიხარ? – შეწუხდა სალომე.

– დიახ, მართლა, – თქვა სოფომ, – რამდენჯერაც მომეცა ამის შანსი, იმდენჯერ რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა და ჩამეშალა – ეტყობა, ბედი მაქვს ასეთი. ახლაც არ მინდოდა, მეთქვა ვინმესთვის, თქვენთვისაც კი – გული მიგრძნობდა, ისევ რაღაცა პრობლემა გამოხტებოდა და, აჰა, ხომ ხედავთ, არ შევმცდარვარ.

– მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც ახლა თქვი, მართლა კარგი ქენი, რომ გვითხარი, – დაფიქრებით თქვა მიამ.

– ვისთვის ვქენი კარგი, თქვენთვის? – ტირილი მოერია სოფოს.

– არა, ჩემო საყვარელო, შენთვის, – მოეფერა მია, – თუ, რა თქმა უნდა, არ ვცდები. ისე კი, გულწრფელად მინდა, რომ ვცდებოდე, მაგრამ, შეუძლებელია, ამდენი დამთხვევა იყოს.

– რა დამთხვევა? – ჩაეკითხა სოფო.

– ამას მერე მოგიყვები, სხვა დროს. ახლა კი, ძალიან გთხოვ, ისე მოიქეცი, როგორც მე გეტყვი.

– არ შევხვდე?

– შეხვდი, მაგრამ, მანამდე სკაიპით უთხარი ან მისწერე, ოღონდ, ისე, ვითომ სხვათა შორის, რომ, ვითომ ბინა გაყიდე და მთელი ფული შენს ძმას ასესხე.

– ბინა რა შუაშია? – დაიძაბა სოფო.

– შუაში კი არა, შეიძლება, თავში იყოს.

– მე რომ ძმა არ მყავს?

– იმ ალემ იცის, რომ ძმა არ გყავს?

– არა.

– ჰოდა, მით უმეტეს. უთხარი, რომ დიდ ვალებში გადავარდა და ასესხე, მანამდე კი მშობლებთან იცხოვრებ.

– შენ ფიქრობ, რომ... – სოფო მიხვდა, რასაც გულისხმობდა მია და უცბად აფეთქდა: – ანუ, გამოდის, რომ მხოლოდ ბინის ან ქონების გამო შეიძლება, ჩემით კაცი დაინტერესდეს? ასეთი მახინჯი ვარ?

– დაწყნარდი და სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! მახინჯი რომც იყო, იმ ვილაც ალეს ხომ შენი სურათიც კი არ აქვს ნანახი? – შეუტია მიამ, – გეხვეწები, დამიჯერე. ხომ არ გეუბნები, არ შეხვდე-მეთქი! შეხვდი, მაგრამ, მანამდე მისწერე, ვითომ ბინა გაყიდე.

– ვერც მივწერ, ვერც ვეტყვი. ამ თემაზე სიტყვაც არ დამცდენია და პაემნის წინ რომ ვუთხრა, მიხვდება, რომ ვიტყუები, ან, გაბრაზდება, ახლა რატომ მეუბნებიო, – სოფოს ხმაზე შეეტყო, რომ თვითონაც შეეპარა ეჭვი.

– რას ჰქვია, გაბრაზდება? ვინ არის, ძმა, მამა თუ ქმარი? მართლაც ასე რომ მომხდარიყო, რატომ უნდა ჩაგებარებინა ანგარიში? – აღშფოთდა ლიკა.

– მე არ ვიცი, როგორ განვითარდება თქვენი ურთიერთობები, შეიძლება, მართლაც ანგელოზი აღმოჩნდეს, მაგრამ, წინასწარ შეგახსენებ, რომ ზედმეტ უფლებებს ნუ მიანიჭებ, – გააფრთხილა რუსამ, – ხომ იცი, ბევრმა დათმობამ მერე თავში ავარდნა იცის.

– კატო, შენ არაფერს იტყვი? – მიუბრუნდა სოფო კატოს, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, – თითქმის ყველამ გამოთქვა აზრი, დამარიგა ჭკუა... შენ რას ფიქრობ, როგორ უნდა მოვიქცე მე, ოცდათერთმეტი წლის ქალი, რომელსაც თინეიჯერივით უქნევენ თითს დაქალები და ასწავლიან, როგორ იცხოვრო, თუმცა, მათ უმრავლესობას თვითონ ვერ აუწყვია პირადი ცხოვრება?

– მესმის, რომ გაღიზიანდი და, ალბათ,

მეც იგივე რეაქცია მექნებოდა მეც და ყველა დანარჩენსაც. ამიტომ, შენს ირონიას საწყენად არ მივიღებ, მაგრამ, სიმართლე გითხრა, გული კარგს არ მიგრძნობს და, ამიტომ, არაფერი დაშავდება, დაუჯერო გოგოებს, – თქვა წყნარად კატომ და ჩუმად გახედა მიას, რომელიც თვალებდახუჭული ეწეოდა სიგარეტს, მაგრამ, აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან დაძაბული იყო. მერე ძალიან თბილად შეხედა სოფოს და განაგრძო: – თუ ჩვენი სიფრთხილე ცრუ განგაში აღმოჩნდა, პირიქით, გაგვიხარდება კიდეც, თანაც, ეს ამბავი ჩვენ შორის მოკვდება და, ვერც ის ბიჭი და ვერც სხვა ვინმე ვერასდროს ვერაფერს გაიგებს, სამაგიეროდ, დაზღვეული იქნები...

– რისგან ვიქნები დაზღვეული? – ისევ გაღიზიანდა სოფო.

– რისგან კი არა, ვისგან, – თქვა ელისომ და დააზუსტა: – შესაძლო აფერისტისგან, – მერე წამოდგა და თავისი ფინჯანი აიღო, – მე კიდევ მინდა ყავა, ვინმე ხომ არ დალევთ?

გოგოებმა უარი თქვეს ყავაზე და მოლოდინით შეაჩერდნენ სოფოს, რომელსაც ორჭოფობა შეეტყო.

– რატომ ნერვიულობ ასე, რა ვერ გადაწყვიტე? – შეეშველა ნათია.

– არ ვიცი, პაემნამდე მივწერო თუ, რომ შევხვდები, მერე ვუთხრა საუბარში, ვითომ შემთხვევით... – ჩაილაპარაკა სოფომ, – როგორ ჯობია?

– პრინციპში, სულერთია; მთავარია, უთხრა, – გაუხარდა ნათიას, – ის კი, მანამდე ეტყვი თუ შეხვედრისას, შენი გადასაწყვეტია, როგორც მოგეხერხება.

მცირეოდენი ფიქრის შემდეგ სოფომ მობილური ამოიღო და ესემესი გაგზავნა, მერე კი ტელეფონი მაგიდაზე დადო და თითქოს შვებით ამოისუნთქა. გოგოები ჩუმად შესცქეროდნენ, მაგრამ, ვერცერთი ვერ უბედავდა, ეკითხა, ვის რა მისწერა. სოფომ გადახედა დაქალებს და მიხვდა, რომ ყველა ელოდებოდა, რას იტყოდა და, თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნაო მხრებიდან, უკვე მშვიდად თქვა:

– ესემესი გავუგზავნე – რაღაც ძალიან სერიოზული საქმე მაქვს, ხვალ პაემანზე ვერ მოვალ და ზეგ შევხვდეთ-მეთქი.

– ეს უკვე პროგრესია შენი მხრიდან, – გაუხარდა მირანდას, – ანუ, დღეს ინტრიგა შეუგდე, ზეგ კი, როცა გკითხავს – და, აუცილებლად გკითხავს, – რა საქმე გქონდაო, შენც ძალიან ბუნებრივად ეტყვი ბინის გაყიდვის შესახებ. სწორად მივხვდი?

– ჰო, – ისევ ღრმად ჩაისუნთქა სოფომ, – ასე უფრო ბუნებრივი იქნება.

ეს საკითხი რომ გადაწყვიტეს, გოგოები დაიშალნენ და ყველა თავის ყოველდღიურ საფიქრალსა და რუტინას დაუბრუნდა.

***

როგორც იქნა, შედგა სოფოს პირველი პაემანი, მაგრამ, აშკარად აღარ ჰქონდა არც რომანტიკის მოლოდინი და არც ის აღმაფრენა, რაც, წესით, ასეთ დროს უნდა ჰქონოდა. გრძნობდა მხოლოდ დაძაბულობას და, თან, რაღაცნაირი განცდა დაეუფლა – თითქოს ნანობდა, რომ პაემანზე მიდიოდა. ეს სინანული ჯერ სადღაც გულის სიღრმეში აუფუთფუთდა, მერე მთელ სხეულს მოედო და ისეთი ძალით ჩაავლო ბრჭყალები, სანამ დათქმულ ადგილამდე მივიდოდა, კინაღამ რამდენჯერმე დაბრუნდა უკან. აშკარაა, წითელი ენთებოდა, თუმცა, ვერ ხვდებოდა, რატომ. მაგრამ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, მაინც ქალურმა ცნობისმოყვარეობამ გაიმარჯვა, ცნობისმოყვარეობამ და, კიდევ, ქალის ბუნებრივმა სიყვარულმა ინტრიგების მიმართ; ამიტომ, თავი გაიმხნევა და, გადაწყვიტა, ბოლომდე მიეყვანა ეს საქმე.

ალეს ვაკის პარკში უნდა შეხვედროდა – ჭავჭავაძის გამზირიდან კიბეები რომ ჩადის, მეორე სკამზე ვიჯდებიო. სოფომ უთხრა, ჯინსის შარვალი, თეთრი მაისური და ჯინსის პიჯაკი მეცმევაო, მაგრამ, თეთრი ტილოს კაბა და თხელი ცისფერი ჟაკეტი ჩაიცვა – პატარა „კონსპირაცია“ ჩაატარა: იფიქრა, ჯერ შორიდან შევხედავ და, თუ არ მომეწონა, გვერდზე ჩავუვლი და აღარ შევხვდებიო. იმავე კონსპირაციის მიზნით, პარკში ჭავჭავაძიდან კი არა, ფალიაშვილის ქუჩიდან შევიდა და შორიდანვე დაინახა, რომ კიბეებიდან მეორე სკამზე ახალგაზრდა კაცი იჯდა, გვერდით კი თაიგული ედო. სახე ვერ გაარჩია, რადგან კეპი ეხურა და შავი სათვალე ეკეთა, მაგრამ სილუეტი აშკარად მოეწონა. კაცი კიბეებისკენ იყურებოდა, ამიტომ, ყურადღება არ მიუქცევია მისკენ მიმავალი ახალგაზრდა ქალისთვის, მხოლოდ ერთხელ შეავლო არაფრისმთქმელი მზერა და ისევ კიბისკენ გაიხედა.

სოფომ წინ ჩაუარა და, რამდენადაც შეეძლო, დაკვირვებით შეათვალიერა, მაგრამ სახის დანახვა მაინც ვერ მოახერხა – სწორედ იმ მომენტში კაცმა ჯერ საათზე დაიხედა, მერე მობილური ამოიღო ჯიბიდან და ნომრის აკრეფა დაიწყო.

„მე მირეკავს“, – გაიფიქრა სოფომ და თითქმის სირბილით გადაუხვია გვერდითა ბილიკზე, თან სასწრაფოდ მოძებნა ჩანთაში მობილური და გათიშა, რომ ზარით არ „გაყიდულიყო“. კაცმა რამდენჯერმე სცადა დარეკვა, მაგრამ, ვერ შეძლო და გაბრაზებული სახით გახედა კიბეებს.

სოფომ შვებით ამოისუნთქა და ბილიკის ნაპირას, გადაჭრილ კუნძზე ჩამოჯდა. მთელი სხეული უკანკალებდა და გული აჩქარებით უცემდა. რაღაც გაურკვევლობის გრძნობა დაეუფლა. თავიდან ვერ მიხვდა, ისე რატომ ააფორიაქა ალეს დანახვამ და, ამიტომ, შეეცადა, დამშვიდებულიყო. ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, გააბოლა და წამოდგა – უნდოდა, შორიდან მაინც შეეთვალიერებინა თავისი უცნობი კავალერი, მაგრამ, კარგად ვერ დაინახა. ნამწვი ძირს რომ დააგდო და ფეხით გასრისა, მხოლოდ მაშინ მიხვდა აფორიაქების მიზეზს – ეს კაცი საიდანღაც ეცნობოდა. მართალია, სახე არ დაუნახავს, მაგრამ, აშკარად სადღაც ჰყავდა ნანახი; უფრო მეტიც, ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ ოდესღაც იცნობდა.

„მგონი, ჰალუცინაციები დამეწყო“, – გაიფიქრა შეშფოთებულმა, მაგრამ, იმ შეგრძნებამ, რომ ალეს პირველად არ ხედავდა, ცნობისმოყვარეობა გაუძლიერა და, გადაწყვიტა, გაერისკა. თავი დაიწყნარა, თმა შეისწორა და ნელი ნაბიჯით გაემართა კაცისკენ. რომ მიუახლოვდა, შეჩერდა და თავაზიანი ღიმილით ჰკითხა:

– უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია?

კაცმა, რომელიც მანამდე ისევ კიბეებისკენ იყურებოდა, თავი მისკენ მოაბრუნა და გაოცებისა და დაბნეულობისგან შეჰყვირა:

– სოფო?!

სოფოც არანაკლებ დაფრთხა და დაიბნა. უნდოდა, რამე ეთქვა, მაგრამ, იგრძნო, რომ ხმა აღარ ჰქონდა და ნაპირზე ამოგდებული თევზივით აღებდა პირს. ყველას ნახვას წარმოიდგენდა – ლაწირაკი ბიჭისაც, ჭუჭყიანი ბომჟისაც, ხანში შესული რომანტიკოსისაც, ძველი ბიჭისაც, სოფლელი ტეტია ტიპისაც და გეისაც კი, მაგრამ, სამწუხაროდ, სკამზე მჯდარი და მისი მომლოდინე კაცი არცერთი არ აღმოჩნდა; ეს იყო ყველაზე უარესი ვარიანტი, რაც კი საერთოდ შეიძლებოდა ყოფილიყო: მის წინ მიას მეორე ქმარი – ლექსო იჯდა. თუმცა, სოფოს ელდა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მართალია, მთელი ძალისხმევის მოხმობა დასჭირდა, მაგრამ, მაინც მოახერხა, თავი ხელში აეყვანა და მოგონილი სიმშვიდით მიმართა გაოგნებულ კაცს, რომელსაც არც კი შეუმჩნევია ქალის დაბნეულობა:

– ლექსო, შენ ხარ თუ მეჩვენება?

– მე ვარ. აქ რა გინდა?

– მე საქმეზე ვარ მოსული. შენ რამ მოგიყვანა ვაკის პარკში, თანაც, ყვავილებით? – სოფომ ღიმილით გახედა სკამზე დადებულ თაიგულს.

– ერთ გოგოს უნდა შევხვდე, მაგრამ,




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**☎: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**



რატომლაც, აგვიანებს.

– მერე, ნერვიულობ?

– არა, ტო, ერთი მაგისიც... მაგრამ, ვერ ვიტან გადაგდებას. მგონი, ტყუილად ვეჩალიჩე ამდენი.

სოფოს, რალაცნაირად, გული ეტკინა ამ სიტყვების გაგონებაზე და თავისდაუნებურად, სახე შეეჭმუხნა, თუმცა კაცს ეს არ შეუმჩნევია.

ლექსომ კიდევ ერთხელ დახედა საათს და ჩუმად შეიკურთხა, მერე სოფოს შეხედა უცნაური ღიმილით და კითხვა გაუმეორა:

– შენ რამ მოგიყვანა ვაკის პარკში, შენც პაემანზე ხომ არ ხარ?

სოფომ რალაც უსიამოვნო დაიჭირა დაქალის ყოფილი ქმრის ღიმილშიც და მზერაშიც და უცებ მიხვდა მის შეშფოთების მიზეზს.

„მიამ იგრძნო, რომ ის ვითომ ალე, სინამდვილეში ლექსო იყო, უფრო სწორად, კი არ იგრძნო, მიხვდა და, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რას წარმოადგენს ეს ვაჟბატონი, ამიტომაც მაფრთხილებდა“, – გაიფიქრა და, გადაწყვიტა, შური ეძია ამ თვითდაჯერებულ ნაძირალაზე მის მაგივრადაც, არარსებული სესილის მაგივრადაც და იმ იმედგაცრუების სანაცვლოდაც, რაც მან განიცადა მასთან დალაპარაკებისას.

– არა, პაემანზე არ მოვსულვარ, მეგობრის დავალებით მოვედი ერთ კაცთან შესახვედრად, – სოფომ მოგვიანებით გასცა პასუხი ორჯერ დასმულ კითხვაზე.

– იმდენად გაგიჭირდა, რომ კაცებს მეგობრის დავალებით ხვდები ხოლმე? – ირონიულად ჩაიცინა ლექსომ და გოგოს მუშტრის თვალით ახედ-დახედა, – ისე, კარგ ფორმაში ხარ, ხომ იცი! ისევ გაუთხოვარი ხარ?

– ჰო, – მოკლედ უპასუხა სოფომ.

– რატომ, კაცები დაილია? თუ, განსაკუთრებულს ეძებ?

– არა, ჩვეულებრივს ვეძებ, წესიერს და ნორმალურს, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ ვიპოვე, – სოფომ გაღიმება სცადა, მაგრამ, მაინც ანერვიულდა და ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო.

– ოჰო, შენ რა, მოწევა დაიწყე? მაგრამ, სვეცკობა თუ გინდა, დაგაგვიანდა – ახლა მაღალ საზოგადოებაში კარგ ტონად აღარ ითვლება, როცა ქალი ეწევა.

სოფომ ყურადღება არ მიაქცია ირონიულ კომენტარს და ახლა თვითონ შეათვალიერა კაცი.

– აი, შენ კი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურები, – თქვა ქალმა და ყალბი თანაგრძნობით ჰკითხა: – რა იყო, ძალიან გაგიჭირდა?

– რატომ გგონია, რომ გამიჭირდა? – აიძაგრა ლექსო და უნებურად ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე დაიხედა.

– ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგი გაცვია, ოღონდ, რომ შემოგხედე, მეგონა, რომ სხვისი ტანსაცმელია, ნათხოვარი, – სოფომ „იაზვურად“ გაიცინა და დაამატა: – ნუ ავარდი, გეხუმრე.

ლექსომ გადაყლაპა შეურაცხყოფა და საკმაოდ ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

– ის ნაგლი გოგო, ეტყობა, აღარ მოვა. თუ გცალია, წამო, კაფეში შევიდეთ და ყავა დავლიოთ.

– შენ მპატიჟებ?

ლექსომ დაბნეული სახით მოიქექა ჯიბეები, დაჭმუჭნილი ხუთლარიანი ამოიღო და უხერხული ღიმილით თქვა:

– სულ ეს მაქვს. ყავაზე, შეიძლება, გვეყოს, მაგრამ, მერე ფეხით უნდა წავიდე სახლში.

– ანუ, ჩემს ხარჯზე მპატიჟებდი? – სახეში შესცინა სოფომ, – კარგი, წამოდი, ყავასაც დაგალევინებ, ნამცხვარსაც გაჭმევ და სიგარეტსაც გიყიდი, თუ არა გაქვს.

ლექსო ისეთი სახით გაჰყვა, თითქოს იქით ამადლიდა, რომ დაეთანხმა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, კაცი უკან დაბრუნდა, სკამზე დადებული თაიგული აიღო და ჯიბიდან ამოღებულ ცელოფნის პარკში ჩადო. ამის დანახვაზე სოფომ დაუფარავად დასცინა:

– რატომ წამოიღე, სხვისთვის გამოგადგება?

კაცმა ისევ უპასუხოდ დატოვა ირონიული შეკითხვა, ქალს ხელკავი გამოსდო და სახეზე უდარდელი ღიმილი დაეფინა. სოფოს უსიამოვნოდ გააჟრიალა და მაშინვე გააშვებინა ხელი.

– რა იყო, შე პატარა გოიმო, გიკბენ? – აიმრიზა ლექსო.

– არ მიყვარს გაკავებული სიარული, – მოკლედ მოუჭრა სოფომ და ცარიელ კაფეში შეაბიჯა. ლექსო მორჩილად შეჰყვა და კუთხეში მდგარ მაგიდასთან მოკალათდა. სოფომ ყავა და ნამცხვარი შეუკვეთა და ლექსოს შეხედა:

– აბა, მომიყევი, როგორ ცხოვრობ, რას საქმიანობ?

– განსაკუთრებულს არაფერს, ვარ ძველებურად – ღვინო, დუდუკი, ქალები, მეგობრები... მოკლედ, საინტერესო არაფერი ხდება, სულ ერთი და იგივე მეორდება. შენ? შენ როგორ ცხოვრობ, სად მუშაობ, შეყვარებული მაინც თუ გყავს?

– შეყვარებული არ მყავს; ვცხოვრობ მარტო, ჩემს პატარა ბინაში; მაქვს ნორმალური სამსახური... მოკლედ, ჩემკენაც არაფერი ხდება განსაკუთრებული.

– სულ მარტო ცხოვრობ? – ინტერესით ჩაეკითხა კაცი.

– ჰო, სულ მარტო. მამამ მიყიდა ბინა.

ლექსო აწრიალდა. აღარ იცოდა, როგორ განევრძო საუბარი. ამასობაში ყავა და ნამცხვარიც მოიტანეს და ამან უშველა უხერხულობისგან თავის დასაღწევად – მაშინვე ჭამა-სმაზე გადაერთო.

სოფო კარგა ხანს აკვირდებოდა მის წინ მჯდარ, ერთი შეხედვით, საკმაოდ ლამაზ მამაკაცს, მაგრამ, საცოდავ არსებას, რომელიც, როგორც ჩანს, ყველა მეგობარმა მოიშორა თავიდან, რადგან, სავარაუდოდ, ყველასთან ექნებოდა რალაც მიძარული და, ახლა, მარტოდ დარჩენილი, ახალ მსხვერპლს, ახალ საარსებო წყაროს ეძებდა გამალებით.

– ასე რატომ მიყურებ? – ჰკითხა უცებ სოფოს და ნამცხვრის ბოლო ლუკმა ჩაიდო პირში.

– როგორ – „ასე“?

– რალაცნაირად, მტრულად.

– აბა, როგორ უნდა გიყურებდე? ლამის საათზე მეტია, ვლაპარაკობთ და, მიას ვინ ჩივის, საკუთარ შვილზე ერთხელაც არ გიკითხავს, როგორ არისო, – უცებ აენთო სოფო.

– ჯერ ერთი, შენ არავინ გეკითხება, ვის მოვიკითხავ და ვის – არა; თანაც, ეგ კიდევ კაცმა არ იცის, ის ბავშვი ჩემი შვილია თუ არა, – ლექსომ ხელსახოცით მოიწმინდა ტუჩები, მერე სოფოს კოლოფიდან დაუკითხავად ამოიღო სიგარეტი და მადიანად გააბოლა.

– ამ დონეზე უსინდისო და ნაძირალა როგორ ხარ! არ გრცხვენია, ასეთ სიბინძურეს რომ ამბობ?

– ყავა რომ დამალევინე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, რაც გინდა, ის მითხრა, – თქვა ლექსომ და სიგარეტი ყავის ცარიელ ჭიქაში ჩააფერფლა, – მე იმ შენს დაქალს „ს კანცამი“ დავემშვიდობე თავისი ნაბიჭვრებიანად და ახლა ნუ დამიწყებ გატრაკებას. მაგრად არ მევასება, ვინმე რომ მეხიპიშება და მირჩევს საქმეებს, განსაკუთრებით კი – ქალი. კარგი ვარ თუ ცუდი, მე ლექსო ვარ და, არავის გავაბედვინებ ჩემთან პრავების კაჩავს, მათ შორის – შენც, ჩემო კარგო, გაიგე? ამიტომ, ჯობია, ისევ მეგობრულად ვისაუბროთ.

– ვინ ვარო, რა თქვი? – თვალების მოწკურვით ჰკითხა სოფომ.

– ლექსო ვარ... – დაიბნა კაცი, – რა, ახლა გაიგე?

– ლექსო თუ ალე? – სოფოს დამცინავი ღიმილი გადაეფინა სახეზე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# რა საშიშროებას ხედავდა სტალინი უკანონო ქორწინებაში და როგორ აღადგინა მან ოჯახის უფროსის სტატუსი



კომუნისტ ლიდერთა საძრახის საქმეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ბრძოლას ტრადიციულ, ეროვნულ და სოციალურ ღირებულებათა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას, თავის დროზე, წინ აღუდგა იოსებ სტალინი. ეს იყო მეტად დაძაბული და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც საბოლოოდ, სტალინის გამარჯვებით დასრულდა. ამ საკითხებზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიაქროს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ვახტანგ გურულის ნაშრომებზე დაყრდნობით.

რუსული კომუნიზმის (ბოლშევიზმის) ლიდერებმა (ვლადიმირ ლენინმა, ლევ ტროცკიმ, გრიგოლ ზინოვიევმა და სხვებმა) ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, დაიწყეს ბევრი ისეთი ჩანაფიქრის განხორციელება, რომელიც ძირს უთხრიდა, არღვევდა ეროვნულ ცნობიერებასა და ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობებს, ებრძოდა ეკლესიურ აზროვნებას. სხვადასხვა მიზეზით დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს ბოლშევიკი ლიდერები სამართლიანი და უმწიკვლო ადამიანები იყვნენ. სინამდვილეში კი, მათი უმრავლესობა იყო აღვირახსნილი, გარყვნილი, ამორალური. მათ არ სწამდათ ტრადიციული ღირებულებები, ხოლო ეკლესიურ აზროვნებას, საზოგადოებისთვის საშიშად მიიჩნევდნენ. ბოლშევიკი ლიდერებისგან განსხვავებული პოზიცია ეკავა იოსებ ჯუღაშვილს. სტალინი წინ აღუდგა ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა ხელაღებით და განურჩეველ რღვევას და ახლის გაუაზრებლად დამკვიდრებას. ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ვითარებაში სტალინი მოგვევლინა იმ ტრადიციულ ღირებულებათა და სოციალურ ურთიერთობათა დამცველად, რომელიც ეკლესიურ მორალს ემყარებოდა.

1917 წლის შემდეგ, ბოლშევიკების მოღვაწეობის შედეგად, საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ადამიანთა თავისუფლება და საყოველთაო თანასწორობა სხვა, დანარჩენთან ერთად, გულისხმობდა კანონიერი და უკანონო ქორწინების გათანაბრებას. განსხვავების მოსპობას კანონიერ და უკანონო შვილებს შორის. მოქალაქეს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა, იმდენი მეუღლე ჰყოლოდა, რამდენსაც მოისურვებდა. ეს ეხებოდა როგორც მამაკაცს, ისე – ქალს. წინათ რუსეთში, კანონიერად ითვლებოდა ეკლესიაში, ჯვრისწერის შედეგად შეუღლებული ადამიანების ქორწინება. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიაში ჯვრისწერა იურიდიული ძალის არმქონედ ცნო და ამდენად ეკლესიაში გაცემული ჯვრისწერის შესაბამისი დოკუმენტიც უგულებელყო. ასეთ დოკუმენტს სახელმწიფო დაწესებულებები არ სცნობდნენ. ეკლესიაში ჯვრისწერის იურიდიული ძალის არმაქონედ გამოცხადებამ თავისთავად გამოიწვია სხვა უარყოფითი პროცესები. მამაკაცს შეეძლო, რამდენჯერმე დაქორწინებულიყო, ქალი კი რამდენჯერმე გათხოვილიყო. ამ პროცესში გაურკვეველი რჩებოდა, თუ როგორ უნდა დადგენილიყო ბავშვის მამა. მამის მიერ ახალშობილის შვილად აღიარება მხოლოდ მამის სურვილზე იყო დამოკიდებული. იმავდროულად, შეუძლებელი გახდა უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრის აღიარების საკითხი. მამის მემკვიდრედ ჩაითვლებოდა ის, ვისაც მამა, პირადი სურვილის მიხედვით, აღიარებდა შვილად.

მართალია, ბოლშევიკი ლიდერები რუსეთში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ღირებულებებს შეეხნენ, მაგრამ გამარჯვების იმედი მაინც ჰქონდათ. ისინი აპირებდნენ თავიანთი იდეები ჯერ ქალაქში განეხორციელებინათ, შემდეგ სოფლებში.

იოსებ სტალინს არ შეეძლო ერთბაშად გაელაშქრა ბოლშევიკი ლიდერების ბინძური გეგმის წინააღმდეგ. ბოლშევიკურ ელიტასთან დაპირისპირებული სტალინი მარცხისთვის იქნებოდა განწირული. ამიტომ იყო, რომ სტალინი მოქმედებდა ძალიან ფრთხილად და წინდახედულად. მას წლები დასჭირდა იმისთვის, რომ სხვადასხვა ფორმით აღედგინა და შეენარჩუნებინა ტრადიციული სოციალური ურთიერთობები. ცხადია, სტალინი ეკლესიაში ჯვრისწერას ქორწინების ოფიციალურ რეგისტრაციად ვერ ჩათვლიდა – ეს ათეისტურ სახელმწიფოში წარმოუდგენელი იყო. სამაგიეროდ, სტალინმა დააკანონა ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაცია, ხოლო მის დარღვევაზე, უმკაცრესი კონტროლი დააწესა. ამიერიდან, ქალაქადაც და სოფლადაც კანონიერად ითვლებოდა ის ქორწინება, რომელიც მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი განცხადების საფუძველზე ხდებოდა და დასტურდებოდა ხელისუფლების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით. ასე იქმნებოდა ოჯახი. შესაბამისად, კანონიერ შვილად ითვლებოდა, ზემოხსენებული წესით რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. მამაკაცსაც და ქალსაც შეეძლოთ, ქორწინებამდე დაბადებული ბავშვებიც კანონიერ შვილებად ეღიარებინათ. მამაკაცს შეეძლო, შეერთო მეორე მეუღლე, ქალსაც შეეძლო მეორედ გათხოვება, მაგრამ იმ პირობით, თუ კანონის ძალით რეგისტრირებული ქორწინება ბათილად იქნებოდა ცნობილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ. ამრიგად, პირველი ქორწინების შემდეგ, ყოველი ქორწინება კანონიერი ხდებოდა,

**სტალინი წინ აღუდგა ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა ხელაღებით და განურჩევლად რღვევას და ახლის გაუაზრებელ დამკვიდრებას**

რადგან ის რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო შესაბამის სახელმწიფო ორგანოში. ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაციამ და კანონიერი შვილის დადგენამ, თავისთავად მოხსნა საკითხი უძრავი და მოძრავი ქონების კანონიერი და უკანონო მემკვიდრის შესახებ.

ბოლშევიკი ლიდერები შემდეგ დანანებით აღნიშნავდნენ, რომ მათ სტალინმა მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის დიდებული გეგმები ჩაუშალა.

რუსეთში ტრადიციულად არსებობდა ოჯახის უფროსის ცნება, რომელსაც რეალური უფლებები გააჩნდა. ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა მამაკაცი. ქალი რუსეთში ამ სტატუსით ვერ სარგებლობდა. სტალინმა, ოდნავ სახელშეცვლილი ფორმით, ეს ტრადიციაც აღადგინა და დააკანონა. საბჭოთა ოჯახში რეალურად აღდგა ოჯახის უფროსის სტატუსი. სოფელში უძრავი და მოძრავი ქონება გაფორმებული იყო არა ზოგადად ოჯახზე (3-4 ან მეტ სრულწლოვან ადამიანზე), არამედ ოჯახის მამაზე – ოჯახის უფროსზე. ქონების დაცვა-შენახვაზე, გადასახადების გასტუმრებასა და სახელმწიფოსაგან დაწესებული სხვა ვალდებულებების შესრულებაზე, პასუხიმგებელი იყო ოჯახის უფროსი. თუ ოჯახი თავს აარიდებდა დაწესებული გადასახადის გადახდას, კანონი სჯიდა არა ზოგადად ოჯახს, არამედ ოჯახის უფროსს. ყოველივე ამის დაკანონება სტალინისთვის ძალზე სახიფათო იყო, რადგან ამ შემთხვევაში, მისთვის შეიძლება, წაეყენებინათ ბრალდება, რომ კანონის წინაშე ირჩეოდა მამაკაცისა და ქალის თანასწორობა. სტალინი ასეთი შემთხვევისთვის გამოსავალს ყოველთვის იტოვებდა. მაგალითად: თუ გარდაიცვლებოდა მამა და ოჯახში რჩებოდნენ დედა და არასრულწლოვანი შვილები, მათ შორის ვაჟებიც, მამაკაციდან ოჯახის უფროსის უფლება კანონით გადადიოდა ქალზე (დედაზე). ამიერიდან ქალი იყო პასუხისმგებელი როგორც უძრავი და მოძრავი ქონების დაცვაზე, ისე გადასახადების გადახდაზე.

ამდენად, სტალინმა აღადგინა ტრადიციული სოციალური ურთიერთობები, რომელსაც წინათ ეკლესია არეგულირებდა, ამიერიდან კი _ სახელმწიფო.

1917 წლისთვის რუსეთში დამკვიდრდა შეხედულება, რომ ჯარისკაცზე სამხედრო მეთაურის (ოფიცრის) უფლება ლახავდა ჯარისკაცის ადამიანურ ღირსებას, ხოლო ჯარისკაცის მიერ ოფიცრის ბრძანების უსიტყვოდ შესრულება, ბნელი წარსულის გადმონაშთი იყო. ამ შეხედულებამ კარგა ხანს იბატონა და ის გახდა ერთ-ერთი მიზეზი დიდი ჩავარდნებისა წითელი არმიის შექმნის პროცესში. საბოლოოდ, ეს მცდარი შეხედულება სტალინის ძალისხმევით დაიგმო. ოფიცრის უფლება ჯარისკაცზე, ხოლო ჯარისკაცის მოვალეობა – ოფიცრის ბრძანების უსიტყვოდ შესრულებაზე, როგორც მშვიდობიანობისა და განსაკუთრებით კი, ომის დროს, არმიის ბრძოლისუნარიანობას განსაზღვრავდა. ზოგიერთი ბოლშევიკი ლიდერი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა წითელ არმიაში რუსეთის არმიაში დამკვიდრებული ტრადიციების შენარჩუნებას, ერთ-ერთი ასეთი ტრადიცია იყო „დედოვშჩინა", ანუ უკვე ნამსახური ჯარისკაცის უფლება ახალწვეულზე. ახალწვეულ ჯარიკაცს უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა არა მარტო ოფიცრის ბრძანება, არამედ მასზე დიდხანს ნამსახური ჯარისკაცის ბრძანებაც. ასეთი დამოკიდებულება ოფიცრებს უადვილებდა ჯარისკაცთა მასის მართვას. ბოლშევიკი ლიდერები მოითხოვდნენ „დედოვშჩინის" სასტიკად აკრძალვას, თუნდაც რეპრესიების გზით. სტალინი მოთმინებით უსმენდა თავგახურებული ბოლშევიკების მსჯელობას და ბოლოს ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: „დედოვშჩინას" ვერ ავკრძალავთ, რადგან „არმია ყოველთვის ემყარება ძველ ტრადიციებს!"

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

12 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენიერების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად..."** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

14-15 ნოემბერი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„ბურჯი-ხათუნი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12, 15, 20 ლარი) - (დიდი სცენა), გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი. ქორეოგრაფი: მარიამ ალექსიძე. მონაწილეობენ: ნათია ბუნტური, თოლგა ბურჩაკი, ეკატერინე სურმავა, უილიამ პრატი, თამთა ბახტაძე, ეკატერინე ლომინაძე, ლანა მღებრიშვილი, სოფიო ფანცულაია, შორენა ხაინდრავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

15 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

16 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„ასულნი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12, 15, 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, მანანა გამცემლიძე, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ზაზა ლებანიძე, ნანა ლორთქიფანიძე, ეკა მინდიაშვილი, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე, მარინა ჯანაშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

11 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

12 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„თეთრი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გია ბურჯანაძე, თამუნა ბუხნიკაშვილი, ქეთი ჩხეიძე, კატო კალატოზიშვილი, პაატა ინაური, თამარ სხირტლაძე, დავით დვალიშვილი, ალეკო მახარობლიშვილი, თეკო ჩუბინიძე, ლიკა ქობულაძე, ეკა მახარობლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„საზღვრები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ბრონქოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15-16 ნოემბერი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„სამი და"** - (ბილეთის ფასი - 20, 25, 30, 40 ლარი), (დიდი სცენა), ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი" - „მოსსოვეტის თეატრი" (მოსკოვი). რეჟისორი: ანდრონ კონჩალოვსკი. მონაწილეობენ: ალექსეი გრიშინი, ნატალია ვდოვინა, ლარისა კუზნეცოვა, იულია ვისოცკაია, იულია პერესილდი, გალინა ბობი, ალექსანდრ ბობროვსკი, ალექსეი დომოგაროვი, პაველ დერევიანკო, ვიტალი კისჩენკო; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

11, 15 ნოემბერი, **სამშაბათი, შაბათი** 20.00 - **„ფაუსტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, კახა აბუაშვილი, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

12 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეპტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

14 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

11 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (ბილეთის ფასი - 20, 25, 30, 40 ლარი), ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი" - პეტერბურგის სახელმწიფო დრამატული თეატრი „კომედიანტის თავშესაფარი". რეჟისორი: გრიგორი დიტიაკოვსკი. მონაწილეობენ: ვლადიმერ სელეზნიოვი, დარინა დრუჟინა, სერგეი დრეიდენი, გრიგორი დიტიაკოვსკი, გალინა ფილიმონოვა, დიმიტრი ლუგოვკინი, ირინა ბარვინსკაია. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მადამ ბოვარი"** - (ბილეთის ფასი - 20, 25, 30, 40 ლარი), ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი" - სანკტ-პეტერბურგის თეატრი „ანდრეი მირონოვის სახ. რუსული ანტრე პრიზა". რეჟისორი: ანდრეი ჟოლდკი (უკრაინა, გერმანია). მონაწილეობენ: ელენა კალინინა, ვალერი დეგტიარი, ლიზა ფურმანოვა, ალექსეი მოროზოვი, სტეფანე პივკინი, პოლინა დუდკინა, პოლინა ტოლსტუნი. ***ხანგრძლივობა: 3სთ. 30 წუთი;***

15 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო სიზმრები, ანუ ბალზამინოვის ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 20, 25, 30, 40 ლარი), ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი" - გიორგი კოზლოვის სახელობის სანკტ-პეტერბურგის დრამატული თეატრი „სახელოსნო". რეჟისორი: გრიგორი კოზლოვი. მონაწილეობენ: ალიონა არტიომოვა, მაქსიმ სტუდენოვსკი, ოლგა კარატაევა, ალექსანდრა მარეევა, ნიკოლაი კუგლიანტი, პოლინა სიდიხინა, მარია პოლიკარპოვა, არინა ლიკოვა, ქსენია მოროზოვა, ევგენი შუმეიკო, არსენი სემიონოვი. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

11 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

12 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„თოჯინების სახლი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, მაია ხორნაული, ნინო ფილფანი, დევი ბიბილეიშვილი; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 10წთ.;***

14 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

15 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

16 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯო-

ლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.;***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

12, 14 ნოემბერი, **ოთხშაბათი, პარასკევი** 20.00 - **„კაბარე ნაფტალინი"** - (ბილეთის ფასი - 20, 25, 30, 40 ლარი), ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი"- სანკტ-პეტერბურგის თეატრალური ამხანაგობა „კომიკ - ტრესტი". რეჟისორი: ვადიმ ფისონი. მონაწილეობენ: ნატალია ფისონი, ილია სტაროსელსკი, იგორ სლადკევიჩი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

15 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ტკივილი არის ახალგაზრდობა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: თორნიკე გოგრიჭიანი, პაატა ინაური, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

10 ნოემბერი, **ორშაბათი** 19.00 - **„სასტუმრო, ორი სამყაროს გასაყარზე"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, ბექნუ ქაფიანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

12 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჰამლეტიკა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მორგანტე ნარდი. მონაწილეობენ: ნანა ხურითი, გიგი მიგრიაული, გიორგი გასვიანი, ანდრეა გველესიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჩრდილოეთის ციალი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), რეჟისორი: ვლადიმირ სნეგურჩენკო. მონაწილეობენ: ერეკლე დეისაძე, სოფია სებისკვერაძე, გვანცა კანდელაკი, გიორგი მიგრიაული, შორენა ზუბიაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე. ***ხანგრძლივობა: 55 წუთი;***

14 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ტრუსები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: კალევ კუდუ. მონაწილეობენ: სოფია სებისკვერაძე, ალეკო ალავიძე, მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, მზია ტალიაშვილი, გიორგი მიგრიაული, გიორგი ჭუმბურიძე, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

13-14 ნოემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ცეცხლსახოვანი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: პაატა ციკოლია. მონაწილეობენ: დათო ბეშიტაშვილი, ცისია მეტრეველი, ანა წერეთელი, სანდრო დავითაშვილი, გიგი ქარსელაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15-16 ნოემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„გაყრა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით ალმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

11 ნოემბერი, **სამშაბათი** 12.00 - **„სიცოცხლის ხე"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობენ: მაია ხორნაული, გიორგი ჩიქობავა, ნუგზარ ყურაშვილი, ირაკლი ხვთისიაშვილი, დავით როსტომაშვილი, რამონა მიქელაძე, ნაირა გელაძე, ვახტანგ ახალაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

11 ნოემბერი, **სამშაბათი** 12.00 - **„იავნანამ რა ჰქმნა?!"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, ხატია მელქაძე, იოსებ მოლოდინაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

12-13 ნოემბერი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 12.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, დავით ხახიძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ნიკა ნანიტაშვილი, მაია ხორნაული, ნინო ანდრიაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, მამუკა ბოგვერაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

12-13 ნოემბერი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 12.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

12, 15 ნოემბერი, **ოთხშაბათი, შაბათი** 12.00, 15.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, კახა გაბელაია, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჩვენ გველის დიდება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. მონაწილეობენ: დავით როსტომაშვილი, ნინო ლეჟავა, ნათია კუპატაძე, სოფიო ებრალიძე, ია ჭილაია, ნინო ანდრიაძე, ნიკა ნანიტაშვილი, გიორგი ჯიქურიძე, ვახტანგ ჩაჩანიძე, დენ ხლიბოვი, ნიკა ფაიქრიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 ნოემბერი, **პარასკევი** 12.00, 15.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, დავით ხახიძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ნიკა ნანიტაშვილი, მაია ხორნაული, ნინო ანდრიაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, მამუკა ბოგვერაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

14 ნოემბერი, **პარასკევი** 12.00 - **„კოლობოკი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ანატოლი ლობოვი. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ტატიანა ალიოშკინა, ნიკოლოზ დონი, ნინო მანაგაძე, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

14 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„რექვიემი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ლილი ბურბუთაშვილი. მონაწილეობენ: ნინო არჩაია, ვანო დუგლაძე, გიორგი კაჭახიძე, იოსებ მოლოდინაშვილი, პაატა კიკვაძე, ლაშა გრძელიძე, ცოტნე საგინაძე, ნუგზარ ყურაშვილი, ვასილ ამურველაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15 ნოემბერი, **შაბათი** 12.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

15 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ამიკო"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა, ლაშა გრძელიძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ლიკა შუკაკიძე, ნუგზარ ყურაშვილი, ვახტანგ ახალაძე, ირაკლი გოგოლაძე, ნათია კუპატაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

16 ნოემბერი, **კვირა** 13.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, კახა გაბელაია, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 ნოემბერი, **კვირა** 15.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

16 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„ირინეს ბედნიერება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, დავით ხახიძე, კოტე თოლორდავა, თამარ ჭანუყვაძე, ლევან კაციაშვილი, ვახტანგ ნოზაძე, იოსებ მოლოდინაშვილი, ნათელა მაჭავარიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

14 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი) - ავტორი, რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი - რეზო გაბრიაძე. ანიმატორები: თამარ ამირეჯიბი, ბადრი გვაზავა, ირაკლი შარაშიძე, ვლადიმერ მელცერი, ანა ნიჟარაძე, ნინო საჯაია. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

15 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

16 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

## გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
**კუს ტბის ქუჩა №2; კულტურის ცენტრი მუზა. ტელ.: 568 14-51-99.**

16 ნოემბერი, **კვირა** 12.00 - **„ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ელენე მაცხონაშვილი. მონაწილეობენ: თამთა ბაქრაძე, მალხაზ გაბუნია, თეა კიწმარიშვილი, მაია მაზიაშვილი, მაია მალხაზიშვილი, გიორგი მეძმარიაშვილი, ნინო ნატროშვილი, გივი ქუსიკაშვილი, ნათია შეშაბერიძე, მარიკა ძაგნიძე, მანანა წიკლაური, ვახტანგ ჭელიძე, ნათია ხმიადაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## ორშაბათი 10 ნოემბერი

**08.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** ან/ფ "ზუ", "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **14.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** "ქართული ჯარი" **17.30** "ჩემი წიგნი" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"მზის იმპერია"** **02.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"**. **22.00** მხ/ფ **"პროფესიონალი მკვლელი"**(რ.დე ნირო) **00.10** მხ/ფ **"გაქცევა შაუშენკიდან"**.

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** ნიჭიერი **00.30** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"კაპიტნები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ნუცას სკოლა"** **13.50** სპექტაკლი **"ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** I ნაწ **15.05** სპექტაკლი **"ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** II - III ნაწ **17.25** კონცერტი - ანს."ჩვენებურები" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** დ/ფ "წმინდა მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი" **22.25** დ/ფ "მტკიცედ და ერთად" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ღალიის ხატი, კვიპროსზე დაბრუნება" **00.30** ისტორიის დღიური **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბერნარდა ალბას სახლი"**.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნეს კონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00 სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩები და გუნები"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ/ფ **"სხეული"**.

## სამშაბათი 11 ნოემბერი

**08.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.00** ან/ფ "ზუ" "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **14.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** "სპექტაკლის დრო" **18.00** "ტელებლოგი" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** მხ/ფ **"წყვდიადი"** **02.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.05** სერ.**"სიცოცხლის სიყვარული"**) **11.20** სერ.**"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"ერთხელ რომში"** **02.10** მხ/ფ **"პროფესიონალი მკვლელი"**.

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** გააცინე და მოიგე **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.15** ეთნოგრაფია **06.30** მხ/ფ **"ბერნარდა ალბას სახლი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "წმინდა მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი" **10.55** პატერიკი **11.05** დ/ფ "მტკიცედ და ერთად" **11.35** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** I ნაწ. **13.15** კონცერტი -სოსო კეჭაყმაძის საგუნდო ნაწარმოებები **15.05** კარაბადინი **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **16.00** მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ღირსი მამა სერაპიონ ზარზმელი" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი ფონდი" - ელენე კავლელიშვილი - ზარზმის ფერისცვალების ხატი . გვანცელაძე **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა"**.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "სიყვარული და ღირსება 11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნეს კონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00 სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩები და გუნები"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ/ფ **"ელი პარკერი"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**10 – 16 ნოემბერი**

*დარბაზი 1*

12.15, 14.45 - **„დიდი გმირი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
16.45, 19.45, 22.30 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.10, 22.15 - **„ნაღმი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.45 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
17.30, 20.00 - **„ნაღმი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
22.30 - **„ანაბელი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.15, 17.15, 19.45 - **„დრაკულა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
22.30 - **„გაუჩინარებული ქალი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„მონსტრების ოჯახი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
16.00, 18.00, 20.00 - **„დიდი გმირი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„დრაკულა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი”
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30 - **„დიდი გმირი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
17.00, 19.45, 22.30 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„მონსტრების ოჯახი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
14.30 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
17.30, 20.00 - **„დიდი გმირი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„დრაკულა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*
14.45, 17.15 - **„ნაღმი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
19.30 - **„ნაღმი”** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
22.00 - **„დრაკულა”** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# კარტოფილის კატლეტი კრაბის ჩხირებით





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი კვერცხი, 1 ცალი სტაფილო, 50 გრამი მაგარი, გახეხილი ყველი, 300 გრამი მოხარშული კარტოფილი, 150 გრამი კრაბის ჩხირები, ცოტა ფქვილი, სუნელები, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** მოხარშული კარტოფილი ჩანგლით გასრისეთ, დაუმატეთ კვერცხი, მარილი, შავი პილპილი და კარგად აზილეთ.

კრაბის ჩხირები დაჭერით. სტაფილო გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე, ყველი მსხვილკბილაზე. ყველაფერი ერთმანეთში შეურიეთ, მერე კარტოფილიც დაუმატეთ და ამოურიეთ.

გასაბრტყელებელ დაფაზე დაყარეთ ცოტა ფქვილი, ულუფებად აიღეთ კარტოფილის ფარში და ბრტყელპირიანი დანის დახმარებით მოამზადეთ მრგვალი, ბრტყელი კატლეტები (შეეცადეთ თანაბარი და სწორნაპირებიანი იყოს) და ორივე მხრიდან შებრაწეთ ზეთში, სანამ ოქროსფერ ქერქს გაიკეთებს.

# სალათა „შანხაი“





**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი შებოლილი ქათამი, 400 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი ხახვი, 200 გრამი ნიგოზი, ყველი, 1 ქილა დაკონსერვებული სიმინდი, 1 ქილა დაკონსერვებული ანანასი, მაიონეზი – გემოვნებით, ზეთი.

**მომზადების წესი:** ქათმის ხორცი წვრილად დაჭერით (ორი ბარკლის ძირი საკმარისი იქნება). სოკო დაჭერით ფირფიტებად და ხახვთან ერთად მოხრაკეთ ტაფაზე, ზეთში. ნიგოზი ბასრი დანით ძალიან წვრილად დაჭერით. ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე.

სიმინდი და ანანასი გადაწურეთ. ანანასი დაჭერით და ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ სასალათეში (მარილი საჭირო არ არის), შებოლილ ქათამსა და ყველს ისედაც აქვს). უყავით ცოტა მაიონეზი და ამოურიეთ. მოგეწონებათ.

* ქსოვილიდან სისხლის ლაქა ადვილად არ ამოდის. მას ვერც მათეთრებელი უშველის, თუ წინასწარ ცივი წყლით არ გარეცხავთ. მით უფრო, როცა ლაქა ძველია. ჩვეულებრივი საპონიც გამოგადგებათ. მერე კი სარეცხ მანქანაში გარეცხავთ.





# ხაჭოს სუფლე

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ხაჭო, 2 სადილის კოვზი არაჟანი, 2 სადილის კოვზი მანანის ბურღული, 6 სადილის კოვზი შაქარი, 3 ცალი კვერცხი, ნებისმიერი კენკრა.

**მომზადების წესი:** უპირველესად, კვერცხის გული და ცილა გააცალკევეთ. კვერცხის გულს შეურიეთ ხაჭო, არაჟანი, მანანის ბურღული, შაქარი და დააბლენდერეთ. ცალკე ათქვიფეთ კვერცხის ცილა გათეთრებამდე და ფრთხილად შეურიეთ ხაჭოს მასას.

ეს ცომი ჩაასხით ფორმაში, ზემოდან მოაყარეთ ხილი და მოათავსეთ ცხელ აირღუმელში. 30 წუთის შემდეგ სუფლე მზად იქნება. სასარგებლო და გემრიელი დესერტია.

# კარტოფილი ნივრითა და ყველით





**საჭირო ინგრედიენტები:** 8-10 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, 3-4 სადილის კოვზი არაჟანი, 30-50 გრამი ფხვიერი ყველი, 3-5 კბილი ნიორი; მარილის, დაფქული წიწაკისა და წითელი და შავი პილპილის ნაზავი, ხმელი სუნელი, 0,5 ჩაის კოვზი კოჭა; კამა და ოხრახუში.

**მომზადების წესი:** კარტოფილი ძალიან კარგად გარეცხეთ და კანიანად მოხარშეთ, ოდნავ უმი უნდა დარჩეს, ამიტომ, წყლის ადუღებიდან ათი წუთი საკმარისი იქნება. ყველი გახეხეთ წვრილ სახეხზე. მწვანილი ძალიან წვრილად დაჭერით, ნიორი დანაყეთ.

ყველს ჩანგლით კარგად შეაზილეთ მწვანილი, სუნელები, ნიორი და არაჟანი.

გაცივებული კარტოფილი დაიდეთ ხელისგულზე და ერთი მხრიდან ჩაჭერით ჯვარისებურად, თითქმის შუაგულამდე. თითით ცოტა ჩატკეპნეთ. ფოლგისგან დაამზადეთ კვადრატის ფორმის „ფურცლები“. დააწყვეთ თითო „ფურცელზე“ თითო კარტოფილი და ამოავსეთ ყველის სატენით. შემდეგ კარგად შეფუთეთ ფოლგაში. აცხვეთ 180-200 გრადუსზე, 15-20 წუთის განმავლობაში. სუფრაზე ფოლგებითვე მიიტანეთ. არომატულიც არის და ძალიან გემრიელიც.



# გოგრა ხორცის ფარშით – თამუნა ნიკოლაძისგან



*მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტ წონას არ ვუჩივი, სულ ვცდილობ, არ მივიღო ზედმეტად კალორიული საკვები. ძალიან მიყვარს ტრადიციულ კერძებთან შეხამებული უცხოური ინგრედიენტები. დღეს კი მინდა გაგანდოთ ამ სეზონისთვის, ვფიქრობ, ყველაზე მისაღები და გემრიელი კერძი – გოგრა ხორცის ფარშით, რომელიც, იმედია, ძალიან მოგეწონებათ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 კილოგრამი გოგრა, 200 გრამი პრასი, 5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ღერი პიტნა, 200 გრამი იოგურტი ან მაწონი, 400 გრამი საქონლის ხორცის ფარში, ძირა, დარიჩინი, მარილი და პილპილი – კი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გოგრა გარეცხეთ, ამოაცალეთ თესლი, ამოაჭერით რბილობი და მოგრძო-მოოთხკუთხედო ნაჭრებად დაჭერით. თხელ რგოლებად დაჭერით პრასი. ტაფაზე გააცხელეთ 4 სადილის კოვზი ზეთი, 5 წუთის განმავლობაში შუშეთ გოგრა და მოაყარეთ მარილი და პილპილი. მზა გოგრა ამოიღეთ და თბილად შეინახეთ. მაწონში აურიეთ მარილი, პილპილი და წვრილად დაჭრილი პიტნა. 1 სადილის კოვზ ზეთში 5 წუთის განმავლობაში შუშეთ გატარებული ხორცი, დაუმატეთ პრასი და კიდევ 5 წუთი გააჩერეთ ცეცხლზე. შეაზავეთ მარილით, პილპილით, ძირათი, დარიჩინით, ბოლოს კი დაუმატეთ გოგრა. მზა კერძს მოასხით მაწვნის ნარევი, ამოურიეთ და მიირთვით მწვანილით.



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# თევზი ბეკონში



**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი თევზის ფილე, 6 ფენა ბეკონი, 2 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი კარაქი, 1 ღერი როზმარინი, მარილი და პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზის ფილე ორად გაჭერით, მოაყარეთ მარილი და პილპილი. თითოეული ნაჭერი ბეკონის სამ ფენაში გაახვიეთ. ბეკონში გახვეული თევზის ნაჭრები ცხელ ტაფაზე დააწყვეთ და უცხიმოდ, მაღალ ცეცხლზე შეწვით 1 წუთის განმავლობაში. ნიორი დანაყეთ, შეურიეთ კარაქი, როზმარინი და თევზის ნაჭრებს დაუმატეთ. თევზის ნაჭრები კიდევ 1-2 წუთის განმავლობაში შეწვით და ატრიალეთ. მიირთვით ბოსტნეულის გარნირთან ერთად.



# კურდღელი პროვანსულად

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი წითელი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 2 ღერი როზმარინი, 1 ცალი კურდღელი, 3-4 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2,5 სადილის კოვზი ფქვილი, 0,5 ლიტრი მშრალი ვარდისფერი ღვინო, 200 გრამი პომიდორი, 1 კონა პრასი, 5-6 ღერი ნედლი ბეგქონდარა, 800 გრამი კარტოფილი. მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი გაფცქვენით და წვრილად დაჭერით. ნიორი და როზმარინი დაკეპეთ. კურდღელი გარეცხეთ და გაამშრალეთ. მოაყარეთ მარილი და პილპილი. დიდ ტაფაზე გააცხელეთ 2 სადილის კოვზი ზეთი, ზედ მოათავსეთ დაჭრილი კურდღელი და ყველა მხრიდან მაღალ ტემპერატურაზე შებრაწეთ. დაუმატეთ ნიორი და დაჭრილი ხახვის ნახევარი. 2-3 წუთში დააყარეთ ფქვილი და ამოურიეთ. დაასხით 200 მილილიტრი წყალი და ღვინო, დააყარეთ როზმარინი და წამოადუღეთ. შემდეგ ტაფას დაახურეთ სახურავი, შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში და დაახლოებით 1,5 საათის განმავლობაში შუშეთ, სანამ ხორცი ძვლებს ადვილად არ მოშორდება. პრასი საშუალო ზომაზე დაჭერით. კურდღლის მომზადებამდე დაახლოებით 45 წუთით ადრე პომიდვრები და პრასი კურდღელს შემოუწყვეთ და განაგრძეთ მზადება. კარტოფილი მსხვილად დაჭერით. ტაფაზე ზეთი გააცხელეთ და შებრაწეთ დაჭრილი კარტოფილი. დაუმატეთ დარჩენილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ბეგქონდარა და ერთად მოშუშეთ. კარტოფილი კურდღელთან ერთად მიიტანეთ სუფრაზე.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## სურნელოვანი სანთლები

დარიჩინი ძალიან სასარგებლო მცენარეა და, არ გეგონოთ, რომ მხოლოდ ფუნთუშებში გამოიყენება. მისი სურნელი დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე; დაგამშვიდებთ და, ამასთან, სახლშიც ძალიან სასიამოვნო სურნელი დატრიალდება. სურნელოვანი „სიმშვიდის სანთლების" დამზადება ძალიან ადვილია. დახედეთ სურათებს. მოიმარაგეთ დარიჩინის ფირფიტები და ჩხირები; წვრილი, გამჭვირვალე „სკოჩი," ბაწარი და მსხვილი დეკორატიული სანთლები. შემდეგ კი ისე გააკეთეთ, როგორც სურათებზეა ნაჩვენები.

## ორიგინალური სურათის სადგამი

თუ სახლში ძველი ჩანგალი გაქვთ, არ გადააგდოთ. მისგან ძალიან ლამაზი, ორიგინალური სურათის სადგამის დამზადება შეგიძლიათ – მხოლოდ ბრტყელტუჩა და მონდომებაა საჭირო. დახედეთ სურათს და ზუსტად ასე გადაუგრიხეთ კბილები. ასეთი სურათის დასადგამით თავის მოწონებაც შეგიძლიათ.

* სხვათა შორის, მელქიორის ჩანგლები ძალიან კარგად იწმინდება სოდით და პრიალდება ლიმონის ქერქით.

* თუ მელქიორის ჩანგალს და დანას ლაქები გაუჩნდა, მათ ადვილად გაწმენდთ ნიშადურის სპირტში დასველებული ბამბით.





* თუ გსურთ, ნამცხვარი ან ცომისგან მომზადებული ნაწარმი ტაფიდან ადვილად ამოიღოთ, ტაფა ცივ წყალში დასველებულ პირსახოცზე ან ტილოზე დადეთ – ნამცხვარი ფსკერს ადვილად მოშორდება.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 12 ნოემბერი

08.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 09.00 ან/ფ "ზუ", "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "ცხოვრებისეული რეცეპტი" 12.30 ტ/სერ. "ტკბილი მწარე ცხოვრება" 14.00 დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "ლოს-ანჯელესის პოლიცია" 17.00 მხ/ფ "გულის მოგზაურობა" 18.30 ტ/სერ. "სიყვარული და შურისძიება" 22.00 მხ/ფ "იცეკვე მასთან" 00.30 მხ/ფ "თინეიჯას დი-ბედის მედიატორი" 02.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.20 ქრონიკა. 10.05 სერ."სიცოცხლის სიყვარული" 11.20 სერ."სილა" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."უდანაშაულო" 17.35 სერ. "მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03 სერ. "ღირსების საქმე" 20.55 სერ. "დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.40 შალვა რამიშვილის შოუ 00.40 EMERGENCY 01.30 მხ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძნება რაილისთან.

06.30 სერ. "მათრობელა სიყვარული" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.00 კურიერი 16.00 სერ. "ბედთან მებრძოლი" 18.00 კურიერი 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 21.00 კურიერი 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 "ნანუკას შოუ" 00.30 კიმონო 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.15 ეთნოგრაფია 06.30 მხ/ფ "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 დ/ფ "ღირსი მამა სერაპიონ ზარზმელი" 13.35 კონცერტი -ელისო ბოლქვაძე 14.45 "ჩვენი ამბავი" 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ "ყველაზე სწრაფები მსოფლიოში" 16.50 კვირიაკე 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ხარება და გოგია" II ნაწ. 20.30 წმინდა მოწამე იოთამ ზედგენიძე 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" მარო მაყაშვილი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ო,რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა".

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "დრაკონებზე მონადირე" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნეს-კონტაქტი დილის გამოშვება 9.55 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.00 სერიალი "წარსულის იარა" 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 სერიალი "ნარჩიტა" 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 2.10 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ/ფ "სუპერანდროიდი".

## ხუთშაბათი 13 ნოემბერი

08.00 დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 09.00 ან/ფ "ზუ", "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "ცხოვრებისეული რეცეპტი" 12.30 ტ/სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 14.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 15.00, 21.00 ტ/სერ. "ლოს-ანჯელესის პოლიცია" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 18.30 ტ/სერ. "სიყვარული და შურისძიება" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ "სამარისებული სიჩუმე".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40 ქრონიკა. 10.05 სერ."სიცოცხლის სიყვარული" 11.20 სერ."სილა" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."უდანაშაულო" 17.35 სერ. "მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03 სერ. "ღირსების საქმე" 20.55 სერ. "დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00, 23.00, 00.00 სერ. "შუა ქალაქში — 5" 01.00 მხ/ფ "ქორწილის ორგანიზატორი 02.50 მხ/ფ "ბოროტების სავანე — 3"(ტიტ.).

06.30 სერ. "მათრობელა სიყვარული" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "ბედთან მებრძოლი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 22.00 პროფილი 23.55 აჭარა ბეთის გათამაშება. 00.30 ვინ დაამარცხებს ვასოს 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

06.10 ეთნოგრაფია 06.20 მხ/ფ "ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "ხარება და გოგია" II ნაწ. 13.25 ივერიის ეკლესია 13.40 კონცერტი - ანჩისხატის გუნდი,ანს."ნადი" 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ "ბრავო, ალბერ ლოლიშ" 17.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ "ქოჩორა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დ/ფ "წმინდა 100000 მოწამე" 22.25 დ/ფ "ღირსი მამა ალექსი შუშანია" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "მოქვი" 01.00 მხ/ფ "წარსულის აჩრდილები" I ნაწ. 02.00 ირაო.

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "დრაკონებზე მონადირე" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.00 სერიალი "წარსულის იარა" 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 სერიალი "ნარჩიტა" 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 2.10 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ/ფ "მოღალატე გმირი".

## პარასკევი 14 ნოემბერი

08.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 09.00 ან/ფ "ზუ" "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "ცხოვრებისეული რეცეპტი" 12.30 ტ/სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 15.00, 21.00 ტ/სერ. "ლოს-ანჯელესის პოლიცია" 17.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 18.30 ტ/სერ. "სიყვარული და შურისძიება" 20.53 ფეხბურთი. ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: საქართველო – პოლონეთი (პ/ტრ დინამო არენადან) 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "სიყვარული მანძილზე" (დ.ბერიმორი) 02.10 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. "სიცოცხლის სიყვარული" 11.20 სერ."სილა" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."უდანაშაულო" 17.35 სერ. "მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03 სერ. "ღირსების საქმე" 20.55 სერ. "დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "ენჯელს ფოლი" 01.50 მხ/ფ "ქორწილის ორგანიზატორი".

06.30 სერ. "მათრობელა სიყვარული" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ბედისწერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "ბედთან მებრძოლი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "ქარადაი" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 ბრავო 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ

ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ "**წარსულის აჩრდილები**" I ნაწ. **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "წმინდა **100000** მოწამე" **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ "**ქოჩორა**" **13.20** კონცერტი -აღდგომიდან ამაღლებამდე - ალექსანდრე კორსანტია **15.05** კარაბადინი **15.25** მხ/ფ "**კეთილი ადამიანები**" **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ზოგი ჭირი მარგებელია" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "საქართველოს ისტორია" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**წარსულის აჩრდილები**" II ნაწ. **02.00** ირაო.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00** **სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45** **სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ/ფ "**გროტესკი**".

## შაბათი 15 ნოემბერი

**08.00** ან/ფ "ზუ" "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** ანიმაც/ფილმი: "პატარა დოდო" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** კონცერტი: "**შემოდგომის თბილისი – 2011**" **13.30** "გურმანია" **14.00** **კალათბურთი**. სუპერლიგა: "**დინამო**" – "**რუსთავი**" **16.30** ქართ. მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" **18.00** დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** საბავშვო ევროვიზია **00.40** მხ/ფ "**უცხოპლანეტელის გაკვეთა**" **02.10** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**07.30** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **08.00** მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა**" **10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. "**სინდბადი**" **9** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ."**უდანაშაულო**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** სხვა რაკურსით გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**იღბლიანი სლევინი**" **01.50** მხ/ფ "**ენჯელს ფოლი**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** კომედი შოუ **11.00** ექიმები **9** ნოემბ. **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** ვინ დაამარცხებს ვასოს **15.30** ნიჭიერი **18.30** აჭარა ბეთის გათამაშება **19.00** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.30** განსხვავებული აქცენტები **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** მხ/ფ. "**ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან**" **02.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** დ/ფ "კოსმოსიდან დანახული დედამიწა" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართულ მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** დ/ფ "ზოგი ჭირი მარგებელია" **13.30** დ/ფ "საქართველოს ისტორია" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - "**ტრუბადური**" **18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** დ/ფ "ჭუი საქართველო" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "თავისუფლებისათვის" **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**გლადიატორი**" I ნაწ.

**7.00, 1.00,** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მაგიის რაინდები**" **8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **9.00** **სერიალი "ასი"** **10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა **11.50, 14.50, 17.50, 18.35** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **13.05** **სერიალი "10 წლის შემდეგ"** **15.30** ოთარ ტატიშვილის შოუ **16.30, 22.00** **სერიალი "1 ნაბიჯი"** **17.30** "ინ-ფაქტი"(კვირის კოლაჟი) **18.45** **სერიალი "ნარჩიტა"** **20.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **0.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.20** მხ/ფ "**ლიდერი**".

## კვირა 16 ნოემბერი

**08.00** ან/ფ "ზუ", "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** ან/ფ "პოლარული ექსპრესი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **12.00, 16.00, 20.15** "მოამბე" **12.30** "ვაშინგტონი დღეს" **13.00** დ/ფ "არქიტექტურა" **13.30** "გურმანია" **14.00** მხ/ფ "**დროში მოგზაურის ცოლი**" **16.30** ქართ. მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **18.25** **რაგბი**. ტესტმატჩი: **ირლანდია – საქართველო** (პ/რ დუბლინიდან) **20.45** "ტელებლოგი" **21.15** "ჩემი წიგნი" **22.15** მხ/ფ "**აფრიკიდან**" (რ.რედფორდი) **01.00** მხ/ფ "**მკვდარი თოვლი**".

**07.30** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **08.30** მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ**" **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**სინდბადი**" **13.00** EMERGENCY **14.35** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.35** ცეკვავენ ვარსკვლავები **20.00** იმედის კვირა **22.00** ქ/სერ. "**ფსიქოპატთა თამაშები**" **3** სერ. **23.00** მხ/ფ "**დაკარგული**" **00.45** მხ/ფ "**ტერმინატორი 2**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** "სახლი" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქერის უბანი **16.00** ბრავო **18.40** ექიმები **19.40** კომედი შოუ **21.00** P.S. **22.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** სოციალური ცელი **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.25** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.25** დ/ფ "თავისუფლებისათვის" **18.30** დროის ჩანაწერები **19.15** "ჩვენი ამბავი" **19.25** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "კოდორის გმირები" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ "**გლადიატორი**" II ნაწ.

**7.00, 1.00,** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მაგიის რაინდები**" **8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **9.00** **სერიალი "ასი"** **10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** დოკუმენტური სერიალი "ქალაქი და ადამიანი **11.30** უცნობი ისტორიები **11.55, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "ID" **13.05** მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **15.30** სუბიექტური აზრი **16.30** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **17.30** დოკ. ფილმი"ყაზახეთი-თავისუფალი სულების ქვეყანა" **18.30** "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება **19.00** **სერიალი "ნარჩიტა"** **20.00** გადაცემა "ფული და სურვილები" **20.30** "აბების"კვირის ანეკდოტები **21.30** **სერიალი "10 წლის შემდეგ"** **23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.20** მხ/ფ "**დომინოს პრინციპი**".

# რომელი ასტროლოგიური ქვის ტარება მოგიტანთ იღბალს კვირის კონკრეტულ დღეს

ავი თვალისგან დასაცავად ან ცხოვრებაში წარმატებების მისაღწევად ბევრი ატარებს თილისმას. ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, თილისმად აირჩიოს ძვირფასი ლითონის ან ასტროლოგიური ქვისგან დამზადებული სამკაული.

ოდითგანვე ცნობილია, რომ ნებისმიერ საგანს და, მით უმეტეს – ქვას, მეხსიერების უნარი აქვს. ამიტომ, ის ჰარმონიაში უნდა იყოს ადამიანთან, რადგან, თუ რომელიმე ქვას ერთი ადამიანისთვის ბედნიერება მოაქვს, მეორისთვის უბედურების მომტანია, რაც ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

ასტროლოგიაში ნებისმიერი ლითონი თუ ქვა კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანსა და კვირის კონკრეტულ დღეს შეესაბამება.

რომ იცოდეთ, კვირის რომელ დღეს რომელი ასტროლოგიური ქვა და ლითონი შეესაბამება და რომელი მათგანის ტარება მოგიტანთ წარმატებასა და სიკეთეს, გთავაზობთ შემდეგ რჩევებს:

**ორშაბათს** მთვარის ენერგია შეესაბამება, ამიტომ, გირჩევთ, ატაროთ ვერცხლის სამკაულები. ამ დღეს ბედნიერებისა და წარმატების მომტანია ასევე, უფერო, გამჭვირვალე ქვები; ლურჯი და ცისფერი ასტროლოგიური ქვებისგან დამზადებული სამკაულები. უმჯობესია, ქალბატონებმა ატარონ საფირონის ქვის ბეჭედი.

**სამშაბათს** განაგებს პლანეტა მარსი. ამ დღეს კარგია ფოლადის სამკაულების ტარება. ასტროლოგიური ქვებიდან კი უპირატესობა ოპალსა და იასპს მიანიჭეთ.

**ოთხშაბათის** თილისმად მოიაზრება ხისგან დამზადებული სამკაულები და მარჯნის ასტროლოგიური ქვა. ამ დღეს განაგებს მერკური. გირჩევთ, ასევე, ატაროთ მუქი ფერის, მაგალითად, ნაცრისფერი ქალცედონი, მწვანე ძოწი, სარდონიქსი – ეს წარმატებასაც მოგიტანთ და ჯანმრთელობაზეც დადებით ზეგავლენას მოახდენს.

**ხუთშაბათს** მფარველობს პლანეტა იუპიტერი. ამ დღეს უნდა ატაროთ ტყვიისგან დამზადებული სამკაულები. უკეთესია, თუ ისინი თვალშისაცემად დიდი ზომისა და ფორმის იქნება. ძვირფასი ასტროლოგიური ქვებიდან კი ატარეთ ტოპაზი ან ამეთვისტო.

**პარასკევს** პლანეტა ვენერა მფარველობს და ამ დღის თილისმაა სპილენძის სამკაულები. ასტროლოგიური ქვებიდან კი წარმატებებს გპირდებათ: ქრიზოლითი, აქატი, ნებისმიერი ტონალობის მწვანე ან ღია ფერის ქვა.

**შაბათს** მფარველობს პლანეტა სატურნი. ამიტომ, ამ დღეს კარგია კალისგან დამზადებული სამკაულების ტარება. ეს ლითონი ამ დღის თილისმაა და ადამიანებს წარმატებების მიღწევასა და წინააღმდეგობების ადვილად გადალახვაში ეხმარება. ასტროლოგიური ქვებიდან კი, გირჩევთ, ატაროთ მწვანე ქრიზოპრაზი ან იაგუნდი. შაბათს ეს ქვები დაგიცავთ ცუდი სიტუაციებისგან და ნერვულ სისტემაზეც დადებით ზეგავლენას მოახდენს.

**კვირა** დღის მფარველი პლანეტა მზეა, ლითონებიდან კი ამ დღის თილისმა ოქროა. სხვათა შორის, ამ დღეს ოქროს სამკაულების ტარება ხაზს გაუსვამს ადამიანის ინდივიდუალურობასა და შარმს; ხელს შეუწყობს გარშემო მყოფების კეთილგანწყობის მოპოვებას. ასტროლოგიური ქვებიდან კი კვირა დღეს თილისმად უნდა ატაროთ წითელი, ყვითელი ან ფორთოხლისფერი ქვებისგან დამზადებული სამკაულები, მაგალითად, ლალი ან ქარვა.

კვირის კონკრეტულ დღეს ადამიანმა თავი დაცულად, წარმატებულად და მშვიდად რომ იგრძნოს, აუცილებელია, ზემოთ თქმული გაითვალისწინოს, ანუ, სწორად შეარჩიოს ასტროლოგიური კუთხით მისთვის საჭირო ლითონი თუ ქვა და ამით ცხოვრებაში უსიამოვნებები და პრობლემები აიცილოს.



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1999 წლის 7 ოქტომბერს, დილის 10 საათზე. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელი პროფესიაა ჩემთვის წარმატების მომტანი და რომელი ქვის ტარებაა რეკომენდებული?**

პასუხი: თქვენთვის მისაღებია საფირონის, აკვამარინის, ცირკონის, ძოწის, ზურმუხტის, ვეფხვის თვალის, ფირუზის, ბრილიანტის, ქარვის, სარდიონისა და სარდონიქსის ტარება. პროფესიებიდან კი კარგია: სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, სოციოლოგია, ასტრონომია, ასტროლოგია, კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საგამომგონებლო საქმე, კომპიუტერული, პროგრამული, აუდიო, ვიდეო, მობილური სისტემების ბიზნესი, დიზაინი, არქიტექტურა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პედიატრია.

**კითხვა: დავიბადე 1996 წლის 16 მარტს. ასტროლოგიური თვალსაზრისით, რომელი პროფესიაა ჩემთვის გამართლებული?**

პასუხი: თქვენთვის კარგი და მისაღებია შემდეგი პროფესიები: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ოკულტური სფერო, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, საქველმოქმედო საქმე. სასტუმროების ბიზნესი ან შემოქმედება, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო სფერო, დიზაინი, მოდელირება, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი, არქიტექტურა, უძრავი ქონების ბიზნესი, საიუველირო საქმიანობა, დეკორატიული მებაღეობა, მეყვავილეობის ბიზნესი, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, მშენებლობა.

**კითხვა: დავიბადე 1977 წლის 30 აპრილს, 13-დან 14 საათამდე. მინდა უცხოეთში წასვლა. რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები და წარმატების მომტანი?**

პასუხი: უცხოეთი თქვენთვის ნეიტრალურია, ანუ, დიდი წარმატებების იმედი არ უნდა გქონდეთ. ქვეყნებიდან კი შედარებით უკეთესია: რუსეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, შვეიცარიის დასავლეთი ნაწილი, იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი, კუნძული კორსიკა და სიცილია, ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატი, ავსტრია, ესპანეთი, თურქეთის დასავლეთი ნაწილი, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ფილიპინები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ტაილანდი, ისრაელი, სამხრეთი კორეა, ფინეთი, კუნძული მალტა.

**კითხვა: დავიბადე 1985 წლის 21 თებერვალს, დილის საათებში. გთხოვთ, მიპასუხოთ, რა არის ჩემი კარმული მისია?**

პასუხი: თქვენი კოსმიური მისიაა, მუდმივი გქონდეთ კავშირი უცხოეთთან. თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეძლებთ იქ ცხოვრებას, ეს სასიკეთოდ წაგადგებათ მომავალში. სამშობლოში კი, გირჩევთ, იმუშაოთ უცხოურ ფირმაში ან გქონდეთ მუდმივი კონტაქტი უცხოეთთან – ეს თქვენთვის წარმატების მომტანია. ასევე, უნდა იყოთ აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი; შეძლოთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება; გამოავლინეთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები, მებრძოლი სულისკვეთება; დაეყრდენით ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს, კეთილშობილებას; იყავით კომუნიკაბელური – ეს ყოველივე თქვენი კოსმიური მისიაც არის და ცხოვრებაში წარმატების მომტანიც.

### ვერძი

მოგიწევთ ბევრ ხალხთან კონტაქტი, რაც დამღლელი და მოსაბეზრებელი აღმოჩნდება, თუმცა – მომგებიანი. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახსა და ახლობლებს და დიდი დრო გაატაროთ საყვარელი ადამანის გვერდით. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

### კურო

პირადი ამბიციები ნებისმიერ საქმეში ხელს შეგიშლით. გაგიჭირდებათ საქმიანი მოლაპარაკებები. საყვარელ ადამიანთან სიტუაციის დაძაბვა კი თქვენზე ცუდად აისახება. ამიტომ, ეს კვირა განვლეთ ფრთხილად და შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმიანობით.

### ტყუპები

გაგიადვილდებათ ახალი ინფორმაციის ათვისება და საჭირო კავშირების დამყარება. გაიზრდება შემოსავალი. მეტი დრო დაუთმეთ მშობლებთან ურთიერთობას. საყვარელ ადამიანთან კი, ეცადეთ, სიტუაცია გამოასწოროთ.

### კირჩხიბი

ინტუიციას მიჰყევით და ისე იმოქმედეთ, რათა კოლეგებთან ურთიერთობა არ დაძაბოთ. გაითვალისწინეთ გამოცდილი ადამიანების რჩევები და ეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტებს, განსაკუთრებით – სასიყვარულო ურთიერთობაში. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### ლომი

ადვილად შეძლებთ ძალების მობილიზებასა და დასახული მიზნების რეალიზებას. გამოიყენეთ დიპლომატიური უნარი საქმიანობაში და, ზოგადად, ურთიერთობებში. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა თავდაჯერებულობას შეგმატებთ. კარგია სამკურნალო პროცედურები.

### ქალწული

თავს ენერგიულად იგრძნობთ. გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობაც. მოერიდეთ დაძაბულ სიტუაციებსა და ახალ ნაცნობებს. იყავით ტაქტიანი და ყურადღებიანი. მოიმატებს შემოსავალი. თამამად მიიღეთ ახალი შემოთავაზებები. არ არის გამორიცხული ახალი სასიყვარულო პარტნიორი გამოჩნდეს არენაზე.

### სასწორი

ზედმეტი თავდაჯერებულობა და სიამაყე ხელს შეგიძლით ნებისმიერ სფეროში; სამაგიეროდ, თქვენი თამამად გამოთქმული აზრები და იდეები დიდ მოწონებას დაიმსახურებს. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას, სასიყვარულო ურთიერთობაში კი თავშეკავება გმართებთ.

### მორიელი

ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსურ საკითხებს, რათა მოტყუებული არ დარჩეთ; ასევე, არ გირჩევთ ახალგაცნობილ ხალხთან ურთიერთობას. ნუ მიიღებთ გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს. ახალი სასიყვარულო კავშირი სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ.

### მშვილდოსანი

ოპტიმისტური განწყობითა და გამბედაობით ბევრი საქმის მოგვარებას შეძლებთ და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ. გამოიყენეთ თქვენი შესაძლებლობები და აჩვენეთ გარშემო მყოფებს თქვენი სიძლიერე და პროფესიონალიზმი.

### თხის რქა

კარგია ახალი საქმის დაწყება და გეგმების დასახვა. ნუ იკამათებთ ოჯახში წვრილმანების გამო. გამოიჩინეთ მეტი მოთმინება და თავშეკავება. ნუ აეჭვიანებთ საყვარელ ადამიანს, რათა ეს დაშორების მიზეზი არ გახდეს. კარგია დასვენება.

### მერწყული

თავს ენერგიულად იგრძნობთ. შესაძლებელია ცოტა რისკზე წასვლა პროფესიონალურ საქმიანობაში. იკონტაქტეთ გამოცდილ და საინტერესო ადამიანებთან. სასიყვარულო ურთიერთობაში ყველაფერი მოგვარდება. გაზრდილი ინტუიცია დაგეხმარებათ სწორი არჩევნის გაკეთებაში.

### თევზები

მოერიდეთ ორაზროვან და ავანტიურულ მოქმედებებს. არ გარისკოთ და ყველას ნუ გადაუშლით გულს. ნუ იქნებით ოჯახის წევრების მიმართ ზედმეტად კრიტიკული. საყვარელ ადამიანზე კი ნუ იეჭვიანებთ, რათა არ გაალიზიანოთ და ამას კონფლიქტი არ მოჰყვეს.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 22 ნოემბერი 12:35 სთ.**

### ორშაბათი

გამოამჟღავნეთ მოქმედების უნარი, იყავით ენერგიული და მებრძოლი სულისკვეთების. არ გირჩევთ ხელმძღვანელ პირებთან დაპირისპირებას. დაიცავით სიმშვიდე. მოერიდეთ სასიყვარულო კონტაქტებს, სახლის მშენებლობის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლასა და სესხის აღებას. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ატარეთ ვერცხლისფერი, ცისფერი, იისფერი, მწვანე ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მალაქიტი, იასპი, ოპალი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება კუჭი, მკერდი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

იმოქმედეთ აქტიურად. მოერიდეთ ინიციატივის გამოვლენას, სასიყვარულო კონტაქტებს, სახლის მშენებლობის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ მწვანე, თეთრი, იისფერი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ჰელიოტროპი, მწვანე იასპი, მალაქიტი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ვაჭრობა, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები, სასამართლო პროცესის დანიშვნა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი

მოერიდეთ სესხის აღებას. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. ატარეთ მწვანე, თეთრი, იასამნისფერი, იისფერი, ცისფერი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მარგალიტი, ამეთვისტო, ოპალი, ჰელიოტროპი ან ლაბრადორი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, ვაჭრობა, შემოქმედებითი მუშაობა, სასამართლო პროცესების დაწყება. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, გულ-სისხლძარვთა სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ხუთშაბათი

იყავით თავდაჭერილი და ფრთხილი, რადგან მაღალია ტრავმების ალბათობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ჩალისფერი, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, მთის ბროლი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულებების დადება. კარგია იურიდიული საქმიანობა, მშენებლობის დაწყება, გართობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები. იყავით მოვლენებზე მობილიზებული და ორიენტირებული. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ხელშეკრულებების დადება, ხელმძღვანელი პირების კრიტიკა. ატარეთ წითელი, ყვითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია თმის შეჭრა, იურიდიული საქმიანობა, ახალი საქმის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ თმის შეჭრას. კარგია დიეტის დაწყება, საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ქრიზოპრაზი, ჯესპილიტი ან ლაბრადორი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კონტაქტები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, გული, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ნუ იტყვით უარს იმაზე, რისი გაკეთებაც გსურთ. გამოავლინეთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. კარგია მშენებლობა. ატარეთ ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ნაცრისფერი, ყავისფერი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ონიქსი, ოპალი ან მალაქიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კონტაქტები. კარგია თმის შეჭრა, კოსმეტოლოგიური პროცედურები. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორი სახლი შეგეფერებათ!?

*როცა საქმე ჩვენს სახლს ეხება, ყოველთვის არ ვიცით ზუსტად, რა გვჭირდება. წამბაძველობა ცუდია და, შეიძლება, ის, რაც ერთი შეხედვით მოგეწონათ, სულაც არ აღმოჩნდეს კომფორტული და „მშობლიური“ თქვენთვის.*

**1. სად წახვალთ ახალი ავეჯის შესაძენად?**

ა) ავეჯის ყველაზე კარგ მაღაზიაში;
ბ) ძირითადად, ჰიპერმარკეტში;
გ) ავეჯის ბაზრობაზე;
დ) შერჩეული მაქვს ავეჯის კონკრეტული სალონი.

**2. როგორ დივანს აირჩევთ?**

ა) დაბალს, ძალიან რბილს, ნეიტრალური შეფერილობისას;
ბ) დიდს და ძალიან მოხერხებულს;
გ) რამე ორიგინალურს და ძალიან თანამედროვეს;
დ) კლასიკურს, ხავერდის გადასაკრავით.

**3. რით არის მორთული თქვენი ბინის კედლები?**

ა) ფოტოებით საოჯახო ალბომიდან;
ბ) მოდური შავ-თეთრი ფოტოებით;
გ) „რეტროს” ტიპის სურათი-რეპროდუქციებით;
დ) ცნობილი მხატვრების რეპროდუქციებით.

**4. სტუმრების მისაღებად როგორ ჭურჭელს გამოიყენებთ?**

ა) მასიურს, ძველებურსა და მძიმეს, მორთულს ნაყშებით;
ბ) ყვავილებიანს, მხიარულ ფერებში;
გ) თეთრსა და სადას;
დ) ფერადს, მუქ ფერებში.

**5. რას ფიქრობთ დივანის ბალიშებზე?**

ა) მომწონს გეომეტრიული ფიგურებით მოხატული ქსოვილი;
ბ) უნდა იყოს ბევრი და სხვადასხვანაირი;
გ) ჩემთვის სულერთია, თუნდაც ნუ იქნება;
დ) ორი-სამი ცალი სრულიად საკმარისია.



**6. როგორი უნდა იყოს თქვენი ოცნების საძინებელი?**

ა) მთავარია, საწოლი იყოს ძალიან რბილი;
ბ) დიდი და ლამაზი, ფერადი თეთრეულით;
გ) სასურველია, იყოს ღია ფერებში და იდგეს იქ დიდი დივანი;
დ) აუცილებლად ხის, მასიური ჩუქურთმიანი საწოლით.

**7. როგორი იატაკი მოგწონთ?**

ა) ჩვეულებრივი, პარკეტის;
ბ) მთავარია, იყოს ხის და მუქი ფერის;
გ) ხალიჩით დაფარული;
დ) ღია ფერის იატაკი, ნებისმიერი მასალის.

**8. როგორი სავარძელი იქნებოდა თქვენთვის სასურველი და საყვარელი?**

ა) დიზაინერის შექმნილი, კვერცხისებური ფორმის;
ბ) შეზლონგი;
გ) ელეგანტური, დახვეწილი, შუა საუკუნეების სტილის;
დ) დიდი, ღრმა და კომფორტული.

**9. აბაზანაში რას განაახლებდით?**

ა) კაფელს შევცვლიდი – უფრო მხიარულს გავაკრავდი;
ბ) შევცვლიდი აქსესუარებს;
გ) უფრო თანამედროვე საშხაპეს დავაყენებდი
დ) აუცილებლად მოვრთავდი ყვავილებითა და აქსესუარებით.

***თუ პასუხების უმრავლესობაა „ა“:*** *თქვენი სტილია მოდერნი. სახლში უნდა იყოს მარტივი ხაზები და მეტი სირბილე. მოგწონთ მინიმალიზმი, ლაკონურობა ნივთებსა და ინტერიერში, მაგრამ, ამასთანავე, მაქსიმალური კომფორტი.*

***უმრავლესობაა „ბ“:*** *მშვენიერება და გლამური გიყვართ. გწყინთ, რომ შუა საუკუნეებში არ დაიბადეთ – თქვენი ბინა სამშვენისებს ვერ დაიტევდა. მოგწონთ, როცა თქვენი საცხოვრებელი ყველაზე ახდენს ეფექტს.*

***პასუხების უმრავლესობაა „გ“:*** *გიყვართ ძველი ნივთები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ისტორია. აფასებთ ხელით ნაკეთობებს. მოგწონთ, როცა თქვენს ბინაში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევს. შეეცადეთ, სახლი სიძველეების მუზეუმად არ აქციოთ.*

***პასუხებში ჭარბობს „დ“:*** *გიყვართ კლასიკა. ცოტათი ყოყოჩიც ხართ – ფერები და დიზაინი – მდიდრული, ინტერიერი და ავეჯი კი განსაკუთრებული უნდა იყოს. თქვენი სახლი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ტრადიციებს.*

# „ტევტონი რკინის ლედი“

„ფორბსის“ მონაცემებით, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი დღეს ყველაზე გავლენიანი ქალი პოლიტიკოსია მსოფლიოში. მას „ტევტონი მარგარეტ ტეტჩერიც“ კი შეარქვეს. გერმანიის ისტორიაში პირველ კანცლერ ქალს, ანგელა დოროთეა მერკელს პოლონური ფესვები აქვს და არც არასდროს დაუმალავს თავისი წარმომავლობა. იგი, როგორც იტყვიან, „მეოთხედი პოლონელია“. მისი ქალიშვილობის გვარია კასნერი. გერმანელობაზე ჯერ კიდევ მისი ბაბუა – ლუდვიგ კაზმირჩეკი „გადაეწყო“.



სკოლაში მისი საყვარელი საგანი ფიზიკა იყო; უყვარდა რუსულიც. რუსული ენის ოლიმპიადაში გაიმარჯვა კიდეც და საბჭოთა კავშირსაც ესტუმრა. ანგელა რუსულად ახლაც კარგად ლაპარაკობს.

მიუხედავად იმისა, რომ ის რელიგიურ ოჯახში გაიზარდა (მამამისი პასტორი იყო), პოლიტიკოსი ქალი ნამდვილად არ არის მორწმუნე, ის ხშირად არც უსმენდა ღვთისმსახურ მამას და თავს ზედმეტ უფლებებსაც აძლევდა. გამოსაშვებ საღამოზე იმდენი ალუბლის ვისკი დალია, რომ აღარაფერი ახსოვდა. ერთი პერიოდი მოცვის სპეკულაციით იყო დაკავებული: „ბოსტნეულითა და ხილით ვაჭრობის ამხანაგობა“ პიროვნებებისგან კილოგრამ მოცვს 4 მარკად იღებდა; ანგელა კი ბაზარში გაცილებით იაფად ყიდულობდა და ამხანაგობას აბარებდა.

ანგელამ ლაიფციგის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობის დროს ის თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის წევრი იყო და აქტიურად მონაწილეობდა ორგანიზაციის მუშაობაში აგიტაცია-პროპაგანდის მიმართულებით. უყვარდა დისკოთეკები, „ბითლზი“ და როლინგ სთოუნი... 1989 წელს პოლონეთში, კოცონთან, ბულატ ოკუჯავასა და ვლადიმირ ვისოცკის ანტისაბჭოთა სიმღერებს მღეროდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში კომუნისტური სისტემის თაყვანისმცემელი იყო.

ანგელა 1977 წელს ელრიხ მერკელს გაჰყვა ცოლად, მაგრამ ერთად გატარებული ხუთი წელი განქორწინებით დამთავრდა. 1998 წელს ის მეორედ გათხოვდა. მისი ქმარია კვანტურ ქიმიაში მსოფლიო მასშტაბის ნიჭიერი მეცნიერი იოაჰიმ ზაუერი. შვილები არ ჰყავთ. ცხოვრობენ ბერლინის ცენტრში, თუმცა, ეს ბინა მათი საკუთრება არ არის – დაქირავებული აქვთ. წყვილი ქალაქში ვერ ძლებს და დიდ დროს ქალაქგარეთა აგარაკზე ატარებს. ანგელას ბაღში თავად მოჰყავს სხვადასხვა ჯიშის კარტოფილი და მარწყვი, ქალაქში კი თავად დადის მაღაზიაში სურსათისთვის. მოსწონს კერძების მომზადება, რაშიც შეფ-მზარეულმა დაახელოვნა. უყვარს უბრალო, გლეხური კერძები – სუპები, ბლინები, თევზეული... დილის საუზმეზე კი ყავის ნაცვლად პიტნის ჩაის მიირთმევს.

36 წლის ანგელა ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი გახდა. მას „კოლის გოგონასაც“ ეძახდნენ, რადგან სწორედ ჰელმუდ კოლის დახმარებით მიიწევდა წინ. მუშაობისას ანგელა მერკელი არ იყენებს ელექტროფოსტას. თანამშრომლებთან, ბუნდესლიგასთან და ბირჟებთან საქმიან მიმოწერას SMS-ებით აწარმოებს. კაბინეტში, სამუშაო მაგიდაზე, გერმანული წარმომავლობის რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა დიდის პორტრეტი უდევს. მას ემსახურება Audi AS, საკუთრებაში კი Volkswagen Golf ჰყავს. ანგელას ხელფასი წელიწადში 290 ათასი ევროა. 150 ევროზე ძვირიან საჩუქრებს კანცლერი პარლამენტს აბარებს. შვებულებას კანცლერი თავად აფინანსებს. სახელმწიფო მას მხოლოდ ავიაგადაფრენების ხარჯს უხდის; მიუხედავად ბორტზე მოკრძალებული მომსახურებისა, მისი მეუღლე იოაჰიმი ცალკე მგზავრობას ამჯობინებს – ასე უფრო იაფი უჯდება, რადგან სახელმწიფო მის მგზავრობას არ აფინანსებს.

გერმანიის პირველი პოლიტიკოსი იშვიათად იცვამს კაბას, არ უყვარს სამკაულები, მოსწონს კლასიკური მუსიკა და ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. ანგელას ეშინია ჭექა-ქუხილისა და ძაღლების, რის შესახებაც უცხოეთში მოგზაურობისას მისი თანამშრომლები ყოველთვის აფრთხილებენ მასპინძლებს. ისინიც, ითვალისწინებენ... გარდა პუტინისა – 2007 წელს, ყირიმის საზაფხულო რეზიდენციაში ანგელას სტუმრობისას, ფოტოსესიის დროს, ოთახში პუტინის ძაღლი – კონი შემოვიდა... ერთი წლის შემდეგ პუტინმა ანგელას პლუშის ძაღლი აჩუქა.

# როცა ქალს უყვარს...

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №27-44(723)

თიკომ სიამოვნებით მოსვა ყავის ბოლო ყლუპი და თვალები მინაბა:

– მმმ.... მართლა არაჩვეულებრივია... დიდი ხანია, ასეთი ყავა არ დამილევია.

– ხომ გითხარი, კოტე ძუნწი არ არის-მეთქი. ყოველთვის განსაკუთრებულ ყავას, ტკბილეულსა და სასმელს ყიდულობს.

– ალბათ, განსაკუთრებული სტუმრები ჰყავს ხოლმე და თავის მოსაწონებლად სჭირდება.

– სტუმრებიც ჰყავს, მაგრამ, ხასიათიც ისეთი აქვს, უბრალო არაფერი უყვარს. ისე, თვითონ ძალიან იშვიათად სვამს აქ და, თანაც, მხოლოდ ჩაის. იმ დღეს კი გამაოცა... – თამრიკო მოსაყოლად მოემზადა...

„ეს მაგარი ჭორიკანაა, – გაიფიქრა თიკომ, – ან, დიდი ხანია, არავისთან ულაპარაკია“...

– გაგაოცა? რით?

– რაც ოფისში ვისკი იყო, სულ დალია გადავირიე. ამდენი წელია, მასთან ვმუშაობ და მსგავსი არაფერი უქნია. რა დაემართა, დღესაც არ ვიცი.

– განერვიულებული იყო, ალბათ, ან, ცოლთან იჩხუბა, – გაუღიმა თიკომ.

– არა მგონია, – დაეჭვებით გადააქნია თავი თამრიკომ, – ცოტა არაადეკვატური მომეჩვენა...

– ვერაფერს დაუკავშირე? – ფრთხილად ჩაეკითხა თიკო, მაგრამ, ასეთი წინდახედულობა საჭირო არ იყო – თამრიკო ბოლომდე შევიდა აზარტში და გაჩუმებას აღარ აპირებდა, მით უმეტეს, წვრილმანებს საერთოდ არც მიაქცევდა ყურადღებას.

– იცი, ვიფიქრე და, მგონი, ამ წერილის მიღების შემდეგ შეიცვალა, რომელიც ვილაც უცნაურმა ტიპმა დაუტოვა... თუმცა, არა... მგონი, ის ტიპი რომ იყო და წავიდა, მაშინ დალია. მე გამიშვა და გამოთვრა... მეორე დღეს მეკითხებოდა, ვისკი რომ გვქონდა შენახული, რა უყავი, დალევა მინდოდა და ვერ ვიპოვეო.

თიკოს გონება გაუნათდა: გაახსენდა, როგორ ნერვიულობდა ლენუკა, კოტე მთვრალი რომ მოვიდა სახლში და იაპონური ლარნაკი გაუტეხა... ეს ორი ამბავი ერთმანეთთან აშკარად იყო კავშირში, მაგრამ, კონკრეტიკა აკლდა.

– იქნებ, საყვარელი გაიჩინა? – ჰკითხა თამრიკოს და უხერხულად გაიღიმა, – მგონი, ძალიან ცუდად ვიქცევი და მეტისმეტ ცნობისმოყვარეობას ვიჩენ...

– არა, რას ამბობ? სრულიად ბუნებრივი შეკითხვაა, – ხელები გაასავსავა თამრიკომ და ერთბაშად ჩურჩულზე გადავიდა: – გოგო, მეც დიდი ხანია, ეჭვი მაქვს, რომ ვილაც ჰყავს,



მაგრამ, ვერ გამოვიჭირე.

„ვერ გამოვიჭირე“ – ცოლივით ნათქვამი გამოუვიდა თამრიკოს და თიკომ ლამის გადაიხარხარა, მაგრამ მაშინვე იმასაც მიხვდა, რომ სიფრთხილე არ აწყენდა – თავი არ უნდა გაეყიდა.

– შენ როგორ უნდა გამოიჭირო? ან, რისთვის გჭირდება, მის ცოლს რომ უთხრა?

თამრიკო შეიჭმუხნა.

– არა! ლენუკას ამ სიამოვნებას არ მივანიჭებ. არც იმ კატეგორიას მივეკუთვნები, სეირის ყურება რომ უყვართ... რა სისულელეა! უბრალოდ, მე თვითონ მაინტერესებს. კოტე ისეთი ტიპია, შეუძლებელია, ვინმესთან არ დაძვრებოდეს, მაგრამ, გადამეტებულ სიფრთხილეს იჩენს.

– ჰო? – ვითომ გულგრილად ჰკითხა თიკომ.

– ჰოდა, აქედან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: – ან კოტეს ცოლის ეშინია, რაც სიმართლესთან ახლოს არის, ან, ორივესი ერთად ეშინია – ცოლისაც და საყვარლისაც.

– ვერაფერი გავიგე, – მხრები აიჩეჩა თიკომ.

– შეიძლება, რაღაცას ისე ვერ ვამბობ, მაგრამ, ასეა. ისე, ყველა კაცი კურდღელივით მშიშარაა და კოტე რატომ იქნება გამონაკლისი?!

– შეიძლება, არც ჰყავს საყვარელი, თუკი მართლაც ასეთი მშიშარაა.

– გამორიცხულია. კოტეს რომ იცნობდე, შენც ეჭვი შეგეპარებოდა. უბრალოდ, კარგად ინიღბება. მე რამდენიმე ისეთი ფაქტი მაქვს...

თიკოს ფერი ეცვალა. ეს ქალი დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა მისთვის, მაგრამ, თავისი სისულელით რაღაცის გაფუჭება მაინც შეეძლო. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა გამოეწურა მისგან ინფორმაცია.

– ოჰო?! აბა, ძალიან ფრთხილიაო?! საფაქტებოდ გაიხადა საქმე? რა ფაქტები გაქვს ამისთანა?

– გადახდის ჩეკები! – თვალი ჩაუკრა თამრიკომ, – ჰო, საკმაოდ სოლიდური თანხები აქვს ფირმიდან აღებული და წაღებული არამიზნობრივად... ანუ, არასაჭიროებისამებრ. ხვდები, ხომ, რაზეა საუბარი?

– ვერა, – სულ გამოიშტერა თავი თიკომ.

– საყვარლის საჩუქრებზე დახარჯა, რა!.. ერთხელ კიდევ, აეროფლოტის ორი ბილეთი შეუკვეთა და, ზუსტად ვიცი, რომ მაშინ ლენუკას თბილისიდან ფეხი არ გაუდგამს.

საქმე იმაზე გაცილებით რთულად იყო, ვიდრე თიკოს ერთი შეხედვით ეგონა. გამშრალი ტუჩები ენით დაისველა, ჩაახველა და თამრიკოს ნაძალადევად გაუღიმა:

– შენ თითქმის შერლოკ ჰოლმსივით აზროვნებ – ძალიან სერიოზული დასკვნები გაგიკეთებია.

– რა ვქნა, თავი რამით მაინც ხომ უნდა გავირთო, თორემ, ხომ გითხარი, არც ლენუკას შესაშინებლად მჭირდება და არც კოტეს დასაშანტაჟებლად.

„ეს ან ძალიან სულელია, ან მაგრად თამაშობს, – გაიფიქრა თიკომ, – ფრთხილად უნდა ვიყო“.

– დიდი მადლობა. ჩემი წასვლის დროა. კარგი იყო შენთან. ყავამ ხომ, საერთოდ, გაასწორა.

– შემომივლით ხოლმე? – თვალები გაუბრწყინდა თამრიკოს.

– აუცილებლად. მე კი ვერ გეპატიჟები ჩემთან – იქ იმდენი ვიღაც მუშაობს...

– მეც არ ვიტყოდი უარს, ერთი-ორი თანამშრომელი მაინც რომ მყოლოდა – ვზივარ აქ გამოყრუებული მთელი დღე და ან ბუღალტრულ ანგარიშებს ვითვლი, ან რაღაც სისულელეებით ვერთობი. მოკლედ, არ მოგერიდოს, ყოველთვის სიამოვნებით გიმასპინძლებ.

– მადლობელი ვარ, მაგრამ, შენი უფროსი რომ ჩამოვა, მომერიდება მაინც...

– ჰო, პრინციპში, მართალი ხარ, კოტესთან არ ღირს. იცი, რას ვიზამ? შენი მობილურის ნომერი მომეცი და დაგირეკავ ხოლმე.

– უმჯობესია, შენ მომცე ნომერი, – თავი ბოლომდე დაიზღვია თიკომ.

თამრიკომ მხრები აიჩეჩა, პატარა ფურცელზე მობილურის ნომერი დაუწერა და მიაწოდა.

ოთახიდან რომ გამოვიდა და კარი მიხურა, თიკომ შვებით ამოისუნთქა. ახლა შეეძლო, ლენუკასთვის რაღაც ინფორმაცია მიეწოდებინა, მაგრამ, ყველაფრის მოყოლაზე თავიდანვე თქვა უარი. წერილისა და ინკოგნიტო ვიზიტორის ამბავი თავისთვის შემოინახა იმ მოსაზრებით, რომ, შეიძლება, კოტესთან ურთიერთობაში გამოსდგომოდა. თავის ოფისში რომ შევიდა, პირველი, ვინც დაინახა, ბეჟანი იყო, რომელიც გულხელდაკრეფილი იდგა მის მაგიდასთან. თიკოს მოეჩვენა, რომ ცოტათი გაბრაზებული გამომეტყველება ჰქონდა.

– სად იყავი? ნახევარ საათზე მეტია, გელოდები, – უსაყვედურა, დანახვისთანავე.

– მოსაწევად გავედი. თუ გჭირდებოდით, მობილურზე რატომ არ დამირეკეთ? მაშინვე შემოვიდოდი.

– ვცადე, მაგრამ, ტელეფონი მაგიდაზე დაგიტოვებია, – ბეჟანმა მაგიდისკენ გაიხედა. თიკომ თავისი მობილური კომპიუტერის გვერდით რომ დაინახა, გაწითლდა:

– უი, ეს როგორ დამემართა... ბოდიშს გიხდით, ბატონო ბეჟან.

– ასე ნუ მომმართავ, ხომ გთხოვე?! – ხმადაბლა შეახსენა კაცმა, – თან, გითხარი, მოწევა რომ მოგინდება, ჩემს კაბინეტში შედიმეთქი.

– ვიცი, მაგრამ, მომერიდა, ბატონო ბეჟან... უი, მაპატიეთ, ბეჟან... იმის თქმა მინდოდა, რომ აქ სხვებიც მუშაობენ და უხერხული იქნება, მე რომ მოსაწევად თქვენს კაბინეტში შევიდე.

– პრინციპში, მართალი ხარ. როგორ მომწონს, როცა ქალი ასე აზროვნებს. ძალიან მომწონხარ. გუშინ მთელი საღამო შენზე ვფიქრობდი. მინდოდა, დამერეკა და მომერიდა – არ შევაწუხო-მეთქი... შეგიძლია, ერთი წუთი ჩემს კაბინეტში შემოხვიდე?

– დიახ, რა თქმა უნდა. ახლავე, კალამსა და ბლოკნოტს ავიღებ.

– არა, არა, ისეთი არაფერია, ჩაწერა არ დაგჭირდება. უბრალოდ, შემოდი...

ბეჟანი გავიდა. თიკომ ჩანთიდან პატარა სარკე ამოიღო, თმა შეისწორა, მოწესრიგდა და კაცს უკან გაჰყვა. მანამდე მოასწრო და უპასუხოდ დატოვებული ზარები შეამოწმა. ერთი უცხოეთიდან შემოსული ზარი იყო. ლენუკასაც დაურეკავს, მინიმუმ ათჯერ მაინც...

ოთახში შესულ თიკოს ბეჟანმა თავაზიანად შესთავაზა სავარძელი.

– პატარა საჩუქარი მაქვს შენთვის, – დაიწყო ყოველგვარი შესავლის გარეშე.

– ჩემთვის? საჩუქარი? ბატონო ბეჟან, – თიკო შეცბა და ასადგომად წამოიწია.

– იჯექი, იჯექი და „ბატონ ბეჟანს” თუ

ერთხელ კიდევ დამიძახებ, სამსახურიდან გაგიშვებ, იცოდე, – გაეხუმრა კაცი, – დიდი არაფერია... უბრალოდ, მინდა, რომ ჩემს საუკეთესო თანამშრომელს ყველაფერი საუკეთესო ჰქონდეს. ტელეფონი გიყიდე. ვფიქრობ, მოგეწონება. აბა, ნახე!... – ამ სიტყვებით პატარა, საფირმო ლოგოებით დამშვენებული პარკი გაუწოდა.

თიკომ პარკიდან შავი ფერის ყუთი ამოიღო, გახსნა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ წამოეყვირა.

– ვაიმე, ზუსტად ასეთზე ვოცნებობდი... არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

– ძალიან მარტივად – ყოველთვის უნდა მითხრა, რაზე ოცნებობ, – ღიმილით უთხრა კაცმა, მასთან ახლოს მივიდა და მხრებზე მოხვია ხელი. თიკოს წინააღმდეგობა არ გაუწევია... არც მაშინ განძრეულა, როცა ბეჟანის სახე და ტუჩები სულ ახლოს აღმოჩნდა მის სახესთან და ტუჩებთან...

***

კოტე თავადაც ვერ მიხვდა, რა დაემართა... ვერაფრით ვერ აშორებდა დიანას თვალს და უცნაური გრძნობა დაეუფლა: ხან სიხარულს განიცდიდა და ეს უკვირდა, ხანაც გული აუხსნელი სევდით უმძიმდებოდა. თავს ვერ ერეოდა, რომ მისთვის არ შეეხედა. ის სალამო წამებად გადაექცა. ტუჩებს იკვნეტდა ნერვიულობისგან. ერთხელ ადგა, გარეთ გავიდა და ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა, თიკოს დაურეკა.

ქალმა არ უპასუხა. ისედაც გაღიზიანებულმა, შეიგინა, ბარში დაბრუნდა და სწორედ იმ დროს შევიდა, როცა დიანა რაღაცაზე ხალისიანად იცინოდა... ცუდად განათებულ შენობაში მისი თვალები ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ, კბილები კი ისე უქათქათებდა, მათზე არეკლილი შუქი, ვნებიანად დასთამაშებდა მსხვილ, ლამაზ ტუჩებზე. კაცმა მუხლებში სისუსტე იგრძნო. გული თითქოს ამოსახტომად იყო მზად...

სანდრომ უკმაყოფილო მზერა მიაპყრო.

– არ გინდა, სახლში წავიდე და დაისვენო? – ჰკითხა გაღიზიანებული ტონით, – გაისეირნე მაინც, თორემ, ასე მგონია, თავს ძალიან უხერხულად გრძნობ.

– არა, რატომ? თუმცა, შეიძლება, ხელს გიშლით. თუ ასეა, წავალ.

– ახლა ნუ დაიბოღმები, ძალიან გთხოვ. საწყენად არ მითქვამს.

– ვიცი. ცოტა ხანში გავალ.

– მართლა არ მინდა, რომ გაბრაზდე.

– არ გავბრაზდები. ისეთი შეუგნებელიც არ ვარ, შენ რომ გგონია.

– მე ეგ არ მითქვამს, – აწრიალდა სანდრო, თან დესაკენ გააპარა მზერა.

გოგო ისევ იცინოდა და ბიჭს ყრუანტელი უვლიდა მის შემხედვარეს...

***

ლენუკამ შესვლა არ აცადა თიკოს, ისე დააყარა შეკითხვები:

– აბა, მითხარი, რა ქენი? როგორ არის საქმე? გაიცანი თამრიკო? გაიგე რამე?

– დამაცადე, ამომასუნთქე. პირდაპირ სამსახურიდან მოვდივარ. მკითხე მაინც, ყავა ხომ არ მინდა.

– ყავაც იქნება და სხვა რამეც, ოღონდ შენ არ დამუნჯდე. ისე მაინტერესებს, ცნობისმოყვარეობით ვკვდები.

– კარგი, თუ ეს დაგამშვიდებს, გეტყვი: გავიცანი თამრიკო, სიგარეტიც მოვწიეთ ერთად და ყავაც დავლიეთ.

– ჩქარა, მომიყევი!

– ვაიმე, რომ დავჯდე, არ შეიძლება? – თიკომ სავარძელში მოიკალათა. ჩანთა იქვე, იატაკზე მიაგდო. ახალი ტელეფონი კი წინ დაიდო. ლენუკამ მაშინვე შეამჩნია.

– ეს რა არის? იყიდე? რა მაგარია! ბოლოა, ხომ?!

– ჰო, ბოლოა. ბეჟანმა მიყიდა... დღეს ძალიან ნაყოფიერი დღე მქონდა.

– რა გენაღვლება, სერიოზული კავალერი იშოვე. რა გაუკეთე ამისთანა, რომ გადაირია?

– აბსოლუტურად არაფერი. უბრალოდ, შევუყვარდი! – ამაყად გამოაცხადა თიკომ.

ლენუკამ წარბი შეიკრა.

– შეუყვარდი? ოჰ, რა ადვილად ამბობ! შეაბი კაცი, ყურებით დაიჭირე და ახლა უწყინარი მტრედივით ღუღუნებ.

– ლენუკა, შენ, მგონი, თამრიკოს ამბავი გაინტერესებდა, – ამოიოხრა თიკომ.

– დიახ, ეგეც მაინტერესებს. მაგრამ, ამ ბეჟანზეც გადარეული ვარ, რამ ააცუნცრუკა ამხელა კაცი.

– რა ლაპარაკია ახლა ეს? – სერიოზულად ეწყინა თიკოს. უნდოდა ეთქვა, აცუნცრუკებული შენი ქმარია, ცოლიც რომ ჰყავს, საყვარელიც და მაინც აქეთ-იქით აცეცებს თვალებსო. ზოგჯერ ეს უთქმელობა ისე უშლიდა ნერვებს, ყელში ბურთმოწოლილი, რას არ მისცემდა, ოღონდ კი ბოლმის გადმონთხევისა და დაქალისთვის ყველაფრის პირში მიხლის საშუალება მისცემოდა.

– მოკლედ, თუ გაინტერესებს, მოგიყვები. მალე უნდა წავიდე – ბეჟანმა თავისი ახალი სახლი უნდა მაჩვენოს, ჩემი აზრი აინტერესებს.

ლენუკამ სიგარეტს მოუკიდა და მეგობარს ირონიული მზერა მიაპყრო.

– რა იყო, არ შეიძლება, ჩემი აზრი აინტერესებდეს? ცუდი გემოვნება მაქვს თუ რა ხდება? – ეს რა პრეტენზიებია? – გაბრაზდა თიკო.

– რა გინდა? ვთქვი რამე? – მხრები აიჩეჩა ლენუკამ, – მე მაქვს პრეტენზიები?

– ჰო. ისე მიყურებდი, თავი სისხლის სამართლის დამნაშავედ ვიგრძენი. ცოლი არ ჰყავს კაცს და მოვეწონებვარ. არ მესმის, რატომ უნდა ვუთხრა უარი?

– მერე, ვინ გეუბნება, უარი უთხარიო? წეღან თქვი, ვუყვარვარო, ახლა – მოვეწონებვარო...

– ერთი გამაგებინე, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს ამას? – საბოლოოდ დაკარგა მოთმინება თიკომ.

– არაფერი. რომ მდომოდა, დიდი ხნის წინ გავყვებოდი ცოლად, – ტუჩი აიბზუა და გაიცინა ლენუკამ.

– ჰოდა, მაშინ, მე მაცადე!

– ვაიმე, შენი მტერი კი არ ვარ! გყავდეს, თუკი ასე ძალიან გინდა! თამრიკოს ამბავი მითხარი!

– გავიცანი. კითხვაც არ სჭირდება, ისე ფქვავს ყველაფერს. ოფისში დამპატიჟა ყავაზე.

– ოჰო! ისე კი, მეც თავიდანვე შევატყვე მაგას ენაჭარტალობა. რაო, რა თქვა, სად ბრძანდება მისი ძვირფასი შეფი?

– ინფორმაცია, რომელიც მომაწოდა და რომელსაც შენ ფლობ, აბსოლუტურად იდენტურია.

– მელადავები? – გადაირია ლენუკა.

– არა, სიმართლეს გეუბნები. ევროპაშია, კონტრაქტებს აფორმებსო. აჰა, რას გეუბნებოდი?

– ჰმ, აბა, ეტყობოდა, საყვარელთან ერთად მივდივარო?

– არა, მაგრამ, როგორც მივხვდი, ბილეთებს შენი ქმრისთვის ყოველთვის თამრიკო უკვეთავს და იღებს კიდევ. ორი ბილეთი რომ



ეყიდა, მეტყოდა.

– არ გეტყოდა. შენ ეგრე ნუ უყურებ მაგას, დიდი ეშმაკი ვინმეა. თან, დიდად გულზეც არ ვეხატები.

– ეგ არ უთქვამს. პირველი დღე იყო, მართლა ყველაფერს ხომ არ მეტყოდა. ცოტა ხომ დამშვიდდი? წავედი ახლა...

ლენუკამ უსიტყვოდ აიღო ხელში თიკოს ახალი მობილური და გულდასმით დაათვალიერა.

– ჰმ, უყურე ბეჟანს?! ფული უშოვია...

– აუ, გეყოფა, რა, – თიკომ მობილური ხელიდან გამოსტაცა, ჩანთა აიღო და უკანმოუხედავად გაიქცა კარისკენ.

– საწყენად არ მითქვამს, საყვარელო! – მიაძახა ლენუკამ და ცოტათი ინანა, მეგობართან ზედმეტი რომ მოუვიდა.

***

– კოტეს სუსხმა სახე აუწვა. ცივმა ქარმა მთელ სხეულში დაუარა, მაგრამ ქურთუკის შეკვრაზე არ უფიქრია. მიდიოდა უცნობი ქალაქის სველი თოვლით ჩამუქებულ ქვაფენილზე და თვალწინ დეას სახე ედგა. ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან მასზე ფიქრი. ლამაზი ქალის მეტი რა უნახავს, მაგრამ, ამაში არ იყო საქმე. თავის დროზე ლენუკაზეც ირეოდნენ კაცები და სერიოზული ბრძოლა დასჭირდა მის მოსაპოვებლად; თიკოსაც არა უშავდა – მშვენიერი ფორმები ჰქონდა და, ჩაცმულ-დახურულიც და გახდილიც სერიოზულ ეფექტს ახდენდა, მაგრამ დიანაში რაღაც სხვა დაინახა, ის, რასაც დიდი ხნის წინ განიცდიდა. მივიწყებული გრძნობა გაუცოცხლდა და უცნაური სითბოთი აავსო. ხვდებოდა, რომ არ უნდა ეფიქრა გოგოზე, თითქმის ბავშვზე, მაგრამ, უძლური იყო ამ გრძნობასთან ბრძოლაში...

– როგორ ჩქარა მიდიხართ, ძლივს დაგეწიეთ... – მოესმა ზურგსუკან და ლამის გული გაუჩერდა... შემობრუნების შეეშინდა – შეეშინდა, რომ მირაჟი გაქრებოდა.

მის წინ დიანა იდგა და ულიმოდა. სიცივისგან შეფაკლულ ლოყებზე ჯანმრთელი ვარდისფერი გადაჰკრავდა და კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა. გოგო უცერემონიოდ მიუახლოვდა და ხელკავი გამოსდო.

– იმდენი ხანია, მოგდევთ, – გაუღიმა გოგომ...

კოტეს მუხლები მოეკვეთა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **ბინაში მაქვს პლუმბაგო, რომელიც ძალიან სწრაფად გაიზარდა და ფორმა დაკარგა, ხომ არ დაზიანდება, კარკასზე რომ შემოვახვიო?**

პასუხი: ეს მცენარე ნამდვილად სწრაფად მზარდია და ოთახში დიდი სივრცე სჭირდება, რათა თავი ვიწროდ არ იგრძნოს. მავთულის კარკასზე ან ბადეზე მიმაგრებით პლუმბაგოს სასურველ ფორმას მიაღებინებთ. მას ყვავილები მხოლოდ პირველი წლის ტოტებზე ამოსდის, ამიტომ, გაზაფხულზე გასხალით და კარკასზე მხოლოდ გახევებული ტოტები დაუტოვეთ, რათა ახალი საყვავილე ღეროები განუვითარდეს.

კითხვა: **რამდენია გვიმრისთვის მინიმალური ტემპერატურა და სად არის მისთვის საუკეთესო ადგილი?**

პასუხი: ზოგადად, მისთვის საკმარისია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი, ზამთარში კი მინიმუმ 10 გრადუსი მაინც უნდა იყოს, რომ არ დაიღუპოს. მისთვის კარგი იქნება, თუ სააბაზანოსა და სამზარეულოში მოათავსებთ. ისეთ ადგილას უნდა დადგათ, რომ სინათლე არ მოაკლდეს, შუადღის მწველ მზეს კი მოარიდეთ.

კითხვა: **გამძლე მცენარეა თუ არა იზოლეპისი?**

პასუხი: ძლიერი, კომპაქტური მცენარის გაზრდას კაშკაშა სინათლე სჭირდება. მცენარე სიგრილეში უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე სიცხეში. დადგით ჰაერიან ადგილას და მოარიდეთ სიცხეს. კარგია მინიმალისტური ინტერიერი. თუ ამ პირობებს გაითვალისწინებთ, იზოლეპისი გამძლე გახდება.

კითხვა: **როგორი პირობები უნდა შევუქმნა პელარგონიუმს, რათა კარგად გაიხაროს?**

პასუხი: მთელი წლის განმავლობაში ამ მცენარისთვის აუცილებელია კარგი განათება. ზაფხულობით მცენარე შუადღის მზეს მოარიდეთ. დროდადრო სიმშრალეს იტანს, მაგრამ, ზაფხულობით ეცადეთ, ტენი არ მოაკლოთ. ნათელ და თბილ ბინაში ზამთრობითაც განაგრძეთ მორწყვა, გაზაფხულზე კი გადარგეთ. მისთვის იდეალურია ოთახის ტემპერატურა. თუ ზამთრობით სინათლე მოაკლდა, სიგრილეში გადადგით, თორემ, ფორმას დაკარგავს.

კითხვა: **როგორ მოვუარო სუროს და რა პირობები შევუქმნა მას?**

პასუხი: სურო კარგად გრძნობს თავს ნებისმიერ ოთახში, სადაც ცოტაოდენი სინათლეა. თუ დროგამოშვებით მორწყავთ, სათანადო პირობებს შეუქმნით და შესაბამისად მოუვლით, ჯანსაღ მცენარეს მიიღებთ. ამ მცენარის ჭრელ სახეობებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, სადაც ფერის სურო კი ჩრდილსაც აიტანს. სიცხეში სურო ფორმას იცვლის და უშნოვდება, ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში სიგრილეში ამყოფეთ. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს; ნიადაგს ნურც ზამთარში გამოაშრობთ, თორემ, სუროს ფოთლები დაეჭმუჭნება. ის იოლად გასაზრდელი მცენარეა. მისი დიდი უპირატესობა ის არის, რომ ჩრდილსაც იტანს და სიგრილესაც; კარგად ხარობს ჰოლშიც და ზამთრის ბაღშიც. სურო დაახლოებით 30 სანტიმეტრი იზრდება, ასე რომ, სულაც არ არის პრეტენზიული მცენარე. თუ არ გაქვთ, აუცილებლად შეიძინეთ და გარწმუნებთ, მისი გახარება არ გაგიჭირდებათ.

კითხვა: **რა ტემპერატურასა და სინათლეზე ვამყოფოთ კალანჰოე?**

პასუხი: კალანჰოე ათასგვარი ფორმისა და ფერის არსებობს, თუმცა გარეგნული სხვაობის მიუხედავად ყველა სახეობის კალანჰოეს თითქმის ერთნაირი გარემო და პირობები სჭირდება. კალანჰოე განათებულ ადგილას დადგით. რაც უფრო რუხი ან ბუსუსიანია, მით მეტი სინათლე სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა, თუმცა, იტანს ზამთრის სიგრილესაც, არანაკლებ 10 გრადუსისა. მისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილი სააბაზანოა.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვადაში უნდა დასრულდეს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ, არაუმეტეს შესაბამისი დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება აქვს ბრალდების მხარეს გამოძიების სტადიაზე?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, ზოგადად, გამომძიებელი ატარებს შემდეგი სახის ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს: სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას; ინფორმაციის მოხსნასა და ფიქსაციას კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით); კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაციას; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლს; ფარულ ვიდეო და აუდიოჩაწერას, კინო და ფოტოგადაღებას; ელექტრონული თვალყურის დევნებას ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და გარემოს.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე პირს ჰყავდეს ადვოკატი და, დადებით შემთხვევაში რა, მოქმედებების განხორციელება შეუძლია ადვოკატს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ პირს ნებისმიერ საქმეზე და დროს შეიძლება ჰყავდეს ადვოკატი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატს უფლება აქვს: გაეცნოს საქმის ყველა მასალას; განაცხადოს შუამდგომლობანი; იმ პირის დავალებით, რომელმაც ის მიიწვია და მისივე სახელით, შეიტანოს საჩივარი საქმის გამო მიღებულ დადგენილებაზე. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, პირს, თუკი ის გადახდისუუნაროა, უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნა.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, არის თუ არა პროსტიტუცია დანაშაული და, დადებით შემთხვევაში, რა სასჯელს ითვალისწინებს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ პროსტიტუცია დანაშაული არ არის, ანუ, მას არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი, თუმცა, პროსტიტუცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე; ხოლო, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

# რა შემთხვევაში ჩაქრება მანქანა და რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ დროს

***ქუჩაში გაჩერებული და ავარიის სიგნალებჩართული მანქანის ნახვა თბილისში იშვიათობა ნამდვილად არ არის. ავტომრბოლელი მევლუდ მელაძე მოგვცემს რამდენიმე რჩევას, თუ როგორ უნდა მოვაგვაროთ ესა თუ ის მარტივი პრობლემა:*** ძალიან ხშირად მინახავს, რომ, სულ უმნიშვნელო პრობლემის გამო, რაღაც ტრაგედიას ქმნიან და მძღოლები საათობით დგანან ქუჩაში. პირველი, რაც ქართველების უველაზე მავნე სენია, სანამ საწვავი ნულზე არ ჩამოვა, არ ამატებენ. ზოგიერთ ავტომობილს უკვე წითელი უნთია, მაგრამ, რადგან მაინც მიდის, მძღოლები ამბობენ, ცოტაც გაიაროს და დავამატებო. არადა, ხომ შეგვიძლია, „გავიხსენოთ", რომ ის ბენზინი ან დიზელი ორი ხაზით ზემოთ მთავრდება და არა წითელზე?! ამიტომ, საწვავიც მაშინ უნდა დავამატოთ, როდესაც ის ამ ხაზზე ჩამოვა. როდესაც ავტომობილში ცოტა საწვავია, მისი საქაჩი „ნასოსი" ხშირად მშრალად მუშაობს და ფუჭდება; თან, საწვავს მცირე რაოდენობით ამატებენ და, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მძღოლი სულ „წითელანთებული" დადის; მაგრამ, ვთქვათ, ავტომობილი ჩაქრა, მაშინ, თუ საწვავი გვაქვს, ჩაქრობის მიხედვით, დაახლოებით შეგვიძლია მივხვდეთ, რა სჭირს ჩვენს ავტომობილს. ავტომატური მართვის კოლოფის მქონე მანქანებზე სხვა რაღაცეები ხდება, ამიტომ, ჯერ მექანიკურზე ვისაუბროთ: ვთქვათ, მოვდივართ და ავტომობილი უცებ „მკვდრად" ჩაქრა, ანუ, სვლას განაგრძობს, მაგრამ, ისე, თითქოს გაზიდან ფეხი ავუშვით. ასეთ დროს ის მხოლოდ ინერციას მიჰყავს და მოძრაობას ანელებს. თუ ამ მომენტში ხელსაწყოების პანელზე რაღაც ნათურები აინთო, ეს ნიშნავს, რომ რაღაც გადაბმის წყვეტა მოხდა ან გასაღების ბუდე დაზიანდა. ისეთი რაღაც ხდება, თითქოს გასაღები გამოიღეთ და კონტაქტი ირღვევა. სვლის შეუნელებლად, ჩვენ შეგვიძლია, გასაღები რამდენჯერმე გადავატრიალოთ, ანუ მანქანა გამოვრთოთ და ხელახლა ვეცადოთ დაქოქვა. თუ მანქანა დაიქოქა და წავიდა, ესე იგი, ბუდის პრობლემა იყო. ამ შემთხვევაში პრობლემას გაუჩერებლად ისე გადავჭრით, რომ სხვა მძღოლები ვერც კი მიხვდებიან თუ ავტომობილი ჩაგიქრათ. თუ ამან არ უშველა და ხელსაწყოების პანელზე არცერთი ნათურა არ აინთო, ესე იგი, ჩვენს ავტომობილში რაღაც მოწყობილობა გაფუჭდა და, სავარაუდოდ, ეს ან დენის ან საწვავის მომწოდებელია.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– რა უნდა გავაკეთოთ ასეთ შემთხვევაში?**

– თუ მანქანა ძალიან ძველი არ არის და საწვავის მოწოდების ელექტრომოწყობილობა, ანუ, ბენზინის ელექტროპომპები აქვს, შეგიძლიათ, მარტივი ტესტი ჩაატაროთ: მანქანა უნდა გააჩეროთ და გამორთოთ; დაქოქვისას კი მან ზუილივით ხმა უნდა გამოუშვას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნასოსი ცდილობს სისტემას საწვავი მიაწოდოს. თუ ეს ხმა არ არის, ესე იგი, „ნასოსი" არ მუშაობს. მაგრამ, შესაძლოა, „ნასოსი" არ იყოს გაფუჭებული და მხოლოდ მისი დამცავი იყოს დამწვარი, რაც ძალიან ხშირი პრობლემაა. ამიტომ, არ უნდა დაიბნეთ, ავტომობილს კაპოტი ახადეთ და იპოვეთ მცველების კოლოფი. ძირითადად მცველების კოლოფი ან საჭის მარცხენა ქვედა კუთხეში, ან ძრავის სექტორშია მოთავსებული და ძალიან იოლი საპოვნელია. იქვე დევს მცველის ამოსაღები პატარა პლასტმასის მოწყობილობა. შეგიძლიათ, მცველები რიგრიგობით ამოიღოთ, შუქზე გახედოთ და, თუ გადაბმულობა არ ჩანს, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ ის გაფუჭდა. სხვათა შორის, ყუთის სახურავზე აწერია, რომელი მცველი რისთვისაა განკუთვნილი და ძალიან მარტივად იპოვით, ვთქვათ, ბენზინის პომპის მცველს, რომელსაც ეწერება FUEL POMP. მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, გაწყვეტილი მცველის პოვნა ძალიან ადვილია.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**– ფარის ნათურის მცველი „ნასოსის" მცველად გამოდგება?**

– ყველა მცველს აწერია, თუ რა დაძაბულობას უძლებს. თუ პრობლემა სხვა რამეა, მარტივად შეგიძლიათ მცველების ყუთში პრობლემის გადაჭრის ხერხი იპოვოთ. ვთქვათ, რომელიღაც მცველი გაფუჭდა, რომელიც 20-ამპერიან დაძაბულობას უძლებს; იპოვეთ იმავე სიმძლავრის სხვა მცველი და მარტივად შეცვალით.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: უკვე წელიწად-ნახევარია, ჩემი ძაღლისთვის ცოფზე აცრა არ გამიკეთებია. ეს ძალიან საშიშია თუ შესაძლებელია, კიდევ რამდენიმე თვე არ ავცრა?**

**პასუხი:** ცოფზე ვაქცინაცია აუცილებელია გაუკეთდეს ძაღლს 3 თვის ასაკიდან და შემდეგ ყოველ 11 თვეში ერთხელ. ამიტომ, თქვენს შემთხვევაში, აუცილებელია, სასწრაფოდ აცრათ თქვენი ძაღლი. უნდა გახსოვდეთ, რომ ცოფი ძალიან საშიში დაავადებაა და მის შემთხვევაში ლეტალობა 100 პროცენტია.

**კითხვა: ჩემი ძაღლი ვერ იტანს ძალიან ცხიმიან საჭმელს, ზამთარში კი ეს აუცილებელიაო, გამიგია. რა უნდა ვქნა? რით შევუვსო მას ცხიმის კალორია?**

**პასუხი:** ეს არასწორი მიდგომაა. ზამთარში ცხიმი აუცილებელი არ არის. უბრალოდ, წელიწადის ამ დროს ცხოველს მეტი კალორია სჭირდება. ეს მისაზრება იქიდან მოდის, რომ სწორედ ცხიმის დაწვით გამოიყოფა უფრო მეტი კალორია. ზამთარში ცხოველს უნდა მისცეთ მაღალკალორიული ვიტამინიზებული და ადვილად ასათვისებელი საკვები.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ძაღლებში უშვილობის პრობლემა გამოვლინდეს? ჩემი ძაღლი უკვე 2 წლის არის და ჯერ ვერ დაორსულდა.**

**პასუხი:** როგორც სხვა ძუძუმწოვრებს, ძაღლებსაც აქვთ სქესობრივი ციკლი და, ამ ციკლთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა შეიძლება გახდეს უნაყოფობის მიზეზი. უნდა დაზუსტდეს, აქვს თუ არა თქვენს ძაღლს ციკლი, ჯვარდება თუ არა და, თუ ჯვარდება, ეს შეჯვარება ემთხვევა თუ არა ოვულაციას, რათა მოხდეს განაყოფიერება, ანუ, ციკლის დაწყებიდან მერამდენე დღეს აჯვარებთ ძაღლს. გირჩევთ, კონსულტაცია გაიაროთ ვეტერინართან, რის შემდეგაც, შეიძლება, თქვენს ძაღლს სპეციალური გამოკვლევები დასჭირდეს, რაც დააზუსტებს უნაყოფობის მიზეზს.

**კითხვა: რამდენჯერ არის საჭირო ძაღლის დაბანა და გაკრეჭა ზამთრის პერიოდში?**

**პასუხი:** ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად იმყოფება ძაღლი – ოთახის პირობებში თუ ქუჩაში. სასურველია, ოთახის ძაღლი გაიკრიჭოს ზამთრის დაწყებამდე და, გასეირნების წინ, ცივ ამინდში, ჩააცვათ სპეციალური ტანსაცმელი. რაც შეეხება ბანაობას, არსებობს მშრალი შამპუნები, რომლითაც შეიძლება გაიწმინდოს ძაღლის ბეწვი, თუ ის ეზოშია; ოთახის პირობებში კი ძაღლის დაბანა თვეში ორჯერ არის საკმარისი.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28-44(723)**

პროზექტურაში მისულ მილიციელებს, პოლკოვნიკი ბასკოვი და ერთი ოცეული დახვდათ.

– თქვენ გელოდებოდით, მერაბ კონსტანტინოვიჩ, – პოლკოვნიკმა ხელი ჩამოართვა მაიორს, – თქვენი გაქცეულები ლეიტენანტ პროხოროვის ჯგუფმა აღმოაჩინა სამხრეთ ტყის ზოლში. მთის წვერიდან ორი კილომეტრით ქვემოთ. იქ ერთი ქოხია და იმის წინ ეყარნენ. მგლები დასეოდნენ და შუაზე გლეჯდნენ. როგორც ეტყობა, ხროვა თავს დაესხა მათ. ქალია და კაცი. როგორც კი შემატყობინეს, მივედით და წამოვიყვანეთ. დანარჩენი ორი ოცეული და მესამის ნაწილი მაინც განაგრძობს ძებნას.



– რომელ საათზე აღმოაჩინეს?

– პირველის ნახევარზე, ამხანაგო მაიორო. მაგრამ მათ ჩამოყვანაში დაგვეხარჯა დიდი დრო. ფეხით ვატარეთ და ამიტომ.

– ამხანაგო პოლკოვნიკო, შეგიძლიათ, მაქსიმუმ ნახევარი საათი დამელოდოთ? – ჰკითხა მერაბმა ბასკოვს.

– რა თქმა უნდა.

– კარგი. ჩემს მანქანაში ჩასხედით და მოვალ.

– ჩვენს მანქანაში დაგელოდებით, – ბასკოვმა სამხედრო „ურალისკენ" გაიშვირა ხელი, – გაგრიფშში რომ სამხედრო ნაწილია, იქიდან წამოვიყვანეთ და იქ ვიჯდებით.

პროზექტურაში შესულმა გამრეკელმა სანიტარ „შოპენას" მოჰკრა თვალი, რომელიც სიგარეტს ეწეოდა, თან ჰერცოგის არიის მელოდიას უსტვენდა ოპერა „რიგოლეტოდან"...

– ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, ბატონო მერაბ, – მიუსამძიმრა გამრეკელს პათანატომმა და დაამატა, – ასთამურ შამბას გაკვეთის დასკვნა უკვე მზად მაქვს და მოგცემთ.

– ეგ მერე. გვამების ნახვა მინდა, სამხედროებმა რომ მოიტანეს წელან, – უთხრა მერაბმა.

პათანატომმა, მერაბი გვამების ოთახში შეიყვანა და გვერდიგვერდ დაწყობილი ქალისა და მამაკაცის გვამები უჩვენა, თან დააყოლა:

– ესენია.

გვამებს მუქი ფერის „ტელეგრეიკები" ეცვათ, რომლებიც მგლებს დაეგლიჯათ და სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილიც შეჭმული ჰქონდათ. ორივე მათგანის გარეგნობა და ჩაცმულობა ზუსტად ემთხვეოდა დინარა მჟავიას აღწერილობას და მაიორი მიხვდა, რომ მის წინ მისი მამობილის მკვლელების ცხედრები ესვენა.

– სასწრაფოდ გაკვეთეთ. დაწვრილებით გამოიკვლიეთ ყველაფერი და რაც შეიძლება, მალე მომაწოდეთ დასკვნა, – მოკლედ უთხრა მერაბმა პათანატომს.

– ბატონო მერაბ, გვამებს ძალიან საეჭვო სილურჯე დაჰკრავთ სხეულზე. ერთი შეხედვით ეს გაყინვის შედეგად წარმოქმნილი კვალია. მაგრამ ყავისფერი ლაქები მაეჭვებს.

– რას ფიქრობთ?

– ვფიქრობ, ისინი მოწამლულები უნდა იყვნენ. ასეთ ლაქებს კალიუმციანიდი ტოვებს.

– გასაგებია. სასწრაფოდ შეუდექით საქმეს და დასკვნა მომაწოდეთ. ბიოლოგიური ექსპერტიზისთვის განკუთვნილი მასალა კი გულბათ მარგიანს გადაეცით და ის თბილისში წაიღებს.

– კი ბატონო. ახლავე გავკვეთავ ორივეს. ასთამურ შამბას გაკვეთის დასკვნას მოგცემთ და დავიწყებ. გნებავთ გვამის დათვალიერება?

– არა. არ შემიძლია, – თავი გააქნია მერაბმა, – გარეთ გავალ და იქ გამომიტანეთ.

ასთამურ შამბას გაკვეთის დასკვნა შოპენამ მიუტანა მერაბს და უკან შებრუნდა. გამრეკელმა კი ის ჯიბეში ჩაიდო და გულბათს უთხრა:

– პათანატომი საექსპერტიზო მასალებს მოგცემს და ეგრევე თბილისში გაემგზავრე, ლაბორატორიაში მიიტანე. თან, ერთი ოპერიც გაიყოლე. აი, ასი მანეთი გამომართვი. მეტი არ მაქვს და იმყოფინეთ. თუ ბონდო გვალიას ნახავ, ერთად წამოდით. მე ახლა განყოფილებაში მივდივარ და შენს „ვოლგას" გამოვუშვებ. შენებთანაც მე შევივლი და შევატყობინებ.

– არ გინდა. დავრეკავ სახლში. ასი მანეთი კი მეც მაქვს და არც ფული მინდა, – მიუგო გულბათმა.

მერაბმა ფული ჯიბეში ჩაუდო მარგიანს. შემდეგ „ურალში" მჯდომ ბასკოვთან მივიდა და უთხრა:

– ყველაფრისთვის დიდი მადლობა, პოლკოვნიკო. შეგიძლიათ, შეწყვიტოთ ძებნა. ერთი პროცედურა დარჩა და თავისუფლები ხართ.

– გისმენთ, მერაბ კონსტანტინოვიჩ.

– ლეიტენანტი პროხოროვი გამომაყოლეთ მილიციის განყოფილებაში, რომ ჩვენება მოგვცეს და აღწეროს, თუ როგორ და სად აღმოაჩინეს გვამები. კარგი?

– კეთილი. მეც წამოვყვები და სხვა ჯარისკაცებიც მოგცემენ ჩვენებას, თუ საჭიროა, – მიუგო მერაბს ბასკოვმა.

სამხედროებმა რომ ჩვენებები დაწერეს, დილის ექვსი საათი შესრულდა. მერაბმა სათითაოდ გადაუხადა მათ მადლობა. ბასკოვი კი გვერდზე გაიხმო და უთხრა:

– პოლკოვნიკო, თქვენთან ვალში ვარ. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, ყურადღებას ვერ გაქცევთ. ბოდიშს გიხდით. მაგრამ, აუცილებლად შევხვდებით და მერე მე ვიცი.

– მითხრეს უკვე. თქვენი მამობილი მოუკლავთ და ძალიან ვწუხვარ. მიხედეთ საქმეს. ჩვენ კი აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს, – პოლკოვნიკმა ბასკოვმა ხელი ჩამოართვა გამრეკელს და გამოემშვიდობა. შემდეგ თავისი ხელქვეითები „ურალში" ჩასხა და გაგრის მილიციის განყოფილებიდან გუდაუთისკენ გაემგზავრა.

შვიდის ნახევარზე მერაბ გამრეკელს უკვე მკვლელების გაკვეთის პირველადი დასკვნა მიუტანეს. მასში პათანატომი ვარაუდს გამოთქვამდა, რომ ცხედრები მოწამლული იყო. ნახევრად შეჭმულ გვამებს მხოლოდ ცხოველების, სავარაუდოდ მგლების, კბილებით მიყენებული დაზიანებები აღენიშნებოდა. სამხედროების ჩვენებებში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გვამებს თან არანაირი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი არ აღმოაჩნდათ და გამრეკელმა გაიფიქრა: „მკვლელები ვიღაც მესამემ წაიყვანა მთაში და როგორც ეტყობა, სასმელში გარეული საწამლავით მოკლა. თავად კი მიიმალა და მკვლელობის იარაღიც გააქრო. როგორც ეტყობა, უბედური შემთხვევის ინსცენირება უნდოდა. ნაცნობი ხელწერაა. ვასო დუმბაძეც ხომ, დაახლოებით ასე დაიღუპა".

დილის რვა საათი რომ შესრულდა, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა მერაბ გამრეკელს თამარი და მართა. გაგრის მილიციის უფროსი გააფრთხილა, სახლში მივდივარო და ანჩაბაძეებთან გაემგზავრა.

მერაბი ფეხაკრეფით შევიდა სახლში. ირგვლივ ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა. მაიორს თამბაქოს სუნი ეცა და ლამის გული გაუჩერდა. მილიციის მორიგე ოპერჯგუფი მთელ პარამეტრს აკონტროლებდა და გამორიცხული იყო, რომ ანჩაბაძეებთან უცხო ადამიანი შესულიყო. ამის გაფიქრებამ მერაბი ოდნავ დაამშვიდა. თუმცა, გადატენილი ტაბელური იარაღი არ შეუნახავს და თამარის საძინებელში ფრთხილად შეიხედა. თამარს მშვიდად ეძინა. მაიორი სამზარეულოში შევიდა და შეცბა... მართა მაგიდასთან იჯდა და პაპიროსს აბოლებდა. უზარმაზარი საფერფლე ნამწვავე-

ბით იყო სავსე. მაიორმა პისტოლეტი შეინახა და სიდედრს მიესალმა:

– დილა მშვიდობისა, ქალბატონო მართა. როგორ ხართ?

– დაჯექი, მერაბ. დაღლილი იქნები და დაისვენე, – მიუგო მართამ და პაპიროსი საფერფლეში ჩაასრისა, – რაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, იმის მერე დავიწყე მოწევა და შენ პირველი ხარ, ვინც ეს შეიტყო.

– ქალბატონო მართა, დაიძინეთ. გეტყობათ, რომ მთელი ღამე გაგითენებიათ.

– არა, შვილო, რა დამაძინებს. დაჯექი, რაღაც უნდა გითხრა.

– გისმენთ, – თქვა მერაბმა და სკამზე ჩამოჯდა.

მართამ თვალი თვალში გაუყარა სიძეს და გაფითრებული სახით უთხრა:

– შენ რომ წახვედი, თამარი დავაძინე და მილიციაში დავრეკე. იქ კი ასთამურის ამბავი მითხრეს.

– ესე იგი, ყველაფერი იცით? – გაფითრდა მერაბიც.

– ჩუმად. თამარმა არ გაიგოს. როგორმე თბილისში უნდა გავიტყუოთ. მეშინია, რამე არ დაემართოს, – თქვა მართამ. მერაბი ძალიან გააოცა სიდედრის ასეთმა სიმტკიცემ.

– დიახ, მართალი ხართ, – მიუგო მერაბმა და თვალზე ცრემლი მოადგა...

– ამხანაგო გენერალო! ვაჟა ზვიადაური მოვიდა და შემოვუშვა? – მოესმა სელექტორიდან თანაშემწის ხმა მერაბ გამრეკელს და წარსულის მოგონებებიდან გამოერკვა.

***

– შემოვიდეს, – თქვა გენერალ-ლეიტენანტმა მერაბ გამრეკელმა. სელექტორი გათიშა. წითელი საქაღალდე დახურა და სავარძელში გაიზმორა.

– შეიძლება, ამხანაგო მინისტრო? – იკითხა პოდპოლკოვნიკმა ვაჟა ზვიადაურმა და კაბინეტის კარი მიხურა.

– შემოდი. დაჯექი, – გამრეკელმა დაბალ სავარძელზე მიუთითა ზვიადაურს. წითელ საქაღალდეს დასწვდა, მაგიდას შემოუარა. ახალმოსულს ხელი ჩამოართვა, მის წინ მოკალათდა სავარძელში, საქაღალდე დაბალ მაგიდაზე დადო და ჰკითხა, – როგორ ხარ?

– გმადლობთ, არა მიშავს. თქვენ როგორ გიკითხოთ?

– ამ ბოლო დროს ძალიან ვიღლები. ღამისთევა მიჭირს. არა და იმდენი საქმეა, რომ კვირაში ორი-სამი ღამის გათენება მიწევს.

– დეიდა მერი როგორაა?

– ბერდება დედაჩემი. მაგრამ გულს არ იტეხს და სახლში ფუსფუსებს.

– თქვენი სიდედრი?

– მართაც ძალიან მოტყდა. ამ ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობს. ვეხვეწებით, ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლად, მაგრამ არ შვრება. გაგრა არ ეთმობა. ასე ამბობს, ჩემი ქმრის, სერგისა და ასთამურის საფლავებს ვერ მივატოვებო. ამიტომ, თამარი თბილისსა და გაგრას შორისაა გაბმული და ხშირად აკითხავს დედამისს.

– ქალბატონი თამარი და ბავშვები ხომ კარგად არიან?



– თამარი, მე მგონი, ჩემზე უფრო გადატვირთულია. თუ გაგრაში არაა და მძიმე ავადმყოფი ჰყავს, ორსამ ღამეს საავადმყოფოში ათევს. ზოგჯერ ისე გადის ერთი კვირა, ერთმანეთს ვერც ვხვდებით და ტელეფონით ვლაპარაკობთ, – თქვა გამრეკელმა და გაეღიმა, – კოტე პირველ კურსს ხურავს იურიდიულზე. მერი და მართა სკოლას ამთავრებენ გაისად. გიორგი კი მომავალ წელს სკოლაში შედის.

– ბედნიერი კაცი ხართ. ბევრი შვილი კარგია, – თქვა ზვიადაურმა.

– მერე, რას უყურებ? მოიყვანე ცოლი და ამრავლე ქართველები. ქრისტეს ასაკში ხარ და დროა, ოჯახს მოეკიდო.

– დრო კი არის, მაგრამ იმდენი საქმე მაქვს, ცოლის მოსაყვანად ვერ ვიცლი.

– უნდა მოიცალო. ერთი კარგი გოგო ნახე და მოიყვანე ცოლად. ნუთუ, არავინ გყავს შეთვალიერებული?

– მყავს, – გაეღიმა ზვიადაურს.

– ჰო და მიდი. ერთი კარგი ქორწილი გადავიხადოთ და თამადა მე ვიქნები.

– თანახმა ვარ.

– კარგი. ახლა საქმეზე გადავიდეთ. რა ჰქენი, მოიფიქრე რამე?

– დიახ. ოპერაციის გეგმა მზად მაქვს. ჩოჩიანის ბანდაში გამოცდილ ოპერმუშაკს ჩავნერგავთ. ის ინფორმაციებსა და სამხილებს მოიპოვებს და ვერსად წაგვივლენ. ვფიქრობ, ამჯერად ყველაფერი გამოგვივა და ბოროტმოქმედებს საბრალდებო სკამზე დავსვამთ. ჩემი აზრით, მაქსიმუმ ერთ წელიწადში ამ ბანდას წერტილს დავუსვამთ.

ვაჟა ზვიადაურის სიტყვებმა მერაბ გამრეკელს საკუთარი თავი გაახსენა და გაეცინა. მრავალი წლის წინ, მაიორი მერაბ გამრეკელი, ამ კაბინეტში თითქმის იმავეს უმტკიცებდა გენერალ კოტე თავართქილაძეს ფანტომის ბანდის თაობაზე და იმედოვნებდა, რომ ძალიან მალე მოახერხებდა ბანდის სრულ ლიკვიდაციას. გენერალ-ლეიტენანტმა სიგარეტი გააბოლა და ზვიადაურს უთხრა:

– ამის გაკეთება არცთუ ისე ადვილია. ოპერაციის კონკრეტული დეტალები განვიხილოთ. გისმენ.

– ზორბეგ შილბანი გახსოვთ?

– რა თქმა უნდა, – გაეცინა გენერალს, – ჯერ კიდევ კაპიტანი არ ვიყავი, ეგ და „ნუცაია“, რომ კბილის ტექნიკოსის ძარცვის საქმეზე იყვნენ ძებნილები და ანანურიდან „ვოლგის“ „ბაგაჟნიკით“ ჩამოიყვანე თბილისში?!

– დიახ, – გაეცინა ზვიადაურსაც, – მაშინ მათ ათ-ათი წელი მიუსაჯეს. „ნუცაია“ მორდოვიის ერთ-ერთი „ზონის“ საქათმეში მოკლეს კოლეგებმა. შილბანი კი ოთხ წელიწადში გამოვიდა და რუსეთში დარჩა. ახლა ლენინგრადში ცხოვრობს და თავისი ბანდა ჰყავს. მისი „გალავარეზები“ ნახევარ ქალაქს აკონტროლებენ. თავიანთ ტერიტორიაზე არავის აჭაჭანებენ და დიდ ფულს შოულობენ. თავად შილბანი ოფიციალურად არაფერშია გარეული. ამიტომ მილიცია ვერ ეხება. მის რომელიმე „პეშკას“ თუ ჩაავლებენ, ხმას არავინ იღებს. ვინც ჩვენების მიცემას დააპირებს, კლავენ. ასეთი სამი კაცი ჰყავთ უკვე მოშორებული. ერთი სიტყვით, კარგად ორგანიზებული დაჯგუფებაა და ყველაზე მთავარი ისაა, რომ ეგ ზორბეგ შილბანი რუზგენ ჩოჩიანის მარჯვენა ხელი და მისი წარმომადგენელია ლენინგრადში. წყალი არ გაუვა იმ ფაქტს, რომ იქაური შავ-ბნელი საქმეებიდან შემოსული ფულის დიდი ნაწილი აქ, თბილისში ჩამოდის ჩოჩიანთან. ერთი სიტყვით, რუზგენი ზორბეგს ენდობა და სწორედ შილბანის მეშვეობით ვაპირებთ ოპერმუშაკის ჩანერგვას რუზგან ჩოჩიანის ახლო გარემოცვაში.

– ესე იგი, ზორბეგ შილბანი კარგად იცნობს ჩვენს კოლეგას და ენდობა.

– არა. ზორბეგი საერთოდ არ იცნობს მას.

– მაშინ, როგორ აპირებ ამის განხორციელებას?

– ლენინგრადის „კრესტებში“ თხუთმეტწლიან სასჯელს იხდის ვინმე სევა ბაშაროვი, მეტსახელად „კნუტი“, ანუ მათრახი. ბაშაროვი და შილბანი ქვისლები არიან და დები ჰყავთ ცოლებად. თუმცა, ერთმანეთი უფრო ადრე გაიცნეს, ციმბირში, როდესაც ძარცვის საქმეზე იჯდა. „კნუტი“ ქურდი არაა, მაგრამ დიდი ავტორიტეტია და ქურდებზე არანაკლებ პატივს სცემენ შავ სამყაროში. „კნუტი“ კარგად იცნობს ჩვენს ოპერმუშაკს. მე ჯერ კიდევ მოსკოვში ვმუშაობდი, როცა ერთი ოპერაცია ჩავატარეთ. სწორედ მაშინ გაიცნო ჩვენმა კოლეგამ „კნუტი“ და მისი მეშვეობით გავხსენით ერთი ჩახლართული საქმე. ბაშაროვს ჩვენი ოპერმუშაკი თავზე ხელაღებული ბოროტმოქმედი ჰგონია. ამიტომ, ის ზორბეგ შილბანთან გაუწევს მას რეკომენდაციას. შილბანის მეშვეობით კი, მას უკვე რუზგენ ჩოჩიანის ახლო გარემოცვაში ჩავნერგავთ.

– ჩვენი კოლეგა და „კნუტი“ სად შეხვდებიან ერთმანეთს?

– „კრესტებში“.



– „კრესტებში“ – როგორ?

– ლეგენდის მიხედვით, ჩვენი ოპერმუშაკი ახლა სასჯელს იხდის ციმბირში და ექვს თვეში უნდა გათავისუფლდეს. მას ჩვენ ლენინგრადში „გადმოვიყვანთ“. „კრესტებში“ და ბაშაროვს იქ შეხვდება. ჩვენი კოლეგა ისე მოაწყობს ყველაფერს, რომ „კნუტი“ თავადვე შესთავაზებს შილბანის გაცნობას.

– შილბანისგან ჩოჩიანთან როგორღა მოხვდება? რუზგენი იოლად არავის იკარებს ახლოს. ასე რომ მოხდეს, საამისოდ ძალიან სერიოზული მიზეზი უნდა არსებობდეს.

– დიდი ფული, ბატონო მერაბ. როგორც კი ჩოჩიანი დარწმუნდება, რომ დიდ მოგებას მიიღებს, ჩვენს კოლეგას დაიახლოებს და ჩვენს თამაშს ვათამაშებთ. ბოლოს კი ყველას ერთად გავაბამთ მახეში.

– კონკრეტულად როგორ აპირებ ამის გაკეთებას.

– ნარკოტიკებზე უნდა წამოვიკიდოთ. ჩვენი კაცი შილბანს შესთავაზებს ავღანური ჰეროინის ტრანსპორტირებას ტაჯიკეთიდან თბილისში. შილბანი კი ამას ჩოჩიანის გარეშე არ გააკეთებს და ჯერ რუზგენს თავად დაელაპარაკება, შემდეგ კი ჩვენს ოპერმუშაკს შეახვედრებს მას. თავად თუ არ დაელაპარაკება რუზგენ ჩოჩიანი ჩვენს კოლეგას, მაშინ თავის ნდობით აღჭურვილ პირს გაგზავნის და მოვლენების განვითარებას გვერდიდან დააკვირდება. როცა დარწმუნდება, რომ შილბანის მიერ რეკომენდებული კაცი „სუფთაა“, უკვე პირადად შეხვდება მას. დანარჩენი კი ჩვენმა კოლეგამ იცის. ის ნდობაში შევა ჩოჩიანთან. დაუახლოვდება და ბოლოს გააბამს.

– ტაჯიკეთიდან ავღანურ ჰეროინს ვინ მოგაწვდით?

– გვაქვს არხი. ქალაქ დუშანბეში ვინმე ნიაზ მუჰამედოვი ცხოვრობს. სამხედროა და პოლკოვნიკის ჩინს ატარებს. არ ვიცი, როგორ ახერხებს ამის გაკეთებას, მაგრამ მას შემოაქვს ავღანური ჰეროინი ტაჯიკეთში. ფულს გადაუხდი და გამოგატანს. ჩვენი კოლეგა მას კარგად იცნობს. ერთ-ერთი ოპერაციის ჩატარების დროს დაუახლოვდა და მუჰამედოვს ჩვენი კოლეგა ბოროტმოქმედი ჰგონია. ჰეროინს მისგან წამოვიღებთ.

– როგორც ეტყობა, ეგ მუჰამედოვი მესაზღვრეებთანაა შეკრული. ფულს უხდის მათ და ნარკოტიკებს დაუბრკოლებლად ატარებენ საზღვარზე. თავად ტაჯიკეთში კი მილიციის მაღალჩინოსნები ეყოლება მოსყიდული და ამიტომ არ ახლებენ ხელს.

– დიახ. მასე იქნება. ფული ჯოჯოხეთს ანათებსო, ხომ გაგიგონიათ. რაც შუა აზიაში ხდება, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და მოსკოვიც კი უძლურია იქ. ცენტრში ეყოლება დიდი მფარველი და ამიტომ.

– სამწუხაროდ, ალბათ, მასეა. მაგრამ ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ. მუჰამედოვს ჰეროინის ფულს ვინ გადაუხდის, ჩოჩიანი?

– თავიდან რუზგენ ჩოჩიანი ამას არ იზამს და ჩემი გეგმით, ეს არცაა გათვალისწინებული. სამ-ოთხჯერ ჩვენ უნდა განვახორციელოთ საკონტროლო შესყიდვები. ჩოჩიანის ხალხი კი მხოლოდ ტრანსპორტირებას განახორციელებენ. როდესაც ჩოჩიანი დარწმუნდება, რომ ნარკოარხი აეწყო და დიდ ფულს იშოვის, უკვე თავადვე მოინდომებს ამ საქმის ხელში ჩაგდებას. სწორედ აქ დაუშვებს შეცდომას და პირველივე მსხვილი პარტიის ჩამოტანისთანავე, ჩავავლებთ მთელ მის ბანდას მისივე თამადობით.

– ნარკოტიკების მიმღებიც, ალბათ, ჩვენი კაცი უნდა იყოს, ხომ?

– ჩვენი, მაგრამ არა ოპერმუშაკი.

– მაინც ვინ?

– „მორფინა“.

– ზაურ ხრიკული, მეიდნელი ბარიგა?

– დიახ. სწორედ ის. მორფინამ სასჯელი მოიხადა და ახლა სოჩაში ცხოვრობს.

– ისევ ბარიგობს?

– არა. რაში სჭირდება. ბარიგობით ნაშოვნი ფულით კარ-მიდამო იყიდა ზღვის პირას. კოოპერატივი გახსნა და ბაირამობს. არადა, მისმა წამალმა რამდენი ადამიანი გააუბედურა.

– თუ სოჩაში ცხოვრობს, თანაც აღარ ბარიგობს, მაშინ როგორ დაითანხმებ ამ საქმეში მონაწილეობაზე?

– კომპრომატით, ამხანაგო გენერალო.

– ისეთი რა კომპრომატი გაქვს?

– კანონიერი ქურდის ცოლი მისი საყვარელი იყო, როდესაც ის ციხეში იჯდა. ქურდი ახლა გარეთაა და ცოლთან ერთად ცხოვრობს. მე მაქვს მათი ინტიმური ურთიერთობების ვიდეოკადრები და ამის მეშვეობით დავითანხმებ ჩვენთან თანამშრომლობაზე.

– ეს კადრები საიდან მოიპოვე?

– სრულიად შემთხვევით. მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში „ობიექტს“ ვუთვალთვალებდით და ნომერ ლუქსში ჩამწერი აპარატურა დავაყენეთ. ისე მოხდა, რომ აპარატურა გვიან მოხსნეს ჩვენმა ბიჭებმა და მასალას რომ ვშიფრავდით, სანამ ზედმეტ კადრებს წაშლიდნენ, გადმოვიწერე და შევინახე. სასტუმროს ის ნომერი ბორდელის ფუნქციას ასრულებდა და მორფინას სწორედ იქ დაჰყავდა თავისი საყვარელი.

– გასაგებია. ესე იგი, მე ჩვენი სპეცფონდიდან ფული უნდა გამოვყო ამ ოპერაციაზე.

– დიახ.

– რა თანხაზეა საუბარი?

– ჩემი გათვლებით, ორი მილიონი მანეთი ეყოფა მთელ ამ ოპერაციას. რა თქმა უნდა, მთელ თანხას უკანვე დავიბრუნებთ, როდესაც ოპერაცია დასრულდება და ჩოჩიანსა და მის დამქაშებს დავაპატიმრებთ. მათ ქონებას კი კონფისკაციას გავუკეთებთ.

– ორი მილიონი მანეთი ძალიან დიდი ფულია, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირს. თუმცა, იმის სრული გარანტია არ გვაქვს, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდება.

– ოპერაციის გეგმა არ მოგწონთ?

– პირიქით. ძალიან დახვეწილი და მრავალსვლიანი კომბინაციაა.

– მაშინ, რა პრობლემაა, ბატონო მერაბ?

– არა, ჩანერგვის გეგმა ნამდვილად ძალიან კარგია, შეიძლება ითქვას, იდეალური. მთლიანად ოპერაციაც მშვენივრადაა მოფიქრებული და წესით, ჩვენთვის სასურველი შედეგი უნდა მივიღოთ. მე უფრო სუბიექტური ფაქტორები მაფიქრებს.

– სუბიექტური? – გაიმეორა ვაჟა ზვიადაურმა და მერაბ გამრეკელს უთხრა, – ბოდიშს გიხდით ამხანაგო გენერალო, მაგრამ ვერ ვხვდები, სუბიექტურ ფაქტორებში რას გულისხმობთ?

– თუნდაც შემთხვევითობას.

– მაინც, რას, კონკრეტულად, ბატონო მერაბ?

– ჩვენი ჩანერგილი კოლეგისა და მორფინას გამჟღავნებას. ხომ შეიძლება, ჩვენი თანამშრომელი ვინმემ იცნოს? ან, მორფი-

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ნამ საკუთარი თავი გაამჟღავნოს?

– გამორიცხულია, ბატონო მერაბ... მორფინას ისე ძლიერ უყვარს თავი და ისეთი არტისტია, არავითარ შემთხვევაში არ დაიწვება, უმაღლეს დონეზე შეასრულებს თავის როლს. თანაც, რა საფრთხე უნდა ემუქრებოდეს მას? საქვეყნოდ ცნობილი ბარიგაა და რა არის იმაში გასაკვირი, რომ ჰეროინზე ჩალიჩობს? „პერესტროიკაა“. საზღვრები გახსნილია და ბევრად მეტი ასპარეზია ნარკობიზნესის საწარმოებლად. ჩემი გეგმის ერთ-ერთი დედაბოძიც სწორედ ესაა და დარწმუნებული ვარ, ეს ფაქტორი გადააწყვეტინებს რუზგენ ჩოჩიანს მისთვის დამღუპველი ნაბიჯის გადადგმას. შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ. მორფინასგან არანაირი საფრთხე არ ემუქრება ჩვენს გეგმას.

– ჩვენი კოლეგა რომ გაიშიფროს?

– გამორიცხულია, ბატონო მერაბ. მას კარგად იცნობენ შავ სამყაროში და ყველას პირწავარდნილ რეციდივისტად მიაჩნია. ოცდაერთი წლის ასაკიდან, ანუ თერთმეტი წლის განმავლობაში, სულ შავ სამყაროში ტრიალებს. მისი დოსიე დაშიფრულია და გენერალ-მაიორ პავლე ლიადოვს აქვს შენახული საგანგებო სეიფში. მისი ვინაობა იცის მან და მე. დანარჩენი სამყაროსთვის კი ის რეციდივისტია და მორჩა. მას არც ლიადოვი გაშიფრავს და არც მე. საკუთარ თავს კი ის არანაირად არ „დაიწვავს“. უმაღლესი დონის პროფესიონალია და მისგან შეცდომა გამორიცხულია, – თქვა ვაჟა ზვიადაურმა და მინისტრს მიაჩერდა. გამრეკელს კი გაეღიმა და მიუგო:

– ისე დამაჯერებლად ლაპარაკობ, შენს სიტყვებში ეჭვს ვერ შეიტანს კაცი. მე თუ მაქვს უფლება, რომ ჩვენი კოლეგის ვინაობა შევიტყო?

– რას ბრძანებთ, ამხანაგო გენერალო? ამას კითხვა რად უნდა. ჩვენი კოლეგა გივი ჯაფარიძეა, პოდპოლკოვნიკი. ჩემზე ერთი წლით უმცროსია და მოსკოვში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე თეა და სამი წლის ვაჟი – ჯაბა. ის ჩემი ნათლულია. მე და გივიმ ერთად დავამთავრეთ მილიციის სპეცსკოლა. მე იქ უნივერსიტეტის მეორე კურსიდან მოვხვდი. აი, გივი კი – ცოტა სხვა გზით.

– საბრალდებო სკამიდან ხომ არა? – გაეცინა გამრეკელს.

– თითქმის, – მიუგო ზვიადაურმა და დაამატა, – გივი მოსკოვში სწავლობდა, თეატრალურ ინსტიტუტში. პირველ კურსზე იყო, საერთო საცხოვრებელში ჩხუბი რომ მოუვიდა. სამი კაცი ისე სცემა, ყველანი საავადმყოფოში მოხვდნენ. ამის გამო გივი დააპატიმრეს და ხულიგნობისთვის უნდა გაესამართლებინათ, მაგრამ ლიადოვმა უშველა. მანვე გაუწია რეკომენდაცია მილიციის სპეცსკოლაში და ასე გახდა მილიციელი.

– თავისი გვარით მოღვაწეობს?

– დიახ.

– ცოლმა თუ იცის მისი მილიციელობის შესახებ?

– იცის.

– ესე იგი, მე: მეოთხე ვარ, ვინც გივი ჯაფარიძის ამბავი იცის.

– დიახ. ასეა.

– შენ კი თქვი, რომ მე და ლიადოვმა ვიცით მხოლოდ.

– ცოლი არ ჩამითვლია, ბატონო მერაბ.

– რატომ?

– ცოლი ხომ ქმრის მეორე ნახევარია და ორივე კი ერთ მთლიანს წარმოადგენენ, – ნახევრად ხუმრობით თქვა პოდპოლკოვნიკმა, გენერალმა კი მიუგო:



– სწორედაც რომ, ასეა და ტყუილად ამბობ ირონიით. მოიყვან ცოლს და თავადვე დარწმუნდები. თამარი რომ არ მედგეს გვერდით, ბევრს ვერაფერს მივაღწევდი. ცოლი ქმრის მყარი ზურგია, მით უმეტეს, ჩვენთვის.

– კარგი ცოლი – კი. მაგრამ, ცუდებიც ხომ არსებობენ? – გაეცინა ზვიადაურს.

– ცუდი ცოლი ცუდი ქმრის ბრალია, – მტკიცედ თქვა გამრეკელმა. შემდეგ დაფიქრდა და დაამატა, – ისევე, როგორც ცუდი ქმარი ცუდი ცოლის ბრალია.

– „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“, ხომ, ამხანაგო გენერალო!

– კი, ბატონო, მასეა, – მიუგო გამრეკელმა თან, ჰკითხა, – ჯაფარიძე უკვე ჩააყენე საქმის კურსში?

– ჯერ არა. თქვენი თანხმობის გარეშე, აბა, რა აზრი ჰქონდა?

– თანხმობა მიღებული გაქვს. გეგმას ვამტკიცებ და შეგიძლია, იმოქმედო. მაგრამ... – თქვა გენერალმა. წითელ საქაღალდეს დახედა. შემდეგ პაუზა გააკეთა, ჩაფიქრდა და სიგარეტი გააბოლა, – ვაჟა, ახლა ისეთ რამეს გეტყვი, რაც თითქმის ოცი წელია, არავისთვის მითქვამს, გულში ვინახავდი. მაგრამ, ისეთი ოპერაციაა დაგეგმილი, ვფიქრობ, შენ ეს აუცილებლად უნდა იცოდე.

– ბრძანეთ, ბატონო მერაბ. ყურადღებით გისმენთ.

მერაბ გამრეკელმა ვაჟა ზვიადაურს დაწვრილებით მოუყვა მრავალი წლის წინ აფხაზეთში მომხდარი მკვლელობებისა და ფანტომის ბანდის შესახებ. ბოლოს წითელი საქაღალდე გადაშალა, საკუთარი ხელით შედგენილი ცხრილი ამოიღო, პოდპოლკოვნიკს წინ დაუდო და უთხრა:

– წაიკითხე. გრაფაში „ფანტომი“ წერია ჯონდო სარია. ყველას ეს გაშიფრული სქემა ჰგონია. ფანტომად სარია იქნა მიჩნეული. მკვლელობები კი გახსნილად გამოცხადდა და საქმე დაიხურა. ერთადერთი რუზგენ ჩოჩიანი იმყოფებოდა ძებნაში და ისიც ერთი წლის მერე კიევში დააპატიმრეს ყაჩაღობაზე. გაასამართლეს და თორმეტი წელი მიუსაჯეს, თუმცა რვა წლის მერე ციხიდან გამოვიდა. მე კიევშიც კი ვიყავი ჩასული და დავკითხე ჩოჩიანი, მაგრამ ამ დაკითხვამ ახალი არაფერი შემატა ამ საქმეს. დღემდე ვფიქრობ, რომ მაშინ ჩვენ შეცდომა დავუშვით. სარია არ იყო ფანტომი და ნამდვილი ფანტომი ხელიდან დაგვისხლტა.

– სხვაზე გქონდათ ეჭვი?

– კი. სხვაზე და სწორედ ეს უნდა გითხრა, – თქვა გამრეკელმა და ისევ განაგრძო, – ფანტომი მაიორი ნესტორ პესკასელი მეგონა. მაგრამ, როგორც ეტყობა, შევცდი. მას დიდი ტრაგედია შეემთხვა. ცოლი ტრაგიკულად დაეღუპა და რუსეთში გადაიხვეწა. თუმცა, ვცდილობდი, რომ თვალთახედვის არედან არ დამკარგვოდა, იმედი მქონდა, ადრე თუ გვიან გამოვიჭერდი და ვამხელდი. ამასობაში ჩემი მამობილი მოკლეს. შემდეგ თამარმა იმშობიარა და რამე რომ არ დამართნოდა, მე და მართამ მას ასთამურ შამბას ამბავი დავუმალეთ. მხოლოდ ექვსი თვის მერე შეიტყო ჩემმა ცოლმა ბიძამისის დაღუპვის შესახებ. ერთი სიტყვით, იმ პერიოდში მთლიანად ოჯახზე ვიყავი გადართული და პესკასელისთვის არ მეცალა. ყველაფერი რომ დალაგდა, ნესტორი მოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ თურმე, ის უცხოეთში გაუგზავნიათ სამუშაოდ. ვის და რატომ, ვერ დავადგინე, თუმცა, ბევრი ვეცადე. მხოლოდ ის გავიგე, რომ ნესტორს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაუწყია მუშაობა და ამ ხაზით გაუგზავნიათ უცხოეთში.

– სად მილიცია და სად დიპლომატიური სამსახური, – თქვა ზვიადაურმა.

– მაშინ, მეც სწორედ ეს მიკვირდა, მაგრამ არც მთლად მასე ყოფილა საქმე. ნესტორს უშიშროებაში დაუწყია მუშაობა. არც კი ვიცოდი და მას თურმე ინგლისური და გერმანული ენებიც მშვენივრად სცოდნია. რეკომენდაცია მისთვის მისივე ჯგუფელს გაუწევია, ვისთანაც ის მოსკოვში ცხოვრობდა. ახლა ნესტორ პესკასელი „კაგებეს“ გენერალ-მაიორია. მოსკოვში ცხოვრობს და საგარეო დაზვერვის ერთ-ერთ განყოფილებას უდგას სათავეში. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ არც ნესტორ პესკასელი ყოფილა ფანტომი და ვცდებოდი. „კაგებეში“, თანაც საგარეო დაზვერვაში სამუშაოდ საგულდაგულოდ შემოწმებულ ხალხს იღებენ და არ მგონია, პესკასელის შემთხვევაში შემცდარიყვნენ. „კაგებეში“ მეგობარი მყავს, პოლკოვნიკი პავლე ნოჟკინი და იმან მომიყვა პესკასელის შესახებ. ასე რომ, ფანტომი ბევრად უფრო ვერაგი და მოუხელთებელი ყოფილა, ვიდრე მე ვვარაუდობდი ამ წლების განმავლობაში.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ ძარცვავდა ინკასატორებს ცნობილი მძარცველის, „ბებუთას“ ცოლი, მეტსახელად „ელიჩკა“



### გაქცევა

– რიგითო, გაილვიძე და გაგვიშვი, ჩვენც გვეძინება, – უთხრა უმცროსმა ლეიტენანტმა ვიტალი იარცევმა ციხის გუშაგს, რომელიც სამორიგეოს დახლზე თვლემდა და ღიმილით დაამატა, – ყურადღებით იყავი, პატიმრები არ გაგეპარონ.

– რა ტკბილ სიზმარს ვხედავდი... ცოტაც გეცლია, იარცევ, რა იქნებოდა? – ამოიოხრა მორიგემ და ღილაკს თითი დააჭირა. კარი გაიღო და როგორც კი ციხის თანამშრომლები გაუშვა, კვლავ ღილაკს დააჭირა თითი. მძიმე კარი რომ ჩაირაზა, ტკბილ სიზმარს დაუბრუნდა...

წყვილი ქუჩაში გავიდა. აღარ თოვდა, მაგრამ, ისე ყინავდა, რომ სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. მათ ასიოდე მეტრი გაიარეს და კუთხეში მდგარ „მოსკვიჩში“ ჩასხდნენ. იარცევმა მანქანა ადგილიდან დაძრა და მოყინულ გზას გაუყვა. ციხის კორპუსი უკან რომ მოიტოვეს, მძღოლმა თავის თანამგზავრს გაუღიმა და უთხრა:

– თავისუფალი ხარ, ელიჩკა! გაქცევა გამოგვივიდა. ხომ გეუბნებოდი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი?!

– გამოგვივიდა. ყოჩაღ, ვიტალიკ! – მიუგო ახალგაზრდა ქალმა იარცევს და ლოყაზე აკოცა. შემდეგ შებრუნდა, ციხეს ხელი დაუქნია და თქვა: – ნოვოჩერკასკის ციხეს ჩემი მხურვალე სალამი. მშვიდობით! მეტი აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს...

წყვილი როსტოვში ჩავიდა. მათ „მოსკვიჩი“ ენგელსის ქუჩაზე დატოვეს და მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ციხის სამხედრო უნიფორმის მაგივრად, თბილ სამოქალაქო სამოსში იყვნენ გამოწყობილები. ქალ-ვაჟი ფეხით გაუყვა გზას. ღამის 3 საათზე უკვე რკინიგზის სადგურში იყვნენ და მოსკოვი-სოჭის მატარებელში ჩასხდნენ, რომელიც თხუთმეტ წუთში ჩამოდგა პირველ ლიანდაგზე...

ელენე ბადრიძის გაქცევის შესახებ ნოვოჩერკასკის ციხეში დილის 9 საათზე შეიტყვეს. მორიგე კონტროლიორს №11 საკანში პატიმრის ნაცვლად, დაძინებული სერჟანტი იულია პროხოროვა დახვდა. იმავე დღეს, 1973 წლის 7 იანვარს, ელენე ბადრიძესა და ვიტალი იარცევზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა. მათი ფოტოსურათები გაამრავლეს და საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში გაგზავნეს, სამძებრო ჯგუფი კი მათ ცხელ კვალს დაადგა...

### „ელიჩკა“

ნოვოჩერკასკის მკაცრი რეჟიმის ციხის ქალთა კორპუსიდან გაქცეული 29 წლის ელენე ბადრიძე რვაწლიან სასჯელს იხდიდა შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობისთვის. ქალს კარგად იცნობდნენ შავ სამყაროში და მეტსახელად „ელიჩკას“ ეძახდნენ. ელენე ბადრიძე ცნობილი თბილისელი მძარცველის, აკაკი მიქაძის ქვრივი იყო. მიქაძე, იგივე „ბებუთა“, 1969 წელს დაიღუპა მილიციასთან შეტაკების დროს. 1968 წელს მიქაძემ და მისმა „პაძელნიკებმა“ თბილისის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს საინკასაციო მანქანა გაძარცვეს და თანამშრომელთა ხელფასები გაიტაცეს. ნაძარცვმა 445 ათასი მანეთი შეადგინა. ამ საქმეში ელენეც მონაწილეობდა, თუმცა მილიციამ ეს მოგვიანებით შეიტყო, როდესაც ბებუთას ერთ-ერთი „პაძელნიკი“ დააპატიმრეს – სწორედ მან გათქვა მძარცველი ქალი. ბადრიძე დააპატიმრეს, თუმცა, მალევე გაათავისუფლეს, რადგან ის უარყოფდა დანაშაულს და არც მილიციას ჰქონდა სამხილი. სამ თვეში ლოტკინზე ბებუთა მოკლეს და ელიჩკა ქმრის ქელეხში აიყვანეს ხელმეორედ. დანაშაული დაუმტკიცეს და რვა წელი მიუსაჯეს. ის ჯერ თბილისში, „მატროსოვზე“ იხდიდა სასჯელს, 1970 წელს კი ნოვოჩერკასკში გადაიყვანეს ეტაპით და იქ სამი წელი გაატარა. უმცროს ლეიტენანტ ვიტალი იარცევს ელიჩკა 1972 წელს დაუახლოვდა და მასზე ოთხი წლით უმცროს მამაკაცს

> **ელენე ბადრიძემ სამი ტყუპი გოგონა გააჩინა და მილიციას ის შინაპატიმრობაში ჰყავდა**

თავი შეაყვარა, მასთან ინტიმური კავშირი დაამყარა და მისი დახმარებით გაიქცა ციხიდან. გაქცევის მომენტში ელიჩკა ორი თვის ფეხმძიმე იყო...

გაქცეულები ქალაქ სოჭში იმალებოდნენ. 1973 წლის 10 თებერვალს მათ ადლერის №4 შემნახველი სალარო გაძარცვეს და 34 ათასი მანეთი გაიტაცეს. ნიღბიანი ბოროტმოქმედების ვინაობა მალევე დაადგინა მილიციამ, მაგრამ მათი ცხელ კვალზე დაპატიმრება ვერ მოხერხდა. იარცევი და სამი თვის ფეხმძიმე ელიჩკა 11 თებერვალს ქალაქ ირკუტსკში გაემგზავრნენ და ვიტალის ბებიასთან შეაფარეს თავი. 1973 წლის 18 აგვისტოს ელენე ბადრიძემ ირკუტსკში იმშობიარა და ვაჟი გააჩინა, რომელსაც ანტონი დაარქვეს. ძებნილობის მიუხედავად, სხვა გვარზე დარეგისტრირებული ელიჩკა ვერავინ გაშიფრა და მან და მისმა ქმარ-შვილმა კიდევ ერთი წელი გაატარეს ციმბირში, ბაიკალის ტბის პირას. 1974 წლის 23 აგვისტოს კი მათ მილიციამ მიაკითხა. წყვილმა ბავშვი მოხუცს დაუტოვა, თავად კი გაიქცნენ...

### მრავალშვილიანი დედა

ელენე ბადრიძე, უზადო გარეგნობასთან ერთად, ჭკვიანი და უშიშარი ქალი იყო. ყველა დანაშაულს ის გეგმავდა. მძარცველების მოუხელთებელმა ტანდემმა 1974-75 წლებში ოთხი ძარცვა ჩაიდინა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში და 620 ათასი მანეთი გაიტაცა. მიუხედავად იმისა, რომ მილიცია მათ კვალზე მიჰყვებოდა, ისინი ყოველთვის ერთი ნაბიჯით უსწრებდნენ ოპერმუშაკებს და გაქცევას ახერხებდნენ. 1975 წლის 10 ივლისს მძარცველები კიევში, №23 შემნახველ სალაროში შეიჭრნენ და მოლარეს ფული მოსთხოვეს, თან გააფრთხილეს, რომ განგაში არ აეტეხა. დაბნეულმა მოლარემ ღილაკს თითი მიაჭირა და მილიციას შეატყობინა. მიუხედავად ამისა, ელიჩკამ ჯერ დახლის შუშა ჩაამტვრია და მოლარესთან გადაძვრა, შემდეგ ინკასატორის ჩანთებს დაავლო ხელი და იარცევთან ერთად შემთხვევის ადგილიდან თეთრი „ჟიგულით“ გაიქცა, რომელიც ბოროტმოქმედებმა წინა ღამეს მოიპარეს. მილიცია მათ „კუდზე დააჯდა.” დევნა კიევის ცენტრში გაგრძელდა, მაგრამ ცოლ-ქმარმა მაინც მოახერხა გაქცევა – ისინი 380 ათასი მანეთით მიიმალნენ... იმავე დღეს მთელი კიევი მილიციამ ალყაში მოაქცია; ფეხზე დააყენეს მთელი აგენტურული ქსელი და, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ძებნაში სამხედროები ჩაერთნენ, გამოძიება კი „კაგებემ“ ჩაიბარა. ორკვირიანმა „აბლავებმა“ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და მძარცველები კვლავ ვერ მოიხელთეს. ისინი „ფსკერზე დაწვნენ“. თუმცა, 1976 წლის 4 მაისს, ქალაქ ვლადივოსტოკის სამშობიაროში მილიციის ოპერჯგუფი მივიდა და, ექიმების გასაოცრად, ახალნამშობიარევ ქალს, ანა გუტმანს, გუშაგები დაუყენეს. გუტმანი სინამდვილეში ელენე ბადრიძე იყო, რომელმაც 2 მაისს სამი ტყუპი გოგონა გააჩინა... მეძუძური დედა სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა შინაპატიმრობაში. 1979 წლის 21 მაისს კი ის ციხეში ჩასვეს, რადგან 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი; ხოლო, მისი მეუღლე, ვიტალი იარცევი, 1976 წელს დააპატიმრეს და ციმბირში იჯდა...

ოთხი შვილის დედა 1989 წლის მიწურულს გაათავისუფლეს ამნისტიით. მას 13 წელი ჰქონდა გატარებული ციხეში; იარცევმა კი ბოლომდე მოიხადა სასჯელი და ციხიდან 1991 წელს გამოვიდა.

**ნიკა ლაშაური**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# როგორ აშანტაჟებდა მამაკაცი ყოფილ ცოლს და რატომ გააუპატიურა ის ლომბარდიდან ფულის გატაცებამდე

38 წლის მაკა ა-შვილი ლომბარდის დაცვის წარმომადგენელმა სამსახურში გვიან ღამით, სეიფზე მიბმული აღმოაჩინა. ნაცემ ქალს თვალები ახვეული ჰქონდა, ტანსა და სახეზე კი ფიზიკური ძალადობის ნიშნები ეტყობოდა. მან ქალის „ტყვეობიდან" გათავისუფლებისთანავე, შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები გამოიძახა, რომელთაც ქალის დასახმარებლად სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოხმობა დასჭირდათ.

სამართალდამცველებმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. დაზარალებულმა მაკა ა-შვილმა განაცხადა, რომ ადამიანი, რომელიც თავს დაესხა და ოქროს ნივთები და 2 000 ლარი გასტაცა, მისი ყოფილი მეუღლე, მალხაზ მ-ძე იყო. ამონაწერი მაკა ა-შვილის ჩვენებიდან: „მე და ჩემი მეუღლე 3 წლის წინ დავშორდით, ის მალე სხვა ქალზე დაქორწინდა, მეც ბოლო ერთი წელია, სხვა მამაკაცთან ვცხოვრობ. თუმცა, ყოფილი ქმარი სულ მაძახებდა, რომ პირველად მე ვუღალატე. ჩვენ შვილის გარდა, აღარაფერი გვაკავშირებს. ბოლო რამდენიმე თვეა, ჩვენი ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. 10 წლის წინ მისი მანქანა გავყიდე, ფული საერთო საქმეში ჩავდე და იმ ფულს მთხოვდა. ამ თემაზე სასაუბროდ რამდენჯერმე დამირეკა, სამსახურშიც მომაკითხა. მასთან საერთოდ არ მინდოდა ლაპარაკი. ჯერ მაშანტაჟებდა, მემუქრებოდა, ბავშვს ვეტყვი, ოჯახის დანგრევა შენი ბრალი რომ იყოო და რაღაც სისულელეებს მიყვებოდა. როცა მიხვდა, რომ ამ გზით ვერაფერს გახდებოდა, შეურაცხყოფაზე გადავიდა. მე ვუთხარი: იმ ფულის დაბრუნების იმედი ნუ გექნება, ფული ორივემ ერთად დავხარჯეთ და ჩემგან კაპიკს ვერ მიიღებ, რაც გინდა, ის გააკეთე-მეთქი. ამაზე ძალიან ვიჩხუბეთ, ერთხელ სამსახურშიც მომივარდა, ისეთი ამბავი გვქონდა, ლამის ხელით შევეხეთ ერთმანეთს. იმ დღეს დილიდან დამიწყო რეკვა, მივხვდი, ნასვამი იყო და ჩხუბში არ ავყევი, ცოტა ხანს ტელეფონიც კი გავთიშე, რომ ზედმეტად ნერვები არ მომშლოდა. საღამოხანს ერთმა ნაცნობმა კლიენტმა ოქროს სამკაულები მოიტანა ლომბარდში. სამკაულების გატანაც კი ვერ მოვახერხე, ისე გვიანი იყო და იმ საღამოს გვიანობამდე შემოვრჩი. კლიენტი უნდა მოსულიყო და მას ველოდებოდი, თან ანგარიშების გასწორება დავიწყე. ჩემ გარდა, მეორე სართულზე უკვე არავინ აღარ იყო. დაახლოებით, ათი საათი იქნებოდა, როცა მოულოდნელად მალხაზი დამადგა თავზე. ჩხუბით არ მოსულა, თორემ ვიეჭვებდი, რომ ცუდი განზრახვით იყო მოსული. პირიქით, შემოსვლისთანავე გამეხუმრა: ერთი ქორწილი კიდევ რომ გადავიხადოთ და თავიდან დავქორწინდეთ, თანახმა არ ხარო? ცუდად ხუმრობ-მეთქი, ვუთხარი. ახლოს რომ მომიჯდა, ალკოჰოლის სუნი მეცა. მივხვდი, ნასვამი იყო. იმის მიუხედავად, რომ საუბარში არ ავყევი, ჩხუბში მაინც ამიყოლია. მეორე სართული თანამშრომლებისგან მთლიანად დაცლილი იყო. მალხაზს ვუთხარი: ახლავე ადექი და წადი, მეც მალე უნდა გავიდე-მეთქი. უცებ კარს მივარდა, დაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო. სკამზე ვიჯექი, თავზე დამადგა და შემომეხვია. მოცილება დავიწყე, მაგრამ თავი არ დამანება. ჟინმორეული კიოდა, ისევ ჩემი გახდებიო. ტანსაცმელი შემომახია, თან მცემდა, ისე გამეტებულად... გამხეცებული იყო. ხმამაღლა ყვიროდა: შენ ხომ ჩემი იყავი, ახლა რატომ არ მნებდებიო. ჩემი დამხმარე არავინ იყო, ამიტომაც თავი ვერ დავაღწიე. როცა ჟინი მოიკლა, ცოტა ხანში სახეში მუშტი დამატყა – ხომ არ გგონია, შენი სიყვარულით ვკვდებიო. რომ მიღალატე, ამას ვერასდროს დაგივიწყებო და ცემა დამიწყო. ისეთი გამხეცებული იყო, თავს ვერ ვიცავდი. უცებ, არ ვიცი საიდან, ალბათ, ქურთუკიდან, დიდი სკოჩი ამოიღო, სეიფთან მიმათრია: შენი ხელით გამოიღე, აქ რასაც ინახავო. კიდევ ვცადე გაძალიანება. სეიფი ღია იყო, ხელი შემაყოფინა და რკინის კარი რამდენჯერმე მთელი ძალით მიარტყა, ლამის მომატეხა ხელი. თან, ყვიროდა, ეს ხელები ძვლებში უნდა გადაგამტვრიოო. მალხაზმა სეიფიდან ჩემი კლიენტის დატოვებული ოქროს სამკაულები გამოიღო. მერე ხელჩანთა წამართვა, სადაც 2 000 ლარი მქონდა. ისევ სეიფთან მიმიყვანა და სკოჩით მიაბა. მერე ჩემი შარფი აიღო, თვალები ამიხვია. იქამდე ჩემი ტელეფონი ჩაიდო ჯიბეში, ვთხოვე, ასე დაბმულს ნუ დამტოვებ-მეთქი, მაგრამ კარი დაკეტა და წავიდა. ნახევარი საათი ვცდილობდი შეკრული კვანძის გახსნას, მერე თვალებიდან სახვევის მოხსნაც ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. კივილი დავიწყე, პირველ სართულზე მყოფმა დაცვის თანამშრომელმა აღმომაჩინა."

> **ეს ქალი თაღლითია, რომელიმე სხვა საყვარელი გაკოჭავდა და დააყაჩაღებდაო, – იმართლებდა თავს ყოფილი ქმარი**

სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და გაქცეული მალხაზ მ-ძის ძებნა დაიწყეს, მისი რამდენიმე სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ დაზარალებულისგან შეიტყვეს. ქალი თავადაც ეძებდა ყოფილ ქმარს, რომელმაც ჯერ გააუპატიურა შემდეგ – ფული და ოქროულობა გასტაცა. ოპერატიული სამსახურის წარმომადგენლებმა გაქცეულ დამნაშავეს ორკვირიანი ძებნის შემდეგ მიაგნეს. მან ჩადენილი დანაშაული თავდაპირველად უარყო. ეგ ქალი თაღლითია, რომელიმე სხვა საყვარელი გაკოჭავდა და დააყაჩაღებდაო, – განაცხადა. მაგრამ, შემდეგ აღიარა, რომ ყოფილ ცოლთან დასაყაჩაღებლად მისვლა წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი. სამართალდამცველებმა მისგან ფული და ძვირფასეულობა ვეღარ ამოიღეს, რადგან რამდენიმე დღეში მალხაზ მ-ძეს ფულიც შემოხარჯვოდა ვალებში და ოქროს სამკაულების გაყიდვაც მოესწრო. გაუპატიურებას არ ვაპირებდი, მაგრამ თვითონ გამომიწვიაო, „დაადანაშაულა" ყოფილი ცოლი დამნაშავემ, რომელიც გამწარებული ცოლის ჩვენებით, კიდევ ერთ ძველ დანაშაულში, ქურდობაში ამხილეს. სასამართლომ მალხაზ მ-ძეს ყოფილი ცოლის გაუპატიურების, დაყაჩაღების, ფიზიკური ძალადობისა და 10 წლის წინ ჩადენილი დანაშაულისთვის, 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**10 ნოემბერი**

1885 – გერმანელმა ინჟინრებმა – დაიმლერმა და მაიბახმა, საკუთარი კონსტრუქციის შიგაწვის ძრავა დააყენეს ხის ველოსიპედზე – ასე „დაიბადა" მოტოციკლი.

1940 – უოლტ დისნეი გახდა „ფედერალური გამოძიების ბიუროს" ოფიციალური აგენტი ჰოლივუდში.

1961 – სტალინგრადს სახელი გადაარქვეს და უწოდეს ვოლგოგრადი.

**11 ნოემბერი**

1790 – ევროპაში პირველად შემოიტანეს ყვავილი ქრიზანთემა.

1918 – გერმანიის კაპიტულაციით დასრულდა პირველი მსოფლიო ომი.

1925 – ამერიკელმა ფიზიკოსმა რობერტ მილიკენმა აღმოაჩინა კოსმოსური სხივები.

1975 – ანგოლა გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

**12 ნოემბერი**

1902 – ენრიკო კარუზომ ჩაწერა გრამფირფიტა, რომელიც პირველი იყო, მილიონზე მეტი ტირაჟით რომ გაიყიდა.

1919 – განხორციელდა იმ დროს რეკორდულ მანძილზე ფრენა: ინგლისი-ავსტრალია.

1933 – გამოქვეყნდა ლოხ-ნესის ურჩხულის პირველი ფოტოები.

**13 ნოემბერი**

1851 – გაიხსნა სარკინიგზო ხაზი „მოსკოვი – სანკტ-პეტერბურგი" – მაშინ მსოფლიოში უგრძესი ორლიანდაგიანი ხაზი – 644 კილომეტრი.

1914 – ამერიკელმა მერი ჯეიკობმა დააპატენტა ელასტიკური ბიუსტჰალტერი სამხრეების – „ბრეტელების" – გარეშე.

1940 – კომპანია Willis Notor Co-მ გამოუშვა პირველი „ჯიპი".

**14 ნოემბერი**

1666 – სემუელ პეპისმა ჩაატარა პირველი წარმატებული სისხლის გადასხმა (ძაღლიდან – ძაღლზე).

1910 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნორფოლკში, ხომალდის გემბანიდან პირველად აფრინდა თვითმფრინავი.

1940 – გერმანულმა ავიაციამ მიწასთან გაასწორა ინგლისური ქალაქი – ქოვენთრი.

1960 – დაარსდა „ოპეკი" – ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია.

**15 ნოემბერი**

1492 – ქრისტეფორე კოლუმბმა თავის დღიურში პირველად აღწერა თამბაქო.

1889 – ბრაზილიაში დაემხო მონარქია და ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა.

1904 – ამერიკელმა კინგ ჟილეტმა დააპატენტა წვერსაპარსი ცვლადი პირებით.

1960 – ზღვაში გავიდა „ჯორჯ ვაშინგტონი" – პირველი წყალქვეშა ნავი ბირთვული შეიარაღებით.

**16 ნოემბერი**

1532 – ესპანელმა კონკისტადორებმა ტყვედ ჩაიგდეს ინკების იმპერატორი ატაჰუალპა.

1841 – ნიუიორკელმა უილიამ ჰერნმა დააპატენტა მაშველი რგოლი.

1918 – უნგრეთი გამოეყო ავსტრია-უნგრეთს და ცალკე რესპუბლიკად გამოცხადდა.

1972 – საბჭოთა კავშირში გასაყიდად გამოვიდა „პეპსი-კოლა".

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ 5 განსხვავება





## რომელი გზით მივა წყალი ყვავილთან



## იპოვე რომელი სათამაშო აკლია





# მგელი და მელა

## (იგავ-არაკი)

მგელმა მელა დაიჭირა. მელა შეეხვეწა: ნუ მომკლავ, ვერა ხედავ, რა ბებერი ვარო.

– თუ სამ მართალ სიტყვას მეტყვი, ხელს არ გახლებო, – უთხრა მგელმა.

– ბედნიერი ვიქნებოდი, რომ არ შეგხვედროდი, რომ ახლა ცოცხალი არ იყო და მომავალშიც შენი შეხვედრის შიში არა მქონდესო, – უთხრა მელამ მგელს.

გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს სიმართლის თქმისა არ ეშინია.

## რიცხვრებუსი

1 0 , ,   , , 0



თიხის ჭურჭელი

უშნო, უსაქციელო

ბევრი თხა ერთად

განქიქება

კოტეს როლშია ....კრავეიშვილი

საშენი მასალა

ჰოლივუდელი გრეტა...

სტალინის მეტსახელი

რუსეთმა წაართვა უკრაინას

4

ჩოჩქოლი, არეულობა

ქალაქი კოლუმბიაში

ქალაქი ესპანეთში

იძულებითი გადასახადი

აქეთ ნუში, იქით ნუში შუაშია?

(.......) ისაკაძე

ქალის სახელი

ქაჯანას და

სუსტი ქარი



1 2 3 4 5 6 7

საცურაო ნაგებობა

"ცემის, დარტყმის" სინონიმი ჟარგონზე

ხაფანგი

კომპოზიტორი (.....) ტუსკია

ესპანელი პოეტი

სცენის განათება

1

მტაცებელი ფრინველი

ტიბეტური წყვილჩლიქოსანი

აღმოსავლური ტკბილეული

ქალთა ტანვარჯიშის იარაღი

საბჭოთა „ჯიპი“

დაუყოვნებლივ

ლურჯი ყვავილი

ლიმონას ექიმი

პარიზის მდინარე

სასულე საკრავი

ფრანგი ქართველოლოგი მარი....

ასეთი მოგებაც არის ჭიდაობაში

გიორგი ერისთავის პიესა

ქალაქი სამხრეთ კორეაში

ლეილა

მომღერალი ნანული....

6

ქალაქი საფრანგეთში

რინა

პოლიგრაფიული საწარმო

...ელიავა

ციმბირის რკინიგზა

2

პოეტი

ვერნისაჟი თავისი არსით

3

სამკერვალო

სახეზე იკერება ხოლმე

თავშეყრის ადგილი

მცირეოდენი ფული

ქიმიური ჭურჭელი

შრე, პლასტი

მიამიტი, გამოუცდელი

მეშვიდე ნოტი

ფილმის ნაწილი

„(.......)-ადამიანი?!“

თუთიყუშის სახეობა

სამოსის ძველებური შესაკრავი

სამეგობრო

მევახშე

5

მგალობელი ფრინველი

გმირთა მოედანს დაჰყურებს

სიცოცხლით სავსე

თავხედი გოგონა

გალაკტიონის ლექსი

მსახიობი (.......) ჯანაშია

ლუის კეროლის ზღაპრის გოგონა

ქალის სამოსი

ბრეგვაძე

არაბი ჭაბუკი ლამპარით

კავკასიონზე მიჯაჭვული

აზიის ქვეყანა

ბევრი ცხენი

რუსეთის მდინარე

ემილ ზოლას რომანი

ტროპიკული ხილი

ზრდილობა თავშეკავება

მწერალი (.....) ბუაჩიძე

მოსკოვის ციტადელი

სოფიკო ერთ სომხურ ფილმში

7

(......) ვექუა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 3 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 3 | | | | | | | | | 2 | 2 | | | | | | | | | | | | |
| | | | 2 | 2 | 2 | 3 | 7 | | | 4 | | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | |
| | | | 3 | 1 | 2 | 2 | 2 | 16 | | 14 | 12 | 7 | 7 | 7 | 5 | 3 | 6 | 8 | 12 | 10 | 5 | 1 | 5 | 8 | 4 | | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 2 | 2 | 3 | 4 | 21 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 2 | 4 | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | 2 |
| | | | | 4 | 1 |
| | | | | 4 | 2 |
| | | | | 4 | 1 |
| | | | | 2 | 1 |
| | | | | | 21 |
| | | | | | 17 |
| | | | | 6 | 1 |
| | | | | 5 | 1 |
| | | | | 11 | 1 |
| | | | | 10 | 4 |
| | | | | 10 | 5 |
| | | | 8 | 5 | 1 |
| | | | 8 | 5 | 2 |
| | | | 10 | 6 | 2 |
| | | | | 18 | 3 |
| | | 1 | 3 | 5 | 3 |
| | | 2 | 2 | 5 | 2 |
| | | 1 | 2 | 4 | 2 |
| | | 2 | 2 | 4 | 1 |
| | 2 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 | 2 |
| | | | 2 | 2 | 1 |
| | | | 2 | 2 | 2 |
| 4 | 2 | 5 | 2 | 2 | 7 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | | 6 | 8 | | 9 | | 3 |
| | 9 | | | | 5 | 7 | | 1 |
| 3 | | 1 | 7 | 9 | | | 5 | 8 |
| 2 | | 6 | 5 | | 8 | | 9 | 4 |
| 1 | 4 | 5 | | 2 | 3 | 8 | | 6 |
| 9 | 7 | | 1 | 6 | | 5 | 3 | |
| 6 | | 9 | 3 | | 7 | 2 | | 5 |
| | 2 | | | 5 | 9 | 6 | 1 | |
| 5 | | 7 | 2 | | 6 | | 8 | 9 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 2 | | | 5 | 7 |
| 7 | 6 | | 3 | | | 8 | | |
| | | | | 7 | 8 | | 3 | |
| 5 | | 3 | 2 | | | | 8 | |
| | 7 | | 1 | | 9 | 4 | | |
| 2 | | | | 3 | | | 7 | 5 |
| | | 6 | | | 1 | | 4 | |
| 1 | 5 | | | | 2 | | | |
| | | 9 | 5 | | | 7 | | 2 |

# მიხვდა და მოკვდა

## რობერტ ბლოხი



მაიკ სევიჯს მსოფლიო კრიმინალური სინდიკატის შექმნის იდეა დიდი ხნის განმავლობაში არ ასვენებდა. ამ საქმეში ვერაფერს გახდებოდა ჯო კეინის გარეშე, რომელიც ამერიკის დამნაშავეთა სამყაროს თავად მიაჩნდათ. და აი, ჯო კეინის პირადი თვითმფრინავი საიდუმლო აეროდრომზე დაეშვა. მაიკი პირადად ხვდებოდა საპატიო სტუმარს დაბურულმინებიანი „ლიმუზინით“. როგორც ლონდონში ხშირად ხდება ხოლმე, იმ დღესაც წვიმდა. კეინი პირქუში, სიტყვაძუნწი და საკმაოდ უხეში კაცი აღმოჩნდა, მაგრამ სევიჯი მზად იყო, მისგან ყველანაირი უხეშობა აეტანა, ოღონდ კი თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმა მოეხერხებინა.

– სიჩქარეს დაუკელი, – უბრძანა სევიჯმა მძღოლს, როცა წვიმის წვეთებმა მანქანის სახურავზე ხმაურს მოუმატა. ჯო კეინმა თავი სავარძლის საზურგეზე გადააგდო და ჩაეძინა. სახის გამომეტყველება ძილშიც კი სასტიკი და ჭკვიანი ჰქონდა. ლონდონში უნდა შეკრებილიყვნენ კრიმინალური სამყაროს „ზვიგენები“ ყველა ქვეყნიდან... ამ კონფერენციაში კეინის მონაწილეობა სევიჯის წამოწყებას წარმატებას მოუტანდა. საერთაშორისო კრიმინალური კომპანიის მეთაური კეინი გახდებოდა, მაგრამ სევიჯი მისი მარჯვენა ხელი და ღერძი იქნებოდა.

– ფრთხილად! – დაუყვირა სევიჯმა მძღოლს, მაგრამ, ვერ მოასწრო – ნისლში გვიან გამოჩნდა შემხვედრი ავტომობილის ანთებული ფარები. მძღოლმა მკვეთრად შემოატრიალა საჭე მარცხნივ. სევიჯმა თავი ველარ შეიკავა და საქარე მინას შუბლით შეასკდა. მწვავე ტკივილი იგრძნო და გონება დაკარგა...

ჯო კეინის თავი ერთ დიდ ლაქას ჰგავდა. მთლიანად დაფარული იყო ბინტით და მხოლოდ სამი პატარა ხვრელი ჰქონდა დატოვებული, ორი – თვალებისთვის, ერთიც – პირისთვის. მაიკ სევიჯი თეთრკედლებიან ოთახში, საწოლთან იდგა და მუმიად ქცეულ განგსტერს მიშტერებოდა.

– ესმის, რასაც ველაპარაკები? – მიუბრუნდა ექიმს, უგესტს.

– დიახ, მაგრამ, ჯერ ვერაფერს გეტყვით – ხმის იოგები ძალიან აქვს დაზიანებული, ამის აღდგენას კი დრო დასჭირდება, მაქსიმუმ, რამდენიმე კვირა.

ექიმმა უგესტმა ყველაფერი იცოდა – ოჯახის ექიმობით დაწყებული ურთულესი ქირურგიული და პლასტიკური ოპერაციით დამთავრებული. მაიკ სევიჯმა მას საკუთარ მამულში გაუხსნა კლინიკა. მუდმივად გვერდით ჰყავდა და საკმაოდ დიდ ფულსაც უხდიდა. უგესტი კმაყოფილი იყო თავისი სამედიცინო კარიერის ამ მიმართულებით განვითარებითა და კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებს მკურნალობდა.

– სერიოზული ავარია იყო. არაფერი ახსოვს, საერთოდ არაფერი.

– მეხსიერების აღდგენაზე რას იტყვით? – ჰკითხა სევიჯმა.

– შეიძლება, ეს ამნეზია დროებითი იყოს, შეიძლება – სამუდამოც. ჯერ დასკვნების გაკეთება მიჭირს. შეხვედრის გადადება მოგიწევთ. შემხვედრი მანქანის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. თქვენ კი იღბლიანი ყოფილხართ, მისტერ სევიჯ, რამდენიმე მსუბუქი ნაკაწრითა და კოპით გადარჩით.

– ჰო, – ჩაიბურტყუნა სევიჯმა, – შეიძლება, ასეც ითქვას. თუმცა, ვინ იცის. ვინმე რიტა ფოული ჩამოვიდა და ჯოს ნახვას ითხოვს. ამბობს, რომ კეინის საცოლეა. როგორ მოვიქცე?

ექიმმა ყურადღებით შეხედა სევიჯს.

– მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. შემოიყვანეთ და აუხსენით სიტუაცია. პრინციპში, შეიძლება, დაგვეხმაროს კიდეც...

– ჯო! – შეძრწუნებით შეჰყვირა რიტამ და ატირდა, – ღმერთო, რა დღეში ყოფილა! ჰილტმა მითხრა, რომ მშვიდობიანად ჩამოფრინდნენ. ჩემს ზარებს რომ არ პასუხობდა, ძალიან შემეშინდა. უფლებას მომცემთ, მასთან ერთად დავრჩე და მოვუარო? ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვით.

– ჯერჯერობით, როცა ლაპარაკს ისწავლის და შეძლებს, დიდი ბავშვივით იქნება, – უთხრა ექიმმა, – თქვენ მისი დედა უნდა გახდეთ.

– ჯო ჩემი სიცოცხლის აზრია, გვერდიდან არ მოვცილდები, – მტკიცედ თქვა ქალიშვილმა...

***

გავიდა ერთი კვირა... მერე მეორე... კეინმა ჩურჩულით ლაპარაკი შეძლო, თუმცა, მას თავისი სახელიც არ ახსოვდა. რიტა ერთი წუთითაც არ ტოვებდა მას, ელაპარაკებოდა ბევრს და ყველაფერზე – უყვებოდა, რა უყვარდა და რა სძულდა. როცა ჯომ ინვალიდის სავარძელში გადაჯდომა შეძლო, თითქმის მთელი დღე ბაღში ასეირნებდა. ჯოს თავისი წარსულიც არ ახსოვდა. რიტა მოუყვა, როგორ მიაღწია იერარქიული კიბის ზედა საფეხურს; როგორ მოიპოვა რეპუტაცია და ძალაუფლება დამნაშავეთა სამყაროში და როგორ იქცა მის მეფედ... უყვებოდა იმ ჩვევების, საყვარელი ანეკდოტების, ფილმების, წიგნებისა და სიმღერების შესახებ, რომელთა გახსენებაც ჯოს არ შეეძლო... კეინი ნელ-ნელა იკრებდა ძალას, მაგრამ მისი მეხსიერება არ ცოცხლდებოდა, არც რიტას მიმართ იჩენდა ჩვეულ სითბოს და არც მასთან ურთიერთობა ახსოვდა... რიტა იმედს არ კარგავდა, რომ, გამოჯანმრთელებასთან ერთად, მათი სიყვარულიც აღდგებოდა... დადგა სახვევების მოხსნის დღე. რიტა ზურგშექცევით იდგა. როცა ექიმმა ბინტები მთლიანად მოხსნა, ქალიშვილი შემობრუნდა და მოულოდნელობისგან შეჰკივლა – კაცს, რომელიც მის წინ იჯდა და სარკეში იყურებოდა, არაფერი ჰქონდა საერთო ჯო კეინთან. მისი სახის ნაკვთები აბსოლუტურად უცხო იყო ქალიშვილისთვის.

– ძალიან იყო დაშავებული და რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია გავუკეთეთ. სამაგიეროდ, ახლა ძალიან სიმპათიურია, მე ვიტყოდი, ლამაზიც კი.

რიტამ ერთბაშად იგრძნო, რომ მას ატყუებდნენ, ყველაფერს არ ეუბნებოდნენ. ჯოს მხოლოდ გარეგნული ცვლილება არ იყო ის, რაც მას აშფოთებდა... ნელ-ნელა მიეჩვეოდა საყვარელი მამაკაცის ახალ სახეს, მაგრამ, შინაგანი ხმა ჰკარნახობდა, რომ აქ რაღაც ისე არ იყო...

ექიმს მისი ვიზიტი არ გაჰკვირვებია.

– მე მინდა, სიმართლე ვიცოდე! – მტკიცედ თქვა ქალიშვილმა.

– თქვენი შეყვარებულის ახალი სახე არ მოგწონთ? იცით, ძალიან რთული სამუშაო იყო. მე ხომ არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა ის ავარიამდე. მისტერ სევიჯმაც პირველად ნახა იმ დღეს და, თანაც, მხოლოდ ერთი საათით. რაც შევძელი, ყველაფერი გავაკეთე...

– არა. მე ვიცი, რომ მატყუებთ. ეს ჯო არ არის. ჯოს არასდროს არაფრისთვის უთქვამს ჩემთვის მადლობა. იმიტომ არა, რომ არ ვუყვარდი, უბრალოდ, ეს მისი სტილი არ იყო და მეც არ მწყინდა.

კარი გაიღო და კაბინეტში მისტერ სევიჯი შემოვიდა ჯო კეინთან ერთად. რიტა ჯოსან მივიდა, მოეხვია და მუდარით სთხოვა:

– ძვირფასო... რიო გახსოვს? ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ჯო შეიჭმუხნა:

– არა, არ მახსოვს. მე ისიც კი არ მახსოვს, როგორ გამოვიყურებოდი ადრე. შენც არ მახსოვხარ, რიტა. მაპატიე... მთელი ეს პერიოდი ვცდილობდი, ჩვენი ურთიერთობის რომელიმე ეპიზოდი გამეხსენებინა, მაგრამ, ვერ შევძელი.

– არ მიკვირს, – თქვა რიტამ, – რიოში ორივე ძალიან დავთვერით. მერე პორტში პატარა ბარში შევედით... მთვრალმა მატროსებმა ტატუს გაკეთება შამოგვთავაზეს და ჩვენც, ორივემ, მარჯვენა მხარზე ერთმანეთის სახელები ამოვისვირინგეთ. მაჩვენე მხარი... ხედავთ? აქ არანაირი ტატუ არ არის... ექიმო, ესეც ავარიის შედეგია?

მისტერ სევიჯმა გაიცინა:

– მეტისმეტად ჭკვიანი ბრძანდებით, ქალბატონო და ზედმეტად მიხვედრილი. ექიმ უგესტს შეუძლია გითხრათ, რომ ავარიისას თავის ქალა ისე დაზიანდა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი იყო; რომ ჩვენ წავედით რისკზე და გადავწყვიტეთ, ჯო კეინის მთავარი ღირსება – მისი ტვინი გადაგვერჩინა და ის შემხვედრი მანქანის მძღოლის სხეულში გადავიტანეთ, მაგრამ, თქვენ ამ ვერსიასაც არ დაიჯერებთ, ხომ მართალია?

– რა?! – თქვა რიტამ, – ეს ჯო კეინი არ არის?

– დიახ, ასეა, არ არის. მე ვერ დავუშვებდი, ჩემი ამდენი წლის იდეას კრახი განეცადა მაშინ, როცა უკვე თითქმის მივაღწიე მიზანს. ამიტომ, ჯო კეინის დამახინჯებულ გვამს იმ მძღოლის საბუთები ჩავუდეთ. მოკლედ, ქალბატონო, თქვენი ჩამოსვლა ჩვენთვის სერიოზული ხსნა იყო. თქვენი დახმარებით ჯომ ნელ-ნელა „აღიდგინა“ დაკარგული მეხსიერება. ახლა ის ფორმაშია და მზად არის, დაუბრუნდეს იმ დიდ, წაუგებელ თამაშს, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ. ასე არ არის, ჯო?

– ბოლოს და ბოლოს, სპექტაკლი დასრულდა... – თქვა ექიმმა, – მე მივესალმები ამას. ქალბატონო, თქვენთვის ჯოს არ უსწავლებია, რომ ზედმეტი ჭკუა სერიოზულ პრობლემებს ქმნის?

– ერთი კვირის შემდეგ კონფერენცია გაიმართება. ახლა არჩევანი შენზეა, ჯონ კეინ-კოლინზ...

– მე ეს არჩევანი უკვე გავაკეთე, – თქვა ცრუ ჯო კეინმა, სევიჯთან მივიდა, ქამრიდან პისტოლეტი ამოაცალა და შემობრუნდა.

რიტა ფოული დაფრთხა და თვალებგაფართოებული აეკრა კედელს.

– რის გაკეთებას აპირებ?

– შენ მასწავლე, რომ ჯო კეინი არასდროს ტოვებდა კვალს, – გაიცინა ცრუ კეინმა და პისტოლეტმომარჯვებულმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ქალიშვილისკენ, – მაპატიე, რიტა, ვერ გაგიხსენე...

სქელმა კედლებმა ჩაახშო გასროლის ხმა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# ხმის მფარველი

სახმო აპარატის დაზიანება ყველასთვის მტკივნეულია, მაგრამ მათთვის, ვისთვისაც ხორხი "სამუშაო ორგანოა", ეს კატასტროფის ტოლფასია. საბედნიეროდ, მკურნალობის თანამედროვე ეფექტიანი მეთოდები ხმის აღდგენის საშუალებას იძლევა. ხმის ჩახლეჩა და დაკარგვა სახმო აპარატის დაზიანების ყველაზე გავრცელებული ფორმებია.

**ხმის დაკარგვა - აფაზია:** ხმის დაკარგვის მიზეზი ყველაზე ხშირად მწვავე ლარინგიტი - გაციების, დიდი ოდენობით ცხელი ან ცივი საკვების, წყლის, აირთა ზემოქმედების, კვამლისა და ჰაერში არსებული მავნე მინარევების ჩასუნთქვის შედეგად განვითარებული ხორხის ანთებაა. დროული მკურნალობის შემთხვევაში ხმა რამდენიმე დღეში იბრუნებს ჩვეულებრივ ტემბრს, ნებაზე მიშვებული მწვავე ლარინგიტი კი ქრონიკულ ფორმაში გადადის. ფიბრომები, პოლიპები, კისტები, კეთილთვისებიანი წარმონაქმნები სახმო იოგების ერთმანეთთან მიახლოებას ართულებს და ხმა იკარგება.

ხმის შეცვლის მიზეზად შეიძლება იქცეს ზოგიერთი სხვა დაავადებაც, მათ შორის - ქრონიკული სურდო, ადენოიდები, ცხვირის პოლიპები, ცხვირის დანამატ წიაღთა დაავადებანი, ტრაქეაში, ბრონქებსა და ფილტვებში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები, რომლებიც ასევე მოქმედებს ხმის წარმომქმნელ აპარატზე.

ხმის დაკარგვას არცთუ იშვიათად ნერვული სისტემის დეპრესიულ-შფოთვითი აშლილობა ე.წ. ნევროზიც იწვევს. ლაბილური ნერვული სისტემის პატრონებისთვის საკმარისია ძლიერი შიში ან სხვა სახის მოულოდნელი სტრესი, რომ მყისიერად დაკარგონ ხმა. ეს ის შემთხვევაა, როცა ნერვული სისტემის გადაძაბვის ფონზე ხმის დაკარგვისთვის ნიადაგი მზად არის და გამშვებ მექანიზმს ელის.

ხმის ცვლილებით მიმდინარეობს ორგანიზმის ზოგიერთი გარდამავალი ფიზიოლოგიური პერიოდიც - 11-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდებს ხმა საბოლოო ჩამოყალიბებამდე ეხლიჩებათ ან ეცვლებათ.

ხმის ცვლილება თან სდევს მენოპაუზას.

## ხმის ჩახლეჩა

ხმის ჩახლეჩის უამრავ მიზეზს შორის გამოყოფენ ძირითადს:

- ვირუსულ ინფექციებს;
- თამბაქოსა და ალკოჰოლს.

ეს ხმის ჩახლეჩის გამომწვევი ყველაზე გავრცელებული ფაქტორებია. თამბაქოს მოწევის დროს ადამიანი საკმაოდ მაღალი ტემპერატურის კვამლს ჩაისუნთქავს, რომელიც წვავს ხორხისა და სასუნთქი გზების ლორწოვან გარსს, თამბაქოს კვამლში არსებული მავნე მინარევები იწვევს სისხლძარღვების შეშუპებას, აზიანებს საკუთრივ სისხლძარღვებსა და სახმო იოგებს, სათავეს უდებს მათზე სიმსივნურ წარმონაქმნთა განვითარებას, ხშირად ხახისა და ხორხის კიბოსაც კი.

- ყვირილს. ყვირილის დროს სახმო იოგები ძლიერ იჭიმება და ერთმანეთს უახლოვდება, შეხებით აზიანებს ერთმანეთს.
- სახმო აპარატის გადაძაბვას. ის მასწავლებლების, მსახიობების, მომღერლების, ორატორების, დიქტორების პროფესიული პათოლოგიაა.

## გაუფრთხილდეთ ხმას

- ისუნთქეთ ცხვირით და ეცადეთ, არ დაიავადოთ სასუნთქი გზები.
- ყურადღება მიაქციეთ კვების ტიპს და რეჟიმს - საკვებით გადავსებული კუჭი აწვება დიაფრაგმას, რაც ჰაერის ნაკადს დაბრკოლებას უქმნის, ამიტომ საკვები სიტყვით გამოსვლამდე 2-3 საათით ადრე უნდა მიიღოთ. გარდა ამისა, „ხმოვან" პროფესიათა წარმომადგენლები უნდა ერიდონ ცხარე სანელებლებს, ცივ და მეტისმეტად ცხელ საკვებს, ალკოჰოლს.
- ხმისთვის საშიშია სიმღერა სიცივეში - ჰაერი გათბობას ვერ ასწრებს და სახმო აპარატს აზიანებს. ზედა სასუნთქი გზების ფუნქციებს ცხელი ჰაერიც აქვეითებს, რაც უარყოფითად აისახება ხმაზე.
- ზამთარში თბილი შენობიდან გასვლისას ან მასში შესვლისას ხმას ადაპტირების საშუალება მიეცით - რამდენიმე წუთის განმავლობაში ერიდეთ ხმამაღალ ლაპარაკს, მით უფრო - ყვირილს.
- ხმის დაკარგვის, ჩახლეჩისა თუ სხვა ცვლილებისას აუცილებლად უნდა დაადგინოთ მისი მიზეზი. თუ ეს სახმო აპარატის გადაძაბვაა, მას დასვენება სჭირდება. რამდენიმესაათიანი დატვირთვის შემდეგ აპარატი ყოველთვის დაასვენეთ. ასეთ დროს ტელეფონით საუბარიც კი არასასურველია.
- თუ ხმა ხელმეორედ ჩაგეხლიჩათ, დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს მიზეზის დასადგენად და ყველა მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად.

საუკეთესო არჩევანს კი წარმოადგენს გერმანული მცენარეული პრეპარატები ისლა მოოსი და ისლა მინტი. პრეპარატის მთავარი შემადგენელი კომპონენტია ისლანდიური ხავსი. 1860 წელს გერმანელმა მეცნიერმა კარლ ფილიპ ენგელჰარდმა შექმნა ისლანდიური ხავსის ბაზაზე პრეპარატი ისლა მოოსი და ისლა მინტი. ისლანდიური ხავსი შეიცავს დაახლოებით 50%-მდე ლორწოს მსგავს გლუკანებს, რომლებიც იცავენ ლორწოვან გარსს გაღიზიანებისაგან (ეს ნივთიერებები წარმოქმნიან ლორწოვან გარსზე დამცავ ფენას).

- ბრონქოლიტური და ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტი აიხსნება ლეიკოტრიენების - ანთებითი მედიატორების, აქტივობის დატლგუნვით.
- პოლისაქარიდები განაპირობებენ იმუნოსტიმულაციურ ეფექტს, ზრდიან სეკრეტორული იმუნოგლობულინების წარმოქმნას, იცავენ ლორწოვან გარსს ვირუსებისა და ბაქტერიებისაგან.

## პრეპარატ ისლა-მინტს და ისლა-მოოსს ახასიათებს:

დამცავი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, იმუნომოდულაცური მოქმედება.

**ისლა მოოსის და ისლა მინტის ჩვენებებია:** ხმის დაკარგვა, ხმის ჩახლეჩა, ყელში ფხაჭნის და სიმშრალის შეგრძნება, ხმის იოგების დაძაბვა, ყელისა და ხახის ანთებით-ინფექციური დაავადებები.

ისლა მოოსის შემადგენლობაში შედის: ისლანდიური ხავსის თხევადი ექსტრაქტი, აგარ-აგარი, საქაროზა, პარაფინი.

ისლა მინტის შემადგენლობაშია: ისლანდიური ხავსის თხევადი ექსტრაქტი, აგარ-აგარი, სორბიტოლი, ასპარტამი, პარაფინი, პიტნის ზეთი. ისლა მინტის შემადგენლობიდან გამომდინარე მისი მიღება შეუძლიათ დიაბეტიან პაციენტებსაც.

**წამლის გამოშვების ფორმაა საწუწნი ფირფიტა, რომელსაც ბევრი უპურატესობა გააჩნია საწუწნ ტაბლეტთან შედარებით:**

- არ აღიზიანებს ლორწოვანს;
- საწუწნი პასტილა განაპირობებს შემადგენელი კომპონენტების პირხახაში ხანგრძლივ დაყოვნებას.
- იწვევს ნერწყვის გაძლიერებულ გამოყოფას, რაც განაპირობებს ლიზოციმის რაოდენობის ზრდას.
- გამოყენებისას ეკვრის სასას და ხელს არ უშლის საუბარს.

პრეპარატზე ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ მისი გამოყენების შემდეგ მედიკამენტიტი ამცირებს პირხახაში სიმშრალის შეგრძნებას, ხმის დაღლის გრძნობას, ხველის სიხშირეს;

## მიღების წესი და დოზირება:

<u>მოზრდილები და ბავშვები 12 წლის ზემოთ:</u>
1 პასტილა ჩასაწუწნად ყოველ 1 სთ-ში (დღეში არაუმეტეს 12 საწუწნი პასტილისა).

<u>ბავშვები 4 წლიდან:</u>
1 პასტილა ჩასაწუწნად ყოველ 2 სთ-ში (დღეში არაუმეტეს 6 საწუწნი პასტილისა).


## ისლა მინტი ისლა მოოსი

- ყელის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები, როგორიცაა: ფარინგიტი, ლარინგიტი, მათ შორის ალერგიული წარმოშობის (მშრალი გამაღიზიანებელი ხველა, ხმის ჩახლეჩა);
- მშრალი ხველის თერაპია მწ. და ქრ. ბრონქიტებისა და ბრონქული ასთმის დროს კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში;
- სახმო იოგების მეტისმეტი დაჭიმვა (მომღერლებში, მასწავლებლებში, ლექტორებში).
- პირის ღრუს და ხახის ლორწოვანი გარსის სიმშრალე და გაღიზიანება (მშრალი, არასაკმარისად ნოტიო ჰაერის ჩასუნთქვა შენობებში გათბობის პერიოდში, კონდიცირებით აღჭურვილ შენობებში, ცხვირის სუნთქვის შეზღუდვის გამო და აგრეთვე სპორტული შეჯიბრების დროს).

ხმის წასვლის, ხმის ჩახლეჩისა და
მშრალი გამაღიზიანებელი ხველის დროს!




„გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს"

# როგორ აკურთხებდნენ საქართველოში მეფეს

მეფის კურთხევა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ყოველი ქვეყნის ცხოვრებაში, განსაკუთრებით ძველად. თანამედროვე ევროპაში ამას უფრო ცერემონიალური დანიშნულება აქვს, რაც ვიხილეთ ბელგიის, ჰოლანდიისა და ესპანეთის ახალი მონარქების გამეფების დროს. ადრე კი ქრისტიანულ სამყაროში, მათ შორის საქართველოში, საჭირო იყო უფლის ხელდასხმის მიღებაც. ეს კი მეფედ კურთხევის სპეციალური რელიგიური ცერემონიალის დროს გამოიხატებოდა.



მეფედ კურთხევის წინა საღამოს ტარდებოდა საღამოს ლოცვა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც უფლის კვართი ბრძანდება.

მცხეთის კათალიკოსის ბრძანებით, შეიმოსებოდა ერთ-ერთი მთავარეპისკოპოსი, წარუძღვებოდა მგალობლებს, მღვდლებს და დიაკვნებს საკმევლითა და კეროვნით (დიდი ცვილის სანთელი) ტაძრისაკენ, მგალობელნი გზადაგზა გალობდნენ.

სასახლეში მისვლისას დადებდნენ ფეშხუმზე (ძირიან დიდ ლანგარზე) გვირგვინს, სკიპტრას (სამეფო კვერთხი), პორფირს (სამეფო მეწამული ტანსაცმელი) და ბისონს (სამღვდელმთავრო ან სამეფო შესამოსელი), წარსაფენით დაჰბურავდენ და მთავარეპისკოპოსი წაბრძანებდა ამ სამეფო ინსიგნიებს სვეტიცხოვლისკენ.

მწუხრის ლოცვები ჩატარდებოდა. მთელ ღამეს უძილოდ გაათენებდნენ ღვთისადმი ვედრებით, მათ შორის „მეფედ განმზადებული" და ცერემონიალში მონაწილენი, მთელი ეკლესია. გამთენიისას, რა დასრულდებოდა ლოცვა, მიდიოდნენ მოსასვენებლად.

წირვის დაწყების ჟამი რომ მოვიდოდა, სამჯერ შემოკრავდნენ ძელს და შეიკრიბებოდნენ ეკლესიაში. შეიმოსებოდნენ ქართლის კათალიკოსი, აფხაზეთის კათალიკოსი და მღვდელმთავრები, მღვდლები და დიაკვნები. ჯვრისმტვირთველი ბერი სალიტანიო ჯვარს იტვირთებდა, წაიძღვანებდა მთავარდიაკონს სანთლებით და საკმევლით, მივიდოდა მეფის სასახლეში და ეტყოდა მეფეს:

– გვაკურთხენ, წმიდაო და თვითმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქვენისანი.

სამხედროებიც და დიდებულებიც გაიმეორებდნენ.

მერე ჯვრისმტვირთველი მოუტრიალდებოდა სამხედროებს და კურთხევაზე დამსწრე ყველა საპატიო სტუმარს, თავს მოიდრეკდა და იტყოდა:

– და თქვენცა გიხაროდენ, ძალნო უძლეველნო და დამამხობელნო მტერთა სამეფოთანო, ჟამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად.

და გაემართებოდნენ ტაძრისკენ შემდეგნაირად: წინ ზარი მეფეთა, შემდგომ დროშა და შუბი, შემდეგ მთავარდიაკონი და ჯვრისმტვირთველი სალიტანიო ჯვრით, მეფე და ლაშქარი. მეფესთან ახლოს სარდლობა იყო მხოლოდ. ჯარისკაცები საპატიო ადგილებში იდგნენ, ცერემონიის დასაცავად და სილამაზისთვის.

მანდატურთუხუცესი სამანდატურო არგნით (ოქროს კვერთხით) წინ წაუძღვებოდა მეფეს ჯვრისმტვირთველის შემდეგ. მანდატურთუხუცესი საპოლიციო უწყების (სახელოს) ხელმძღვანელი იყო. ეს ერთ-ერთი უდიდესი თანამდებობაა. მას ევალებოდა სახელმწიფოსა და მეფის კარზე წესრიგის დაცვა და სხვა საორგანიზაციო-ადმინისტრაციული საქმეების ხელმძღვანელობა... მანდატურთუხუცესის ქვეშევრდომები იყვნენ ამირეჯიბი, მესტუმრეთუხუცესი (მესტუმრე), მანდატურები, ეჯიბები.

ხმალშემორტყმული ამირსპასალარი მეფეს მარჯვნივ მიჰყვებოდა და განვდილ ხელებში სამეფო ხმალი ეკავა, უქარქაშოდ. ამირახორი (ამილახორი) და მეაბჯრეთუხუცესი, ასევე ხმალშემორტყმული გვერდით მიჰყვებოდნენ ამირსპასალარს. ამირსპასალარი გახლდათ ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი, ამირახორი – მისი თანაშემწე. სარდლის ხელქვეითები იყვნენ მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი. მეაბჯრეთუხუცესს ებარა ჯარის აღჭურვილობა. მეჯინიბეთუხუცესი ხელმძღვალობდა სამეფო საჯინიბოებს.

**მას მარჯვენა ხელზე ხელს მოჰკიდებდა ქართლის კათალიკოსი, მარცხენაზე აფხაზეთის კათალიკოსი, წაიყვანდნენ სამეფო ადგილისკენ და დაიწყებდნენ სეფისკვერის აღმოკვეთას**

მეფეს მარცხნივ მიჰყვებოდა ჭყონდიდელი და ათაბაგი. ჭყონდიდის ეპისკოპოსს უდიდესი პატივი ჰქონდა ერთიანი საქართველოს დროს. ის იყო მეფეთა აღმზრდელი და ებარა უმაღლესი თანამდებობა – მწიგნობართუხუცესობა. ეს დღევანდელი ტერმინით ქვეყნის კანცლერს ნიშნავს – მთავრობის მეთაურს. მის ხელში იყო სასამართლო-სააპელაციო უწყებაც. ათაბაგი უფრო გვიანდელია და თამარ მეფის დროს გაჩნდა მეფის სავაზიროში.

ეზოთუხუცესი, ჩუხჩარეხი, მეაბჯრეთუხუცესი მიჰყვებოდნენ მეფეს და ხელთ ეკავათ სამეფო ფარი, სამეფო ლახტი (საომარი კვერთხი) და სამეფო ხმლის ქარქაში.

ეზოთუხუცესი სასახლის საქმეთა ორგანიზატორი იყო. ჩუხჩარეხი გახლდათ მეფის პირადი დაცვის უფროსი.

მათ უკან, როგორც ვთქვით, ლაშქრის სარდლები მიდიოდნენ, სამოქალაქო უწყებათა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები, მღვდელმთავრები, ბერ-მონაზვნები და ხალხი, საქართველოს მოქალაქეები, სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები, უცხოელი სტუმრები, სხვა ქვეყნების ელჩები და ვაჭრები.

მსვლელობა გაფორმებული იყო დროშებით, ჯვრებით, შტანდარტებით, გალობითა და ლოცვებით.

ამ წესით მივიდოდნენ ტაძრის კართან, სადაც შეეგებებოდა კათალიკოსი ეპისკოპოსებთან ერთად.

ქართლის კათალიკოსი თავმოდრეკილად ეტყოდა მეფეს ხმამაღლა:

– კურთხეულ არს მოსვლა თქვენი და დამტკიცება მეფეთ-მეფედ სამეფოსა ამას თქვენსა ზედა, და განმტკიცნეს ღმრთმან შიშსა და სარწმუნოებასა მისსა ზედა, და დაგამორჩილნეს ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი სამეფოსა ამის თქვენისანი ქვეშე ფერხთა თქვენთა.

და ყველა ერთხმად დაიძახებდა:

– ამინ!

მეფე მდაბლად თაყვანს სცემდა კათალიკოსს. მას მარჯვენა ხელზე ხელს მოჰკიდებდა ქართლის კათალიკოსი, მარცხენაზე აფხაზეთის კათალიკოსი და წაიყვანდნენ სამეფო ადგილისკენ და დაიწყებდნენ სეფისკვერის აღმოკვეთას. აფხაზეთის კათალიკოსი დაჰბურავდა სამეფო ინსიგნიებს. ჯვრისმტვირთველი გამოართმევდა ამირსპასალარს სამეფო ხმალს და საკურთხეველში ძელიცხოველზე მიყრდნობით დადებდა. დროშას და შუბს საკურთხევლის კარების აქეთ-იქით დაიჭერდნენ.

პატრიარქის დღლოცვისა და მთავარდიაკვნის გამოსვლამდე, აფხაზეთის კათალიკოსი, აიღებდა საკურთხევლიდან ბისონს, გამოვიდოდა, მეფეს თავს მოუდრეკდა, ორივე მუხლებზე დააფენდა და მერე წამოიყვანდა პატრიარქისკენ.

მეფე თავს მოუდრეკდა კათალიკოს-პატრიარქს და ეტყოდა:

– მაკურთხე, მეუფეო!

ქართლის პატრიარქი ჯვარს გადასწერდა და ეტყოდა:

– კურთხეულმცა არს მეფობა თქვენი დასასრულამდე ჟამთა, და განმტკიცენ სარწმუნოებასა მისსა ზედა მიუდრეკელად.

მერე ბისონს ჩააცმევდა თავის ხელით და ჯვარს დასწერდა.

შემდეგ მეფეს წარუძღვებოდა აფხაზეთის კათალიკოსი და კვლავ თავის ადგილას დააყენებდა. შემდეგ ის ბრუნდებოდა საკურთხეველში.

გამოვიდოდა მთავარდიაკვანი და დაიწყებდა კვერექსის თქმას (დიაკვნის სათქმელი ლოცვა). როცა სახარებას წაიკითხავდნენ, გამოვიდოდნენ აფხაზეთის კათალიკოსი და

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)

# აცტეკები მსხვერპლად შეწირულ ადამიანებს ტყავსაც აძრობდნენ

მეთხუთმეტე საუკუნეში მსოფლიომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში შეაბიჯა. შემდგომი ასწლეულების განმავლობაში ევროპელებმა ამერიკის, ოკეანეთის, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის კოლონიზაცია განახორციელეს... და თითქმის ყველგან ადამიანთა მსხვერპლშეწირვის პრაქტიკას აწყდებოდნენ, რომელიც მისიონერების მტკიცე წინააღმდეგობით, ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს. ძველი ქალაქის – ტეოტიუაკანას ნანგრევებში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებში დაარსდა და ჩვენი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნემდე იარსება, მთვარის პირამიდაში, არქეოლოგები მსხვერპლთშეწირვის მრავალრიცხოვან ნეშტს წააწყდნენ. ისინი პირამიდის აგების სხვადასხვა სტადიაზე იქნენ მოკვდინებული. ჩონჩხების დნმ-ის ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი ძირითადად უცხოტომელები იყვნენ, ალბათ, ტყვეები. ერთ-ერთ კამერაში იატაკზე უწესრიგოდ ეყარა თავწაჭრილი და ხელებშებორკილი ადამიანის ნეშტი; იქვე აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ადგილობრივი საზოგადოების სათავეში მდგომთა ორი ნეშტი. აკურატულად მსხდომთ, სხეულზე შემორჩენილი ჰქონდათ ძვირფასი სამკაულები, რაც მათ მაღალ სტატუსზე მეტყველებდა.

მერვე საუკუნეში, ცენტრალურ მექსიკაში ჩრდილოელი გადამთიელები – ტოლტეკები გამოჩნდნენ, რომლებმაც განაგრძეს და განავითარეს ტეოტიუაკანელთა კულტურული ტრადიციები, მათ შორის, ადამიანთა მსხვერპლშეწირვაც. პირამიდების წვერზე, ისინი დიდძალ, სისხლიან მსხვერპლს სწირავდნენ მზის ღმერთს, წვიმის ღმერთს და მრავალფუნქციურ ღმერთს, ტესკატლიპოკეს – „მბოლავ სარკეს". მეათე საუკუნის ბოლოს ტოლტეკების მმართველი ხდება სე-აქტალ ტოპილცინი – ღმერთ კეცალკოატლის უმაღლესი ქურუმი. თვით კეცალკოატლი ადამიანთა მსხვერპლშეწირვას არ ითხოვდა, მაგრამ ტოპილცინი შეეცადა, ადამიანური მსხვერპლი შეეცვალა ყვავილებით, პეპლებითა და გველებით სხვა ღმერთების სამსხვერპლოებზეც. მისმა რეფორმებმა მარცხი განიცადა, ხოლო ტოპილცინი და მისი მომხრეები გააძევეს ქვეყნიდან. ლეგენდის მიხედვით, ისინი ტივით გაემგზავრნენ და პირობა დადეს, რომ დაბრუნდებოდნენ... რამდენიმე ხნის შემდეგ, ინდიელებმა ტოპილცინი თვით კეცალკოატლთან გაგზავნეს და დაელოდნენ მის ღვთაებრივ დაბრუნებას, თუმცა ადამიანთა მსხვერპლშეწირვა არ შეუწყვეტიათ.

მეთორმეტე საუკუნეში ცენტრალურ მექსიკაში ახალი გადამთიელები გამოჩნდნენ ჩრდილოეთიდან. აცტეკთა უმაღლესი ღმერთი, ომისა და მზის ღვთაებას, უიტსილოპოჩტლის ძალზე ესაჭიროებოდა ურიცხვი მსხვერპლი, თანაც, მხოლოდ მონებით იგი არ კმაყოფილდებოდა. როდესაც ქალაქ კულუაკანის მმართველმა თავის ქალაქში შემოსულ გადამთიელებს დიდი ღირსება მიანიჭა და მათ ბელადს თავისი ქალიშვილი მიათხოვა, უიტსილოპოჩტლიმ თავისი ქურუმების მეშვეობით, მოითხოვა, რომ ეს ქალიშვილი მისთვის შეეწირათ მსხვერპლად. საქმროსთან მისული პატარძალი საქორწინო სარეცლის მაგივრად – სამსხვერპლოზე მოხვდა, რის შემდეგაც მას ტყავი გააძვრეს (აცტეკთა ეს ტრადიციული რიტუალი სიმინდის ტაროზე ფუჩეჩის შეცვლის სიმბოლოა).



მექსიკის სოფლის მეურნეობას ღმერთების მთელი ჯგუფი განაგებდა, რომელთაგან თითოეული სიმინდის ზრდის სტადიებიდან ერთ-ერთს განასახიერებდა. მოსავლის მთავარი ღვთაება იყო ქალღმერთი ჩიკომეკოატლი (შვიდი გველი). პანთეონში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა სიმინდის მბრძანებელს (ხანდახან – ქალღმერთ-მბრძანებელს) – სინტეოტლს. მათ პატივსაცემად აღნიშნავდნენ სიმინდის დამწიფების (შემოსვლის, დავარგების) დღესასწაულს, რომელიც ივნისის ბოლოდან ივლისის შუა რიცხვებამდე იმართებოდა. ამ დღეებში აცტეკები ძველი მოსავლიდან აღებული სიმინდის კერძებს მიირთმევდნენ, ხოლო ტაძარში რიტუალურ ცეკვებს ასრულებდნენ. ცეკვებს ტყვე ქალი უძღვებოდა, რომელსაც სახე წითელ-ყვითელი საღებავით – შემოსული სიმინდის ფერებში ჰქონდა შეღებილი. ზეიმის დაწყებამდე ტყვე ქალიშვილი ცეკვების შესწავლის ხანგრძლივ კურსს გადიოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, წინასწარ არ იცოდა თავისი მომავალი შემზარავი ბედისწერის შესახებ. ზეიმის ბოლო ღამეს მოცეკვავეთა პროცესია ადიოდა სამსხვერპლო პირამიდის წვერზე, სადაც ქალიშვილს კლავდნენ. მის გულს მსხვერპლად ქალღმერთ ჩიკომეკოატლს სწირავდნენ. მისი ტყავი სიმინდის მბრძანებლის ქურუმთა სამოსელი ხდებოდა, ხოლო აცტეკებს ამ დღიდან უფლება ჰქონდათ, ახალი მოსავლის სიმინდი ეჭამათ.

**ზეიმის ბოლო ღამეს მოცეკვავეთა პროცესია ადიოდა სამსხვერპლო პირამიდის წვერზე, სადაც ქალიშვილს კლავდნენ**

აცტეკები უაღრესად რელიგიურები იყვნენ. მხოლოდ მათ დედაქალაქ ტენოჩტიტლანში, ესპანელთა მისვლის მომენტისთვის, სამოცდაათი ტაძარი (სამოციათას სახლზე) მოქმედებდა, ხოლო მთელ სახელმწიფოში – დაახლოებით 40 ათასი. ახალი ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ, აცტეკები დაპყრობილი ხალხის ღმერთებს თავიანთ პანთეონში რთავდნენ და სისხლიანი მსხვერპლის შეწირვას იწყებდნენ თავიანთი წინანდელი ღმერთების მსგავსად. ესპანელთა შეჭრის წინადღეს აცტეკთა იმპერიის ხელისუფალმა მოქტესუმა (მონტესუმა) მეორემ ერთგვარი რელიგიური რეფორმა წამოიწყო. მან ბრძანა, უიტსილოპოჩტლისადმი მიძღვნილ ქვეყნის მთავარი ტაძრის ტერიტორიაზე აეშენებინათ ტაძარი (რომელსაც სახელად ეწოდა „ყველა ღმერთის ტაძარი") და განეთავსებინათ მასში აცტეკების მიერ დაპყრობილ რაიონებში მცხოვრები ყველა ტომის ღმერთების ქანდაკებები (კერპები). ბრძანება აღსრულებული იქნა, მაგრამ იმისთვის, რომ ახალაშენებული ტაძარი ეკურთხებინათ და საკადრისი პატივი ეცათ ყველა ახალბინადრისთვის, საჭირო იყო ურიცხვი მსხვერპლის გაღება. ასეთი რაოდენობის ხალხი კი მონტესუმა მეორეს არ ჰყავდა და მოიქცა ისე, როგორც მისი წინამორბედები იქცეოდნენ, როცა სამსხვერპლო სისხლი დასჭირდებოდათ. მან საბრძოლო იერიში მიიტანა საპოტეკთა აჯანყებულ ქალაქ ტეუქტეპეკზე. მონტესუმას არმიამ გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ეს გამარჯვება უცნაური, რაღაცის მომასწავებელი ნიშნებით აღინიშნა – როგორც ქრონიკა (ლეგენდა) იუწყება, ქალაქის მცველებმა მოალყეთა თვალწინ ალიგატორებად და თევზებად იწყეს გადაქცევა. მიუხედავად ამისა, ყველა, ვინც კი ცოცხალი გადარჩა და თევზად არ იქცა, აცტეკებმა ტყვედ აიყვანეს და მონტესუმამ პირადად ჩაატარა მასობრივი მსხვერპლშეწირვა პირამიდის წვერზე ძველი და ახალი ღმერთების პატივსაცემად.

**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | | გ | | კ | ო | ნ | კ | ა | | ს | ე | ნ | ა |
| ც | ი | ც | ი | ნ | ო | | ო | | ლ | | ტ | | ა | ნ |
| | კ | | რ | | კ | უ | რ | ა | ვ | ლ | ი | ო | ვ | ი |
| ბ | რ | ე | შ | ი | ა | | ა | კ | ა | | ქ | ი | რ | ა |
| | ო | პ | ე | დ | | ა | | ე | | რ | ი | გ | ა | |
| ა | ბ | უ | ლ | ა | შ | ვ | ი | ლ | ი | | ა | ნ | ტ | ი |
| | ი | კ | ი | ნ | | ე | ბ | ა | ნ | ი | | ა | ი | ლ |
|  | | | | | ი | ნ | ა | | ა | რ | ი | | ლ | |
| | | | | | ლ | | | ე | ლ | კ | ო | ფ | ო | ს |
| | | | | დ | ე | დ | ა | | კ | ა | რ | ა | ვ | ი |
| | | | | ი | დ | ა | ი | დ | | | ი | ნ | ა | მ |
| | | | | ლ | | ი | რ | ა | ხ | მ | | დ | | დ |
| ლ | | | მ | ა | ხ | ა | თ | ი | | ძ | ვ | ი | რ | ი |
| ი | | ო | | | ა | ნ | | ს | ა | ვ | ა | | | |
| მ | ი | რ | კ | ა | ნ | ი | | ი | | ი | რ | ტ | ე | მ |
| ა | ნ | ე | | ვ | | | მ | | ი | ნ | გ | ა | | ა |
| | ი | დ | ა | ლ | ბ | | ი | რ | ე | ვ | ა | ლ | უ | შ |
| ა | ნ | ა | გ | ა | | | ნ | ო | ლ | ა | | ა | ბ | ა |
| | ი | რ | ო | მ | | ო | ე | მ | ო | რ | | ვ | | ვ |
| ი | ლ | ა | ნ | | ა | ხ | ლ | ა | ვ | ე | | ე | მ | ე |
| შ | ა | ვ | ი | | ვ | | ი | ნ | ა | | | რ | | რ |
| | მ | | ა | ქ | ე | ბ | | ი | | ა | ფ | ი | შ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 | 7 | 4 |
| 4 | 8 | 9 | 2 | 7 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 6 | 7 | 5 | 3 | 4 | 2 | 8 | 9 |
| 3 | 9 | 1 | 4 | 5 | 7 | 8 | 6 | 2 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 |
| 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 | 7 |
| 9 | 1 | 5 | 8 | 2 | 3 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 3 | 8 | 9 | 4 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 6 | 2 | 4 | 7 | 1 | 5 | 3 | 9 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 9 | 2 | 5 | 1 | 7 | 4 | 3 |
| 3 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 9 | 2 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 6 | 1 |
| 6 | 9 | 7 | 3 | 1 | 2 | 5 | 8 | 4 |
| 2 | 5 | 3 | 7 | 8 | 4 | 1 | 9 | 6 |
| 1 | 4 | 8 | 6 | 9 | 5 | 3 | 7 | 2 |
| 5 | 3 | 2 | 9 | 4 | 7 | 6 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 |
| 4 | 7 | 1 | 5 | 6 | 8 | 2 | 3 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. ბუდას ფერფლი. 2. იარდი – 0,9144 მეტრი. 3. ვყოფთ ენას. 4. ებრაულ, დავითის ვარსკვლავს. 5. მზე. 6. ბორდო და მარსელი. 7. წითელი: ცა – ცისფერი, ტრიბუნები – წითელი, მინდორი – მწვანე (მთლიანობაში დროშის ფერია). 8. ბიბლიოთეკა – შავი, ანუ წყლის ფერი, წიგნებს ხანძრისგან დაიცავს. 9. „მის მსოფლიო". 10. კოჭლი.**

**ბოლო ხანებში ახალგაზრდა და ნიჭიერი მსახიობის, გიორგი ბახუტაშვილის კარიერა თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება, – იზრდება პოპულარობაც. ამიტომ, ინტერესი მისი ცხოვრების სტილის, ხასიათის, თუნდაც მეორე ნახევრის მიმართ, ლოგიკურად, მატულობს. ჩვენს სტატიაში ცნობილი მსახიობის ქორწინების შესახებ გიამბობთ. მაშ, ასე – 24 წლის გიორგი ბახუტაშვილისა და 22 წლის თაკო შოშიაშვილის ოჯახი საკმაოდ ახალგაზრდაა. პროფესიონალი ტელეოპერატორი თაკო, პარალელურად, წარმატებული მოდელიცაა. წყვილი თავს ბედნიერად გრძნობს, რადგან, მათი ოჯახური ცხოვრება დიდ სიყვარულსა და გულწრფელ ურთიერთობებზეა დამყარებული.**

# რატომ დარბოდა გიორგი ბახუტაშვილი ჯვრისწერის წინ საცოლის კაბისა და საქორწინო ბეჭდების საყიდლად და რატომ გაჩერდა ის საკუთარ ქორწილში მხოლოდ ერთი საათით

**გიორგი ბახუტაშვილი:** ყველაზე რთული ნაბიჯი, რაც მეგონა, რომ ცხოვრებაში უნდა გადამედგა, უკავშირდებოდა ოჯახის შექმნას, ანუ, იმ ადამიანის პოვნას, რომელთანაც მთელი ცხოვრების გატარება მომინდებოდა. უკვე ძალიან ადრეული ასაკიდან ვუდგებოდი ამ საკითხს პასუხისმგებლობით. ოჯახს თავიდანვე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო დატვირთვა ჰქონდა ჩემთვის. ჩემი აზრით, ადამიანი ორჯერ იღებს სიცოცხლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას: როცა ირჩევს მეორე ნახევარს და როდესაც ირჩევს პროფესიას. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერასდროს ვიგრძნობდი თავს ბედნიერად, თუ ამ ორ საკითხში არ ვიქნებოდი რეალიზებული. როცა თაკო გავიცანი, ყველაფერი მარტივად მოხდა და მარტივად დალაგდა, მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან „დაგრუზული" ვიყავი ამ ჩემი ფიქრებით.

დაახლოებით ოთხი თვე ვიყავით შეყვარებულები, ჯვრისწერა რომ გადავწყვიტეთ, მაგრამ, ჩვენს ამ გადაწყვეტილებას დაემთხვა აღდგომის მარხვა და ვთქვით: კვირა დღეს აღდგომაა და მარხვა მთავრდება; ორშაბათს – მიცვალებულების დღეა და სამშაბათს ჯვარი დავიწეროთო. ის საერთოდ არ გაგვითვალისწინებია, რომ ბრწყინვალე შვიდეული უწევდა და მაგ პერიოდშიც არ წერენ ჯვარს, მაგრამ, რადგან ვთქვით, მერე უკან აღარ დავიხიეთ. პატრიარქს ვთხოვეთ კურთხევა და, მისი კურთხევით, მართლაც ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში, სამშაბათ დღეს დავიწერეთ ჯვარი.

**– სანამ ჯვრისწერის დეტალებზე ვისაუბრებთ, ლოგიკურად დავინტერესდებით:**



**სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– ერთმანეთი ჩვენი საერთო მეგობრის სახლში გავიცანით.

**– შემთხვევით თუ დაგეგმილად?**

– აბსოლუტურად შემთხვევით, გარიგება და ეგეთები არ ყოფილა ***(იცინის).*** მივედი სტუმრად. დაახლოებით 15 ადამიანი ვიყავით, ერთ-ერთი თაკო იყო და დავადგი თვალი. მაშინვე ძალიან მომეწონა და, მომინდა, მეცადა მასთან უფრო ახლო ურთიერთობა.

**– თაკოს მხრიდან როგორი იმპულსები წამოვიდა?**

– იმ საღამოს დიდი არაფერი, მაგრამ, უკვე მერე, როდესაც მე გადავდგი პირველი



ნაბიჯი, ისიც წამოვიდა ურთიერთობაზე.

**– ზოგისთვის ოთხი თვე ძალიან ცოტა**



**ხანია ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მისაღებად, ზოგისთვის კი – სრულიად საკმარისი.**

– მაგას რომ ამბობდნენ ხოლმე, ძალიან ვბრაზდებოდი, იმდენად ახლობლები გავხდით ამ ოთხ თვეში მე და თაკო ერთმანეთისთვის. აბსოლუტურად ერთნაირი შეგრძნებები გვქონდა ორივეს, ძალიან ვიტანჯებოდით, სულ ერთად გვინდოდა ყოფნა. ბოლომდე ვიცოდი – ერთადერთი ბედნიერების გზა ის იყო, რომ ერთად გვეცხოვრა და, თან, რაც შეიძლება მალე.

**– ჯვარი სად დაიწერეთ?**

– ჯერ იმას გიამბობთ, რომ ჯვრისწერამდე ორი კვირით ადრე თაკო იტალიაში გაემგზავრა ერთი კვირით – ჩვენება ჰქონდა. ამიტომ, ჯვრისწერისთვის თაკოს კაბა-შმაბა-ბეჭდებისთვის მე დავრბოდი გიჟივით, თაკო კი იტალიიდან მხელმძღვანელობდა.

ჯვარი დავიწერეთ საგურამოში, ილია მართლის ეკლესიაში, 2014 წლის 22 აპრილს. ძალიან

**სულ სამი დღით გავეთავისუფლე, – ცოლი მომყავს და რა ვქნა-მეთქი**

წვიმდა, თუმცა, განწყობა ამის გამო არ შეგვცვლია. თაკოს ამშვიდებდნენ – ჯვრისწერაზე წვიმა რომ დაემთხვა, კარგია, მთელი ცხოვრება ეყვარები ქმარსო. თაკო ბრაზობდა ამაზე – წვიმა რომ არ მოსულიყო, გეგონება, ისე არ ვიცი, რომ ვეყვარებიო. ყველაფერმა ლამაზად ჩაიარა. ყველა მეგობარი, ვინც კი გაიზიარა ჩვენი სიხარული, ამ წვიმაში ჭრელ-ჭრელი ქოლგებით მოგროვდნენ ეკლესიის ეზოში. ჯვრისწერის შემდეგ კახეთში წავედით, ყვარლის ტბაზე, ერთ-ერთ სასტუმრო კომპლექსში. ორი დღე კახეთში გავატარეთ, სულ სამი დღით გავეთავისუფლე – ცოლი მომყავს და რა ვქნა-მეთქი ***(იცინის).*** რომ ჩამოვედით დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გავაკეთეთ სუფრა. თუმცა, მე და თაკოს მაინცდამაინც არ გვინდოდა – „ქართული" რაღაცეები ძალიან მაღიზიანებს – კარგი მოხდება თუ ცუდი, ყველაფერზე რომ უნდა გაილეშოს ვილაცა. არ გვინდოდა ყველა სადღეგრძელოზე ფეხზე წამოდგომები, „თქვენ გაგიმარჯოთ, ახლა თქვენ გარშემო უნდა ვიტრიალოთ" – და ეგეთი რაღაცეები. ძალიან მიყვარს, ქართულ სუფრაზე ვგიჟდები, მაგრამ... ბევრი რომ არ ვილაპარაკო, საბოლოო ჯამში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საათით ვიყავი ჩემს ქორწილში – არ გამოდიოდა სხვანაირად, პრემიერა მქონდა ორ დღეში. ხშირად ითხოვს ჩემი პროფესია ასეთ კომპრომისებზე წასვლას. თაკო საოცარი ადამიანია, ჩემი სულიერი მეგობარია და, საუბარიც არ ყოფილა იმაზე – როგორ შეგიძლია, ახლა ადგე და წახვიდეო. ჩვენ აბსოლუტურად ერთნაირად ვაზროვნებთ, მისი გადაწყვეტილება ყოველთვის ჩემი გადაწყვეტილებაცაა და პირიქით.



ამ ტრადიციული სუფრის შემდეგ თაკო და ჩვენი მეგობრები კარაოკე ბარში წავიდნენ. მე კი მათ გვიან შევუერთდი და კარგადაც გავერთეთ.

**– შეყვარებულობა ერთი, ცალკე ეტაპია წყვილის ცხოვრებაში. როგორ გაგრძელდა თქვენი თანაცხოვრება უკვე ქორწინების შემდეგ?**



– ჩემი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ აბსოლუტურად გულწრფელი ურთიერთობა უნდა მქონოდა ადამიანთან, რომელსაც ჩემი ცოლი დაერქმეოდა. ძალიან ძნელია ეს, დამეთანხმებით. თაკომაც, უპირველესად, თავისი გულწრფელობით მომხიბლა გაცნობის დღი-

# რატომ აირჩია პროფესიად პილოტობა ნადია ბენკლიანმა და რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუწია მას

*ქალები ავიაციაში საუკუნეზე მეტია, მოღვაწეობენ. 1906 წელს ამერიკელი ლილიან ტოდი პირველი ქალი გახდა, რომელმაც დააპროექტა და ააგო თვითმფრინავი.*

*პირველი ქალი, რომელმაც თვითმფრინავი მართა ტერეზა პელტიერი გახლდათ. ეს 1908 წელს მოხდა. მას მფრინავის ლიცენზია არ ჰქონია.*

*პირველი ქალი, რომელმაც ლიცენზია აიღო, ფრანგი რაიმონდ დე ლაროშე იყო (1910). მას მოყვნენ: მელი ბისი (პირველი ლიცენზირებული პილოტი ქალი გერმანიაში) და ჰარიეტ ქუიმბი (პირველი ლიცენზირებული მფრინავი ქალი ამერიკის შეერთებულ შტატებში).*

*როდესაც ავიატორ ქალებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, არ გამოვყოთ ამელია ერჰარტი (1923). ამელია იყო პირველი ქალი, რომელმაც ატლანტის ოკეანე გადაკვეთა თვითმფრინავით.*

*მშვენიერი სქესის წარმატება ავიაციაში საბოლოოდ ვალენტინა ტერეშკოვამ დაადასტურა, როდესაც 1963 წელს კოსმოსში გაფრინდა. ტერეშკოვამ, ხომალდ „ვოსტოკ-6-ით“ ვალერი ბიკოვსკისთან ჯგუფური ფრენისას, 48-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.*

***საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში აქამდე ქალი პილოტი არავინ გვყოლია, თუმცა დღეისათვის ამ პროფესიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, 22 წლის გოგონა, ნადეჟდა ბენკლიანია, დღეს ის გვესაუბრება თავისი მომავალი პროფესიის შესახებ.***

**– რატომ გადაწყვიტე, რომ პილოტი გამხდარიყავი, რატომ აირჩიე ეს პროფესია?**

– საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანმა ის პროფესია უნდა აირჩიოს, რომელიც მას შემდგომ სიამოვნებას მიანიჭებს. რაც შეეხება პროფესიის არჩევას, სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მიფიქრია, რადგან ყველაფერი წინასწარ მქონდა გადაწყვეტილი. მიუხედავად იმისა, რომ მამაც ამ სფეროში მოღვაწეობდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა.

**– პილოტობა ხომ ძალიან სახიფათო პროფესიაა და გოგოსთვის ცოტა უცნაურიც. ოჯახი როგორ შეხვდა შენს გადაწყვეტილებას?**

– რასაკვირველია, არც ერთ მშობელს არ ენდომება თავისი შვილი სახიფათო პროფესიის მიმდევარი იყოს. ამიტომ, მათ ეს აზრი არ მოსწონებიათ. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ჩემს გადარწმუნებას, ფაკულტეტიდან გადაყვანაც კი სცადეს. თუმცა, როგორც ხედავთ, ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა. სურვილი რეალობად მექცა.



**თავიდან ბოლომდე უნდა იყო ჯანმრთელი, ყველა ორგანო წესრიგში გქონდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაძლევენ ფრენის უფლებას**

**– ექსტრემის მოყვარული ხარ?**

ალბათ, ვარ ექსტრემის მოყვარული, როცა ასეთ გადაწყვეტილებებს ვიღებ. დიდი სიამოვნებით გადმოვხტებოდი პარაშუტით და რა თქმა უნდა, ასევე, მომწონს ექსტრემის შემცველი სხვადასხვა ატრაქციონი, რომელზეც დროდადრო ვცდი ხოლმე საკუთარ თავს, თუმცა, მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერს უნდა გააჩნდეს ზომიერების ფარგლები.

**– როგორც უკვე აღნიშნე, მამაშენიც ამ სფეროში მოღვაწეობს. ოჯახში კიდევ ვინმე ხომ არ არის ამ პროფესიით დაკავებული?**

– კი, ჩემი ნათესავებიც ამ სფეროში ანუ ავიაციაში იყვნენ, მაგრამ შემდგომ თავი დაანებეს.

**– გაქვს თუ არა რაიმე შეზღუდვები და თუ გიწევს გარკვეული რეჟიმის დაცვა?**

– სწავლის პროცესში არანაირი შეზღუდვები არ მქონია, თავს ვგრძნობდი ჩვეულებრივ სტუდენტად, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ გარკვეული განსხვავება ჩვენს სტუდენტობასა და სხვებს შორის არსებობს. ჩვენი სწავლება 4-წლიანია, აქედან 2-წელიწად-ნახევარი ეთმობა თეორიულ ნაწილს, ხოლო წელიწად-ნახევარი პრაქტიკულს, რომლის დროსაც ვახორციელებთ ფრენებს საქართველოს მასშტაბით. რაც შეეხება რეჟიმს, რასაკვირველია, გვიწევს მისი დაცვა, რადგან ფრენა სწრაფ მობილიზებას მოითხოვს.

**– ფიქრობ, რომ სხვა გოგონებისგან განსხვავდები, რადგან განსხვავებული პროფესია გაქვს?**

– რომ გიპასუხო: არ ვარ-მეთქი, მოგატყუებ, რადგან, სულ მცირე, იმით მაინც განვსხვავდები სხვებისგან, რომ განსხვავებული პროფესიის წარმომადგენელი ვარ და თან – პირველი. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ვარ ჩვეულებრივი, რასაც ჩემი მეგობრები და ახლობლებიც დაადასტურებენ.

**– სამხედრო ავიაციაში მუშაობას ხომ არ აპირებთ?**

– არა, ნამდვილად არ მხიბლავს სამხედრო ავიაცია და ამიტომ, ამაზე არც მიფიქრია.

**– რა გეგმები გაქვს?**

– ახლო მომავალში ავიღებ დიპლომს და შემდგომ ვაპირებ მუშაობის დაწყებას. რა თქმა უნდა, საქართველოში, კომპანიების არცთუ ისე დიდი არჩევანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინდა, საქართველოში დარჩენა და კარიერის აქ დაწყება.

**მაკა ძირკველიშვილი**

---

დანვე, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობითაც ძალიან მომეწონა. არასდროს გვიცდია, იმაზე უკეთესად წარმოგვეჩინა თავი, ვიდრე ვიყავით. ოთხი თვის თავზე უკვე ორივემ ვიცოდით ვინ ვინ იყო. სწორედ ამიტომ, თანაცხოვრების პერიოდში არაფერი ახალი არ აღმომიჩენია თაკოში.

**– შეყვარებულობის პერიოდიდან იცოდით უკვე, შეეძლო თუ არა თაკოს ღილის დაკერება, ან, ვთქვათ სადილის მომზადება?**

– როგორ არ ვიცოდი, თაკო მივლიდა, მაჭმევდა და მასმევდა ***(იცინის).*** სანამ ჯვარს დავიწერდით, ერთი თვით ადრე, თაკოს დედამ მოიტეხა ხელი და, ამიტომ, ყველანაირი საოჯახო საქმე თაკოზე გადმოვიდა – საჭმლის მომზადება, დალაგება, სარეცხი... ყველაფერი ამის მხრებზე გადავიდა და ძალიან დაოსტატდა. ისეთ რაღაცეებს ამზადებს, ნუ იტყვით! ერთხელ, ძალიან დაღლილი ვბრუნდებოდი თეატრიდან, თან, გვიანია; მოვდივარ და ვფიქრობ, რა ვიყიდო ისეთი, რომ უცებ მომზადდეს და წავიხემსო-მეთქი. შემოვედი სახლში და – სუნი დგას საოცარი. ავიხედე და – თაკო გიჟივით ბზრიალებს, ჩახოხბილი ჰქონდა გაკეთებული. გუფთა, ტოლმა – ყველაფერს ამზადებს, აბსოლუტურად ყველაფერს.

**– ერთმანეთის პროფესიულ თავისებურებებს როგორ ეგუებით და როგორ გაითავისეთ ეს ყველაფერი?**

– ძალიან ძნელია, რადგან, სულ ერთად გვინდა ყოფნა, მაგრამ, რაღაცნაირად, ოქროს შუალედი გვაქვს დაჭერილი – ერთად ყოფნასაც ვასწრებთ და საქმესაც ვაკეთებთ.

**– მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკასთან ურთიერთობას მიჩვეული ხართ თქვენი პროფესიის გამო, ასე მგონია, არ გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.**

– ცოტა-ცოტა კიდევ მიმაჩვიეს ჟურნალისტებმა, თორემ, ჩემს პირადულზე როცა ვლაპარაკობ, ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, ეს მაგის ბრალია. ისე, ყველაფერს ვამბობ, უბრალოდ, ცოტა ვწვალობ, რა ***(იცინის).***

**– სიურპრიზებს უწყობთ ხოლმე ერთმანეთს? თქვენი ტიპაჟიდან გამომდინარე ვხვდები, რომ სერენადებს ნამდვილად არ უმღერებდით...**

– არა, სერენადები არასოდეს მიმღერია, მაგრამ, მაინც მიმაჩნია, რომ რომანტიკული ადამიანი ვარ და ამას თაკოც აღნიშნავს. ტივიდან სერენადა ვუმღერო ან ფანჯრის წინ გული დავუნთო – ჩემთვის არ არის რომანტიკა, მაგის გაკეთება აბსოლუტურად ყველას შეუძლია. ურთიერთობის დროს რომ პატარა, წვრილმანი დეტალით ასიამოვნო – ეს არ შეუძლია ყველას. ჩვენი რომანტიკა ამაზეა დაფუძნებული.

**– გაბრაზებული გიორგი როგორია?**

– ძალიან იშვიათად ვბრაზდები. ვცდილობ, რომ თავშეკავებული და ზომიერი ვიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის ხოლმე მომენტები, როცა წყობიდან გამოვდივარ. აი, მაგალითად, თაკო ყველგან მაგვიანებს, იმიტომ რომ, დიდხანს ემზადება.

**– ყველა ქმარს ერთნაირი ტექსტი როგორ გაქვთ...**

– ჰო?! ***(იცინის).*** მაგაზე ძალიან ვბრაზდები. შეიძლება, ამის გამო ყველგან ვაგვიანებდეთ?!

**– ამ დროს რას აკეთებ ხოლმე?**

– ვწუწუნებ: „რა არის... დაგტოვებ, იცოდე“... – მეტი არაფერი.

**– დიდი ხნის წინ რომ ოცნებობდი და ბევრს ფიქრობდი, ასეთი ოჯახი გქონდა წარმოდგენილი შენს ფიქრებში?**

– დიახ, ზუსტად ასეთი. რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ზუსტი არჩევანი გავაკეთე.

**ეკა სალაღაია**

# რა სასწაულის თვითმხილველი გახდა ვასილ პირველი კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორის პანაშვიდზე სვეტიცხოველში და ვინ იყვნენ ღმერთისთვის შეწირული, „უცნაური ადამიანები“

**„სამშობლოსა და მისი სიწმიდეების დამცველი პირნათლად ასრულებს ქრისტეს მცნებებს... სწორედ ასეთი სიყვარულით ანთებულმა მამულიშვილებმა მოგვიყვანეს აქამომდე. სული გაგვითბეს, ნამუსი შეგვინახეს და დაგვაფიქრეს: რანი ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივემართებით. სათუთად შემოგვინახეს და გადმოგვცეს იმ დიდი პასუხისმგებლობის ჯვარი, რომელიც ქრისტიანებმა ღირსეულად უნდა ვატაროთ ქვეყნისა და უფლის წინაშე“, – ასე იწყება რეჟისორ ხათუნა კეთილაძის ფილმი „გადარჩენის საიდუმლო“, რომელიც ახლახან მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე „წმიდა ანდრიას ჯვრით“ დაჯილდოვდა და რომელიც მნახველს ემოციების გარეშე არ ტოვებს.**

**ხათუნა კეთილაძე**: თავიდან ერთი ფილმის გადაღება იგეგმებოდა, მაგრამ ისეთი მასალები მოვიკვლიეთ და გავეცანით, ვთქვით: მოდი, ეს იყოს დასაწყისი. რაც მთავარია, ყველაფერი მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის, მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევით დაიწყო. როდესაც სვანეთის ეპარქიის ცხოვრებას მიმოვიხილავდით, სადაც დიდი შრომის შედეგად აღდგა წირვა-ლოცვა, ადამიანები სასულიერო პირების მიმართ ნდობით განიმსჭვალნენ. დაუთმეს მათ ყველაზე დიდი განძი, რომელსაც თაობების განმავლობაში ინახავდნენ. ამ ყველაფრის ფონზე გამოიკვეთა უაღრესად საინტერესო პიროვნება – ეგნატე გაბლიანი, რომლის ისტორიამაც გამაოგნა. ამ ადამიანმა ბევრი რამ გაუკეთა სვანეთს, არაერთ სვან სასულიერო პირს შეუნარჩუნა სიცოცხლე, თან, ისე მოხერხებულად, ისეთი ფორმით, რომ ეს მათთვისაც მისაღები ყოფილიყო. ჩუმად აღრიცხა განძი, ბოლშევიკების დაუნდობელი რეჟიმის პირობებშიც სიცოცხლის ფასად მალავდა სვანეთში შეფარებულ საგანძურს. მოახერხა, იმ დროს ეკლესიაში გაეხსნა მუზეუმი, რაც, საბოლოო ჯამში, არ აპატიეს და 1937 წელს ბოლშევიკურმა მთავრობამ დახვრიტა.


**ხათუნა კეთილაძე: „იმ სახლში, რომელიც მან სვანეთში საკუთარი ხელით ააშენა, მოგვიანებით დიდი განძი იპოვა. მის სახლში ბევრი საიდუმლოა დამარხული. არავინ იცის, რა ხდება, ვერავინ ბედავს ხელის მოკიდებას“**

**ციური გაბლიანი** ***(ეგნატე გაბლიანის შთამომავალი):*** დიდი ხნის განმავლობაში ეს თემა ჩვენს ოჯახში ტაბუდადებული იყო. უფროსები გვიკრძალავდნენ მასზე საუბარს. ეგნატე გაბლიანი მუდმივად მარხულობდა, იცავდა წესებს. მარხვის დროს ლოგინშიც არ წვებოდა, სკამზე ათენებდა ღამეს. დიდ რწმენას გვინერგავდა თავისი საქციელით.

**ხათუნა კეთილაძე**: იმ დროს არაბუნებრივად ჩანდა ის ადამიანი ვინც, ეკლესიურად ცხოვრობდა, მარხვას ინახავდა. ამიტომ მათ „უცნაურ ადამიანებს“ ეძახდნენ. ამ „უცნაურმა ადამიანებმა“ ძალიან ბევრი რამ გააკეთეს სვანეთისთვის და, ზოგადად, ქვეყნისთვის. ერთ-ერთი ასეთი იყო ვასილ პირველი – ქრისტესთვის თავდადებული, სვანეთზე შეყვარებული პიროვნება. ის ასკეტურად ცხოვრობდა, მარხულობდა, ლოცულობდა. მან რესტავრაცია გაუკეთა იფარში მდებარე წმიდა გიორგის ტაძარს, ასევე კალაში წმიდა კვირიკეს და წმიდა ივლიტას ტაძარს. სვანეთში მის აშენებულ სახლში ბევრი საიდუმლოა დამარხული. არავინ იცის, რა ხდება, ვერავინ ბედავს ხელის მოკიდებას. იდუმალებით მოცული სახლია. მცველი იყო ეს ადამიანი, ეკლესიისა და თავისი კუთხის. ის არაერთხელ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, დახვრეტას. გადასახლებაშიც საშინელ პირობებში ცხოვრობდა, მასზე ყველანაირი ექსპერიმენტი ჩაატარეს, მაგრამ ვერ გატეხეს.

**ნაზიბროლა პირველი** ***(ვასილ პირველის ქალიშვილი):*** მამამ ყველაფერი შესწირა ეროვნულ მოძრაობას, მათ შორის ოჯახიც და რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სიცოცხლე. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ღმერთს იყო მინდობილი. ის 1918 წლის 26 მაისს ინტელიგენტების ოჯახში დაიბადა. პაპაჩემი, კონსტანტინე პირველი იყო ცნობილი მახვში. ბებია – ნატა ავალიანი, იმ ოჯახიდან იყო, რომელმაც ოდიშის ოთხთავი შემოინახა. პაპას უფროსი ძმა – გიორგი-ბუბა პირველი კი, იმპერატორის ნათლული გახლდათ. ქაშუეთის ეკლესია რომ გარემონტდა, თბილისში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ოჯახთან ერთად. მან ორი ადამიანი მონათლა, ერთი იყო ბუბა-გიორგი პირველი. იმპერატორმა თავის ნათლულს უბოძა მთელი კავკასიის ეგერობა. არტურ ლაისტმა კი ბუბა-გიორგის აჩუქა თავისი დაწერილი გრამატიკის წიგნი, რომელსაც ქართულად ეწერა: „შენი არტურ ლაისტი“. მამას პირველი ცოლი ქურდიანების ქალი იყო, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი – თენგიზ პირველი, ჩემი ძმა. მან 21 წლის ასაკში ციხეში ჩამოიხრჩო თავი. ფაქტობრივად, ფილმ „მონანიების“ სიუჟეტი ჩვენს ოჯახზეა. მამა იყო 1944 წლის აჯანყების მეთაური, რომელსაც სათავეში გრიგოლ რობაქიძე ედგა. მაგრამ, ეს აჯანყება გაიყიდა ქართველის მიერ და მამა იძულებული გახდა, ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყო. მოგვიანებით, მამა დაბრუნდა თბილისში და 4 წლის განმავლობაში იმალებოდა ერთი სახლის სახურავზე. ამის მერე მან გადაწყვიტა ქობულეთში გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც დედაჩემიც გაიცნო და შექმნეს ოჯახი. ჩემი ძმაც ჩამოიყვანა. დედა მიყვებოდა: მე იმ დროს 4 თვის ვყოფილვარ. მამა სახლში მოსულა შესვენებაზე. როგორც კი პირველი ლუკმა მიიტანა პირთან, თურმე, ისე ვიკივლე, შეშინებულმა მამამ პირჯვარი გადაიწერა და თქვა: რაღაც უბედურება გვჭირსო. თქვა და შემოვარდა „ენკავედე“, მამას ხელები გადაუგრიხეს და წაიყვანეს. არავინ იცოდა, რა მოხდა, რის გამო წაიყვანეს. მიწამ ჩაყლაპა – ვერავინ გაიგო, რა ბედი ეწია. ღამის 11 საათზე მოვიდა უშიშროების ოპერრწმუნებული, გიორგი ჯაშიაშვილი. დედას უთხრა: ნინა, შენი ქმარი პოლიტიკურზე დაიჭირეს, არ არის გასაკვირი, დახვრიტონ. სასწრაფოდ გადამალე ისეთი ნივთები, რაც შენთვის ძვირფასია. წადი ფოსტაში, გააგზავნე ტელეგრამა ვოროშილოვთან. შემდეგ, ღამე, 1 საათზე ეტაპი გამოივლის ბათუმიდან, ქობულეთში დახვდი და იქნებ რამე ინფორმაცია მიიღო ვასოზეო. მეორე დღეს მოვარდნენ სახლში, ყველაფერი წაიღეს, რაც გვქონდა და რის გატანაც შეძლეს იმ ერთ საათში. გავიდა წლები, არაფერი ვიცოდით მამაზე. ერთადერთი, ის გავიგეთ, რომ ცოცხალია. როგორც შემდეგ მის დღიურებში ამოვიკითხეთ, მამა, თურმე, თბილისში დასახვრეტ კამერაში შეიყვანეს და დააბეს. თავზე წყლის წვეთები ეწვეთებოდა, ველარ გაუძლო და გული წაუვიდა. მოულოდნელად, გამოეცხადა თეთრებში ჩაცმული თეთრწვერიანი კაცი, რომელმაც უთხრა: ვასო, შენ გაახელ თვალს, სინათლე იქნება კარში და გახვალ აქედან. როდესაც თვალები გაახილა, კარში სინათლე შემოდიოდა და იქ იდგა ასეთი პიროვნება, ვალიკო სიმონიშვილი, რომელიც მამას იცნობდა. კომუნისტებს ასეთი წესი ჰქონდათ: თუ დასახვრეტ ადამიანს სიცხე ჰქონდა, იმ დღეს არ ხვრეტდნენ. ვალიკოს მამაზე უთქვამს: სიცხე აქვსო და ასე სასწაულებრივად გადარჩა იმ დღეს დახვრეტას. მეორე დღეს დედას ტელეგრამაც მივიდა ვოროშილოვამდე. მამა წაიყვანეს და სოხუმში გაასამართლეს. გადაასახლეს, თუ სად, ეს მხოლოდ 1954 წელს გავიგეთ, როდესაც მამასგან პირველი წერილი მოვიდა. გვწერდა, რომ იმყოფებოდა ვორკუტაში, გადასახლებაში, სადაც საშინელ პირობებში ცხოვრობდა. ურანზე ამუშავებდნენ დახვრეტას გადარჩენილ ხალხს. მაგრამ, მამა ვერაფრით გატეხეს. ის ერთადერთი ქართველი იყო, რომელიც ლენ-


ვასილ პირველი

(64-ე გვერდიდან)

მთავარეპისკოპოსი, მოჰკიდებდენ მეფეს ხელს ხელში, ერთი მარჯვნიდან, მეორე მარცხნიდან, „წესისამებრ მღვდელთმოძღვართასა“, მიიყვანდნენ შუა ეკლესიის საწარდგომელო ადგილზე და სამგზის ათაყვანებდნენ წმიდა საკურთხეველს. მერე წარადგენდნენ საკურთხევლის კართან, მოიყრიდნენ მუხლს და სამგზის თაყვანს სცემდნენ მეფეს.

და რომ შეიყვანდნენ წმიდა ტრაპეზთან, თაყვანს სცემდა მეფე და მუხლს მოიყრიდა კათალიკოსის წინაშე.

პატრიარქი ჯვარს დასწერდა და იტყოდა გალობით, ხმამაღლად, ყველას მოსასმენად:

– სალვთო მადლი, რომელი ყოვლადვე უძლურებათა ჩვენთა ჰკურნებს და ნაკლულებასა ჩვენსა აღავსებს და განაჩინებს ღმრთისმოშიშსა (სახელი მეფისა) ერსა და სამეფოსა ამას ზედა მეფეთ-მეფედ და გარე შეარტყამს საღმრთოსა ძალსა მისსა. ვილოცოთ ყოველთა, რათა დაიმკვიდროს მის თანა მადლმან ყოვლად წმიდისა სულისამან.

რა დაასრულებდა პატრიარქი, ყველა ერთად მაღალი ხმით იტყოდა:

– კირილეისონ! კირილეისონ! კირილეისონ!

ასე გაიმეორებდნენ კათალიკოსი და ეკლესია სამჯერ „საღმრთო მადლი, რომელი...“ და „კირილეისონს“ რომ დაასრულებდნენ, პატრიარქი სამჯერ დასწერდა ჯვარს და ასევე,

# როგორ აკურთხებდნენ საქართველოში მეფეს

მღვდელმთავრები.

კათალიკოს-პატრიარქი ლოცვას წაიკითხავდა ყველას მოსასმენად. ლოცვის მერე დასწერდა ჯვარს და წამოაყენებდნენ მეფეს.

პატრიარქი აიღებდა საკურთხევლიდან გვირგვინს, დაადგამდა თავზე მეფეს და იტყოდა ავაჯი ხმით (გალობით):

– დაადგ თავსა მისსა გვირგვინი ქვისა მისგან პატიოსნისა! ცხორება გთხოვა შენ, და მიეც მას განგრძობა დღეთა უკუნისი უკუნისამდე!

მერმე აიღებდა პორფირს, ჯვარს დასწერდა და ჩააცვამდა. ამის შემდეგ აიღებდა სკიპტრას, ჯვარს დასწერდა და მისცემდა მარჯვენა ხელში.

ტრაპეზის მარჯვნივ ორხაოს (გრძელ ნოხს) დაუფენდნენ და ზედ დააყენებდნენ.

მგალობლები იგალობებდნენ:

– მრავალჟამეულ ჰყვენ, ღმერთო, მეფეთ-მეფე ჩვენი (სახელი), მრავალჟამეულ ჰყვენ!

მეფე ასე იდგა წირვის დასრულებამდე.

როცა ეზიარებოდნენ მღვდელმთავრები, მეფესაც აზიარებდნენ მღვდლებზე წინ.

რომ ჩამოვიდოდნენ საკურთხევლის კარიდან, ამირსპასალარი ხმალს შემოარტყამდა მეფეს.

შემდეგ გაემართებოდნენ იგივენაირად, მარჯვენა ხელი მცხეთის კათალიკოსს ეკავა, მარცხენა – აფხაზეთის კათალიკოსს. ასე შეიყვანდნენ სასახლეში.

როცა მიუახლოვდებოდნენ სამეფო ტახტს, ქართლის კათალიკოსი, აფხაზეთის კათალიკოსი და ჭყონდიდელი თან მიჰყვებოდნენ, ტახტზე დასვამდნენ მეფეს. სხვებიც შევიდოდნენ სამეფო დარბაზში.

ჯვრისმტვირთველი ჯვრით ხელში მეფის მარჯვნივ დადგებოდა ტახტის წინ, ჯარისა და ხალხის თაყვანისცემამდე და ძღვენთა მიცემამდე.

პირველად დედოფალი სცემდა თაყვანს. მერე კათალიკოსები, მერე ჭყონდიდელი, მერე ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, მერე დარბაზის სხვა წევრები, მერე ჯარის სარდლები, შემდეგ საპატიო მოქალაქეები...

რომ დასრულდებოდა თაყვანისცემა და ძღვნობა, ჯვრისმტვირთველი სამეფო შესამოსელს ახდიდა მეფეს.

სამი დღე მეფე ტახტზე იჯდა გვირგვინით და პორფირით. სამი დღე გრძელდებოდა თაყვანისცემა და ზეიმი სრულიად საქართველოში.

მხოლოდ კათალოკოსს ჰქონდა უფლება მეფედ კურთხევის რიტუალის შესრულებისა.

**გიორგი მახოზეშვილი**

---

ინგრადის პოლიტპატიმართა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. უკეთებდნენ გასაგიჟებელ წამლებს, აბებს აძლევდნენ, მაგრამ მამას მუდმივად მფარველობდა ღმერთი. გამოჩნდა ექიმი, ტანია კოვალოვა, რომელსაც მამა მოეწონა და იმ წამლების მაგივრად „ნოვოკაინს“ უკეთებდა. ბოლოს ამ ქალმა დაწერა დასკვნა: გაგიჟდა, არაფერი ეშველებაო. თუმცა, საიდუმლოდ დედას გამოუგზავნა წერილი: თქვენი მეუღლე კარგად არის, გამოჯანმრთელდა, მაგრამ ამ მისამართზე აღარ გამოგზავნოთ წერილიო. 1956 წლის გაზაფხულზე მამა მახინჯაურის ფსიქიატრიულში გადმოაგზავნეს. იმ დროს მეექვსე წელში ვიყავი. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის შეგრძნება, ემოცია, რაც მამასთან შეხვედრისას დამეუფლა. წავედით მამას სანახავად ფსიქიატრიულში. როგორც კი შევედით შენობაში, კიბის თავზე, გისოსებს მოაწყდნენ ავადმყოფები. შოკში ჩავვარდი, ტირილი-კივილი ავტეხე. ამ დროს მამა გვერდზე ოთხიდან გამოვიდა. შვილოო, – დამიძახა, ამიყვანა ხელში, ჩამიხუტა და მითხრა: კარგად დაიმახსოვრე, უნდოდათ, მამაშენი ასეთი გაეხადათ, მაგრამ ვერ შეძლესო. ამის მერე მამა სახლში მალე დაბრუნდა. იმ დროს ჩემი ძმა გზას აცდა, ციხეში მოხვდა, სადაც თავი მოიკლა. რა თქმა უნდა, ამან მამაზე ძალიან იმოქმედა. მან გადაწყვიტა, მთელი დარჩენილი ცხოვრება სვანეთისთვის, ღმერთისთვის დაეთმო. მამა მორწმუნე, მოზიარე ადამიანი იყო. მუდმივად დადიოდა სვეტიცხოველში. მარხვაში ააგო სვანეთში საოცარი სასახლე – ფიქლისგან დამზადებული უზარმაზარი კედლებით, კირქვით ნაშენები. ასკეტურად ცხოვრობდა განმარტოებით, ოჯახზეც უარი თქვა. სალოცავი ოთახი მოიწყო, სადაც არსაიდან შუქი არ შედიოდა, გარდა პატარა ჭუჭრუტანისა. მამას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კათოლიკოს ეფრემ მეორესთან. გარდაცვალებამდე პატრიარქმა მის ოჯახს უსახსოვრა პირადი ნივთები: პიანინო „როინიში“, ვენეციური სარკე და იტალიაში დაბეჭდილი ბიბლია. მამა თავის დღიურებში ასეთ რამეს წერდა: როდესაც ეფრემ მეორის პანაშვიდზე ვიყავით სვეტიცხოველში, მოულოდნელად ჩამოეშვა სხივი და პატრიარქი ზეცაში

## ნაზიბროლა პირველი: „მოულოდნელად გამოეცხადა თეთრებში ჩაცმული თეთრწვერიანი კაცი, რომელმაც უთხრა: ვასო, შენ გაახელ თვალს, სინათლე იქნება კარში და გახვალ აქედანო“

აიყვანა... როცა მამაჩემი გადასახლებიდან დაბრუნდა და სვანეთში სახლის რეაბილიტაცია დაიწყო, სახლის ქვეშ ცხრა ქვევრი აღმოაჩინა და თამარის სამეფო განძიც იპოვა. ჩვენ გვაქვს დიდი, სამეფო საწოლი – ჯვრებით შემკული, ჩუქურთმებით, რგოლებით, რომელიც ქანაობდა. მამამ ნაპოვნი განძი აღწერა, ეკლესიაში დამალა და ეკლესიას ნიშანი მისცა: „ვისაც ჭკუა აქვს, თავშია“. მამას აშენებული სახლი სამონასტრო კოპლექსს ჰგავს, ოღონდ კლასიკურია, თაღოვანი, რკინის ალაყაფით, ჭით. მამას ეზოში საკალმახე ჰქონდა მოწყობილი. ჭამდე გვირაბი გათხარა, სადაც საჭრაქეები დაამაგრა. დღეს ვაპირებ, სახლის გარკვეული ნაწილი მონასტერს გადავცე...

**ხათუნა კეთილაძე**: იმ დროს, როცა საერთოდ არ ვფიქრობდი ფილმის გადაღებაზე, ერთმა სასულიერო პირმა მითხრა: შენ ასეთ და ასეთ ფილმს გადაიღებო. ეს ჩემთვის იმდენად შოკისმომგვრელი იყო, ვიკითხე: რატომ მე? ამისთვის დრო დამჭირდება. დრო გაქვსო. ისეთი ისტორიებია, თან იმდენად თავმდაბალ ადამიანებზე, რომ ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, მე უნდა ვიყო სულიერად მზად... ასეთთა შორის არის წმიდა სპირიდონ კეთილაძეც. ეს არის ადამიანი, რომელმაც რამდენიმე ეკლესია აღადგინა, ათონის მთაზე მოღვაწეობდა. მამა გიორგი (მხეიძე) და მამა იოანე (მაისურაძე) მისი სულიერი შვილები იყვნენ. დიდი სულიერი კვალი დატოვა ამ ადამიანმა – მისი ცხოვრებაც რთული და მოწამეობრივი იყო. დიდხანს ვეძებდი მის შთამომავლებს და ბოლოს გავოგნდი, როცა აღმოჩნდა, რომ ამდენი წლის განმავლობაში, თურმე, მისი სახით დიდ ბაბუას ვეძებდი. ჩვენ გარშემო ბევრი სასწაული ხდება. მახსოვს, ერთხელ მამა ვიტალის საფლავთან ვიჯექი და ვთხოვე: მამა ვიტალი, არაფერი მინდა, არაფერს გთხოვ, უბრალოდ, მსურს, ვიღაც მომეფეროს, დამამშვიდოს-მეთქი. გავიფიქრე და მომენტალურად გამოექანა ჩემკენ სასიამოვნო გარეგნობის რუსულენოვანი ქალბატონი: ჩემო ლამაზო, ჩემო ოქრო, როგორ ხარ? – მომეფერა, ჯიბეში კანფეტები ჩამიყარა, სენაკში შემიყვანა, მაჭამა. შოკირებული ვიყავი: ასე მალე შეისმინა მამა ვიტალიმ ჩემი თხოვნა. მას მერე მე ის ქალი აღარ მინახავს...

**ნათია უტიაშვილი**

**გადაცემის „შუადღე მაესტროზე" ერთ-ერთი წამყვანი, ირაკლი ხრიკაძე ტელეკომპანიაში კადრს მიღმაც აქტიურად მუშაობს. ის ვასიკო ოდიშვილის ცნობილი ხუმრობების ერთ-ერთი ავტორია. პროფესიით ეკონომისტი და მსახიობი ირაკლი ძალიან ხალისიანი და გახსნილი ადამიანია. ალბათ, ამიტომაცაა, რომ „შუადღე მაესტროშიც" განსაკუთრებულ ამპლუას ირგებს. როგორ მოხვდა ირაკლი ხრიკაძე ტელესივრცეში და სად ხვდებოდა ის მისტიკაში ღამღამობით, ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ, რომელიც კადრს მიღმა დარჩენილ ისტორიებსაც გვიმხელს.**

# როგორ გახდა „მაესტროს" წამყვანი ირაკლი ხრიკაძე ალქიმიკოსი და ვისთან ჰქონდა მას „სლუქებნი რომანი"

**ირაკლი ხრიკაძე**: ხუთი წელია, რაც „მაესტროსთან" ვარ დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად მიმყავს გადაცემა „შუადღე მაესტროზე", საკმაოდ აქტიური ვარ კადრს მიღმაც. ვასიკო ოდიშვილის ყოველდღიური აბების სცენარისტი ვარ, „აბები" ჩვენს „ლაბორატორიაში" იხარშება, ასე რომ, ალქიმიითაც ვარ დაკავებული ***(იცინის).*** „შუადღე მაესტროზე" სექტემბრიდან გავიდა ეთერში განახლებული ფორმატით. ერთად ვმუშაობთ სამი წამყვანი და კვირის დღეებში ორი თანაწამყვანიც გვემატება. იცით, რომ წამყვანთა შორის მე ყველაზე მხიარული ტიპი ვარ. შუადღე ხალისიანი უნდა იყოს, მხიარული, ლაღი და თვალისთვის ლამაზი. მანიკა ასათიანი და ანა კოშაძე რომ გყავს, მეტი სილამაზე რაღად გინდა? ***(იცინის)*** ჩემს ხალისიან ნოტს აბალანსებს სანდრო ლორთქიფანიძის რესპექტაბელობა. გადაცემის სერიოზული მხარე მას აქვს მინდობილი. ყოველკვირა ლუკა, იგივე მზია შარაშიძე გვიმზადებს გემრიელობებს ცნობილ შეფ-მზარეულებთან ერთად. მე და სანდრო ახლო მეგობრები ვართ, მაგრამ განსხვავებულები, ამით ვავსებთ კიდეც ერთმანეთს. მე მიმყავს ჩემი საყვარელი რუბრიკა „იხვის ყიყინები". ორშაბათობით სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ვასწავლი ხალხს, როგორ ვივარჯიშოთ სახლის პირობებში, როგორ მივდიოთ ცხოვრების ჯანსაღ წესს, როგორ ვიკვებოთ. პირდაპირ ეთერში დავდე პირობა, რომ დავიწყებდი ვარჯიშს, დიეტას და აგერ თვენახევარში უკვე 14 კილო დავიკელი, 107 კილოგრამიდან დავიწყე კლება. იოლი არ იყო ეს საქმე ***(იცინის).***



**ბიძინადან დაწყებული, პატარ-პატარა ბიძინებით დამთავრებული, ყველა კარგი საკბილოა ჩვენთვის**

**– რა პროფესიის ხარ?**

– ოო, ეს დიდი ისტორიაა, პროფესიული არჩევანი მშობლების ხათრით გავაკეთე. ბავშვობიდან მსახიობობაზე ვოცნებობდი, სულ სცენაზე ვიდექი და ყველამ იცოდა, რომ მსახიობობა მინდოდა. სკოლა ხუთებზე მაქვს დამთავრებული. განსაკუთრებით კარგად ვსწავლობდი ტექნიკურ საგნებს. ყველა ოლიმპიადის და ტურის მონაწილე ვიყავი, ალბათ ამიტომაც, როცა დღის წესრიგში დადგა საკითხი: მარტო მსახიობობით რა უნდა გააკეთო, სხვა უფრო „სერიოზული" პროფესიაც ხომ უნდა გქონდესო, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთიების ფაკულტეტი ავირჩიე. ყველამ იცოდა, რომ მოგვიანებით თეატრალურზე უნდა ჩამებარებინა, ასეთი გარიგება მქონდა მშობლებთან. მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა გავიგე, რომ რეზო ჩხეიძეს თეატრალურ ინსტიტუტში აჰყავდა ჯგუფი. სადღა მახსოვდა ბიზნესი და ეკონომიკა? ჩუმად წავედი თეატრალურში, გავიარე კონსულტაციები, შემდეგ დავიწყე მომზადება და ყველაზე მაღალი ქულებით გავხდი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი.

**– ეკონომისტის დიპლომი აიღე?**

– დაუსწრებელზე გადავედი, ავიღე დიპლომი და ჩარჩოში ჩასმული ვაჩუქე მამაჩემს. თავთან უკიდია ჩემი დიპლომი, რომელიც პროფესიულ კარიერაში ერთი დღეც არ გამომდგომია. თუმცა, მათემატიკის ცოდნა ცხოვრებაში ძალიან გამომადგა. თეატრალურ ინსტიტუტში საოცარი წლები გავატარე. მყავდა საუკეთესო პედაგოგები – რეზო ჩხეიძე, თემურ ფალავანდიშვილი. თავით გადავეშვი ჩემს საქმეში. თუ ასე არ მოიქეცი, მსახიობს არაფერი გამოგივა. სტუდენტობის დროს იყო როლები, ფილმები, ასე გაგრძელდა სტუდენტობის შემდეგაც. ერთხანს მესხეთის თეატრში ვმუშაობდი, ახალციხეში ვიყავი. თეატრში ვცხოვრობდი, საგრიმიოროში. რთული პერიოდი იყო, მსახიობის მწირი შემოსავლით ქირის გადახდას თეატრში ცხოვრება ვამჯობინე – უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. ღამით, თეატრში მარტო დარჩენილი სცენაზე რომ შეიჭყიტები, ეს არის საოცარი მისტიკა, სხვა განზომილება. იმ წლებში აქტიურად ვთანამშრომლობდი „ფორმულა კრეატივთან". მონაწილეობას ვიღებდი მათ პირველ სერიალებში: „ჩვენი ოფისი" და „ჩიფსების თაობა", ვწერდი სკეტჩებს, ვთამაშობდი კიდეც. იმ პერიოდში ვმუშაობდი სცენარზე ორ ფილმში „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს". „ფორმულა კრეატივში" გავატარე ძალიან ნაყოფიერი წლები. იქ შევიძინე ჩემი ახალი პროფესია, რაც დღეს ძალიან მიყვარს. როდესაც „მაესტრო" იწყებდა ახალ ეტაპს დარბევების, აფეთქებების შემდეგ, ამ ტელევიზიაში მუშაობის დაწყება რისკიც იყო. თუმცა, მე არასდროს მეშინოდა რისკების და ექსპერიმენტების. მახსოვს, როცა თავიდან შევხვდი მამუკა ღლონტს, მან მითხრა: არ ვიცი, რა გითხრა, საქმე ასეა – ან გაწყობს აქ, ან არ გაწყობს; კაცმა არ იცის, როდის დაგვიხურებით, როდის აგვაფეთქებენ, როდის იქნება ხელფასიო. მე მაინც დავთანხმდი და ჩვენ ყველამ ერთად დავიწყეთ წინსვლა „დანაღმულ ველზე" ***(იცინის).*** ეს იყო ჩემთვის გამოწვევა, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ პროექტი „ვასიკო ოდიშვილის აბები" – მსგავსი ქართულ რეალობაში არ არსებობდა.

**– რა ხდება ვასიკო ოდიშვილის ყოველდღიური „აბების" კადრს მიღმა?**

– ჩვენს ლაბორატორიაში სულ თუხთუხებს ქიმია და იუმორი ***(იცინის).*** მუზას ვერ დაელოდები, მუზა მოდის თუ არა, საღამოს ათი საათისთვის მაყურებელს უნდა შესთავაზო გადაცემა, რომ მან სიამოვნება მიიღოს. მას სულ არ აინტერესებს წინა საღამოს მე როგორ ხასიათზე ვიყავი, მძიმე ღამე მქონდა თუ არა. რა ვქნათ, ასეთია ჩვენი შრომა. ჩვენი გუნდი დილიდან იწყებს მუშაობას ნიუსზე. პირდაპირ პოლიტიკურ ნიუსებზე ვართ მიბმული – ვინ რა ქნა, ვინ რა თქვა, ოღონდ ეს ყველაფერი უნდა შეკაზმო კარგი იუმორით და კიდევ სხვა ინგრედიენტებით. აი, აქ შემოდის ჩვენი ალქიმია და სხვადასხვა სარკასტული სანელებელი.

**– ალბათ, წიწაკაც, თუმცა ხანდახან ცოტა მწარე გამოდის თქვენი „საკმაზი".**

– რა ვქნათ, რეიტინგები გვიჩვენებს, რომ ხალხს მოსწონს წიწაკიანი იუმორი. სერიალები „გვეჭიდავება," თუმცა რეიტინგში მოწინავე პოზიციას მაინც არ ვთმობთ. ჩვენი გუნდი შეფასებებსაც დიდი გულდასმით იზიარებს გადაცემის „ფეისბუქ-გვერდებიდან." ჩვენ ვმუშაობთ მაყურებლისთვის, რომლის დამოკიდებულება და აზრიც გადამწყვეტია. რაც არ უნდა საჭირბოროტო და ერთი შეხედვით, პრობლემური იყოს თემა, ის ისეთ ფილტრში უნდა გაატარო, რომლის შედეგადაც მიიღებ იმ ინტერპრეტაციას, რაც ჩვენს შოუს სჭირდება. ამისთვის მოქნილი ენა და გონების სისხარტეა საჭირო. მაყურებელს არ სჭირდება დაწყობილი ტექსტები, სიტყვების რახარუხი და რთული ქვეწყობილი წინადადებები. მარტივი, სხარტად ასატაცებელი უნდა იყოს ჩვენი სათქმელი. ზოგჯერ ვასიკო საკუთარ ინტერპრეტაციებს „გვთავაზობს" ეთერში, რაც გადაცემას ძალიან უხდება. ვასიკო ნიჭიერი კაცია და ეს კარგად გამოსდის.

**– ყველაზე მეტად ვისზე ხუმრობა გიყვარს? ვინ გყავს „ამოჩემებული"?**

– ყველა, ვინც ყველაზე მეტ სისულელეს ამბობს, თუმცა ჩემთვის პროფესიულად ისეთი „საყვარელი" ფიგურა პოლიტიკაში, როგორიც მიხეილ სააკაშვილი იყო, მეორე არ არსებობს. ის იყო დაუშრეტელი და ამოუწურავი საბადო ხუმრობებისთვის ***(იცინის).*** ახლებიც კარგი „საბადოები" არიან, ბიძინადან დაწყებული პატარ-პატარა ბიძინებით დამთავრებული. ყველა კარგი საკბილოა ჩვენთვის.

**– ცხოვრებაშიც ბევრი ახლობელი ხდება შენი „საკბილო"?**

– უფ, აბა როგორ?! ხშირად ვხუმრობ იმ ადამიანებზე, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს და ჩემთვის ძვირფასია. იმდენი რამ გადამიტანია ჩემი ცხოვრებიდან „აბების" სცენარში. ახლობლებთან ხუმრობებში წიწაკა ნაკლებია. ჩემს საყვარელ ადამიანებს არ აქვთ იმხელა მოვალეობები საზოგადოების წინაშე, რაც პოლიტიკოსებს, ამიტომაც მათ იოლად ვინდობ.

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

# ვისთან არ აქვს ქართველ გოთს, სანდრო მანსონს, ფარული ომი და რა შეცვალა მის ცხოვრებაში გოთიკამ

*სანდრო მანსონი გოთური სუბკულტურის მიმდევარია. განსხვავებული სტილის გამო, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაც განსხვავებულია, თუმცა თავად ამას პრობლემად არ მიიჩნევს. ფიქრობს, რომ გოთიკამ საკუთარი თავი აპოვნინა და მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა.*

**– სანდრო, როგორ გახდით გოთი?**

– ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული გოთიკური არქიტექტურითა და ხელოვნებით. ვკითხულობდი გოთიკურ ნაწარმოებებსა და წიგნებს. მწერლებიდან გამოვარჩევდი ედგარ ალან პოს, ბრეიმ სტოკერსსა და ენ რაისს. გოთიკური არქიტექტურიდან განსაკუთრებით გამოვარჩევ: სენ-პიერ დე ბოვეს ტაძარს, ამიენის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარს, საგრადა დე ფამილი და სენ-მარი დე ლუბეკის ეკლესიას. დროთა განმავლობაში, როდესაც წამოვიზარდე, ინტერნეტის საშუალებით მოვიძიე უფრო მეტი ინფორმაცია გოთიკაზე და გოთიკური სუბკულტურის შესახებ. აღმოვაჩინე, რომ ჩემი ხასიათი შეესაბამებოდა ამ მიმდინარეობას იდეოლოგიითა და აზროვნებით.

**– როგორ შეხვდა თქვენი ოჯახი და სააxლობლო წრე თქვენს გატაცებას ამ სუბკულტურით?**

– საბედნიეროდ, ჩემი ოჯახის წევრებიც ხელოვანები არიან. თავიდან მათ ეგონათ, რომ ეს უბრალოდ, გატაცება იქნებოდა. თუმცა, ისინი ყოველთვის პატივისცემით ეკიდებიან ჩემს ინტერესებს და დროთა განმავლობაში, ჩემი დახმარებით უკეთ გაეცნენ ამ სუბკულტურას. ახლა უკვე იციან, რომ ეს მხოლოდ გატაცება არ არის და ჩემი ცხოვრების ნაწილია. ჩემი მეგობრების უმეტესობაც ამ სუბკულტურის წარმომადგენელია. რა თქმა უნდა, რაღაც წინაღობებიც იყო, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია განვითარებაში. ცხოვრება მოულოდნელობითაა აღსავსე, მაგრამ მე ვერავინ შემცვლის. როგორც ჩემს საყვარელ გამონათქვამშია: „გააკეთე ის, რაც გსურს, ადამიანები მაინც მთელი ცხოვრება განგსჯიან“.

**– წლების წინ, ტრადიციული, კონსერვატიული ქართული საზოგადოებისთვის ეს სუბკულტურა იყო მიუღებელი. რა ბარიერის გადალახვა მოგიწიათ და რა შეიცვალა ამ მხრივ ქართულ რეალობაში?**

– როდესაც დავიწყე გოთიკური იმიჯის ტარება, სკოლაში შემექმნა პრობლემები, რადგან მთელს სასწავლო ცენტრში განსხვავებული ვიყავი. ხალხი ჩემს სანახავად სხვა სართულებიდან მოდიოდნენ. ზურგს უკან მჭორავდნენ, მაგრამ მე მაინც არ შევცვლილვარ და დღემდე ჩემს სტილზე ვარ. საქართველოში ნებისმიერ სუბკულტურას აკნინებენ და ცდილობენ, გარიყონ განსხვავებული ხალხი, ასე იყო ადრეც და ახლაც ასეა, მაგრამ მე იმედი მაქვს, სიტუაციის გამოსწორებას შევძლებთ და ხალხს ჩვენზე ისეთ წარმოდგენას შევუქმნით, როგორებიც სინამდვილეში ვართ.



გოთებს იზიდავთ სასაფლაო

**– რას მოიცავს ეს სუბკულტურა? რა ჩარჩოს და წესს, რა რიტუალების დაცვას გიწესებთ?**

– გოთიკა არის მიმდინარეობა, რომელიც მოიცავს ხელოვნების სხვადასხვა დარგს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ესთეტიკას. ეს სუბკულტურა ხასიათდება რომანტიზმითა და ნეორომანტიზმით. გოთიკური სუბკულტურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, რომელიც წარმოიშვა 80-იან წლებში, გოთიკური როკის სცენაზე. ის მოიცავს ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობასა და არქიტექტურას. გოთიკა არ მოიცავს არავითარ რიტუალებსა და დაჯგუფებებს.

**– საქართველოში დღეს ბევრი მსგავსი მიმდინარეობაა, როგორი ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან ამ საკმაოდ არაორდინარული გარეგნობის ადამიანებს?**

– არაორდინარული გარეგნობის ადამიანები საქართველოში არცთუ ისე ცოტაა, მაგრამ მე ყველასთან კონტაქტი არ მაქვს. არსებობენ ისეთებიც, რომლებიც მოდის გამო ირგებენ ამ სტილს და მათთვის ეს დროებითია. მე, რაღა თქმა უნდა, ვმეგობრობ გოთებთან, მაგრამ მაქვს ურთიერთობა სხვა სუბკულტურის წარმომადგენლებთანაც. ძირითადად, ივენთებსა და კონცერტებზე ვხვდებით ერთმანეთს და ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. მაგრამ, არსებობს კატეგორია, რომელთანაც არ ვმეგობრობ გარკვეული მიზეზების გამო.

**– არის თქვენს შორის ფარული ომი?**

– ამ ყველაფერს ომს ვერ დავარქმევდი, მაგრამ არის ხალხი, რომელთანაც, უბრალოდ, ურთიერთობა არ ღირს და არ მივიჩნევ საჭიროდ.

**– როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება ამ მიმდინარეობამ?**

– ჩემი საინტერესო სტილის გამო, ბევრი ადამიანი და მათ შორის ფოტოგრაფიც, ინტერესდება ჩემით. ხშირად მიწევს მათთან თანამშრომლობა. უპირველესად, ამ სუბკულტურამ საკუთარი თავი, ანუ ჩემი პიროვნება მაპოვნინა, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს ცხოვრებაში. გოთიკას ჩემთვის არაფერი წაურთმევია, თუ არ ჩავთვლით ხალხის აგრესიულ დამოკიდებულებას ჩემი განსხვავებული სტილის გამო, მაგრამ მე ამას დანაკარგად არ მივიჩნევ.

**– ამბობენ, რომ გოთებს უცნაური რიტუალები აქვთ, რას ემსახურება ეს?**

– გოთებს არ გვაქვს არავითარი რიტუალები. ეს ყველაფერი ხალხის მოგონილი და შექმნილია. გოთებს იზიდავთ სასაფლაოზე სეირნობა, რადგან იქ სიმშვიდეა. გოთებს არ უყვართ ხალხმრავლობა. ყოველთვის ცდილობენ, ნაკლებ ხალხთან ურთიერთობას.

**– რა დამოკიდებულებაში არიან სასულიერო პირები თქვენ მიმართ?**

– სასულიერო პირების უმეტესობა, რომლებიც არ არიან გარკვეული გოთიკაში, მტრულად არიან განწყობილი ჩვენ მიმართ. მაგრამ, არიან გამონაკლისებიც. მე პირადად, არანაირი შეხება არ მაქვს სასულიერო პირებთან. გოთიკა არანაირ კავშირში არ არის სარწმუნოებასთან და არ აძაგებს მას.

**თამუნა ნიჟარაძე**

## რა სიახლეები ელით სამთო-სათხილამურო კურორტის მოყვარულებს

გუდაურში 2014-2015 წლის სეზონისთვის სამზადისი დაწყებულია. მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, მედიატური გაიმართა. კურორტი დამსვენებლებს განახლებულ, გაფართოებულ და ქვებისგან გაწმენდილ სასრიალო გზებს სთავაზობს. თუმცა, სიახლე მხოლოდ ეს არაა, მთავარი სამუშაოები ხელოვნურ გათოვლიანებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. ეს პროექტი ორ ფაზას მოიცავს: პირველი ეტაპის ფარგლებში, 2014-2015 წლის სეზონის გახსნას გუდაური გათოვლიანებული, სასრიალო ტრასით შეხვდება – მთლიანადაა აღჭურვილი ეს მიდამოები უკვე თოვლის გამომფრქვევი დანადგარებით, მეორე ეტაპი გულისხმობს 2015 წლის ბოლოსთვის ხელოვნური წყლის რეზერვუარის მშენებლობასა და გათოვლიანების სისტემის დამონტაჟებას „მინდვრის ტრასაზე“. იტალიური თოვლსაფრქვევი დანადგარი წელს გუდაურში ღრუბლის მაგივრობას გასწევს.

„1 დეკემბრისთვის დასრულებული იქნება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ტრასების გასათოვლიანებლად დაგვჭირდება 12-13 დღე. სეზონი მაქსიმუმ 20 დეკემბერს გაიხსნება. დამსვენებელი ერთი აბონემენტით ისარგებლებს ორივე კურორტზე: გუდაურსა და დიდველზე“ – განაცხადა მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა, სანდრო ონოფრიშვილმა.

## გივი (ნიკოლოზ) ანდრიაძემ ფარიკაობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა



არცთუ დიდი ხნის წინ, გერმანიაში, კერძოდ კი ქალაქ ლაიფციგში, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში მედიკოსებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მედიცინის მუშაკები. საქართველო კი წარადგინა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, შპს „კარდიო-რეანიმაციული ცენტრის“ დირექტორმა, ცნობილი ქართველი პოეტის, ტიციან ტაბიძის შვილიშვილმა, გივი (ნიკოლოზ) ანდრიაძემ. შარშან მან ევროპის ჩემპიონატზე ფარიკაობაში ვეტერანებს შორის, მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა; ხოლო, წელს პირველობა არავის დაუთმო – მედიკოსებს შორის ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაიმსახურა. სულ ცოტა ხნის წინ კი ბატონი გივი ანდრიაძე უნგრეთში, ქალაქ დებრეცენში იმყოფებოდა ვეტერან მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც არაერთ მეტოქეს სძლია, საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**გივი ანდრიაძე**: საკმაოდ რთული იყო, რადგან მსოფლიო ჩემპიონატია და მასში 44 ქვეყნიდან იყვნენ მონაწილეები. წელიწადში ერთხელ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი, წრიული სისტემაა. სამი ბრძოლა მოვიგე, ორი წავაგე და გავედი ოლიმპიურ სისტემაში, საბოლოოდ კი ოთხეულში მოვხვდი.

**სტატისტიკურად, შემოდგომაზე მწვავე რესპირატორული დაავადებების რისკი საკმაოდ მაღალია. დღეს ბევრი შეშინებულია, მომრავლბული საშიში ვურუსული ინფექციების გამო და ვერ ხვდებიან, როგორ განასხვავონ მისი სიმპტომები ჩვეულებრივი გაციებისა და გრიპისგან. თუ სპეციალისტებს მოვუსმენთ, არანაკლებ საშიშია ჩვეულებრივი გრიპისა და სურდოს გართულებები. შეიძლება, სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს, თუ ამ გართულებას ადამიანის ორგანიზმში სხვა დაავადებების გამწვავებაც მოჰყვა. ასე რომ, ახლა ის სეზონია, როცა უმრავლესობა, ამინდის ცვალებადობის გამო, ხშირად ცივდება. ამ დროს კი სეზონური ვირუსებისა და უბრალო გაციების გარჩევა, ძალიან რთულია. როგორც დაავადებათა კონტროლის ცენტრის, ბიოუსაფრთხოებისა და განსაკუთრებით საშიში პათოგენების სამმართველოს უფროსი, მედიცინის დოქტორი, ბატონი შოთა ცანავა ამბობს, ამ დროს, ხალხური მედიცინით სახლის პირობებში მკურნალობა, საკმაოდ საშიშია. თუმცა, დაზღვევის მიზნით, შეგვიძლია წინაპართა ნაცადი მეთოდები გამოვიყენოთ და ამით დავიცვათ თავი.**

# რატომ არ შეიძლება ცივ სეზონზე მკაცრი დიეტის დაცვა და რას შველის დღეში სამი ჭიქა ალკოჰოლი

**– ბატონო შოთა, ამ პერიოდში, საგრძნობლად დიდი რისკია, რომ ადამიანი მწვავე რესპირატორული დაავადებით დასნებოვნდეს. მაინც, როგორ გავარჩიოთ უბრალო გაციება და გრიპი მწვავე და საშიში რესპირატორული დაავადებისგან?**

– მართალია, ახლა შედარებით დიდია გაციებისა და სურდოს შემთხვევები. უბრალო სურდოს, გრიპისა და სხვა რესპირატორული დაავადების გარჩევა კი ძალიან რთულია, რადგან, კლინიკური გამოვლინებით, მათი უმრავლესობა ერთმანეთს ჰგავს. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გრიპი უფრო მწვავედ მიმდინარეობს, ვიდრე სხვა რესპირატორული დაავადება და მისი გამწვავება ძალიან საშიშია, თუ, რასაკვირველია, დაავადებული ადამიანი დროულად არ მიმართავს სათანადო ზომებს. გეტყვით, რომ გრიპს იწვევს გრიპის ვირუსები, რომელთა სხვადასხვა ვარიანტი არსებობს ბუნებაში. ზოგადად, ამინდის ცვალებადობა, თავისთავად აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე. მთავარია, გვახსოვდეს, რომ ამ დროს, ორგანიზმის რეაქცია, ამ სეზონურ ცვალებადობაზე, განსხვავებულია. ზოგი მეტად ცივდება, ემართება სურდო, ტემპერატურის მატება, ზოგს – ნაკლებად. ეს ინდივიდუალურია, თუმცა, ნებისმიერ სიმპტომს დღეს ვირუსს აბრალებენ. ეს არასწორია. ზეპირად დასმული დიაგნოზი და თვითმკურნალობა, დამიჯერეთ, ძალიან საშიშია თქვენი ჯანმრთელობისთვის. ექიმთან ვიზიტის დროს კი თქვენ ზუსტად გაარკვევთ, რომელი სიმპტომი, რა ეტიოლოგისაა, ანუ არის თუ არა ის ვირუსული, თუ უბრალოდ გაციებაა. თუმცა, დაკვირვებული ადამიანი, მეტ-ნაკლებად მიხვდება, რა სჭირს მის ორგანიზმს. აქვე, კიდევ ვამბობ, ექიმთან მისვლა, თქვენს კულტურად უნდა იქცეს. თუ აღინიშნება თავის ტკივილი, სახსრების და კუნთების ტკივილი, საერთო სისუსტე და ასე შემდეგ, ადამიანი ფიქრობს, რომ გრიპი აქვს. ამ დროს აუცილებელია, ექიმმა ფილტვები გასინჯოს, რომ დაავადება არ გამწვავდეს და ანთებაში არ გადაიზარდოს. ამ პერიოდში რესპირატორული დაავადებების გამომწვევები აქტიურდებიან. ზოგადად, ვირუსული ეტიოლოგიის დაავადებები მწვავე კატეგორიას მიეკუთვნება და რთულია, ის გაარჩიოთ უბრალო გაციებისგან, ექიმთან კონსულტაციის გარეშე. ასე რომ, ერთი შეხედვით იმის თქმა, რომ ადამიანი ვირუსული დაავადებითაა ინფიცირებული, შეუძლებელია. სეზონური ინფექციები ლეტალურ შედეგებს არ იწვევს, თუმცა თუ ყურადღებას არ მიაქცევთ და გართულდა, მაშინ სავსებით შესაძლებელია, თქვენს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს. ამის ბევრი შემთხვევაა დაფიქსირებული. როგორც წესი, მილიონობით ადამიანს გადააქვს გრიპი ცივ სეზონზე და არ კვდება, მაგრამ თუ გართულდა, სიკვდილიანობის რისკიც იმატებს. ამ სეზონის ყველაზე საშიში კი, ენტეროვირუსული ინფექციებია, რომელიც აზიანებს როგორც საჭმლის მომნელებელ, ასევე, სასუნთქ, გულ-სისხლძარღვთა და თითქმის ყველა სასიცოცხლო სისტემას ადამიანის ორგანიზმში.



წინაკის, ნივრისა და ლიმონის, ვირუსებს არა, მაგრამ ბაქტერიებს „ეშინიათ”

**– რა გამოვლინება ახასიათებს ამ სეზონურ ინფექციას?**

– გააჩნია, ადამიანს რომელი ორგანო აქვს სუსტი და სად არის ლოკალიზებული ეს ვირუსი. თუმცა, კიდევ ვამბობ, ნებისმიერი სიმპტომის დროს – ცხვირიდან გამონადენია ეს, ყელის ტკივილი, საერთო სისუსტე თუ სახსრების ტკივილი, უპირველესად, აუცილებლად, გაასინჯეთ ფილტვები, რათა გამორიცხოთ ფილტვების ანთებით გამოწვეული პრობლემა. ამ დროს, ბებიის მიერ ყელის ტკივილის დასაამებლად მომზადებული ცხელი, თაფლიანი ჩაი ან ჟოლოს მურაბა, ვერ გიშველით.

**– გამიგია, რომ გაციების პროფილაქტიკისთვის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საკვებში უფორ მეტად უნდა ჩავრთოთ წიწაკა, ნიორი და ლიმონი, რათა ბაქტერიები და ვირუსები „დავაფრთხოთ”. ეს სწორია?**

> **ამ სეზონზე ყველაზე საშიში ენტეროვირუსული ინფექციებია, რაც აზიანებს როგორც საჭმლის მომნელებელ სისტემას, ასევე, სასუნთქ, გულ-სისხლძარღვთა და თითქმის ყველა სასიცოცხლო სისტემას ადამიანის ორგანიზმში**

– წიწაკის, ნივრისა და ლიმონის ვირუსებს არა, მაგრამ ბაქტერიებს „ეშინიათ”. ნიორს ბაქტერიოციდული თვისება ნამდვილად ახასიათებს, ანუ კლავს ბაქტერიას. ამიტომ, თუ ბაქტერიული ხასიათისაა დაავადება – მას შველის, მაგრამ გრიპის ვირუსს ვერ ებრძვის. თუმცა, პროფილაქტიკისა და რესპირატორული ინფექციების გამომწვევების საწინააღმდეგოდ, ნამდვილად, ეფექტური და ბრწყინვალე საშუალებაა. გართულებულ ფორმაში გადაზრდილ გრიპს ის ვერ ებრძვის, დაავადების რისკს კი, ნამდვილად ამცირებს. იგივეს ვიტყვი, წიწაკით შეკმაზულ კერძებსა და ლიმონიან ჩაიზე.

**– ბატონო შოთა, ბებია-ბაბუებისგან ისიც გამიგია, რომ არაყი კარგი საშუალებაა გაციების და გრიპის დროს. თუ დღეში, ერთ ჭიქას გადავკრავთ, მაშინ ამ დაავადებებისგან დაზღვეული ვიქნებითო, ასეა?**

– ბაქტერია თუ ორგანიზმშია მოდებული, რამდენი ჭიქა არაყი უნდა დალიოთ, რომ მას მოერიოს? ***(იცინის)*** ერთი ჭიქა არაყი ან სამი პატარა ჭიქა ღვინო, ნებისმიერ სეზონზე მარგებელია ორგანიზმისთვის. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში კი – განსაკუთრებით. ცივ სეზონზე, შუა დღეზე, სადილობისას ერთი ჭიქა ალკოჰოლი ნამდვილად ეფექტურია. ზომიერად მარილიანიც უნდა ჭამოს ადამიანმა, წიწაკა-ნივრით შეკაზმული საკვებიც და ცოტა ალკოჰოლიც. ეს ვირუსული და ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისთვის ძალიან კარგია. თუ ადამიანი მკაცრ დიეტაზეა, აწვდის ორგანიზმს საჭირო მინერალებს და ვიტამინებს, რამდენი არაყიც არ უნდა დალიოს და ლიმონი ჭამოს, ამით თავს გაციების, გრიპისა და ვირუსებისგან ვერ დაიცავს. ამიტომ, მკაცრი დიეტა დაივიწყეთ.

**– ცივ სეზონზე როგორ შევარჩიოთ სწორად საკვები, რომ გაციებას, სურდოსა და გრიპს თავი ავარიდოთ, შევებრძოლოთ სეზონურ დაავადებას, ვირუსებს და გავიძლიეროთ იმუნიტეტი?**

– ნივრიანი, ხახვიანი საკვები მიირთვით. ხშირად ჭამეთ ხილი და ბოსტნეული, თერმულად სწორად დამუშავებული საკვები, დიდი რაოდენობით სითხე, მათ შორის, გაზგასული მინერალური წყალი და ჩაი. თუ მაინც იგრძენით რესპირატორული დაავადების სიმპტომები, გართულების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად დაეკითხეთ რჩევა ექიმს. ხშირად ფიქრობენ, უბრალოდ გავცივდი და რა მინდა ექიმთან, დავლევ წამალს, ჩავთბები და გამივლისო. ეს თავის უპატივცემულობა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდებაა.

**ნონა დათეშიძე**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### სასანია

„**სასნაშვილი-სიონელი**, ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ის ხევმა მძევლად მისცა გერგეთის საყდრის შვილებს“ (1439 წელი).

„**სასნაშვილი** გოგიჩას მამული ვანთაში ვახუშტი აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს. ევალებოდა ერთი ცხვარი, ერთი საფლავი, ერთი კილო მარილი, ერთი ჩარექი სანთელი, მისი მკედი“ (1550–1570 წლები).

როგორც ვარდანისძეთა (სვანთა ერისთავები), ისე დადიანთა გვარში (ვარდანისძეთა განაყოფები) იყო სახელი **სასნა**. „სულსა ვარდანეთ **სასნასასა** და მეუღლესა მისსა მარიამს შეუნდევნ ღმერთმან“ (ტბეთის სულთა მატიანე).

შემდგომ თვით **სასნადან** უწარმოებიათ გვარი **სასნაშვილი**, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი – თევდორე, მოხსენიებულია მატიანეში.

საქართველოში 108 **სასანია** ცხოვრობს.

### ზავრაშვილი

**ზავრაშვილი** ქვემო ქართლში გაჩენილი და იქიდან კახეთში გადასული გვარია. ზოგჯერ გვარი მოიხსენიება **ზავარაშვილადაც.**

**ზავარაშვილები** და **ზავრაშვილები** იყვნენ აზნაურები. იოანე ბაგრატიონი, წიგნში „შემოკლებითი აღწერა, საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა ოჯახებისა“ წერს: „აზნაური **ზავარაშვილი** მოიხსენიებიან მეფე როსტომის დროს 1655 წელს და არიან ესენი მოხსენიებულნი ტრაქტატსა შინაცა“. ეხება 1783 წლის გეორგიევსკის შეთანხმებას.

1721 წლის აღწერით, ქვემო ქართლში მებატონე-მემამულეებად ჩანან **ზავარაშვილი** იოთამი, კომლი – 5, თავი – 5, მოლაშქრე – 5. სოფლებში გილაგდაგი, ხინძირკუტი; **ზავრაშვილი** ზურაბა ცხოვრობდა გილაგდაგში.

საქართველოში 497 **ზავრაშვილი** ცხოვრობს. გურჯაანში – 364, თბილისში – 73, რუსთავში – 19. არიან სხვაგანაც.

### ღვანიძე

**ვანიძე** და **ღვანიძე** ერთი და იგივე გვარია. გადმოცემის მიხედვით, სამი ძმა **ვანიძე**, ბატონის მოკვლის გამო, სოფელ შემოქმედიდან გაქცეულან და ბაღდათის რაიონის სოფელ ოფჩაში დასახლებულან. ეშინოდათ, რომ ძებნას დაუწყებდნენ და ამიტომ, გვარის შეცვლა გადაუწყვეტიათ. სოფელ ოფჩაში, ღვინის კეთებაში დახელოვნებულებს, თავიანთი გვარისთვის წინ **ღ** ჩაუმატებიათ და ასე ქცეულად **ვანიძეები ღვანიძეებად.**

ორივე გვარის წარმომადგენლებმა იციან **ვანიძე-ღვანიძეების** ნათესაობის შესახებ და დღემდე არ კარგავენ ახლო ურთიერთობებს.

საქართველოში 196 **ვანიძე** ცხოვრობს. ოზურგეთში – 64, თბილისში – 24, ბათუმში – 18. არიან სხვაგანაც.

210 – **ღვანიძე**: ზესტაფონში – 134, თბილისში – 45, ქუთაისში – 19. არიან სხვაგანაც.

### ცხაკაია

სავარაუდოდ, გვარის ფუძეა მეტსახელი **ცხაკა, ჩხაკა**, რაც თვალღიას, ღიას, გადახუნებულ თვალს ნიშნავს; **ცხაკუა** კი მეგრულად უძალო დარტყმას, მოცაცუნებას ნიშნავს.

**ცხაკაიები** ცხოვრობენ სოჭშიც – რამდენიმე ოჯახი 1980-იან წლებში გადასულა იქ.




ასევე, **ცხაკაიები** სახლობენ სოფლებში: ქვაითი, ახალკახათი, ნაჯახავო, ლესიჭინე, მარტვილი; საცხაკაიო გვხვდება უბნად ახალკახათში.

საქართველოში 590 **ცხაკაია** ცხოვრობს: თბილისში – 189, მარტვილში – 105, ზუგდიდში – 93. არიან სხვაგანაც.

### ალიხანაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ალიხანი**. **ალი** თურქული სახელია და მთავარს ნიშნავს. **ალი** ერქვა 1797 წელს დაბადებულ შამილს. ამიტომაც, სუნიტებსა და შიიტებში ეს სახელი დიდი პატივითაა მიღებული.

**ალიხანი** მოიხსენიება 1737 წლის ქორონიკონში: „**ალიხან** და აბდულბეგ მიუხდნენ ჯარით ქალაქს. ყაზახის სულთანი თალიბეი თან ახლდა ჯარით, ციხისთავმა მონბაშმა ციხეში შეუშვა.“

ისტორიულ წყაროებში, **ალიხანაშვილები** გორელები – ქსნის ერისთავების ვაჭრები იყვნენ. გიორგი მეფემ მათი წყალობა განუახლა დავით ქსნის ერისთავს.

1721 წლის აღწერით, ზალია და ბეჟან **ალიხანაშვილები** მებატონეები იყვნენ და ცხოვრობდნენ სომხითში. მათ ჰყავდათ ყმებიც.

„თონეთელ მართლმადიდებელ **ალიხანაშვილ** ბერს 1829 წელს შეეძინა ვაჟი, რომელიც მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ.“

საქართველოში 409 **ალიხანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 128, თეთრი წყაროში – 62, მცხეთაში – 53. არიან სხვაგანაც.

### გივიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გივი**. ამავე საკუთარი სახელიდან არის ნაწარმოები გვარი **გივიაშვილი**.

ზურაბ ჭუმბურიძე წერს: „სახელი **გივის** მნიშვნელობა გაურკვეველია. აქედანაა გვარი **გივიშვილი. გივის** მოფერებითი ფორმაა გიუნა, საიდანაც წარმომდგარია გვარი **გიუნაშვილი**. გეო ბერძნულია, ქართულში მიღებულია **გიორგის** შემოკლებით და ნიშნავს „მიწას“.

დადგინდა, რომ გვარი **გივიშვილი** უწარმოებია რამდენიმე თავადაზნაურულ საგვარეულოს. ესენია: „თავადნი ამილახვარნი, მოდინარეობენ ზედგინიძეებიდან, 1465 წლიდან იწოდებიან თავად ამილახვრად შთამომავლობანი მათნი, რომელნიც განიყოფებიან სხვადასხვა სახლად... **გივისშვილებად**“; „თავადი ჩოლოყაშვილი, კახეთის თავადნი... ესენი აწ არიან განაყოფით მოსახლენი **გივისშვილები**“; „თავადი ავალიშვილი – ამათნი წინაპარნი არიან მონათესავენი ავალიანთანი, ხოლო მოსახლეობენ ესენი კახეთს... **გივისშვილები**“.

საქართველოში 364 გივიშვილი ცხოვრობს: თბილისში – 91, სიღნაღში – 36, დედოფლისწყაროში – 28. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

(70-ე გვერდიდან)

იუმორის წყალობით, ბევრი რთული სიტუაციაც განმიმუხტავს, ბევრი გამოსავალიც მიპოვია. ენა სულ წინ მისწრებს და ამის გამო, უხერხულობებშიც მოვხვედრილვარ. მაგრამ, ბოროტი ხუმრობები არ ვიცი.

**– კადრს მიღმა როგორია შენი ცხოვრება?**

– ტელევიზიაში იმდენ დროს ვატარებ, სად მაქვს კადრს მიღმა ცხოვრების დრო? ***(იცინის)*** ეკონომისტი რომ ხარ, სცენარისტი, რეჟისორი, პროდიუსერი – მეტი რაღა უნდა აკეთო? ხო, ყოფილი ბიზნესმენიც ვარ, ეს ლამის დამავიწყდა. ბორჯომპარკში საზაფხულო ბარს ვაკეთებდი ხოლმე. ბარმენიც ვიყავი და დირექტორიც, მაგრამ ვერ აღმოვჩნდი დიდი კომერსანტი. უფრო მეტად ხალხის სიყვარული დავიმსახურე, ვიდრე ფინანსური მოგება. სხვანაირად არ შემეძლო. მივხვდი, რომ მე ბიზნესში ვერ ვივარგებ ***(იცინის).*** კადრს მიღმა არის ჩემი ოჯახი – მეუღლე, შვილი, მეგობრები. თუმცა, ისინი მიღმა კი არა, ჩემი ცხოვრების მთავარი ადამიანები არიან. მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთი „მაესტროში“ გავიცანით, „სლუჟებნი რომანი“ გვქონდა. კარგია, როცა ცოლი და ქმარი პროფესიულად ერთმანეთთან ახლოს არიან. უფრო კარგად ესმით ერთმანეთის საქმე. გვყავს პატარა დაჩი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს მთელი სამყარო. მე და ჩემს მეუღლეს ერთი სული გვაქვს, როდის გავვვარდებით სახლში. ჩვენი ყველა თავისუფალი წუთი მას ეკუთვნის, არაფრისთვის აღარ გვრჩება დრო. მე ძალიან მიყვარს მოტოციკლი და მყავს კიდეც.

**–- მამუკა ღლონტმა ყველა თანამშრომელი ჩაგითრიათ?**

– ეს ჩემი სისუსტეც იყო. არ ვიკავებთ ქუჩებს დიდი „ჯიპებით,“ პრაქტიკული და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი გვირჩევნია. გატაცებად დამრჩა მათემატიკის სიყვარულიც. ინტერნეტში მუშაობის დროს, რთულ ამოცანას ან მაგალითებს რომ გადავაწყდები, სანამ არ ამოვხსნი, თავს არ ვანებებ. ეს ჩემი ჰობიც არის და ტვინის ვარჯიშიც, რაც ჩვენს დროში განსაკუთრებულად გვჭირდება.

# როგორ გახდა „მაესტროს“ წამყვანი ირაკლი ხრიკაძე ალქიმიკოსი და ვისთან ჰქონდა მას „სლუჟებნი რომანი“

**თამუნა ნიჟარაძე**

**19 ნოემბრიდან GDS-ის ეთერში მუსიკალური შოუს – „ერთი ერთში“ – მესამე სეზონი იწყება. ახალი სეზონის მონაწილეები არიან ყველასათვის ცნობილი და საყვარელი სახეები: სალომე ბაკურაძე, ნუკა კვალიაშვილი, გოგა მესხი, თემო საჯაია, გიორგი სუხიტაშვილი, ლიზა ყენია, ნინი წიკლაური და ზურა ჯავახია. სწორედ ეს ადამიანები იზრუნებენ თითოეული თქვენგანის ოჯახში მეგობრული გარემოს, სიხარულისა და სიხალისის შემოსატანად. ასე რომ, 19 ნოემბრიდან, ყოველ ოთხშაბათს, საღამოს 10 საათზე დაელოდეთ შოუს „ერთი ერთში“, მანამდე კი გადაცემის პროდიუსერების – გვანცა კილასონიასა და ელენე კოლელიშვილისგან შეიტყვეთ, თუ როგორი იყო მოსამზადებელი პერიოდი, რა ხდება მის კულუარებში და რით იქნება გამორჩეული წლევანდელი სეზონი წინა სეზონებისგან.**

# რა ხრიკი გამოიყენეს პროდიუსერებმა მონაწილეების შერჩევისას პროექტ „ერთი ერთში“ და არის თუ არა აქტიურად ჩართული ბერა ახალი სეზონისთვის სამზადისში

**ელენე**: 19 ნოემბერს მესამე სეზონის პირველ ლაივკონცერტს ნახავს მაყურებელი.

**გვანცა**: ამ პროექტს გარკვეული დრო სჭირდება მოსამზადებლად, სპონტანურად არ კეთდება. არის რაღაც წესები, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლი და გიწევს გრაფიკის მიყოლა იმისთვის, რომ კარგი შედეგი დაიდოს. პირველ ყოვლისა, მონაწილეები ირჩევა, რომლებზეც მერე გრიმიორებმა უნდა მოახერხონ შესაბამისი სამუშაოს ჩატარება, როგორც ჩვენ ვეძახით – „ყალიბის აღება.”

**– მონაწილეების შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი მათი გარეგნობაც ხომ არ არის? ანუ, რამდენად მოირგებს ის ამა თუ იმ სახეს?**

**ელენე**: მთავარია, არტისტული იყოს – მღეროდეს, ცეკვავდეს. შეიძლება, მონაწილე ბოლომდე არ იყოს ვოკალურად გამართული, მაგრამ, სამსახიობო ოსტატობა ჰქონდეს ძალიან კარგი. მოკლედ, უნდა იყოს ცნობილი და პოპულარული – მთავარი კრიტერიუმი სწორედ ესაა.

**– წლევანდელ შემადგენლობაზე რას იტყვით?**

**გვანცა**: წელს ყველაზე ახალგაზრდა და მეგობრული გუნდი გვყავს. ამ მომღერლებმა მრავალი ვოკალური შოუ გამოიარეს ერთად და, შესაბამისად, ძალიან კარგი მეგობრები არიან რეალურ ცხოვრებაში. ეს ერთგვარი პროდიუსერული ხრიკია – ერთმანეთს დაუპირისპირო მეგობრები და, ამასთან ერთად, შეინარჩუნო მეგობრული დამოკიდებულება. ვიცით, რომ ერთმანეთს ძალიან გულშემატკივრობენ.

**ელენე**: ეს რვა ადამიანი იმ სიხალისეს, სიყვარულსა და ოჯახურ გარემოს შექმნის, რომელიც ამ პროექტის მთავარი მიზანია. ეს პროექტი არ არის ადგილი, სადაც დამწყები მომღერლები ადგილის დამკვიდრებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აქ უკვე ცნობილი და მაყურებლისთვის საყვარელი ადამიანები მონაწილეობენ და მათი მთავარი ამოცანა – ნებისმიერი კატეგორიის მაყურებელსათვის კარგი განწყობის ჩუქებაა.

**გვანცა**: დღევანდელ ბაზარზე „ერთი ერთშის“ კონკურენტს ვერ ვხედავ. „ერთი ერთში” უნიკალური პროექტია, რომელიც აერთიანებს ყველა სხვა პროექტს, რაც კი გადის ქართულ სატელევიზიო სივრცეში და, კიდევ, უმატებს იმას, რაც სხვაგან არ არის. აქ არის ვოკალი, ცეკვა, ნიჭი და არტისტიზმი და, პლუს, ვიზუალური გარდასახვა, რომელიც არცერთ სხვა შოუში არ არის.

**ელენე**: არის სხვადასხვა შოუ, რომლებიც დიდ მაყურებელზეა გათვლილი. ნებისმიერი მათგანი რომ ავიღოთ: „ბრავო“, „ბიჭიერი“ თუ „ცეკვავენ ვარსკვლავები” – ერთი მიმართულებით არის განვითარებული; აქ კი ყველაფერი ერთ სივრცეშია მოქცეული და დამატებულია გარდასახვა, რომლის მსგავსიც ქართულ სატელევიზიო სივრცეში ჯერ არ მინახავს. ასეთი გრიმი და გარდასახვის ელემენტები, ალბათ, მხოლოდ ფილმებში თუ გვაქვს ნანახი – ეს არის ამ შოუს ყველაზე დიდი პლუსი. განმასხვავებელი კიდევ ის არის, რომ ამ შოუში არ გვყავს აუტსაიდერი და არცერთი მონაწილე არ ტოვებს პროექტს. წამყვანები ისევ კახა კინწურაშვილი და რუსკა მაყაშვილი იქნებიან.

**– ამ პროექტში უმნიშვნელოვანესი ფიგურები – გრიმიორებიც იგივე ადამიანები არიან?**

– გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ფიზიკურად ვერ მოვიძიეთ შესაბამისი რესურსი, მივმართეთ სხვა ქვეყანას, რომელიც მეტნაკლებად ხელმისაწვდომია და პროფესიონალიზმის დონეც მაღალია. პირველივე სეზონზე ასე მოვიქეცით, არა იმიტომ, რომ აქ არავინ არის, უბრალოდ, ფიზიკურად არავის ეცალა. გრიმიორები, რომლებიც ჩამოვიყვანეთ ბულგარეთიდან – ანა ანდრეევა და იანა სტოიანოვა, ელა ვოივარდსთან და სოფო მაჭავარიანთან ერთად მუშაობენ; პლუს, ქორეოგრაფი ზაკ რისი, რომელსაც უმუშავია ძალიან ბევრ მეგაშოუზე, თავისი მოცეკვავეების ჯგუფით ჩამოვიყვანეთ



გვანცა: „ერთგვარად სარისკო შოუა, თუმცა, რისკი გამართლებულია“

და, ასევე, ვოკალის პედაგოგი. პირველ სეზონზე გვყავდა ეფრემ შანელი, მეორეზე – კი სისი სამი, რომელიც ასევე ცნობილი წამყვანი, ვოკალის პედაგოგი და მაღალი დონის პროფესიონალია. დრამის პედაგოგი დუტა სხირტლაძეა, რომელიც წინა სეზონში ერთ-ერთი მონაწილე იყო.

**– წინა სეზონებზე ბერაც აქტიურად იყო ჩართული პროექტში, ამჯერად რა ხდება ამ მხრივ?**

– ბერა, ზოგადად, ჩართულია ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებში და, შესაბამისად, ამ პროექტშიც. მართალია, ამ ეტაპზე საქართველოში არ იმყოფება, მაგრამ, კონტაქტი, რა თქმა უნდა, გვაქვს და გვექნება – აზრებს გავუცვლით ერთმანეთს.

**გვანცა**: თუ იმას გულისხმობთ, იქნება თუ არა ბერა სტუდიაში დამსწრედ, როგორც ეს იყო პირველ სეზონზე, გეტყვით, რომ ფიზიკურად ვერ იქნება, რადგან, ის შტატებშია.

**– ჟიურის შემადგენლობა როგორი იქნება?**

**ელენე**: მხოლოდ ერთი წევრის ვინაობას გეტყვით ზუსტად – ესაა ზაკ რისი. დანარჩენები საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

**– ასეთი მასშტაბების შოუში მონაწილეობა დიდი პასუხიმსგებლობაა. მონაწილეების დათანხმება თუ გიჭირთ ხოლმე?**

**გვანცა**: ეს რომ იყოს მხოლოდ ვოკალური შოუ, ალბათ, უფრო მარტივი იქნებოდა მონაწილეების დათანხმება, მაგრამ, როდესაც ადამიანს სთხოვ, რომ სხვა პიროვნებად გარდაისახოს და, სამი თვის განმავლობაში, ფაქტობრივად, დაივიწყოს საკუთარი სახელი და გვარი და კვირაში ერთხელ მოირგოს სხვადასხვა სახე. აქ მხოლოდ ვოკალი აღარ არის საკმარისი, საჭიროა არტისტიზმი და კიდევ უამრავი სხვა ფაქტორი. მქონია შემთხვევები, როდესაც უარი მიმიღია და ყველაზე ხშირად სწორედ ამ მიზეზის გამო: „ეს ჩემი შოუ არ არის, მე ვიმღერებ, მაგრამ, ვერ ვიცეკვებ“; ან: „ხომ იცი, არტისტიზმში ცოტას მოვიკოჭლებ“. ზოგჯერ შეშინებიათ კიდეც იმ პასუხისმგებლობის, რასაც ჰქვია გარდასახვა და, კიდევ ერთი ნიუანსია – ესაა პირდაპირი ეთერი და ცოცხალი შესრულება. ვინც რისკავს, მოდის აქ და გამოიჩენს თავს, პროექტის დასრულების შემდეგ ქართულ შოუ-ბიზნესში სულ სხვა ფერს მიიღებს მისი ვარსკვლავი; ზოგზე კი, პირიქით, მაყურებელმა შეიძლება თქვას – აი, ამან ვერ გაამართლაო. ამიტომ, ერთგვარად სარისკო შოუა, თუმცა, რისკი გამართლებულია.

**– უარის შემთხვევაში, როგორ ახერხებთ მათ დათანხმებას?**

– გინდათ, რომ პროდიუსერული საიდუმლო გაგიმხილოთ? ***(იცინის)*** პრინციპში, არ არის ძნელი. პირადად ჩემთან, უფრო მეტი რაოდენობა არის მთხოვნელების, ანუ, რომლებსაც უნდათ მონაწილეობის მიღება და უფრო ნაკლებია ის, ვინც მეუბნება, რომ ვერა. უარი ერთეულებმა მითხრეს. მეტწილად კი არის განაწყენებულთა დიდი არმია, რომლებიც ვერ მოხვდნენ შოუში. როგორც კი მთავრდება შოუ, ჩემთან იწყება განუწყვეტელი ზარები და მომდის მესიჯები მომდევნო სეზონში აყვანის მსურველებისგან.

**– მთავარი სირთულე რა არის ხოლმე მონაწილეებისთვის?**

– აქ კონკრეტული მონაწილის წარმატება მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული, მთელი გუნდის კარგად მუშაობაა საჭირო.

**ელენე**: ყველაზე რთული არის ხოლმე რეჟიმთან შეგუება. მონაწილეებს ცალ-ცალკე უწევთ ვოკალისტთან, ქორეოგრაფთან, დრამის და სხვა პედაგოგებთან მუშაობა; საათობით გრიმიორთან ჯდომა, რაც ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს; ზოგს პროთეზის ტარება უწევს, ზოგს სიმსუქნეებს აცმევენ, ძალიან დიდი რაოდენობით სილიკონებს, თმას აწებებენ. ლაივშოუდან ლაივშოუმდე, ამ ადამიანებს 24-საათიან რეჟიმში უწევთ მუშაობა.

**– რომელიმე კონკურსანტისგან იმედგაცრუებული თუ დარჩენილხართ?**

**გვანცა**: კი, ასეთი შემთხვევა პირველ სეზონშიც გვქონია და მეორეშიც. თუმცა, ძირითადად მართლდება ხოლმე მოლოდინი.

**ქეთი კაპანაძე**

# ჩემი ბავშვები უსაფრთხოდ არიან

„ჩვენ ყოველთვის ვერ ვქმნით საუკეთესო მომავალს ბავშვებისთვის, თუმცა, ჩვენ შეგვიძლია, შევქმნათ საუკეთესო ადამიანები ბავშვებისგან, უკეთესი მომავლისთვის" – ეს სიტყვები ფრანკლინ რუზველტს ეკუთვნის და მასში უდავოდ არის სიმართლის მარცვალი, თუმცა, მე ვაპირებ, მედლის მეორე მხარე დაგანახვოთ და დაგარწმუნოთ, რომ დიდი ძა-



ლისხმევის შედეგად ჩვენც შეგვიძლია ჩვენი შვილებისთვის საუკეთესო პირობების შექმნა.

ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ბავშვისთვის მშობელს ყოველივე კარგი და საუკეთესო სურს. აქ საკითხავია, რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ისინი ჯანმრთელები, რეალიზებულები და უზრუნველყოფილები იყვნენ. დარწმუნებული ვარ, ფიქრობთ, რომ ყველაფერს, ვინაიდან, მშობელი, როგორც წესი, თავს არ ზოგავს საკუთარი შვილებისთვის. მე შევეცდები, ჩემი და ჩემი ორი შვილის კონკრეტული მაგალითის შესახებ მოგიყვეთ და დაგარწმუნოთ თქვენ, ყველაზე ყურადღებიანო, მზრუნველო და ერთგულო დედებო, რომ არსებობს გარემო ფაქტორები, რომელთა გაუთვალისწინებლობაც თქვენს შვილებს რეალურ საფრთხეს უქმნის.

***ეკოლოგიური გარემო*** – მე და ჩემი ქმარი შეუღლების დღიდან ყაზბეგის გამზირზე ვცხოვრობდით. მიგვაჩნდა, გაგვიმართლა, ვინაიდან, საკმაოდ დიდი ბინა თბილისში ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილას ვიყიდეთ. სწორედ იმ სახლში დაიბადა ჩემი უფროსი ბიჭი – სანდრო და იმავე სახლში იზრდებოდა ანასტასია 3 წლამდე. ვსაუბრობ წარსულ დროში, რადგან, გარემო მიზეზების გამო დღითი დღე აქტუალური ხდებოდა ბინის გამოცვლის საკითხი და, თუ ამას თავიდან გულგრილად ვუყურებდით, მალე მივხვდით, რომ რაღაც ზომებისთვის უნდა მიგვემართა. დისკომფორტს კი, პირველ ყოვლისა, დაბინძურებული ჰაერი და ავტომანქანების ხმაური გვიქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსი გზის ნაპირას არ მდებარეობდა, საღამოობით ფანჯრებს შავი კვამლივით ადგებოდა მანქანების გამონაბოლქვი; ჩვენი ძიძა, ბავშვების გაზრდაში გამოცდილი და სანდო ქალბატონი, ხშირად წუწუნებდა ხოლმე შიდა ეზოს არარსებობის გამოც. რეალურად, კორპუსის ირგვლივ არ იყო ახლომდებარე სკვერი ან პარკი, სადაც პატარების გასეირნებას შევძლებდით. კრიზისი, კი იმ გარემოებამ წარმოშვა, რომ ალერგოლოგმა სანდროს მტვერზე, ფრინველის ბუმბულსა და ბეწვეულზე ალერგია დაუდგინა. გავიყვანეთ სახლიდან ჩვენი თუთიყუში – კოკო, გავიტანეთ ხალიჩები მისაღები ოთახიდან, თუმცა, როგორ შეიძლება, დაემალო მტვერს ჩვენს დედაქალაქში? – ამ კითხვაზე პასუხის ძიებაში ვიყავით, როდესაც ჩემმა მეუღლემ შემთხვევით, ახალი, კონცეპტუალურად განსხვავებული, ეკოლოგიური უბნის მშენებლობის შესახებ გაიგო. გავყიდეთ ბინა და დირსის უბანში გადავედით. ეს არის შავნაბადას მთებში ჩასმული, მდინარისპირა, სუფთა საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც ქალაქის ცენტრიდან არც ისე შორს, სულ 7 წუთის სავალ გზაზე მდებარეობს.

გადაწყვეტილების მიღება რთული არ იყო, ვინაიდან, დირსის ხედებმა და არაერთი სახეობის მწვანე ნარგავმა უბნის დათვალიერებისას ჩვენზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით კი, იცით, რამ აღმაფრთოვანა? 46 ჰექტარ ფართობზე გაშლილ უბანში ოცივე საცხოვრებელ კორპუსს საკუთარი შიდა ეზო აქვს; ჩვენი ფანჯრებიდან იშლება ხედი მთებზე და ძველ თბილისზე; უბანში ყველა მობინადრისთვის არის პარკინგის ტერიტორია და, რაც მთავარია, მთელი უბნის პერიმეტრს მიჰყვება ბულვარი მდინარის ნაპირას; ბულვარზე განთავსებულია ველოტრეკი, ხის სკამები, თბილი შუქის განათება და საუცხოო ჯიშის ხე-მცენარეები; მოკლედ რომ ვთქვა, ეს არის ახალი სიტყვა თბილისურ ურბანისტულ დაგეგმარებაში და მე და ჩემი ოჯახი ამ სიახლის ნაწილი გავხდით.

***უსაფრთხოება*** – თქვენ, შესაძლებელია, ვერ გააკონტროლოთ, რამდენ უცნობ ადამიანს ხვდება თქვენი შვილი სკოლაში და სპორტულ დარბაზში; შესაძლოა, ყოველთვის არ ხართ მის გვერდით, როდესაც ის სამანქანო გზის გადაკვეთას აპირებს, თუმცა, დირსის უბანში, შეგიძლიათ, დაივიწყოთ ყველა აღნიშნული რისკ-ფაქტორი. დავიწყოთ იმით, რომ, ბინა, რომელიც გარემონტებული ჩაგვბარდა, უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით: ოთახის ცენტრში, ჭერზე დამაგრებულია სპეციალური გადამცემი, რომელიც, კვამლის დაგროვების შემთხვევაში, ავტომატურად რთავს სიგნალს და ხანძრის ლოკალიზებას ახდენს.

თუკი ბავშვებს სახლში მარტო დატოვებთ, ნუ იღელვებთ, რომ მათ უცნობის მოულოდნელი ზარი შეაშინებთ, ვინაიდან, ყველა სადარბაზოს საკუთარი კონსიერჟი ჰყავს და, სანამ სტუმარი თქვენთან ამოვა, კონსიერჟი ტელეფონით წინასწარ გაგაფრთხილებთ.

ჩემთვის განსაკუთრებულად პრაქტიკული და მოსახერხებელია უბნის გეგმარება. როგორც უკვე ცნობილია, დირსის უბანს საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულებები აქვს – უკვე გვაქვს თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი და აქვე იგეგმება სკოლის მშენებლობაც. გზები იმდაგვარადაა დაგეგმილი, რომ ბავშვს სკოლამდე მისასვლელად სამანქანო გზების გადაკვეთა არ მოუწევს – სკვერამდე, პარკამდე, ბულვარამდე, სანაყინემდე და სკოლამდე მისასვლელად მას არც ერთი ავტომობილი არ შეხვდება.

***ჯანმრთელობა და განვითარება*** – პედიატრებმა მირჩიეს, რომ ბავშვები პატარაობიდანვე აქტიურად დამეტვირთა ფიზიკურად, თუმცა, უდროობის, ხშირად კი ცუდი ამინდისა და მოუცლელობის მიზეზით, ამას ნაკლებად ვახერხებდი. დირსის უბანში ეს პრობლემაც რეალურად შემიმსუბუქდა. ჩვენს საცხოვრებელ კომპლექსში ბავშვის სწორი ფიზიოლოგიური ჩამოყალიბებისთვის საჭირო ყველანაირი ინფრასტრუქტურული ობიექტია. უბანში არაერთი წინაპირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პატარებმა თავი ბუნების ნაწილად იგრძნონ; რომ თავისუფალი დრო არ გაატარონ მხოლოდ სახლში, კომპიუტერთან – ჩავიდნენ ეზოში, ისეირნონ და ითამაშონ. მე კი შემიძლია, მშვიდად ვიყო, ვინაიდან, კორპუსის შიდა ეზოებში გამოყენებულია ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა ხის ავეჯი და გასართობი მინი-ატრაქციონები. ეზო დაპროექტებულია სპეციალურად 2-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის და აღჭურვილია ყველა საჭირო ობიექტით, რაც პატარას ფიზიოლოგიურ და გონებრივ განვითარებაში შეუწყობს ხელს.

დირსის უბანში მოზრდილებისთვისაც ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პირობაა შექმნილი. თუკი ბულვარზე ყოფილხართ, შენიშნავდით ველოტრეკებს. იმ შემთხვევაში,



თუ ველოსიპედი არ გყავთ, შესაძლებელია, იქირაოთ და სამკილომეტრ-ნახევარი სიგრძის ბულვარზე გაისეირნოთ. ფიზიკური აქტივობისათვის საშუალება გაქვთ ივარჯიშოთ ჩოგბურთის კორტებზე, საფეხბურთო და საკალთბურთო მოედნებზე... და, რაც მთავარია, ყოველდღიური დანიშნულების მსგავსად, ერთი საათის განმავლობაში მაინც, სირბილი ან სიარული აუცილებელია სუფთა ჰაერზე.

ჩემი სათქმელი მეტ-ნაკლებად ამოვწურე. იმედი მაქვს, დაგარწმუნეთ, რომ ბავშვის ფიზიოლოგიური და ნერვული სისტემის განვითარებისთვის თითოეულ გარემო დეტალს არსებითი მნიშვნელობა აქვს; იმედი მაქვს, დაგარწმუნეთ იმაშიც, რომ ჩვენ შეგვიძლია, შვილებს თბილისურ რეალობაში საუკეთესო მომავალი შევუქმნათ და, რაც მთავარია, მე მჯერა, რომ ამ გარემოში ბავშვები საუკეთესო ადამიანებად ჩამოყალიბდნებიან.

# ბრძნული აზრები

**პეტრარკა**: ხარბი ყოველთვის ღატაკია. იცოდე მიზანი და საზღვარი შენთა წადილთა.

**ბირსი**: სიძულვილი გრძნობაა, რომელიც სხვათა უპირატესობას იწვევს თავის შესატყვისად.

**კანტი**: სიცილი აფექტია, რომელსაც იწვევს დაძაბული მოლოდინის უეცარი გადასვლა არაფერში.

**ბიორნე**: მხდალი კაცი ყველა სხვა ადამიანზე უფრო სახიფათოა, მისი უნდა გეშინოდეს ყველაზე მეტად.

**ლაბულე**: გამოუსადეგარად ყოფნა არყოფნაა.

**პომპადური**: ერთი მტერი უფრო მეტ ბოროტებას იქმს, ვიდრე ოცი მეგობარი – სიკეთეს.

**კორნელი**: რა მდიდრები ვიქნებოდით, რომ ყველაფერში ისე ხელმოჭერილნი ვიყვნეთ, როგორც სამადლო საქმეში ვართ.

**დუკლო**: ვინც ზომიერებას გაურბის, ის ნაკლებულობას მისდევს.

**პონტანუსი**: მეტყველებით კი არა, სიბრალულით უნდა გამოირჩეოდეს ადამიანი მხეცისგან.

**შილერი**: ისეთი ხალისით არასდროს ვაძლევთ სხვას რამეს, როგორც ცარიელ ხელს.

**მაკიაველი**: საცოლეს რომ ირჩევდე, მოხუცის თვალით აწონ-დაწონე.

**პასკალი**: მახვილსიტყვაობა ცუდი ხასიათის ნიშანია.

**დიოგენე**: სიმართლესთან ისე უნდა იცხოვრო, როგორც ცეცხლთან – არც ისე ახლოს უნდა მიხვიდე, რომ დაიწვა და, არც ისე შორს უნდა წახვიდე, რომ შეგცივდეს.

**არჩილ მეფე**: მეგობარი ბევრი უნდა, თანამზრახი ერთი უნდა.

**საადი**: ზოგისთვის ბედი ისაა, რაც ვირისთვის – რქები.

**ციცერონი**: ბრძენთა ქცევა ნაკარნახევია გონებით; ნაკლებად საზრიანთა – გამოცდილებით; უმეცართა – აუცილებლობით; ცხოველთა – ბუნებით.

**ლაბრიუერი**: მოსაუბრის ნიჭად ითვლება არა ის, რომ თვითონ ლაპარაკობს სიამოვნებით, არამედ, ვისთანაც სხვებიც სიამოვნებით საუბრობენ.

**დიდრო**: სასწაული, სადაც მისი სწამთ, სადაც მისი მეტად სჯერათ, უფრო ხშირად იქ ახდება.

**ლაო ძი**: სამყარო მშვიდია. ყველაზე რბილი სძლევს ყველაზე მაგარს. არყოფნას მოუცავს ყველა და ყველაფერი.

**ნიცშე**: ზოგიერთი ძალიან გვიან კვდება, ზოგიერთი – ძალიან ადრე. ჯერჯერობით უცნაურად მოგეჩვენებათ სწავლება: „მოკვდი დროულად".

**პავლოვი**: ყველაზე მთავარია, საქმეში გადაწონო ის მომენტი, როცა მუშაობა არ გსურს.

**რასელი**: სიყვარულის გეშინოდეს – ნიშნავს, ცხოვრების გეშინოდეს, ხოლო, ვისაც ცხოვრების ეშინია, მისი სამი მეოთხედი მკვდარია.

**ჯონსონი**: სიყვარული სულელის სიბრძნე და ბრძენის სიბრიყვეა.

# თუ გამოიცნობთ

1. პეკინიდან 75 კილომეტრის დაშორებით იუნიუს ტაძრის სარდაფში ნახეს 4X5 სანტიმეტრის ზომის ზარდახშა, რომელშიც მოთავსებულია კიდევ ერთი ზარდახშა, შიგ – კიდევ ერთი და კიდევ ერთი. გაირკვა, რომ ის 544 წელსაა დამზადებული. **რა ინახება** ყველაზე მცირე ზარდახშაში, რომელიც მხოლოდ მერვედი ნაწილია და დანარჩენი შვიდი ნაწილი ჩინეთის სხვა 7 პროვინციაშია განაწილებული?

2. **დაასახელეთ** ჩვენთვის ცნობილი სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც შემოიღო ჰენრიხ პირველმა და ტოლი იყო მანძილის – მისი ცხვირიდან გაშლილი ხელის ცერა თითამდე.

3. ტიბეტელები ასე მისალმების დროს აკეთებენ. ჩვენ კი ექიმთან ვიქცევით ასე, ჯანმრთელობის პრობლემების დიაგნოსტიკისთვის. **რას ვაკეთებთ?**

4. არაბულ ქვეყნებში გავრცელებული ტრაქტატებით, მისი ზედა ნაწილი აღნიშნავს ევფრატს, ქვედა კი – ნილოსს, მთლიანად კი ის სიმბოლოა ისრაელის მისწრაფებისა – შექმნას სახელმწიფო ამ ორ მდინარეს შორის. **დაასახელეთ რას აღწერენ ასე მუსლიმანურ ტრაქტატებში?**

5. იოგას ვარჯიშების კომპლექსს, რომლის შესრულებაც ადრიანი დილით არის რეკომენდებული, „სურია ნამასკარს" უწოდებენ, რაც ქართულად ნიშნავს „მისალმებას მისადმი". **დაასახელეთ, რა იგულისხმება მასში?**

6. თეატრალურ ისტორიებში მოხსენიებულია, რომ ვახტანგოვის თეატრის ერთ-ერთ სპექტაკლში მსახიობს ენა დაება და წარმოთქვა სიტყვები მორდო და ბორდელი. სინამდვილეში ტექსტში ცნობილი ქალაქები იყო მოხსენიებული. **დაასახელეთ, რომელი ქალაქები უნდა ეთქვა მსახიობს.**

7. ბაქოში ღია სტადიონის, „შაფას" სკამები ისე შეღებეს, რომ ბუნებასთან შეხამებით კომპლექტში, აზერბაიჯანის ნაციონალური დროშის ფერები შექმნილიყო. **რა ფერია „შაფას" სტადიონზე სკამები?**

8. ჩინური ტრადიციით, ყველა ფერს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ასე მაგალითად, ყვითელი ფერი საიმპერატორო ფერია, მწვანე – ხეებს ნიშნავს, შავი – წყალს. პეკინის დახურულ ქალაქში ყველა შენობის სახურავი, რა თქმა უნდა, ყვითლადაა შეღებილი, მხოლოდ ერთი შენობის სახურავია შავი. **რა არის მოთავსებული ამ შენობაში?**

9. 1914 წელს, 18 წლის ინგლისელმა ელის ჰაიდენმა ფიზიკურ მონაცემებთან ერთად, გამოავლინა ფიზიკური ძალა, მოხერხებულობა და მიიღო 250 დოლარი. ფულადი ჯილდოს გარდა, **რა წოდება მიიღო ელისმა?**

10. თავის დროზე სპარტა და ათენი ორი დიდი ძლიერი დასაყრდენი იყო საბერძნეთისთვის. როდესაც სპარტა მიწისძვრამ დაანგრია, ათენის ბელადმა, კიმონმა თანამოქალაქეებს მოუწოდა, დახმარებოდნენ სპარტელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბერძნეთი გახდებოდა... **დაასახელეთ, კიმონის აზრით, როგორი გახდებოდა საბერძნეთი?**

***პასუხები იხილეთ 65-ე გვერდზე***

# პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

### პინგ-პონგი

ეს სიტყვა, რომელიც „მაგიდის ჩოგბურთის" აღსანიშნავად გამოიყენება, ინგლისელებმა მოიგონეს მეოცე საუკუნის დასაწყისში. სიტყვა წმინდა ხმის მიმსგავსებითი ხასიათისაა და მაგიდის ზედაპირზე მოხტუნავე ცელულოიდის ბურთულის ხმის იმიტირებას ახდენს.

### ადამიანები სიცივისგან ცივდებიან

გაციება ხდება ვირუსის წყალობით და არა სიცივისგან; ჩვენ ვცივდებით დასნებოვნებით და არა იმიტომ, რომ გავითოშეთ ან ტანსაცმელი დაგვისველდა.

ამასთან ერთად, სიცივე და ნესტი მართლაც ხელს უწყობს გაციებას. აქ არის რამდენიმე მიზეზი და ერთ-ერთი მათგანია ის, რომ წლის ცივ დროს ჩვენ უფრო ხშირად ვართ ხოლმე ავადმყოფ ადამიანებთან ერთად, ვიდრე თბილ პერიოდში, ეს კი ზრდის ვირუსის გადატანის (გადაცემის) საფრთხეს. ამასთანავე, სიცივე ასუსტებს ორგანიზმის დამცავ თვისებებს. ერთი სიტყვით, გაციების მიზეზიც არ უნდა არსებობდეს, სიცივე, როგორც ასეთი, აქ არაფერ შუაშია.

### შავი ტანსაცმელი გლოვისა და მწუხარების სიმბოლოა

დაკრძალვის დროს შავი ტანსაცმლის ტარება ისტორიულად არა იმდენად გარდაცვლილზე მწუხარების იდეასთანაა დაკავშირებული, რამდენადაც იმაზე, რომ ჩვენ გვეშინია მიცვალებულების. ადამიანებს მიაჩნდათ, რომ შავ ტანსაცმელში მათ გარდაცვლილის სული ვერ იცნობდა და არ დაუწყებდა დევნას. სხვა სიტყვებით, შავი ტანსაცმლის დამკვიდრების პირველი მიზეზი იყო არა მწუხარება გარდაცვლილ ადამიანზე, არამედ, შიში მის მიმართ.

### შავი – უნივერსალური ფერია გლოვისათვის

ჩინელებში დაკრძალვის დროს დომინირებს თეთრი ან მოიისფრო-წითელი ფერი; ეგვიპტელებში – ყვითელი, სპარსელებში – ყავისფერი, ბოშებში – წითელი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლb2-b5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




სკოლაში წაიჩხუბნენ ფიზკულტურის და შრომის მასწავლებელი. გაიმარჯვა შრომის




მასწავლებელმა – კარატე კარატეა, მაგრამ ჩაქუჩი მაინც ჩაქუჩობს.

***

ქმარი სკოლის დამთარების ოცი წლის აღსანიშნავ საღამოზე წავიდა. დაბრუნებულს ცოლი ეკითხება:

– აბა, რა ხდება, რას შვრებიან შენი თანაკლასელები?

– ეჰ, რა ვიცი, აშენდნენ ეგ პიდ...სტები... ზურა, პოლიტიკაში წასულა, გოჩა – ბიზნესმენი გამხდარა, დათო – ბანკირი...

– და შენ როდის გახდები პიდ...სტი?

***

ორგანიზაციაში კრებაზე დირექტორი სიტყვით გამოდის. ბოლოს ანეკდოტიც მიაყოლა. ყველა იცინის, ერთის გარდა.

– თქვენ რა, ანეკდოტი არ მოგეწონათ?

– მე თქვენთან არ ვმუშაობ, სტუმარი ვარ.

***

ქმარი მივლინებიდან ტალახიანი, ჩამოხეული შარვლით დაბრუნდა და ცოლს უხსნის.

– ბილეთი ვერ ვიშოვე და ჩემს ჯინაზე, კონტროლიორმა ჩამოიარა... მატარებლიდან გადმოხტომა მომიწია.

– კი მაგრამ, ჯარიმა გადაგეხადა, განა რა თანხა იყო ასეთი?

– რას ამბობ, კონტროლიორი გამცილებლის ქმარი აღმოჩნდა.

***

– ყველაფერი გავიგე შენი საყვარლის შესახებ.

– ტყუილია, ეს ყველაფერი ჭორიკნების მოგონილია...

– გაჩუმდი! ყველაფერი ვიცი მისი ბიზნესის, შემოსავლების შესახებ... და შენ ენა როგორ გიტრიალდება, ჩექმისა და პალტოს ყიდვას რომ მე მთხოვ?!

***

– თუ პრობლემა შეიძლება, ფულის საშუალებით გადაიჭრას, ეს პრობლემა კი არა ხარჯია...

***

– მიხო, რა მოუვიდა შენ მამალსა წუხელ, უდროო დროს რო ყიოდა?

– ზამთრი დროზე გადავიყვანე, ჯო... ვერ მიხვდი?

***

ყველაზე კარგი ვარჯიში ხელებისთვის ფულის თვლაა – ხსნის სახსრების ტკივილს, არეგულირებს სისხლის მიმოქცევას და შესაბამისად, არტერიულ წნევას. მთლიანად ხსნის თავის და კბილის ტკივილსაც კი, აახლებს გარდერობს. აუმჯობესებს გარეგნობას და საცხოვრებელ პირობებსაც კი... ვარჯიში არ მოქმედებს მასზე, ვისაც ფულთან სამსახურებრივი შეხება აქვს. სავარჯიშო კუპიურები, რა თქმა უნდა, თქვენი უნდა იყოს.

***

ტიპი სეირნობს, ხედავს კედელია, ერთ ადგილზე ნახვრეტი აქვს. ადამიანები რიგრიგობით თავს ყოფენ... თვითონაც შეჰყო,




გაიხედ-გამოიხედა, არაფერია. უცბად ტიპი მოვიდა, წიხლი სთხლიშა და წავიდა... გამოყო თავი გაბრაზებულმა, შემოურბინა კედელს და ხედავს ვიღაც ტიპს თავი აქვს ნახვრეტში გამოყოფილი...

## ანეკდოტი ხვიჩა მალაყელიძისგან

დიალოგი გურიაში:



– გაიგე, ბიჯო, ჩვენი დურმიშხანა რომ მომკვდარა?

– უი, არ გადამრიო, როდის, ბოშო?

– დილით, გამთენიას, ოთხ საათზე.

– მაგიზა გეილვიძა, მაგ უბედურმა, ასე უთენია?

## ფეხცალიენი კურდღელი




საშა ჩხეიძეს ერთი უილბლო მონადირე მეგობარი ჰყავდა, რომელსაც ან სროლა არ ეხერხებოდა ან ღმერთი არ სწყალობდა. ერთ-ერთი ნადირობისას მონადირეებმა დასცეს ბანაკი და მეგობრები კურდღელზე სანადიროდ მიმოიფანტნენ. საშა ჩხეიძეს სწორედ ეს მეგობარი აეკიდა და უკან გაჰყვა. ერთ ადგილას ბილიკი ორად იყოფოდა. მეგობრები სხვადასხვა მხარეს წავიდნენ და დათქვეს, რომ ისევ გზის ამ გასაყართან შეხვედრილიყვნენ. საშამ მოკლა ორი კურდღელი და შეხვედრის ადგილს მიაშურა, მეგობარი არ ჩანდა.

ცოტა ხნის მერე საშა დაბრუნდა ბანაკში მხოლოდ ერთი კურდღლით. გავიდა ხანი და მოდის ის უილბლო მეგობარი, ჩანთაზე გადაკიდებული დიდი კურდღლით. დაქანცული სახით, ამაყად დააგდო კურდღელი მეგობრების თვალწინ და დაიწყო მოყოლა, თუ რამდენი სერი გადაირბინა, რამდენი სდია და როგორი შორი მანძილიდან გააგორა ეს კურდღელი. საშა ზის ჩუმად და ულვაშებში ეღიმება. რომ დაამთავრა მოყოლა, საშა ეუბნება იმ ბაქიბუქა მონადირეს:

– კაცო, ერთი შეხედე მაგ უბედურს, უკან რაღაც ქაღალდი აქვს გარჭობილი.

ეცნენ სხვა მონადირეები და კურდღლის უკანალიდან (არა, ისე შეუმჩნევლად, ახლანდელი პოლიცია რომ უდებს ჯიბეში „დამნაშავეს“ არარსებულ ნარკოტიკებს) ყველას თვალწინ გამოიღეს ქაღალდი, რომელზედაც ეწერა:

„მე მომკლა საშა ჩხეიძემ“.

ბანაკში ატყდა ერთი ამბავი. ტრაბახა მონადირემ დაავლო ხელი თოფს და საშას გამოეკიდა. მერე საშა ჩხეიძე ამ ამბავს ბებიას რომ უყვებოდა, სიცილით ამატებდა:

– მე გავიქეცი, შარს მოვერიდე! გიჟის თვალებით მომსდევდა, ორჯერ მესროლა. ამხელა კაცს დამაცილა და ეგ რა კურდღლის მომკვლელი იყოო.

# რა დაუწუნეს გურამ ფირცხალავას თეატრალურ ინსტიტუტში

ახალი ჩამოსული ვარ ჯარიდან და პირდაპირ სამხედრო ფორმით მივაშურე თბილისის თეატრალურ ინსტიტუტს.

გავედი გამოცდაზე.

მისაღებ გამოცდაზე მკაცრი კომისიაა.

მომცეს ასეთი შინაარსის ეტიუდი:

„ვარ ქუჩაში. მშია. ფული არ მაქვს – არც ერთი კაპიკი არ მიდევს ჯიბეში. უცბად, ვხედავ, აგერ გდია პორტმანი, რომელშიც, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხაა. ბუნებრივია, მშიერმა კაცმა ეს პორტმანი უნდა ავილო, მაგრამ, პარალელურად, ვხედავ, რომ სანოვაგით სავსე ჩანთებით დატვირთულ ქალს დავარდნია...

ქალი ეძებს თავის პორტმანს. რა თქმა უნდა, პორტმანი მე მაქვს აღებული... ქალი კი პორტმანს ეძებს.”

კომისია მეკითხება, როგორ მოვიქცევი მე და, ეს ყოველივე უნდა ავხსნა მოქმედებით.

– ეძებს ქალი! – გამაფრთხილა კომისიის თავმჯდომარემ, – თავის პორტმანს ეძებს. როგორ იქცევი ახლა შენ?

მივიხედ-მოვიხედე. არავინ ჩანს და ამ




ქალს „ავეთესე“, ამოვეფარე სახლის კუთხეს, იმ შემთხვევაში – დეკორაციას.

დამთავრდა ეტიუდი.

აჩურჩულდნენ ერთმანეთში კომისიის წევრები და გამომიცხადეს:

– „ხუთიანი” უნდა დაგვეწერა და „სამიანს” გიწერთ.

– რატომ? – ალალად გამიკვირდა მე.

– იმიტომ, შვილო, რომ, – მიხსნის კომისიის თავმჯდომარე, – მსახიობი აბსოლუტურად მართალი უნდა იყოს.

– კი მაგრამ, მე რატომ ვარ „არამართალი“?

– იმიტომ, რომ, ფული უნდა დაგებრუნებია კანონიერი მფლობელისთვის.

ამასხა სისხლმა თავში:

– ძალიან მართალი ვარ! მართალი ვარ მე!

– როგორ? – ისევ კომისიის თავმჯდომარე მეკითხება.

– ხომ მითხარით, რომ მე ვარ მშიერი და ვიპოვე პორტმანი?

– კი, ვთქვით...

– ჰოდა, რაღად უნდა ამ ქალს პორტმანი – ორი ჩანთა სანოვაგე უყიდია და იმდენი ფული კიდევ მორჩენია, რომ მე ვიპოვე-მეთქი?! სხვას ყველაფერი და მე – არაფერი-მეთქი?!

ატყდა სიცილი და რა სიცილი.

და... ჩავირიცხე თეატრალურში – ივარგებს ესო...

**გურამ ფირცხალავას ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

**კომპანია „დენტსტალს“ საქართველოში იცნობს ყველა, ვისაც კი სტომატოლოგიასთან შეხება ჰქონია. სწორედ „დენტსტალი“ ამარაგებს სტომატოლოგიურ კლინიკებს საუკეთესო სახარჯი მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით და, თუკი დღეს ჩვენთან შესაძლებელია, მივიღოთ ევროპული ხარისხის სტომატოლოგიური მომსახურება, ეს დიდწილად „დენტსტალის“ დამსახურებაა. გარდა ამისა, „დენტსტალის“ დამფუძნებელი ნუკრი ბეჟუაშვილი მუდმივად ზრუნავს საქართველოში სტომატოლოგიის განვითარებაზე და ამ მიმართულებით ერთგვარ ქველმოქმედებასაც ეწევა – ზრუნავს რეზიდენტებისა და ექიმების ცოდნის დონის გაღრმავებასა და მათი კლასიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზანს ემსახურებოდა სტომატოლოგიური „ოლიმპიადა 2014“, რომელიც თბილისის თერაპიული სტომატოლოგიის რეზიდენტურებს შორის გაიმართა. ობიექტურმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული რეზიდენტები კბილის მხატვრულ რესტავრაციასა და ენდოდონტიაში.**

**„დენტსტალმა“ ორი პრიზიორი ლაზერის შემსწავლელ კურსებზე გაგზავნით დააჯილდოვა. ისინი ისწავლიან იტალიაში, ქალაქ ვენეციაში. ბილეთების, სასტუმროსა და სწავლების ხარჯებს სრულად აფინანსებს „დენტსტალი“.**

**სტომატოლოგიური „ოლიმპიადა 2014-ის” ხელმძღვანელს, ექიმ-სტომატოლოგ მაკა ქუთათელაძეს, „თბილისელები“ სასტუმრო „შერატონში,“ რეზიდენტების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ გაესაუბრა.**

# როგორ უწყობს ხელს კომპანია „დენტსტალი“ საქართველოში სტომატოლოგიის განვითარებას და რა შანსს აძლევს ის მომავალ სტომატოლოგებს

**მაკა ქუთათელაძე**: როგორც უკვე იცით, თერაპიულ სტომატოლოგიაში ოლიმპიადის ჩატარება რეზიდენტებს შორის, კომპანია „დენტსტალის“ დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, ბატონ ნუკრი ბეჟუაშვილის ინიციატივა და იდეა იყო. ბატონი ნუკრი ძალიან ქველმოქმედი პიროვნებაა და სულ აქვს ისეთი იდეები, რომლებითაც სტომატოლოგიის განვითარებას უწყობს ხელს. იგი საკუთარი ინიციატივითა და ფინანსებით ატარებს კონკურსებს, ოლიმპიადებს, მასტერკლასებსა და ლექცია-სემინარებს როგორც თბილისის, ასევე, რეგიონის სტომატოლოგებისთვის. მოხარული ვარ, რომ მეც მერგო წილად ბედნიერება, ამ კონკრეტულ ღონისძიებაში მის გვერდით ვყოფილიყავი. ოლიმპიადის ხელმძღვანელად ექიმი-სტომატოლოგი სჭირდებოდათ, გამიწიეს რეკომენდაცია და მეც დავთანხმდი. სხვათა შორის, თავიდან მეგონა, რომ რთული არ იქნებოდა ოლიმპიადის ორგანიზება, მაგრამ, ისეთი შრომატევადი აღმოჩნდა, ორი სამსახური მაქვს და, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერცერთგან ვერ მივდიოდი. ბევრი დრო, ენერგია და ფინანსები დაიხარჯა, თუმცა, შედეგით ყველა ძალიან კმაყოფილია.

**– ფინანსები, როგორც ვიცი, მთლიანად ბატონმა ნუკრიმ, ანუ „დენტსტალმა“ გაიღო.**

– დიახ. რეზიდენტებისთვის ოლიმპიადაში მონაწილეობა აბსოლუტურად უფასო იყო. რეგიონებშიც დავიწყეთ მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარება. აბსოლუტურად ყველა ექიმს ეძლევა შანსი, სრულიად უსასყიდლოდ დაესწროს მათ და აიმაღლოს კვალიფიკაციის დონე; ასევე, მიიღოს საკმაოდ კარგი და მათი პროფესიისათვის საჭირო საჩუქრები. ყველა მსმენელი იღებს ამ საჩუქარს. ეს არის კომპანიის მიერ ბაზარზე შემოტანილი, საუკეთესო ხარისხის ბჟენები, საუბარია ჰელიო-ბჟენებზე, ნანო და მიკროჰიბრიდებზე, „გრაფინიასა“ და „გრაფნიზე“. ეს ბჟენები ექიმებს სრულიად უსასყიდლოდ დაურიგდათ. კომპანია „დენტსტალს“ ყველაზე დიდი ადგილი უკავია საქართველოში სტომატოლოგიური ტექნოლოგიებისა და სახარჯო მასალების ბაზარზე. ბატონი ნუკრი არის ბიზნესმენი, რომელიც რეალურად ზრუნავს იმაზე, რომ საქართველოშიც ყველ-



ასთვის ხელმისაწვდომი გახდეს ხარისხიანი, მაღალი სტანდარტების შესაბამისი სტომატოლოგია, ჩვენმა სტომატოლოგებმა კი, რომლებიც მართლაც კარგი სპეციალისტები არიან, აიმაღლონ კვალიფიკაციის დონე. „დენტსტალს“ თავისი სტომატოლოგიური კლინიკებიც აქვს, სადაც რეზიდენტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, მიიღონ შესაფერისი განათლება და პრაქტიკა. „დენტსტალი“ ყველა სტომატოლოგსა თუ სტომატოლოგიურ კლინიკას აძლევს საშუალებას, ხელმისაწვდომ ფასად შეიძინონ ყველაფერი, რაც კი საჭიროა სტომატოლოგიაში და, რა თქმა უნდა, მის მიერ შეტანილი პროდუქცია ყოველთვის არის ძალიან მაღალი სტანდარტის – ისეთი, როგორიც მიღებულია და გამოიყენება ევროპის წამყვან კლინიკებში. ძალიან მწყდება გული, რომ ასე უჭირთ დღეს ჩვენს რეგიონებს. იქ არ არის ტექნიკური ბაზა, თორემ, ექიმები ძალიან კარგი გვყავს. ბატონი ნუკრი ხშირად აწვდის მათ სახარჯ მასალებს და მასტერკლასებზე დასწრების საშუალებასაც აძლევს, მაგრამ, ეს არ არის საკმარისი – აუცილებელია, სახელმწიფომაც იზრუნოს მათზე. რთულია, ექიმს ელაპარაკო ნანო-ტექნოლოგიებზე, მოსთხოვო მას ხარისხი, როცა ელემენტარული პირობები არ აქვს. ამას ვერავინ გამოასწორებს – ვერც სტომატოლოგიური ასოციაცია და ვერც კერძო კომპანიები.

**– ქალბატონო მაკა, რეზიდენტებმა როგორ წარმოაჩინეს თავი?**

– არაჩვეულებრივად. ძალიან კმაყოფილები ვართ. ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი მომავალი კოლეგები მყავს, ძალიან კარგად იმუშავეს. ჟიურიც, რომელიც საკმაოდ კვალიფიციური, ჭკვიანი და გამოცდილი სპეციალისტებით დავაკომპლექტეთ და შეფასებაც ძალიან ობიექტურად მოხდა, აღფრთოვანებული დარჩა რეზიდენტების ნამუშევრებით.

**– და... „დენტსტალმა“ გამარჯვებულები საკმაოდ სოლიდური პრიზებით დააჯილდოვა.**

– დავიწყებ იმით, რომ საჩუქარი მიიღო ყველა მონაწილემ. დაჯილდოვდნენ რეზიდენტურების ბაზებიც და მათი ხელმძღვანელებიც. რაც შეეხება ორ გამარჯვებულ რეზიდენტს, მათ „დენტსტალი“, ბატონი ნუკრი, თავისი ხარჯებით გზავნის იტალიაში ლაზერული თერაპიის შემსწავლელი კურსების გასავლელად, სადაც, ფაქტობრივად, კიდევ ერთ პროფესიას დაეუფლებიან. მე სულ ვამბობ, რომ ნამდვილი პროფესიონალიზმი არის პიროვნების დამოკიდებულება საქმის მიმართ. ეს არ ნიშნავს რაიმე განსაკუთრებული მეთოდის ცოდნას, მთავარია, როგორ იყენებ შენს პროფესიულ რესურსსა და ცოდნას შენს ქვეყანაში შენი დარგის განვითარებისთვის. მე ძალიან ვწუხვარ, რომ რამდენიმე სარეზიდენტურო ბაზამ არ მიიღო მონაწილეობა ამ ოლიმპიადაში – ამით მათმა რეზიდენტებმა არაჩვეულებრივი შანსი დაკარგეს. პირადი ამბიციით ფუჭდება დიდი და კარგი საქმე, რაც ეს არ არის სწორი. რეზიდენტურაში მისულ ახალგაზრდას ცოდნასთან ერთად უნდა მიეცეს ყველა შანსი პროფესიული წინსვლისთვის და ამაში მათ ხელი არაფერმა არ უნდა შეუშა-



ლოს. ოლიმპიადა იქნება ყოველწლიური, ალმოაჩენს კარგ, ჭკვიან, განათლებულ რეზიდენტებსა და ექიმებს და დააჯილდოებს არაჩვეულებრივი საჩუქრებით.

**ნინო წულუკიძე**

# FRESCO ფრესკო

## სუპერმარკეტების ქსელი

**ყველაზე დაბალი ფასები საქართველოში**

# თქვენთვის უკვე ჩუღურეთშიც

## 27 ნოემბრიდან




**ჩიქობავას №22**

**ჩვენთან თქვენ დაგხვდებათ:**

- 20 000 დასახელების პროდუქტი
- 24 საათიანი მომსახურება
- მიწისქვეშა პარკინგი
- კაფე "ფრესკო"
- უფასო ინტერნეტი
- საბავშვო კუთხე

FrescoRetailGroup www.fresco.ge







**ფრესკო ვარკეთილი**
კალოუბნის ქ.9
2 76 00 08

**ფრესკო გლდანი**
გობრონიძის ქ.18
2 24 10 20

**ფრესკო ორთაჭალა**
გორგასლის ქ.61
2 90 71 07

**ფრესკო საბურთალო**
სანდრო ეულის ქ.2
2 24 44 01